

მზეს ვუციცავ,  
ღირღნენ  
თვადის შევღებად

ხევსურეთი და ხევსურები  
ქართულ პოეზიაში

2020

საგამომცემლო ჯგუფი განუული თანდგომისნათვის  
მადლობას უხდის ბათონ ელგუჯა ჩქარეულს

რედაქტორი: **ლელა გუგური**

იდეის ავტორები: **მანია ცისქარაული, გიორგი გომოლაქა**

გარეკანზე გამოყენებულია **გუბა არაგულის** ნახატი

წიგნი აიწყო და დანიბეჭდა  
გამომცემლობა „კალმოსანში“  
კონტაქტი:  
ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com*  
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

ISBN 978-9941-9651-1-1

## რედაქტორისაგან

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“- სახარების წმინდა მცნებასავით სანუკვარი, ქართველი პოეტის ეს სტრიქონები, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ხევსურეთს მიესადაგება!

კუთხეს, რომელიც გამორჩეულია თავისი საკრალურ-მისტიური სულიერი ცხოვრებით და პოეტური ტრადიციებით, რომელიც ლაზარესავით „დაფარულ და ყოველნუთიერად ხელახლა აღმოსაჩენ საიდუმლოს ჰგავს“.

წინამდებარე პოეტური კრებული საგამომცემლო ჯგუფის მიერ ერთი წლის განმავლობაში განეული შემკრებლობითი მუშაობის შედეგია. მასში თავმოყრილია თითქმის ყველა ქართველი პოეტის ყველა ღირებული სტრიქონი, რაც კი ოდესმე ხევსურეთისა და ხევსურებისადმი მიუძღვნიათ.

დღემდე მსგავსი შინაარსის წიგნი არ გამოცემულა და, ვფიქრობთ, იგი დაუვინყარი საჩუქარი იქნება მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის!

კრებული იმითაც არის არაორდინარული, რომ ქართველ კლასიკოსთა გვერდით წაიკითხავთ ხალხური მთქმელებისა და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ავტორების ლექსებსაც, დღემდე „ხალხურად“ ცნობილ ზოგიერთ შედევრს კი, სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით, რეალური ავტორი მივუთითეთ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი კლასიკოსის შემოქმედების უდიდესი ნაწილი ხევსურების ცხოვრებას ეძღვნება ( მაგ. ვაჟა-ფშაველა, გაბრიელ ჯაბუშანიური და სხვ.). ბუნებრივია, ფორმატის შეზღუდულობის გამო კრებულში ვერ შევიტანდით ამ ავტორთა მთელ შემოქმედებას და მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებით შემოვიფარგლეთ.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ წიგნს ხარვეზი არ ექნება.

შესაძლოა, შედარებით დაბალი მხატვრული ღირებულების მქონე სტრიქონები მაინც „გაგვეპარა“ და რომელიმე სხვა ავტორის უფრო მნიშვნელოვანი ლექსი კრებულს მიღმა დაგვრჩა.

სამომავლოდ ამის გამოსწორებას თქვენთან აქტიური თანამშრომლობით ვგეგმავთ, ძვირფასო მკითხველო!

12.07.2020 წ.

ს. ბარისახო

ხევსურეთი

## ვაჟა-ფშაველა

### აღუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)

I

მაცნე მოიდა შატილსა:

- ქისტებმა მოგვცეს ზიანი,  
დაგვიწიოკეს მწყემსები,  
ავნია, ავი-ზნიანნი.

აღუდა ქეთელაური

კაცია დავლათიანი,  
საფიხვნოს თავში დაჯდების,  
სიტყვა მაუდის გზიანი;  
ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა,  
სცადა ფრანგული ფხიანი.  
ცუდას რად უნდა მტერობა,  
კარგია მუდამ მტრიანი!  
ქისტებს წაუსხამ ცხენები,  
აღუდაისიცი ფთიანი.

გუმან აქვ, გადაავლიონ  
არხოტის თავი მთიანი,  
გადაბერტყინონ ნალითა  
ქუჩი მთებისა ცვრიანი.

ეს რო აღუდამ გაიგო,  
თოფს დაუპირა ტალიო;  
აისხა იარაღები,

გააფხავიდის ხმალიო;  
გაუშინჯიდის ვადანი,  
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.

ცისკრის ხანია, მტერს მისდევს  
კლდის შავარდენი ჩქარიო.  
გათენებისას ჭიუხში

შურთხმა დარეკა ზარიო,  
 ძაღლებს-კი სძინავ თეოზე,  
 ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.  
 მალე შააგდო ალუდამ  
 ქისტების ნავალს თვალიო.  
 მარჯვედვე გადაეწია,  
 თოფმა გაიღო ჩქამიო:  
 ერთს ქურდ-კანტალას ღიღღველსა  
 ცუდი დაუდგა წამიო;  
 გადავარდება ცხენზეით,  
 ყელ-თავქვე ეკიდებისა;  
 ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,  
 ზედ ცეცხლი ეკიდებისა:  
 ამხანიგ-მოკლულ ღიღღველი  
 ჩახმახსა ეზიდებისა.  
 გამასტყვრა მუცალის თოფი,  
 კლდის პირი დაიშლებოდა,  
 ნამოძი ტყვიის ალუდას  
 კალთაში ჩაეშლებოდა.  
 - არა გჭირსაა, რჯულ ძაღლო?! -  
 მუცალი ეუბნებოდა.  
 - ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო  
 ყმასა გუდანის ჯვრისასა.  
 ხმა ალუდაის თოფისა  
 ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.  
 - არ მოგხვდაეა, რჯულ-ძაღლო? -  
 ისევ ეძახის იმასა.  
 - მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, -  
 ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...  
 - ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,  
 წვერებსა სტუსავს თმისასა.  
 - ძაღლა დაგიცდა, ბეჩავო,  
 კენჩხას არა სჭირს ძვლისასა.  
 გამოსტყვრა მუცალის თოფი,

ტყვია ჩქამს იზამს მქისესა,  
გაუტეხს ქეთელაურსა  
საპირის-წამლეს რქისასა.  
- არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! -  
ზედაც დაჰვედრებს იმასა.  
- არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,  
ყმასა გუდანის ჯვრისასა,  
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,  
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.  
გულს არ ჰხვდა, ნუ გეგონების,  
ამტვრევდა წამლის ქისასა.  
რაკი სრევაზე მიდგება,  
ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა.  
შატილიონის ნასროლი  
ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.  
- არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! -  
შამაუჭყივლებს ქისტასა.  
- გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო,  
ვაჰ, ცდასა მუცალისასა!  
ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,  
რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა?  
მუცალს არ სწადის სიკვდილი,  
ფერს არა ჰკარგავს ცდისასა,  
მაჰგლეჯს, დაიფევს წყლოლშია  
მწვანეს ბალახსა მთისასა.  
ერთიც ესროლა ალუდას,  
ხანს არა ჰკარგავს მგლისასა  
თოფიც ალუდას გაუგდო.  
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:  
- ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,  
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.  
სიტყვა გაუშრა პირზედა,  
დაბლა გაერთხა მიწასა.  
ალუდას თოფი არ უნდა,

ატირდა როგორც ქალიო;  
არ აპყრის იარაღებსა,  
არ ეხარბება თვალიო.  
თავით დაუდვა ხანჯარი,  
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,  
გულზედ ძეგლიგი დაადვა,  
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.  
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,  
იტყოდა: ცოდვა არიო;  
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.  
მკლავზედაც გებას მარჯვენა,  
შენზედ ალალი არიო,  
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს  
ნუმც ხარობს ქავის კარიო,  
კარგი გყოლია გამდელი,  
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!  
სიგძივ გაჰხურა ნაბადი,  
ზედ გადაადვა ფარიო.

## II

მზემ აიწია ცაზედა,  
ნისლებმ დაწირეს ხევები;  
მისჯარებიან ცის კიდეს  
კავკასიონის დევები.  
აშლილან სანადიროდა  
ქორებ, ფრინველთა მღეველები;  
სოვნი არწივებს მასდევენ,  
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.  
ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,  
მადლი რქათ ადგა ღვთისაო.  
ხევი-ხევ შამოყრან ტალეებს  
ყორანი ავის ხმისაო:



“მამკვდარა ქისტი მუცალი,  
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,  
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,  
კალთა დავხურო მხრისაო”.  
შატილს ჯერ არ ჩასწდომია  
შუქი შუადღის მზისაო,  
არ ჩაუმვებენ ჩამსვლელსა,  
ცა ახურია კლდისაო.  
ყმა მოიდოდა გორი-გორ,  
არ ეწონება თავია;  
პირს დასწოლია ნისლები,  
გულით ნადენი, შავია.  
ტახტაზე დაუკიდებავ  
მუცალის ძმისა მკლავია,  
ვერცხლით მორთული ბაზალა,  
ეგ ხოროსნული ხმალია.  
მეება ჭიუხიანსა,  
სადაც იმედას ქავია,  
ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,  
ზამთარ ჩამუდის ზვავია.  
ბევრჯელ მასწრო დელგმამა,  
ჰყეფდა ყორანი შავია.  
დაჰვამფალებდა თავზედა  
გაუმადლარი სვავია,  
ვერვინ მაჰრივა იღბალი,  
ვერავინ უყვა ავია.  
ურჯულოს ხელებსავ აღნობს  
ზედ მზის სხივები მწვავია.  
გველმა ვერ გასჭრა ლიბოი,  
დღესაც ცოცხალი არია.  
ზოგჯერ ავდარი დადგება,  
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.  
რა უყვათ, ბევრი უნახავ  
ულვაშ-აშლილი მკვდარია!

ბევრჯელ წასულა საჭალოდ  
დახოცილთ სისხლის ღვარია;  
შაულებია წითლადა  
ავი არდოტის წყალია.  
ვისაც მტერობა მასწყურდეს,  
გააღოს სახლის კარია,  
სისხლ დაიგუბოს კერაში,  
თვითანაც შიგვე მდგარია.  
ღვინოდაც იმას დაჰლევედეს,  
პურადაც მოსახმარია.  
პირჯვარი დაიწეროდეს,  
მითამ საყდარში არია.  
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,  
იქ დაიწეროს ჯვარია,  
დაიპატიჟოს სტუმრები,  
დაამწვრიოდეს ჯარია.  
სისხლში დაიგოს ლოგინი,  
გვვრდს დაიწვინოს ცალია,  
ბევრი იყოლოს შვილები,  
ბევრი ვაჟი და ქალია;  
იქვე საფლავი გათხაროს,  
იქ დაიმარხოს მკვდარია.  
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგვკლენ,  
მკვლელს არ შარჩენს გვარია.  
შატილს გადმოდგა ბანებზედ  
ხევსურთ ქალი და რძალია,  
გამეეგებნენ ალუდას  
ძმა, ძმისწულები სამნია.  
ბევრს უნდა ამბის გაგება,  
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.  
მიულოციან ალუდას:  
- სახელიანიმც ხარია!  
ბებერი ჰკითხავს უშიშა  
ალუდას ამბავს ცდისასა.

უამბობს ქეთელაური  
ამბავს ღილღველის მგლისასა:  
“აქით წასულმა, უშიშავ,  
კვალი შავაჭერ მთისასა,  
მოკლედავ გადავეწივე.  
ნავალ დავატყვე ქვიშასა.  
ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,  
წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.  
იმ ცხონებულსა მუცალსა,  
რკინა სდებიყო გულადა!  
- რას ამბობ? ქისტის ცხონება  
არ დაწერილა რჯულადა.  
- მით ვაქებ ვაჟკაცობასა,  
არ იყიდება ფულადა.  
სამ მე ვესროლე. სამ - იმან,  
მესამით დავასრულია.  
მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა  
გაუნადმოა გულია.  
ნატყვიარს ბრძამით იფევდა,  
ისრე დალია სულია.  
სულს არ აცლიდა ამოსვლას,  
კიდევ მიხსენა რჯულია.  
ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ  
მართოთ ჩვენ გვზდიან დედანი;  
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მიელის ქშენანი.  
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,  
ლთიშვილთ უკეთეს იციან.  
ყველანი მართალს ამბობენ  
განა, ვინაცა ჰფიციან?!  
ვერ გავიმეტე მუცალი  
მარჯვენის მოსაჭრელადა,  
გული გამიწყრა, არა ჰქნა,  
რაც საქნელია ძნელადა:

“დაე დააკლდეს სახელსა,  
მე გირჩევივარ მრჩეველადა”.  
ხევსურთა ახალ-უხლები  
გადაიქციან ტყემლადა,  
ავად შაჰხედნეს ალუდას,  
შაუპრახნიან ხმელადა:  
“მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,  
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;  
აიხსენ გველის-პირული,  
დიაცთ გადუგდე ცხემლადა:  
ფარი - ქსლის ჩასაბეჭავად,  
ხირიმ - გაუდვან გარადა;  
დამზაჩა გამოადგებისთ  
საბრუნლად, თითისტარადა!  
გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს,  
გადუქცევიხარ ქალადა.  
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,  
უკენ მისდევდი მა რადა?!”  
ზურგი აქციეს ალუდას  
პირითა ჯავრიანიითა;  
თავ-თავის სახლებს მიჰმართეს  
ჭერხოთით კარიანიითა.  
გაწირეს ქეთელაური  
გულითა ნარიანიითა,  
სახელსა ალუდაისას  
იძახდენ ბრალიანიითა,  
შატის მინდიაც მოიდა  
ზერდაგით რვალიანიითა,  
წელზე ნარტყამის ფრანგულით,  
მკლავითა ფარიანიითა,  
თორმეტის ქისტის მამკლავი  
შუბითა ტარიანიითა.  
ირემს ჰგავ მინდის წითლაი  
შუბლითა მთვარიანიითა.

ალუდას აუგს ეტყოდენ  
სიტყვითა შხამიანითა.  
იწყინა, შუბლი დაკეცა  
ნაოჭით ზარიანითა.  
- ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს  
ენითა ქარიანითა.  
ადვილად მტერი მოგიკვდესთ,  
ადვილ გავიგო მართალი.  
ბევრ დაღონება არ გვინდა,  
ერთი დღის მეყოს საგძალი,  
გზა-კვალი არ ამერევა,  
ყოველ მხრივ ვიცი სავალი,  
დღესავ მოგივათ მინდია,  
მანამ დაბრძანდეს მრავალი.  
ქუსლი ჰკრა, წითლა გამაღდა,  
ნიავექარივით მავალი.

### III

დაბნელდა, წყალნი ტირიან,  
კალთა გვეხურვის ღამისა;  
დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,  
მცვრევა ბალახზედ ნამისა,  
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის.  
დრო მათ სიმღერის წყნარისა.  
დევნი გამოვლენ კლდიდამა,  
ხევ-ხუვში ეხეტებიან.  
ყველამ ივახშმა და ახლა  
სამილედ ემზადებიან.  
- პურ მიირთვიო, - ალუდას  
და-დედან ეხვეწებიან.  
- მე პურ არ მინდა, დედაო,  
გული შამეკრა რადამე,  
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,  
რიგში ვიყოდი სადამე.

წინ გვედვა მიცვალებული,  
ხევსურნ შაწყენით ისხდენა.  
სალაშქროდ დამზადებულნი,  
ზოგნი კარებზე იდგენა.  
მენაც იქ ვიყავ, ვტიროდი,  
როგორც წესია კაცისა.  
გუმანი მქონდა სალაშქროდ,  
ხანიც მოვიდა წასვლისა.  
ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,  
ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.  
შავხედენ, მუცალი იყო,  
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,  
გულზე ემჩნია ნიშანი  
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,  
ეფინა ნატყვიარშია  
ლეგა საფევი ბრძამისა,  
კლდედ იდგა, გაუტეხლადა,  
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.  
“მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,  
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.  
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,  
მე-კი წავიდე ქვეყნითა,  
დაძელით, ხევსურთ შვილებო,  
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა”.  
დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,  
კაცის ხორც იყო წვნიანი,  
ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ღა  
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.  
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,  
უმსგავსი, შაჩვენებული.  
“ჭამეო, რამამ მიძახა, “  
ნუ ჰხდები გამტერებული:  
კიდევ მიმირთვით ალუდას  
წვენ ხორცი გაცხელებული”.

მიმატეს კაცის უღვაშით  
წვენი-ხორცი შანელებული...  
სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ  
გუნება-აღელვებული.

#### IV

თენდება, მთის წვერნი დაწითდენ,  
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.  
დგება, იღვიძებს სოფელი,  
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.  
სოვნი სამგზავროს წავიდენ,  
მთა-ბარს მავლეს თვალთა;  
რამდენს ფრამ-ფრამში არიან,  
ცას ვერ გაავლეს კვალთა!  
ვინ მოდის წითლის ცხენითა,  
გამაიარა წყალთა?  
- მოხველ მშვიდობით! - მიწიას  
ხევსურთა შაუძრახნიან.  
რა მაიტანი ამბავი? -  
შორითვე დაუძახნიან.  
- ახლებო, სისხლი გიფუისთ,  
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,  
გულს ათრევენებთ გონებას,  
თავს აჭრევენებთ ცულითა,  
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა  
მის ვაჟკაცურის რჯულითა!  
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,  
გული-დ გონება ძმანია.  
მართალი არი ალუდა,  
თავს არ დამექცენ ცანია!  
თუ არა გჯერათ, ქისტისა,  
აი, მოჭრილი მკლავია.  
ენა ქარქაშში გეჭიროსთ,  
ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,

ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,  
არა ვარგაო, იმასა!  
ხელი ალუდას მიაღრთვის:  
- წაიღ, მიაკარ ქავადა!  
- თუ ხელის მოჭრა მდომიყო,  
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?  
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,  
საქმე მოგირთავ ავადა;  
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,  
არ გამოდგება ფარადა;  
მთაში წავიღო, არ მითიბს,  
არც მარგებს თივის კავადა.  
წაიღე, თუ გწამ უფალი,  
ნულარ მაჩვენებ თვალითა.  
კაის ყმის მარჯვენა არი,  
გული მეწვება ბრალითა.  
რაად სწყრებიან ხევსურნი,  
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!  
მტერს მოვკლავ, კიდეც არ მოვსჭრი  
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!  
“წესი არ არის მტრის მოკვლა,  
თუ ხელ არ მასჭერ დანითა”.  
ვაი ეგეთას სამართალს,  
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

V

ჟამი მოვიდა საუფლო.  
ხალხი ხატობას დიოდა:  
უნდა აცნობონ ბატონსა  
ვისაც-კი რამა სტკიოდა.  
მოქუჩდა ქალი და კაცი  
სახვეწრით ცხვრით და ხარითა;  
მიაღრთმევდიან ბატონსა  
სახვეწარს ბელლის კარითა.



ეს ვინ-ღა მოდგა, ნისლივით,  
თითბრით ნაზიკის ხმალითა?  
ხევისბერს აძლევს მოზვერსა,  
დადგა დახრილის თავითა.  
- ვის ამწყალობნებ, ალუდავ,  
ამა კურატით შავითა? -  
ჰკითხავს ალუდას ხუცესი  
გადაწეულის მკლავითა.  
დიდია ჩვენი ბატონი  
გუდანის ჯვარი თავითა,  
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,  
ღვთითა და ღვთისა ძალითა.  
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,  
წყალობა ემეტებისა;  
ვაჟკაცნი იმედიანნი  
ჩვენს ბატონს ებედებისა.  
მითხარ სახელი, ვის სწირავ,  
იმასამც შაეწირება.  
ხანჯარს აიძრობს, დიდების  
სათქმელად დაეღირება.  
- ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,  
ძოდან მოკლულის ქისტისა.  
მუცალს ეტყოდენ სახელად,  
მაუნათლავის შვილისა.  
კარგადაც დამიწყალობნე,  
გამიმეტებავ მისთვინა,  
როგორც უნდომლად მოკლულის  
თავის ლამაზის ძმისთვინა.  
- გაურჯულებულს არჯულებ,  
შენ ეგ არ შაგიხდებისა,  
ქისტისად საკლავის დაკვლა  
კარგად არ მოგიხდებისა.  
მამით არ მოდის ანდერძი,  
პაპით და პაპის-პაპითა,

გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,  
ურჯულოვდები მაგითა;  
ემმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა  
როგორ ამოგცდა ბაგითა?!  
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე  
ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია.  
ზოგი ლევისა, სხვა ქისტის,  
მარჯვენების ხიდია;  
ციკანიც არვის დაუკალ,  
განლამც კურატი დიდია.  
როგორ ვახვეწო უფალსა  
ძალლი, ძაღლების ჯიშისა,  
მანამ სჯობს, ცანი დამექცნენ,  
ზურგი გამისკდეს მიწისა,  
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,  
სადილი ვსჭამო ქვიშისა!  
ფერი ედება ბერდიას,  
ფერი სხვა-რიგის შიშისა.  
- ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,  
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,  
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,  
ხევსური თქვენის წყლისაო,  
მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ,  
მცხოვრებნი ერთის მთისაო.  
-ტყუილად სცდები, ალუდავ,  
ტყუილად იცვეთ პირსაო.  
გაჯავრდა ქეთელაური,  
ფერი დაიდვა მგლისაო;  
ხელი დაიკრა ფრანგულსა,  
შუქი ამოხდა მზისაო.  
უქნივა მოზვერს ქედზედა,  
თავი მიგორავს ძირსაო.  
თან შაეხვეწა ბატონსა,  
ნუ შამიცოდებ შვილსაო,

აღლადა ჰქონდეს მუცალსა,  
მაგ მოუნათლავ გმირსაო.  
ბერდია ჯაგარაშლილი  
ხალხისკე იზამს პირსაო.  
- გაგონილაა, - იმახდა, -  
ასრე აგდება რჯულისა:  
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,  
მამხსენე ქისტის სულისა,  
ხალხო, მინდარის გავიგო  
პასუხი თქვენის გულისა.  
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,  
ყველანი - დიდნი, მცირენი, -  
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ  
ალუდას სახლის დირენი;  
ნუ დაინანებთ, ექმნენით  
ცოლ-შვილის ამატირენი.  
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის  
ცა-ღრუბლის შანამზირები.  
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა  
სახლისა, ციხის კარები.  
ცეცხლი მიეცით საძოვარს,  
ცასა სწვდებოდეს ალები,  
სათემოდ გამოირეკეთ  
ცხვარი, ძროხა და ხარები.  
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,  
გუდანს - შინშნი და ქალები;  
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,  
არ არის შესაბრალები.  
ამის გამგონე მინდიას  
მაუწყლიანდის თვალები,  
ველარასა ჰშველოს ალუდას,  
გულზე გადიწყვის მკლავები,  
შასმულეებმ ხევსურთ შვილებმა  
მაიმარჯვიან ფარები,

უნდა სცან ქეთელაურსა,  
კაპასად ჟღერენ რვალები.  
ჯარად დამსხდართა ხევსურთა  
თავზედ წაადგა ბაღლები,  
ერთს ხელში დაუჭერია  
მარჯვენის ნახრავ ძვალები.  
- ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა  
წყალობას ბატონისასა,  
საკარგყმო დამალეინეთ,  
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.  
ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,  
ყურეს უმარჯვდა კლდისასა.  
იმ დროსა ვსტყორცნე ისარი  
ლაღად მიმავალს ცისასა;  
მართალ გამოდგა ნასრევი,  
ყორანს უვლიდა ფრთისასა;  
კლანჭით გაუშვა ნადავლი,  
გადმეესრია მიწასა.  
- მუცალის მარჯვენა არი,  
მიზეზი ხევსურთ რჩევისა,  
წყრომით იტყოდა მინდია,  
მიზეზი იმათ წყევისა;  
მე მივუტანე ალუდას,  
ფერი დავადევ წყენისა;  
რო არ მიიღო ალუდამ,  
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.  
- წაიღეთ, - ამბობს ბერდია,  
ტოტი ურჯულოს ძაღლისა,  
არა ვართ ხევსურთ შვილები  
ყმანი ეშმაკის, ალისა.  
ძაღლს მიუგდიან საჭმელად  
ხელი მუცალის მკლავისა.  
პირი არ ახლო ქოფაკმა,  
მორთო ღმუილი ბრალისა.

ხევის ბერ იტყვის ბერდია:  
- ხევსურნო, ნახეთ თვალითა:  
ძალდი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,  
თქმულია იმავ თავითა.  
ქისტის მარჯვენას ბაღლები  
დაბლა ათრევენ კავითა.

## VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს  
ყელებ შაკრულა მთებისა;  
ჩამოდის ხევად ზოვები,  
ჩამონასხლეტნი კლდებისა.  
გაუბამ ყინულს ლურჯადა  
უბე-კალთები წყლებისა,  
მიუნაქრია ერთიან  
ვიწრო სავალი გზებისა.  
ვის მასწყენია სიცოცხლე,  
გზას ის ვინ გაუდგებისა?  
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,  
ხუთიც უკენა ჰყვებისა.  
სიმშლით შაწუხებული  
მთას ღმუის ჯოგი მგლებსა.  
“კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო,”  
ერთი დიაცი სწყრებისა.  
“ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,  
ქვა-ქვაზე აღარ დგებო,  
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე  
ეხლა ყოვები სხდებო”.  
დედა ეტყოდა ალუდას:  
- შვილო, იარე ნელაო,  
შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,  
ვერც შენი ცოლი ლელაო,  
ბაღლები აგვიბოჟირდა,  
ხელ-ფეხ დაგვიზრა მნელაო.

ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,  
ვაჰმე, როგორა ბნელაო!  
ნეტავ არ დასჭირდებაა  
ხევსურთა შენი შველაო?!  
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,  
სად რა-რა დავილევითა?  
უბინო უსახ-კარონი  
სხვაკანაც დავიწყევითა.  
ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს,  
გაღმა შატილის ხევითა.  
თავის მიწა-წყლის გაწირვა  
ძნელი ყოფილა მეტადა;  
მამაკვდავს დავფერებივარ,  
გონი გამხდია რეტადა.  
მუხლებ არ მამდევეს, გულშია  
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.  
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,  
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!  
ჯავრობით ეტყვის ალუდა:  
- დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,  
მოდით, მამყევით, ვიდინოთ,  
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,  
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,  
ნუ გადიქცევით ცეტადა!  
ერთხელ მაუნდა ალუდას,  
ერთხელ მობრუნვა თავისა:  
“მშვიდობით, საჯიხვეებო,  
გამახარელნო თვალისა!  
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,  
გულში ამშლელი ბრალისა!  
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,  
ყმათად მიმცემო ძალისა!”  
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ  
წყალი და მიწა თავისა.

შტერად დამდგარან მთის წვერნი,  
ისმის ხვივილი ქარისა.  
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,  
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.  
ერთი მაისმა შორითა  
მწარე ქვითინი ქალისა.

## ბიორგა ჯაბუშანური

### მოყმე და ვეფხვი

#### I

მოყმემა პირ-შიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,  
მოინადირნა, დალახნა ბილიკნი ჭიუხისანი,  
შამაჯდეს კლდისა თავზედა ხორონი ჯიხვებისანი,  
ჯიხვსა თოფ დახკრა ბერხენსა, ჭალს ჯახნ იქნეს რქისანი,  
შუა გზას შამაალამდა, დრონ იყვნეს შულამისანი,  
გზას ვეფხვი შამეეყარა, თვალნი არისხნა ღვთისანი.  
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი,  
კლდეები ჩამოინგრია, შტონ დაილეწნეს ტყისანი,  
დრონ აღარ დასჩეს მოყმესა, ვადან ეწითლნეს ხმლისანი,  
ფარს უფარობს და ვერ ასწრობს,  
ვეფხვნი ჩქარნია, კლდისანი...  
გაზით გაართვნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი,  
მოყმემაც ხელში იყარნა ვადანი თავის ხმლისანი,  
ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, დრონ იყვნეს წაქცევისანი.  
ვეფხვი კლდეთ გარდაეკიდა, ჩამააწითლნა ქვიშანი,  
თაოდ კლდის თავზედ შამოწვა, მოყმე სულ-ამამდინარი,  
ვინ ეტყვის მაგის დედასა, კარს უსხენ ქადაგ-მისანნი,  
უერთოდ არ დაიხარჯნეს ჩვენ მონადირის ისარნი.



## II

იარებოდა დედაი, ტირილით თვალ-ცრემლიანი:  
„ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია, გაჯავრებული, ტიალი,  
ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,  
მათ დაუხოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანი.“  
ტირილით წყრულებს უხვევდა  
დაჭრილსა ვეფხვის კლანჭითა,  
„შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა,  
ი შენი ჯაჭვის პერანგი, ტიალმა როგორ დაფლითა?!..  
შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა,  
არც იმან მოგცა ბევრა დრო, აღარც შენ დააცალია,  
ველარცა-ლ შენ დაიფარე, შენ ხელთ ნაქონი ფარია,  
ველარცა-ლ ვეფხვმა ტოტები, ხმალმა დაკუწა ძვალია,  
მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია,  
ლაშქარში, მეკოპარშია, არ იყავ საწუნარია,  
ერთი შვილ მაინც გაგზარდე, ვეფხვებსთან მეომარია.  
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ეგიც სამარის კარია...  
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი, ელანდებოდის მძინარსა,  
ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეით რკინასა,  
ხან ვითამ იმისი შვილი, ვეფხვს გადაავლევს ყირასა,  
აიმაგ სიზმრებს ხედავდა, გამაელვიძის მტირალსა.  
ხან იფიქრებდა: „უდედოდ, გაზდა ვინა თქვა შვილისა?  
იქნება ვეფხვის დედაი, ჩემებრ მწარედა ტირისა,  
წავიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა.  
ისიც მიაშობს ამბავსა, მეც ვუთხრა თავის შვილისა,  
იმასაც ბრალი ექნების, უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“.

## რაფიელ პრისტავი

### სამშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი.  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

მე მირჩევნია სალი კლდე,თოვლიან-ყინულიანი,  
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერით გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი,  
ჯიხვი და არჩვიც მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,  
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,  
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის.  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,  
სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,  
არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია.  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..  
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,  
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავე თვალზედა,  
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...  
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

## ღადღო ასათიანი

### კრწანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადღარნო ომითა,  
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.  
შავროხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!  
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!  
შავროხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,  
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა?!  
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?!  
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მამრმავებს კრიალა,  
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და მარქვით ომახიანად:  
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,  
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღვიალა?!  
ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადღარნო ომითა,  
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

## სიმონ ჩიქოვანი

### შემოღამება ხახმატში

მთაში მრავალი განველეთ ბილიკი,  
პირაქეთს უკვე ვასრულებთ თითქმის,  
ხვალ გადავდივართ მგზავრნი პირიქით,  
ძნელია,  
მაგრამ იოლად ითქმის.  
ღამის გათევა დადლილებს გვსურდა,  
აწ დაბნელდება,  
გზა კი ცუდია,  
დავრჩი ხახმატში ალუდაურთან,  
მასპინძელ ხევსურს ერქვა ყუდია,  
დაგვიგო ქურქი ბანზე ყუდიამ,  
დაგვისხა ქერის არაყი წმინდა.  
ხახმატი გმირთა ძველი ბუდეა,  
ყუდიაც ამბავს გვიყვება მშვიდად.  
ზის ერთი ღვთისო,  
მეორეც ღვთისო,  
მესამე ღვთისო- თვალით ჭკვიანი.  
მთის მიღმა ჩადის სინათლე მზისა,  
თითქო რცხვენთან ადამიანის.  
ცის მიწურულში ჭიუხებია,  
ავარდნილი და შემდგარი შემდეგ,  
სოფელს ბილიკი მოუხვევია,  
თუ გადუგდია თოკი რიყემდე...  
მასპინძლის სახეს აჩნია წყლული,  
ხახმატს გვაცნობს და გვიყვება იგავს,  
ქვები დამსკდარა  
და დასიცხული  
ბილიკს სოფელი ციხისკენ მიჰყავს.  
ყუდია ამბობს: - ხო არა გიჭირთ,  
საქონელ თუ გყავთ, ბარელო ხალხო?

თვალთ გაგვზომავს დაბლობის ბიჭებს  
და საბაასოდ მოჯდება ახლო.

- მე მინდის ვიყო ვარგის შოფერი,  
შეისწავლების?

თქვენ როგორ იტყვით.

გული არ მერჩის...ხევსურთ სოფელი  
გამოზრდილია ფართით და ტყვიით.

მწუხრის ჩრდილები მთებზე მიდიან,  
სტოვებენ მდელოს, იცვლება ფერი,  
მწვერვალს მზის სხივი კენტად ჰკიდია,  
როგორც ისრიდან მომტყდარი წვერი.

მიხვდებით, ვიცი,  
ყუდიას რა სურს...

სტოვებს მთის ფერდობს, მწვანედ მოფენილს  
და მწვერვალებზე გამოზრდილ ხევსურს,  
სწყურია ბარში გახდეს შოფერი.

უნდა ავტოთი ქროდეს შარაზე,  
გადაეჩვიოს ბილიკზე წანწალს  
და მეოცნებეს ახალ ქალაქზე,  
სოფელში დარდი ეზრდება საწყალს.

მაგრამ თუ ხევსურს ნამდვილად იცნობ,  
მტკიცეა მათში ადათი მთების...

- შოფერს რას ამბობ?- იკითხავს ღვთისო,

- შოფერს ხახმატში რა ესაქმების?

- გზა ხევსურეთშიც მოვა და ერბოს  
წავიღებთ თვითონ ბარის სასუქად,  
ხევსურსაც უნდა ცხოვრება ერგოს,  
ყუდია ეტყვის ღვთისოს პასუხად.

მერე უმატებს: ავაგოთ სკოლა,  
ყოველ დღე გავშლით საქვეყნო გაზეთს,  
არ ვარგის მუდამ ხატის წინ წოლა,  
თვალ გავაყოლოთ სამხედრო გზაზეც,  
მესამე ღვთისო სინჯავდა ნათქვამს,

იჯდა და ჰქონდა

თვალები ბასრი.

ღელვა დაეტყო თვითეულ მათგანს,

გვესროლა ღვთისომ ხევსურის აზრი:

- რისთვის მოსულხართ, რისთვის ირჯებით,

ფრანგულს მრისხანედ შეახო მკლავი,

მაგრამ წამოხტა ყუდია მარჯვე

და სამმა ღვთისომ დახარა თავი.

- ვაჟას მართვენი მოსულან სტუმრად,

სურთ გამოხატონ ხევსურთ გარემო,

თქვა და ამაყად გახედა სუფრას

და ბოდიშისთვის სიტყვა არ ეყო.

დამშვიდდა ღვთისო

და ორმა ღვთისომ

ჩვენს დღეგრძელობას დაუკრა კვერი.

თქვეს, შეუღლება ბარის და მთისა

და აკიაფდნენ ხრინწიან მღერით.

ჩიტის ბუდეებს ჰგავდა სოფელი,

ერთად ასხმულს და დაკიდულს კლდეზე,

ფარ-ხმლით მორჯმული იჯდა შოფერი

და ღიღინებდა მთის კაცის ბედზე.

უკვე არ ჩანდა მთები ბანიდან,

მწუხრმა კლდეები უხმოდ დანისლა,

ხევით მდინარე ოხვრას გზავნიდა,

თითქო განზრახვას მიხვდა კაცისას.

დავიღალეთ და დაწოლა გვსურდა,

თვლემას იწყებდა მთელი სოფელი

და ჩუმად გვითხრა ალუდაურმა:

„მე მაინც მინდა გავხდე შოფერი“.

## ფშავ-ხევსურეთის ბილიკებზე

1

მთაზე ასული ვაკედან,  
დილით დიხჩოზე გადაველ,  
კიდევ შორს არის აქედან,  
ფშაურ არაგვის სათავე.  
გუდამაყარი, ლუთხუმი,  
მთებში ლანქერის მარაგი  
ვპოვებ და ლექსი ვუთხარით,  
გვისმენდა შავი არაგვი.  
აღმოსავლეთით ორბები  
გაფრინდნენ, გახდნენ ფარული,  
წინ მოგვეგებენ სოფლები  
ჩარგალი, მიგრიაული,  
არაგვი მოდის ფშავიდან  
გვიხსნის გამყოლი მიდამოს,  
მზე ფერდზე ხოხვით ჩავიდა  
და კლდეზე დაეკიდაო,  
ესროლე მწვერვალს მხერაი,  
ამართულს ხევსურთ თავზედა,  
მწვერვალზე სინდაურაი,  
წევს და ქვითინებს ბარზედა.  
ნადირს წარაფში შესდია,  
შერჩა მწვერვალის წვერსაო,  
უნებლივ კლდესთან შეზრდილა,  
და მთის წარაფზე წევსაო.  
გზა დაკარგვია საცოდავს,  
კლდის ჩქამით ყური გაევისო,  
ცის ლაჟვარდს თვალით გაცურავს,  
მაგრამ ვერ აპობს კლდეებსო.  
ცა ცვარს უგზავნის წყლიანი,  
ემძე ბუნების წესსაო,  
ვეფხვიც ეწვევა ბწკლიანი,

დაეჯახება მტერსაო.  
სისხლი ჩქრიალებს, ბრაზდება,  
კლანჭით ჩამოსწერს კლდესაო,  
მწვერვალის კუჭულაზედა  
სინდაურიძე წევსაო.  
აგრე გვიამბობს გამყოლი,  
მწვერვალი ელავს თქმულებით,  
წინ ბორცვებია მაღალი,  
ჟამთა სვლით გადახნულები,  
მადლა გაშლილი ლურჯი ცა,  
თითქო მდინარეს დაეცა.

## 2

ორწყალს არაგვნი შეიბნენ,  
ტალღამ ყვავილი დაფლითა,  
ფშავი, დაჭრილი ქეიფზე -  
მოდის, გვეძახის დაბლიდან.  
ლუდით სავსე ჯამს გიწოდებთ,  
იცოცხლეთ, ბარის ვაჟებო,  
მომიგონებდეთ, გახსოვდეთ,  
ცხოვრების გარიჟრაჟებო!  
მოდობილს შიგნით ცხორი არს,  
ამგვარ მოვემწყვდით კლდეთ შუა,  
შორს ჩამორეკეს ზარი და  
არაგვზე შუქი დაეშვა.  
ჩამოსულხართ და მიხარის,  
ცხოვრების ახალ ანბანით,  
რაგვარ უშველით, მითხარით,  
ხევსურს ერბოში განბანილს.  
სთქვა და მოხარა იდაყვი,  
თოფის ხმა ჩაქრა ხრამებში,  
ხმაური შექმნა მიდამომ  
და ჩვენ ბილიკზე დავეშვით.  
მთას გადმოემხო თეთრი ცა,



მერმე მთა თითქო გაიქცა.  
გამყოლი ჩვენი გამრჯეა,  
მაგრამ ფათერაკს ვერ აცდა,  
დამპალი ყველი გვაჭამეს  
მიგრიაულში კერასთან.  
შემდეგ გამყოლიც დასევდდა,  
ჩვენ კი ჩანთები შევიბით,  
მოიგონებდეთ, გახსოვდეთ,  
ფშავის კერასთან ქეიფი.  
ფარები ფერდობს ფრიალოს,  
მისდევს, მიჰყვება ნელი-ნელ,  
ცხვრების ფეხმძიმე სიარულს,  
შურთხი უფრთხისო მშვენიერ.  
ცხორი გადაჰყავთ ბალახში,  
დაცვივდა მატყლის დოვლათი,  
შეხედეთ ფარას, შორს გაშლილს,  
ელვარებს, როგორც ფოლადი.  
გზა ფეხთ გვეცლება ქვიანი,  
მწუხრი ეშვება ფარული,  
გრიალებს არაგვიანი,  
ჩარგალი, მიგრიაული.  
გველევა ღონის მარაგი,  
მგზავრებმაც ბევრი ვიარეთ,  
ლაგამებს ამტვრევს არაგვი,  
კლდეებს კაფავს და ღრიალებს.

### 3

ორ წყალს არაგვნი შეიბნენ,  
ტალღამ ნაპირი დაფლითა,  
ფშავი, დაჭრილი ქეიფზე,  
გალობს და გნოლი გაფრინდა.  
ამბავს ჰყვება და არ ტირის,  
ხედავთ კალაპოტს გადაშლილს,  
ღამეში ღმუის ნადირი,

ცის ლაჟვარდოვან ბადეში,  
ადათს გადუდგა დიაცი  
და უღალატა დანიშნულს,  
სახლიდან მთებში გაიქცა  
და ვერ გაექცა მთვარის შუქს.  
მდევერები გაჰყვნენ ფეხდაფეხ,  
მაგრამ ქალი ვერ გაბაწრეს,  
არაგვი შედგა და შემდეგ  
ტურფა მოიგდო ფაფარზე.  
შორს გააქანა უგზო გზით,  
არსად დაუხვდა ხარიხა,  
ტალღა გადაკრა მუხლებზე  
და დიდ ჩქერებში ჩაგრინა.  
ფშავი დაჭრილი ქეიფზე  
ახალ გზას ნატრობს ცისმარეს,  
მკლავზე ჭრილობას შეიხვევს  
და კლდეს დასწყევლის მრისხანეს.  
მწვერვალის კუჭულაზედა  
ვაჟკაცი შერჩა ციცაბოს,  
სინდაურიძე დასველდა,  
მთამ ბარი უნდა იწამოს.  
სინდაურიძე აცრემლდა,  
ნაპრალეებს ველარ დარაჯობს,  
ტირის კლდის კუჭულაზედა,  
ტირის და ადათს ღალატობს.  
მთებში შემოდის სინათლე,  
ღარიბს რას შველის ციცაბო,  
ფშავი კლდეს წყევლის, ინატრებს,  
შრომით გარდაქმნილ მიდამოს.  
შეხედეთ სოფელს დარაზმულს,  
მას ბევრი ღამე ვუთიეთ,  
იციან სიტყვაკაზმული  
და ხოტბის შესხმა ურთიერთ.  
მაინც თქვენებურს მთაც ითხოვს,

გვითხარით ბარის არაკი,  
გაგვაცანით, რომ შევიგნოთ,  
ბარში გაშლილი ქალაქი.

მთის სიდუხჭირეს გვიამბობს,  
ანათებს მთაში ბუდეებს,  
არაგვი კლდეეს მიაპობს  
და უხმობს საუკუნეებს.  
ღონეც გველევა მარაგი,  
ჰგავს ვარსკვლავები იარებს,  
ლაგამებს ამტვრევს არაგვი,  
კლდეებს კაფავს და ღრიალებს...

## როშკელი ძილა

ძილავ, შენ გეცვა მტვრიანი კაბა,  
ქუდი გამკობდა ასულს, აშოლტილს,  
მთაზე შენმა ხმამ გზა გამიკაფა,  
ბანზე შეგვხვდი და მთაზე დაგვმორდი...

მეორედ მოველ, შეგცვლია ფერი,  
მელექსის ნახვა ეგებ ისურვო,  
მხედარი ხარ და პარტიის წევრი,  
როშკის მოთავევ, ქალო ხევსურო.  
ხევსურულ ბანზე მეც დავივანე,  
მთებზე გადმოდგა სისხამი დილა,  
ვფიქრობდი, ხევსურს თუ დავემგვანე,  
ბანზე იშურთხებს როშკელი ძილა.  
როგორ შეცვლილხარ, გაზრდილხარ როგორ,  
ამბებს მიყვები ხევსურულ რიდით,  
მოსკოვს რომ წახველ როშკელი გოგო  
და ტურფა ხელით ნაქარგებს შლიდი.  
გამოფენაზე შურთხივით ჰფრენდი,  
მთიელი, თვალით ზვერავდი ქალაქს,  
როგორ არ ჰგავდა მოსკოვის ხედი  
მთებით შეკუმშულ ხევსურულ ჭალაკს.  
შენც დაფიქრდი და წამოხველ სწრაფად,  
თვალისვით ვრცელი დასტოვე ვაკე,  
ჯვრებით შემკული ქვისფერი კაბა  
მოიშორე და დაჰკიდე ცალკე.  
მისი სიხამე გაიცნოს ქარმა,  
კაბით წაილოს აქვიტის სუნიც,  
ძველი სამოსი ჰკიდია კართან,  
როგორც წარსულის ბუდე და წყლული.  
შეგრჩა ხატული ქუდი - მერდინი,  
შეკრეჭილი თმა ქერივით ქერა  
და მათრახივით ტანმოღვედილი

შენ მოაქროლებ ქედებზე მერანს.  
შენ ხარ როშკელი, ერთი მეგზური,  
მთებზე მქროლავი ნიავის ტოლი,  
მოვა მელექსე, ძველი ხევსური  
და ჩიბუხიდან ადგება ბოლი.  
მოგიკითხავს და მოგისმენს ოდეს,  
გაჭვარტლულ ფანდურს ჩამოხსნის კუთხით,  
თითქო გრძნეული თითები ჰქონდეს,  
აფრიალდება ფანდურზე შურთხი.  
ვინ არის იგი, შაირის მთქმელი!  
ღრუბლის თმიანი მყინვარს მიაგავს,  
ბაზიერივით სიმების მწვრთნელი.  
გულიდან დაჰღვრის ხმების ნიაღვარს,  
დროგამოშვებით ჩიბუხს აბოლებს.  
კლდის პირს შრიალებს პატარა იფნი  
და როცა ძილა ხმას ააყოლებს,  
თვალწინ იშლება ბუნების წიგნი.

## კოლაუ ნადირაძე

### სამას არაგველს

სამასჯერ მინდა მიწას ვემთხვიო,  
სამასჯერ მუხლი მოვხარო მინდა,  
აქ, სადაც სისხლი თქვენ დაანთხიეთ,  
აქ, სადაც შეწყდა სულისთქმა წმინდა...  
როს ქარიშხალი ავდრიან დილით,  
გაცოფებული მძვინვარებს ველზე,  
ეგ თქვენ ყიჟინით, ხმალამოწვდილნი,  
შესამუსრავად მიდიხართ მტრებზე  
და კვლავ მიღელავს ბალახზე, ქვებზე  
თქვენი ხმლების და შუბების ჩრდილი.  
გაზაფხულს ველი მუდამ მოელის,  
რომ მზე სხივებით მიდამოს ჰვენდეს  
და თქვენი სისხლის წვეთი ყოველი  
ამოყვავილდეს და ასურნელდეს  
და როცა დგება დღე ნისლიანი,  
კვლავ მომესმება აურზაური:  
თქვენი შეტევის ხმა რისხვიანი  
და თქვენთა ხმალთა ჩეხვის ხმაური.  
მომელანდება ფაფარაყრილი  
ბედაურების ველად ქროლება,  
შუბი ტარამდე მკერდში გაყრილი,  
ჯავშანთ ჯახანი და შებრძოლება.  
მაგრამ თქვენ გძინავთ და თქვენს გარშემო,  
დღეს უდარდელად ჰყვავის ბუნება,  
მხოლოდ ამ ველზე სისხლი არ შრება  
და თქვენზე ფიქრი არ იკურნება.  
არ იკურნება განუკურნელი -  
გულში ჭრილობა და თავარება!..  
სამასჯერ მინდა მიწას ვემთხვიო,  
სამასჯერ მუხლი მოვხარო მინდა,  
აქ, სადაც სისხლი თქვენ დაანთხიეთ,  
აქ, სადაც შეწყდა სულისთქმა წმინდა.

## ბიორბი ლეონიძე

### რა საჭიროა ლექსისთვის ტაში

რა საჭიროა ლექსისთვის ტაში?  
ყველა ხევსური ვიცი, დანტეა:  
ვიცი, ბელურას პატარა ფრთაში  
დაკვესებული ცეცხლი ანთია.  
ვიცი, დამდნარი თოვლის წკრიალი  
ბესიკის ხმაზე უფრო ტკბილია:  
ქვაც ყველა არი ნაპერწკლიანი,  
გული რომ იყოს, გასაკვირია?

### დილა კრწანისის ბაღში

ცისკრის შუქი გადელვარა კრწანისს,  
ქარავანი ბორჩალოდან მოდგა,  
ვეგებები გუმბათებს და მწვანილს,  
მემაწვნეთა უკანასკნელ მოდგმას  
და მძევალი არაგველთა ხიდან,  
მხოლოდ ერთი ლამპარიდა ბჟუტავს,  
სხივთან ერთად ჩამოვარდა ხიდთან  
ჩიტისაგან დაკენკილი თუთა.  
მე ამ თუთის გაზრდილი ვარ, განა,  
მისი სიტკბო ჩემს ძარღვებში სწვეთავს:  
დიდ მომღერალს მე ვინ დამამგვანა,  
ჩემი მიწა თუ არ მექნა მწეთა?!  
მოდარებულს ცის ნიშანზე ვხვდები,  
შუადღისას უღვთოდ უნდა დაცხეს,  
ხე შეირხა მიმოხლილი ფრთებით,  
მტრედის გუნდი დააფრინდა ცაცხვებს...

## არაგვის პირად

ჩვენ მივდიოდით  
არაგვის პირად,  
მზე ჩადიოდა  
სხივების პენტვით,  
შენ შავ წამწამებს  
მიშენდი, ტურფავ,  
მე  
საქართველო მინდოდა შენთვის!  
...ან რა მოგიძღვენ  
ნაცვლად ამისა?  
მარტოდენ  
მწუხრით სავსე სადამო,  
ვით ჩემი სევდის  
ნაზი ნაჩრდილი,  
დაუსაწყისი,  
დაუსაზამო...



## შოთა ნიშნიანიძე

### ხევსური

ზაფხულში არაგვზე, სალუდე დუქანთან,  
უკრავდა დაირა და დათვი ბუქნავდა.  
ფიცხოზდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,  
სიცხე ძუნძულეზდა მთლად დათვისნაირად.  
ღრეზოდნენ ხევსურნი და ზორზა ხინკლები,  
პემვიდან სხლტეზოდნენ, როგორც თხის ჯიქნები.  
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში,  
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.  
გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს მოჰგვრიდა,  
ერთ ახმახს იაზო დაუფრთხა ბოგირთან.  
რაც ვნახე როგორ ვთქვა ან როგორ გიამზოთ,  
გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაზო.  
ჩამოხტა დეკაცი და ცხენი მშიშარა  
ვეება იღლიის ქვეშ ამოიჩარა.  
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში,  
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.  
ერთურთს ხანჯლებივით უღერდნენ ტაეპებს  
და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს.  
ფიცხოზდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,  
სიცხე ძუნძულეზდა მთლად დათვისნაირად.  
ცხენს გადაახუხა ხევსურმა არაყი,  
დეზი ჰკრა და ფეხით გასტოპა არაგვი...

როდესაც სიკვდილი იქ ბარში, მოყვრებთან,  
 ვენახებს მოხრავდა და მტკვრის წყალს მოხვრეპდა,  
 მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა  
 და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს და მარაბდას!  
 ბარში მოდიოდნენ „ვოჟები“ კერკეტა -  
 მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად  
 და სიკვდილს სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა,  
 ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართაგან.  
 ე მაგის სისხლია, ე მაგის ძვლებია,  
 ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცხებია.  
 ე მაგის სისხლია, ე მაგის სინდისი,  
 ომში რომ არ წავხდით სიკვდილის პირისპირ.  
 მის გორდას მამულის გზა გაუკაფია,  
 გორდასებრ ჩინჩხლებს ყრის ე მაგის კაფია,  
 მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა,  
 რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშისგან.

## როცა მე გარდავიცვალე

როცა მე გარდავიცვალე, იდგა აღდგომის სწორი,  
ზღაპარში ხარი ატირდა, სახლში - შვილი და ცოლი...  
შემიდგნენ არაგველები თავის მგალობლის ცხედარს,  
ფარებზე გადამიწვინეს და წამასვენეს მცხეთას.

- საით, ბიჭებო, - გავძახე...

მითხრეს: უფლისა ნებით,

იქ დიდი საქართველოა, იქ აღარავინ ვკვდებით...

მე ჩავუარე ბავშვობას, ბურთს თამაშობდა მინდვრად,  
ადგა და გამომეკიდა, ღვარღვარა ცრემლებს ღვრიდა.

გადავუფრინე ციხეებს,

მთლად საქართველოს სერებს,

- ისე იყავით კარგებო, როგორც გხატეთ და გწერეთ!

რა კარგი იყავ სიცოცხლე, ვერ მოგიყირქე ქებით,

მტრებიც კი მყავდნენ კარგები, არათუ მარტო ძმები.

მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, ვეღარ გიხილავ ხვალე,

სულმა დავლოცე ცოლ-შვილი და პატიებაც ვთხოვე.

ჩემი ცხოვრების სიხარულთ,

ჩემს ჯვარს და სვეტიცხოველს.

როცა მე გარდავიცვალე, იქ დავიბადე მყისვე,

ჩემი გვარის და სახელის ვიღაც ატირდა ისევ.

იტირე, ჩემო პატარავ,

გამახარე და მტანჯე,

ტირილით უთხარ მადლობა ჩვენს მარადიულ გამჩენს.

## მდუმარე ლაშქარი

- ჰეი, საით მიდის მდუმარე ლაშქარი,  
სისხლიან აბჯარში ჩამჯდარი?  
არაგვის ტოტივით დამშრალი  
ფეხქალამნიანი ჯარი?
- ბატონი არ ჰყავდათ ერთგულებს მეფეთა  
და ლაშქარს მედროშედ ვინ უდგას თავში?
- სამასნი არიან და სამას ლეგენდას  
შავი ანგელოზი მიუძღვის ცაში...  
მამულო, ეგება სიკვდილშიც ფხიზლობენ  
ლაშარის, ლომისის, გუდანის ყმები,  
შეგუებულნი მარადისობას,  
როგორც ქარქაშებს ხმლები...

## ქალაქში თქმული ფშავ-ხევსურული

ლექსო, შე, დავლათიანო, სადა ხარ, რად არ ხმიანობ?  
ჭრელი ხურჯინით, ქუხილით, არც არაგვს გადმოიარო.  
ლექსო ყივჩაყის დამფრენო, ვეფხის ბწკლით ჩამოგაზულო,  
მოყმეო პირტიტველაო, ჩემო მამაცო წარსულო...  
ხომ არ დაბერდი, პაპიდავ, მგელავ, ძაღლიკავ, ბათარეკ,  
ერდოზე თვლემ და მზეს ლოღნი  
და ძველ თქმულებებს ამთქნარებ?  
არც ლუდს გაწვდიან, არც ხინკალს,  
გაგიდგნენ ფშავლის შვილები,  
ფანდურის ყელზე მიგაგდეს ნამარხულ-ნაშიმშილევი.  
მუხლს შეიბერტყავ ზმუილით, ცალ მხარზე წამოტოტდეები,  
ავად აზმორებს ავაზა - შენი სული და ტოტემი.  
შენ არ ხარ პეპელასავით, უწარსულო და უხვალო,  
ფშაველი დევის პეშვიდან წყაროსებრ გადმოჰქუხარო,  
ქალაქელს ისევ მომწონხარ, არც არაფერში გაგცვალო,  
ხევსურის ფარზე ნაწოლო, ხმლისა და ელვის წაწალო.  
ამოვალ ხატობაზედა, უნდა გეხვიო, გეფერო,  
გამღერებ, კიდეც გაცეკვებ,  
ჯავრს არ შეგაჭმევ, ბებერო!

## ანა კალანდაძე

### შეხვედრა ლუდით შემთვრალ თორღვასთან ახიელში

მოგწონს არხვატი? ჰაი, ქვექვურის ძალო!  
თვალ-მარგალიტით მორთულ მეგონე, ქალო,  
თავზე ნათელი გადაგდიოდა ზენა,  
ასე ვგონებდი, აი, თორღვას მზემა!  
შავ ქალ ყოფილხარ, გვირგვინ გრქმევია არცა...  
რკენას თუ იყავ, ამლიონების ხატსა?  
მნახე ხატობას? ან საით უნდა გეცვნე?  
ხალხ ცოტა იყო - წელს არ მოვიდა მეძღვნე...  
რა გედარდებისთ? რა ფიქრები გაქვთ უღვთო?  
ჩემს სალოცავებს სანთელ მე უნდა ვუნთო,  
მე უნდ ვუმზირო ბისნა- ჩორეხის ნისლებს,  
მე უნდ ვასხურო ნიშთა სამსხვერპლო სისხლი,  
მე უნდ შევწირო შესაწირავი ჩვენი!..  
თუ...ვინ გაღონებს? ხმაღზე ავაგებ, ქალო,  
რას გეცინების? ერთი მოვზიდო ვადა,  
მაისტელიც კი ვერ უმთელეზდეს ნაჭრევს,  
წავა ბარუქას, ათენგენაის მადლმა!  
ხვალე გაჩვენებ კიდეგანაის მყინვარს,  
იმისი მუხლი მოსდევს არაგვის წყალას,  
ყურს ნუ ათხოვებ შავი ჭკეების ყივილს:  
ბეჩავი არი, ნაღვლიანია, ქალო!  
ამლას მივდივარ, კალოთანაის მხარეს -  
ცხვარი იქა მყავს (თუ ხევში სამ არ ჩავრჩი...)  
ისე მიცვნია შენი ყოველი ლექსი,  
როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალჩი!  
გნახე მშვიდობით...ცა ჩირახივით ბოლავს  
ნისლები დიან...ქვექვური ჯვარის ძალო!  
არ-კი გეწყინოს - ლუდ მაუბნებდის ასე,  
ჩემ ათი შვილის გახარებამა, ქალო!

## არაგვთან

ხალხურ კილოზე

ქვაც რომ გდია,  
გრძნობით მავსებს,  
ჯოხიც -  
მთოვი ბანგისაო...  
რას ქირქილებ,  
არაკაცო,  
ბევრი გესმის  
მაგისაო!

\*\*\*

წვიმს, წვიმს ბისოში კოკისპირულად,  
ჩვენს წინ სატვირთოს უჭირს, ჩერდება...  
ირგვლივ ჯანღია, წვიმა და ჯანღი  
და მიმალული მიღმა ქედები.  
ახალგაზრდები საწვიმარს შლიან,  
ფეხით მისდევენ გზასა და გზაწვრილს,  
ნახევრად ღია კაბინის სარკმლით,  
უცნობი ქალი ყაყაჩოს მაწვდის.  
წვიმს, წვიმს ბისოში კოკისპირულად...

\*\*\*

არავც ზემოთ, არავც ქვემოთ  
წელამდგა სათიბები,  
კენკემა და უკადრისა  
ნაზსათუთად ნატიფები.  
ხელს ვინ გახლებს, უკადრისავ?  
თვალნი აგიტირდებიან,  
ეს პეპლები, ეს ფუტკრები  
რალას გადაგვიდებიან?  
არავც ზემოთ, არავც ქვემოთ  
ტყეებია, მინდვრებია,  
უკვდავების წყაროები  
კლდეებს გადმოჰკვიდებიან.  
ყვავილებიც იმდენია  
ნაზსათუთად ნატიფები!  
არავც ზემოთ, არავც ქვემოთ  
წელამდგა სათიბები.

### **მე არავცზე დავრჩებოდი**

ნისლაურო, ნისლი ხარო,  
გამიქრები: მზისი ხარო...  
მე არავცზე დავრჩებოდი,  
მაგრამ რა ვქნა, სხვისი ხარო.  
როცა ახლოს ვერა გხედავ,  
ჩემი გულის შიში ხარო,  
მაგრამ კლდენი არ გაგწირვენ,  
არწივების შინში ხარო...



## ბერდედას - ლელა წიკლაურს

- რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ,  
მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით...
- რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
- ამლას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,  
ახიელამიგ უზომო ხოცეს...
- რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
- რა ვიცი...ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!

## ისევ ბერდედას

ჩემო ბერდედავ, ზიხარ ყორესთან  
და არწივის თვალს მიდამოს ავლებ,  
ახლა, საცაა, არხოტიონნი,  
აიყრებიან, ჯვარობას წავლენ...  
ამლა და ჭიმლა და ახიელი  
შეიყრებიან ხატში სოფლები.  
აღარ ქსოვ წინდას - შენ თითქოს გესმის,  
გრძნობ, სოფელს როგორ ამწყალობებენ.  
შენ...ფეხმორთხმული ზიხარ შუაფხოს,  
ლამის ასი წლის ზღვართან მისული,  
სახლჩი დაგინთავ ბეჩავ სანთლები  
და ათენგენას ძალას ფიცულობ.  
ისევ იყნოსე მწარე ბურნუთი,  
ისევ მოსძებნე წინდის ჩხირები,  
მაგრამ...შენ ისევ ველურ ყიჟინით  
ჩაგიქროლებენ არხოტივნები...

## ნათელა ბალიაურის მონაწერი

ბევრ ახსოვთ სისხლი ამ ხეობებს და  
გზათა ვიწროთა...  
ვაჟკაცის ფასი ჩვენც ვიცოდით და  
ქისტმაც იცოდა...  
(კარგად არჩევდნენ მეტოქეები  
გმირსა და ლაჩარს).  
მტრის გვამთა შორის იცვნეს დიაცი,  
როს დასწვდნენ ჩაჩქანს,  
ხელი არ ახლეს იმის იარაღს  
ამ წმინდა ძალით,  
გვერდით დაუდვეს ჩაჩქანთან ერთად  
თავისი ხმალი.  
იცოდა ქისტმაც ვაჟკაცის ფასი,  
მასზე წუხილი,  
მკვდრებს არ შეწირეს ხევსური ქალი,  
ხელ არ უხლიათ!!!  
ეს, ამღას იყო...  
ბევრ ახსოვთ სისხლი  
გზათა ვიწროთა...  
ვაჟკაცის ფასი,  
ჩვენც ვიცოდით და  
ქისტმაც იცოდა!

## მოხუცი მთიელების საუბრიდან

- როდის გავბრუნდეთ შინისკენ?  
გული დარდობს და წუხდების...  
ალბათ აიძღვრა არაგვი,  
მიწას ცისტვალი უხდების!  
- დილით დავადგეთ ჩვენს გზასა,  
მთის მეც მხმობს ცისკარ- მწუხრები,  
ქალაქში დიდხანს ყოფნითა  
სუ ჩამეხოცნენ მუხლები.

\*\*\*

წელთგზაზე ფრთხილად აბიჯებს ცხენი,  
აღარ მიიწევს ჯიუტად თავქვე...  
ულამაზესნი ჰგიან ყვავილნი -  
სამოთხეა და...სიკვდილიც აქვე!  
ნისლმობვეული არხოტის ყელი  
შორს, სადღაც, ღრუბელთ გადაღმა დარჩა.  
ვიღაც გეწევა უფსკრულებისკენ,  
თითქოს ეშმაკი და თითქოს ქაჯი...  
ქარი მოსკდება მწვერვალებიდან,  
იწყება ღორღთა და ლოდთა ცვენა,  
წელთგზა - ეშმაკის სავალი გზაა,  
ჭკვიანად, ფრთხილად აბიჯებს ცხენი...

\*\*\*

**გადმოცემით სოფ.ჭიმლაში (არხოტი) მცხოვრებ გაბურს მკის დროს ეშმა დაუჭერია და მოუშინაურებია, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ეშმა მაინც გაპარულა**

ჭიმლის კლდეს ეშმა ბინადრობს,  
ტირის, დაეძებს გაბურებს,  
ხან დიყ-ჟალტამში გორაობს,  
ხანაც წყალს შეაჩქაფუნებს.  
ავა, აირბენს გორაკზე  
და ნასახლარებს დასძახებს...  
ხირჩლას ძალი შეუღრენს  
და ნიავევით ცახცახებს.  
ერთი ხირჩლაა სოფელში  
(სახლს ყორე მაინც ავლია),  
ეშმა დაუდის მეზობლად -  
მარტოობამო დამლია...  
ჭიმლის კლდეებში იზამთრებს,  
ტირის, ქვა-ლოდებს აგორებს,  
წასულა, ხალხი აყრილა -  
ვერცრას, ვერავის აგონებს...  
სოფელში დიყი ყვავილობს,  
ფოლიო ცისფრად ირთვება,  
ობლად დათესილ სვილაზე  
წიპრანა გადაფრინდება.  
შორს შეგიტყუებს შალშავი,  
რადაც გათრობს და გაბრუებს,  
დარბის ეშმაკი გზაწვრილზე,  
დარდობს, დაეძებს გაბურებს...

\*\*\*

ბრწყინავენ ბორბოლიქები  
მოწმოს, თოვლისფერები...  
მათ გულზე გადაივლიან  
არაგვის ცივი ჩქერები.  
ადი-ჩადიან ნისლები,  
ერთ ადგილს გაუჩერები,  
ალბათ, წითელო ცირცელო,  
რა ხშირად მომეჩვენები.  
წვიმით ჩარეცხილ ძველ კედლებს,  
შატილს ავხედე განთიად,  
არლუნის ორსავ ნაპირზე  
ორ სასწაული ანთია:  
გალმა - ბებერი შატილი  
გოროზად აიზიდება,  
აქეთ - მიწურის კედელზე  
სხვა სასწაული ინთება,  
ცარცით წერია უბრალოდ:  
პოეზიასო დიდება!

### **ათენგენობაზე ახიელში**

- ღმერთმ გაგახარათ, დიაცნო,  
თუმც... ეშმაი ხართ, მაცდური!..  
ამოიძახებს ზემოთკე  
ფეხარეული დასტური.  
ხატისო ძალა გფარავდეთ,  
ხატის გწყალობდეთ მადლიო,  
გადაჰკრა, ისევ აავსო  
ძეწკვებიანი ბადია...

\*\*\*

გადმოცემით, როცა ალყაშემორტყმულ ქაჩუს ციხეში  
(შატილთან) მყოფთ წყლის მარაგი შემოელეოდათ,  
ციხიდან მატყლის გორგალს ჩაუშვებდნენ თურმე არღუნში  
და თოკის ბოლოს წუწნიდნენ - მატყლი წყლით  
იჟღინთებოდა...

არ ნებდება ქაჩუს ციხე,  
ლომს ჭანგები დაუცვდება,  
მტერმა შიგ ვერ შეაღწია,  
მოთმინება გაუწყდება:  
დაუმიზნებს  
კაკალ გულში,  
ღვთის განგებით  
აუცდება!  
ციხეს წყალი დავუწყვიტოთ,  
არც სურსათი გაუწვდება!  
მატყლით წრუპავს  
არღუნის წყალს,  
როცა წყალი დაუწყდება,  
არ ნებდება ქაჩუს ციხე!

## შოთა ჩანტლაძე

### მოხუცებული ხევსურის ქალი

მოხუცებული ხევსურის ქალი,  
ამბავს ყვებოდა გასაკვირველად,  
მე კი ყველაფერს ვუცქერი კრძალვით,  
რასაც ვხედავ და ვისმენ პირველად.  
მაშინაც დიდხანს ვუცქერდი რიდით  
ლუდისფერ სახეს, ჯუბას ჯვრებიანს,  
ხევსურ აროდეს ყოფილა ფლიდი,  
ხევსურს წუხილი როდი ჩვევია.  
ასეთი სიტყვით ამბავს ყვები და  
დაკარგულ შვილის სახელს ახსენებ,  
გული ერთხელც არ შეგლონებია,  
მწარე ღიმილით ბაგე გახსენი.  
ეხლა ღამეა, ცასავით ვდუმვარ  
და რა მაკმარებს ოცნებას უკმარს,  
შენ ერთა შვილი ყოლიხარ თურმე  
და ისიც მგლების ქცეულხარ ლუკმად.  
ყოფილხარ ისიც მონადირე და  
ირემს დასდევდი მთებში ფეხდაფეხ,  
ვერ შეგახვედრა ბედმა ირემთან  
და ბედიანი გზებით ვერ წახველ.  
ალბათ ნუკრებმა გითხრეს შენდობა,  
შენს დაბრუნებას ელის არავინ,  
მე კი რატომღაც გამახსენდება  
ვეფხვის და მოყმის ძველი ამბავი.

## ქალაქელი და ქალი ხევსური

მიწა როდესაც მზეს ფიცულობდა  
და მზე, პირიქით, ფიცავდა მიწას,  
როცა ღრუბელი ცად მიცურავდა,  
დამლონებელი ცისა და მზისა.  
ქალაქელი და ქალი ხევსური,  
ორნი ვიყავით გზების მთელავი,  
ის, როგორც ვეფხვი განრისხებული,  
მე - როგორც მოყმე პირტიტველა.  
ამბავს ჰყვებოდა ჩუმი ჩურჩულით,  
ნაზი ღიმილის დამატებითა,  
მწვავდა, მახრჩობდა, როგორც ურჯულო,  
დაღამებამდე - გათენებიდან.  
ეს მთვარეაო ღრუბლებში ხარბად,  
რომ შესრიალდა და ჩაიძირა,  
ბოლოს დასძინა: ქალაქელ ხარ და  
სოფლის ამბავი არა იცი რა.  
შეაქეს ნაცად მონადირეთა,  
მერცხლისგულას და ცეცხლისფრთებიანს,  
ვისაც მოუსრავს ჯოგი ირემთა,  
მერე ნუკრები შესცოდებია.  
(მთვარე დააღრჩვეს ლეგა ღრუბლებმა),  
თვალებით უთხარ: მენდე, დობილო.  
ისიც დუმდა და თოლნი უბნობდენ:  
ქალაქელ ხარ და ვერ გენდობიო...



## ჯემალ აზიაშვილი

### მითხარ, არაგვო...

მითხარ, არაგვო, არაგვობას რატომ ივიწყებ,  
იმის მაგიერ, ჭახჭახებდე, ავსულს ჩხიბავდე,  
მხარი გიქცია გულუბრყვილო შენმა სიფიცხემ  
და წყლის სპეკალი წვეთწვეთობით ქარში მიფანტე.  
ფუძეს რომ გვირღვევ, მწვერვალისკენ  
როგორ გვიბიძგებ,  
მომწონს ეგ შენი სიჩაუქე, შენი სიმარდე,  
მაგრამ რა ქარმა გადაგაგდო მისისიპისკენ,  
იცი - რა გზაა არაგვიდან მისისიპამდე?  
ვნახოთ რას მოგვცემს შენი სიმხნე, შენი სიალე,  
მიდი, იარე, უთავბოლოდ იხეტიალე,  
მაგრამ მაინც მწამს, აყვავდება ძველი სავარდე,  
სუსხი მოაშთობს პრერიების ყველა მოჰიკანს,  
წყალი ჩვეულ გეზს დაუყვება შესართავამდე  
და შენც შენი გზა საბოლოოდ  
მტკვართან მოგიყვანს...

## მურმან ლეხანიძე

### მეშინია

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,  
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,  
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი,  
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!  
შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,  
ძალღი არ ჰყევს, ძალღი არ ჰყევს ბარისახოს!  
ვაითუ, ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები!  
ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!  
ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი  
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! - გაფიცებდი.  
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! -  
დამიხსომე, ასი წლის წინ გემახოდი,  
დამიხსომე, განჯღრევედი და გაღვიძებდი!

## გაბრიელ ჯაბუმანურს

ძმაო, გაბრიელ, წინ მიდევს წიგნი,  
უნდა მოგწერო შთაბეჭდილება,  
ვკითხულობ შენს წიგნს, ღამეა ირგვლივ,  
ირგვლივ ღამეა და ნეტარება.  
რამდენი ტანჯვა, რამდენი ჯვარცმა,  
ბეჩაო, სოფლის რა არ გინახავს,  
ან კი იმედი ვით გითხრას კაცმა,  
თუ რწმენა, როგორც ძმა, დაგიმარხავს.  
ასე მგონია, შენ ხარ შიშველი,  
სული ძლივს გიდგას, ან კი რითი ხარ,  
ტანთ გახვევია ქრისტეს ჯინჭველი  
და ორი ძვალი ორ ძელს ჰკიდობარ...  
სეტყვამ დაჰკრა და რომ არ გადილო,  
(თუმც, სეტყვა იგი ყველას გვიშენდა),  
ან მე სად ვიყავ, ან ის სად იყო,  
ჩვენ სად ვიყავით, როცა გიჭირდა.  
ძმაო! გაბრიელ, წინ მიდევს წიგნი,  
ამაღამ შენგნით არ მეძინება,  
უნდა მოგწერო, ღამეა ირგვლივ,  
ირგვლივ ღამეა და მეტირება...  
მაგრამ მე ვიცი, როგორც ხევსური  
ვერ მოიწონებ ვაჟკაცის ტირილს...  
შენც ხვალის დღეში უნდა შესცურო,  
სარკმელში დაჩნდა ცისკარი დილის.  
დამილოცნია შენთვის გზაშარა,  
გული საშენოდ მხნეობას ყვირის,  
მე გამოვალე ყველა ფანჯარა,  
- მაშ, გამარჯვება, გავყვირე თბილისს...

## მუხრან მაჭავარიანი

### არაგვთან ნათქვამი

ამ მთათა გამო,  
ამ ტყეთა გამო,  
ყველაფრის გამო  
ირგვლივ რაც არი,  
ვინც აქ იშვა და  
ვინც აქ იზარდა,  
არ შეიძლება იყოს ლაჩარი...

არაგვი!  
ხედავ...  
ხედავ და გინდა,  
ხედავ და გინდა  
სულ რომ უყურო...  
აღფრთოვანდება  
ვინც უნდა იყოს  
და...  
რაც არ უნდა იყოს უგულო,  
კაცი,  
რომელიც  
შეხედავს  
არაგვს.

\* \* \*

ხევსურ ჩამოდის ლიქოკით,  
მოყმენი ფრანგულს უქებენ,  
რამდენი რამე იყო ყე,  
კარგი და ჩემი ურგები...

შემოდგომაა გარშემო,  
ქალიშვილს უჩანს მუხლები,  
რამდენი რამე არსებობს,  
კარგი და ჩემი ურგები.

მერცხლები ძალას იკრებენ,  
გაფრინდებიან უკლებლივ,  
რამდენი რამე იქნება,  
კარგი და ჩემი ურგები...

## ოთარ ჭილაძე

### ხევისურები

არ დასდგომიან მომხდურს მსახურად,  
სულ მზისკენ ჰქონდათ გაჭრილი კარი,  
სჯეროდათ ეშმა და მამახურა,  
ისევე, როგორც ლაშარის ჯვარი.

მდინარის ლოდზე დაშნებს ლესავდნენ,  
უყვარდათ ჯდომა უბელო ცხენზე,  
ვეება ჯვრები ეხატათ მხრებზე  
და ყვავილისაც სწამდათ მზესავით.

იმედი ჰქონდათ აღმოსავლეთის,  
ელოდებოდნენ ფარსმანის მოსვლას  
და თავს ერჩიათ წაწალის კოცნა -  
თავის სიტკბოთი და სიმწარეთი.

ასეთნი იყვნენ - გინდ ბისოელნი,  
გინდ არხოტელნი და გინდ რომკელნი,  
ნაშიერები ცხელი ბოსლების  
და მემკვიდრენი ცივი კომკების.

იყვნენ და გაქრნენ...

მამახურებმა

ამოიკუპრეს პირიც და თვალიც,  
ძველი, ბებერი ცა იხურება  
და იკარგება ხევებში კვალი.

\*\*\*

მთას შევრჩი, როგორც ღრუბელი,  
ღამემ მიშვილა ბებერმა,  
ქარი ქრის, ქარი უბერავს,  
ცახცახებს ცეცხლის პეპელა.  
მთაო, ნუ ჩამოილევი  
და თავზე შემოგველები,  
არ დააფეთო ირმები  
და ნისლის მძიმე მტევნები.  
ელავენ კლდეთა კბილები,  
ვსუნთქავ ნაპრალთა ნასუნთქარს,  
მთაო, ნუ ჩამოილევი,  
არავც მინდორი რად უნდა...  
ქარი ქრის, ქარი უბერავს,  
ცახცახებს ცეცხლის პეპელა.  
მთას შევრჩი, როგორც ღრუბელი,  
ღამემ მიშველა - ბებერმა.

\*\*\*

მეფეებივით ფიქრობენ მთები,  
ღამე კოცონთან სველ ფეხებს ითბობს...  
მთვარეს მისდევენ მშიერი მგლები,  
მთვარემ არავცში შეასწროთ თითქოს.  
ისე მაკლიხარ, ისე მომწყურდი,  
ლამის არავგი შევსვა პეშვებით.  
ერთი ხევიდან ძლივს ამოსული,  
უფრო უარეს ხევში ვეშვები.  
კაცი არა ჩანს, რამე რომ ვკითხო,  
გარინდულ კლდეებს ვესაუბრები  
და აი, ცაში ავედი თითქოს  
და ბატკნებივით დაფრთხნენ ღრუბლები.

## სამასი კაცი

სამასი კაცი,  
სამასი კაცი,  
სამასი ფიქრი  
ცეცხლივით მწველი.  
შემატებული თბილისის მიწას,  
როგორც ახალი სამასი წელი.  
ჟღერიალებს მტკვარი,  
წრიალებს ძერა,  
ღია თვალებში ცახცახებს ქარი,  
სამასი კაცი,  
სამასი ძელი,  
სამასი სალტე  
თბილისის კარის  
და იხლართება  
გზები და ბედი  
და უკვდავებას მაწვდიან პეშვით  
და მძიმე,  
როგორც ცრემლები დედის,  
მოგონებები სკდებიან მზეში.  
სამასი კაცი,  
სამასი კაცი,  
სამასი ფიქრი  
ცეცხლივით მწველი,  
შემატებული თბილისის მიწას,  
როგორც ახალი სამასი წელი...



## ანზორ აბულაშვილი

\*\*\*

შენ - შოთა არაბულო და  
ებანოიძე ზალიკო,  
ის სიცილები ხომ გახსოვთ,  
თვალეებში რომ ჩამჭკნარიყო.  
ან თუ მზის კრთომა რას ჰგავდა,  
ან ის სიყვითლე რა იყო,  
ღამეში ჭინკა -ალქაჯი  
ცოცხზე რომ გადამჯდარიყო,  
იმისი ცივი ხითხითი,  
ირგვლივ სამარის თხრა იყო,  
ხოლო ის შავი სამარე  
ერთი უძირო ჭა იყო.  
ოცხე კვნესოდა, მობანე  
ირგვლივ ტყიანი მთა იყო.  
ვინც დაიფერფლა - დაია,  
მეგობარი და ძმა იყო.  
ჩვენი ცხოვრება იმ წლების  
აქეთ - შუაზე გაიყო  
და თუ გადავრჩით ღვთის ნებით,  
სიმხნევეც ჩვენი ხსნა იყო.  
დღეს ნურვინ იტყვის - ნეტაი,  
რალა დროს მაგის თქმა იყო,  
პირიქით, სწორედ ამ მძიმე  
დრომ გამიცოცხლა, ძამიკო,  
ცა, როცა ჩვენთვის შავი მზე  
თავის გზას გადამცდარიყო,  
მაშინ - იმ ჭირში გაძლება,  
მართლაც და დიდი რამ იყო.  
დღესაც მტრის გულისსაკლავად,  
ახლაც სწორედაც ამიტომ,  
დავაგდოთ უსასოობა,  
მაგისი რჯულიც არ იყო,  
შენ - შოთა არაბულო და  
ებანოიძე ზალიკო!

## მთის ზაფხული

ისევ მეღირსა ფაფარგაშლილი  
ამ ჩანჩქერების გრუხუნ-დგაფუნნი,  
ხეობა, შვიდი ფერით გავსილი,  
შვიდფრად ნახატი მთების ზაფხული.

ისევ მიცინის ყელმოღერილი  
დეკა -

მცინვართა თეთრი ასული,  
მწვერვალ და მწვერვალ  
დამფრთხალ შველივით,  
მიხტის ზამთარი ფერგადასული.  
ძირს მიწას ხატავს ჭრელი ქათიბი,  
ზეცას - ათასი ფერის ფრინველი,  
დაუნახია მთიელს სათიბი,  
გადარეულა ამის მხილველი  
და ლურჯ ბალახში თეთრი პერანგით  
ტრიალებს, როგორც ქათქათა ნისლი.

წკრიალებს ცელი -

მთიბველის ჩანგი

და ის ხმა გაღმით ჭალაში ისმის.

ხოლო სოფელი,

ხუთიოდ კომლი,

იმ ჭალის თავში,

შუადღის მზეში,

მამლის ყივილით და თეთრი კვამლით,

თითქოსდა უფალს უპყრია ხელში.

და პირიმზენიც ანთია შორით,

მუდამ ტურფანი, მუდამ თოთონი,

კამარას ხაზავს ტატნობზე ქორი,

თუ, ნიავს მიაქვს ხმელი ფოთოლი...

ეს რა ხატია,

რა სურათია,

ამ წყლის შხუილიც რა სიმშვიდეა:

მკაცრი სინაზე შვიდფრად ანთია,  
თითქოს მყინვარი მზეზე ჰკიდია;  
თითქოს მის ირგვლივ  
სხვა სიცოცხლეა,  
მზის მოქარგული ჯუბა აცვია,  
მისი ყვავილიც უფრო მორცხვია  
და სიყვარულში სხვაზე მკაცრია.  
მთაში მკათათვეს ვუთვრივარ უფრო,  
აქ სხვაგვარ ვსუნთქავ,  
სხვაგვარ ვარსებობ,  
აქ პათეტიკით,  
გმირულ სიტურფით  
თავბრუ მეხვევა, რადგან გარშემო  
ცად ადის შვიდფრად ფაფარგამლილი  
ვერცხლის ჩანჩქერთა გრუხუნ- დგაფუნნი,  
აქ მათით გრგვინავს მზიურ მარშივით,  
ამბოხებული მთების ზაფხული.

\*\*\*

ვინ ეთხოვება შატილს თუ ნოსირს,  
ვის მიაცილებს ქარი და თოვა?  
თუ მას სჯეროდა მეორედ მოსვლის,  
იგი უთუოდ მეორედ მოვა.  
ხომ ეს ზღვა სისხლი დაგვათხევინეს,  
ქვეყანა ლამის გვიქციეს ბოსლად,  
მე თუ ქართველად არ მოველ ისევ,  
არაფრად მიღირს მეორედ მოსვლა!

## მგლები

მთვარის სხივები  
ჩასისხლულ თვალებს  
უყრია, როგორც ყვითელი ჩალა,  
ჭალის თავში ზის ვეება მთვარე  
და გაყინული ჭრიალებს ჭალა.  
მგლების ყმუილი არაგვთან ისმის,  
ყმუილი - ბეწვის ამბურძგლი როა  
და გლეჯენ ერთურთს  
და თვრება სისხლით  
აყმუვლებული მძვინვარე ხროვა  
და იქვე თეთრად ეღვარე რაშებს,  
მიმოაჭენებს ზამთარი ტყეში.  
ჩასისხლულ თვალებს და წითელ ლაშებს,  
თვისსვე ჯილაგის უყრია ლეში  
და სახეს უწვავს არაგვის პირას  
მთვარეს  
მსუსხავი სიოს თარეში,  
ლურჯად ჭახჭახებს კრიალა ყინვა,  
იანვრის ნათელ შუალამეში.

## **ბაბრიელ ჯაბუშანური**

### **არხოტის მთებს**

მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფიალები,  
თქვენს მიუწვდომელ კლდის ქიმებზე მიყვარს ოცნება,  
მოაქვთ გრიგალებს ნამქერების თეთრი ალაფი,  
მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფიალები;  
გმოსავთ ნისლები ელვამეხის ეტლიანები,  
თქვენს ქარაფებში ვაჟას ლანდი მესაოცრება;  
მე თქვენს უმკაცრეს ქარიშხალებს ვეტრფიალები,  
თქვენს მიუწვდომელ კლდის ქიმებზე მიყვარს ოცნება.

### **გზა ასის ხეობაზე**

აქ ჩანჩქერები ქუხან მჩქეფრები  
და ასის წყალი მოჰგავს ლეოპარდს,  
სდუმან ქარაფნი - ჭრელი ზებრები,  
აქ ჩანჩქერები ქუხან მჩქეფრები.  
გარბიან ზვირთნი, როგორც მყეფრები  
და აყრუებენ ყეფით ხეობას,  
აქ ჩანჩქერები ქუხან მჩქეფრები  
და ასის წყალი მოჰგავს ლეოპარდს.

## მამისახლი

არხოტში მამისახლი დამექცა,  
დღეს მის ნანგრევზე ბუც არა ჯდება.  
ქვითკირის კუთხი მოჰგავს ნამეწყრალს,  
არხოტში მამისახლი დამექცა.  
შამბი შეუდგამს ეზოს ნამერცხლარს,  
ჩემს აკვანს გველი უდარაჯდება...  
არხოტში მამისახლი დამექცა,  
დღეს მის ნანგრევზე ბუც არა ჯდება.

## ბარული და არხვატული

ქართლს მუდამ უქართლებია,  
ერთობით მთა და მინდორთა,  
აქ მაინც ჯუჯა მთებია,  
მე არხვატული მინდოდა.

ლიხს ლიხი ვინ გამოლია,  
ვარდიც ბადახშის ფერშია,  
აქ თუმცა წმინდა მოლია,  
მე არხვატული მერჩივნა.

ნისლს ქარი აქაც მიროზგავს,  
მზეც ცაზე ღრუბლებს მიჯუფთავს,  
თბილისის წვიმა მირონს ჰგავს,  
თბილისის ზეცა ფირუხს ჰგავს -  
მე არხვატული მიჯობდა.

\* \* \*

დავიწყებლე და დავიწვი,  
მოგვს მერგო ორგზის შერისხვა;  
ლექსის ხემსი და ხავიწი -  
მთა დავთმე ორზის ფერისა.  
კვლავ არხოტს წავალ?  
რა ვიცი,  
ღირსლა ღონღილი ბერისა?  
ქალაქის ცოფი ავიცერ:  
ბანგი და ბარგი ბარისა.  
ასე მგონია: - ლაფშია  
ურემიც ჩამრჩა, ხარიცა,  
ჩემთვის არც ცხენი ლაფშია,  
აღარც კაშკაში ხმალისა,  
აღარ ვარ „ბლოელ აფშინა  
მინდოდაურის გვარისა...“

## მთების სამეფოში

გავყურებ უთვალავ ღრუბელთა მთიბავეებს,  
გასცელეს სივრცეთა სამყარო.  
მთებზე დგას მთებივე -  
ჩამაგევ,  
ჩორეხო,  
შავწყალო!  
ცისკარი ციალებს მაშრიყეთს მარტოდენ,  
ვინ გაქრობთ, ვარსკვლავნო - სანთლებო?!  
შენ გამიმარჯვოდე,  
ნადირთა პატრონო ქალბნელო!  
აგერა, აჰანდე!  
მე ვხედავ ჭოგრითა  
შუნისთვის ხარჯიხვთა რქინებას!..  
აგერა ჯოგიცა!..  
შენ, ნისლო, შეწყვიტე დინება!  
რიჟრაჟი ინთება,  
განვედით ბინდებო!  
ცვარისგან აცრემლდა ბალახი...  
ჰე, ოჩოპინტრეო,  
მიშველე,  
მიბოძე ხარლადი!  
გორები გორებზე გულდაგულ დგებიან,  
იღვიძებს საჯიხვე გამწყრალი.  
რამდენი მთებია:  
ჩამაგე,  
ჩორეხი,  
შავწყალი!..



## **მშვიდობით**

მშვიდობით! მივალ...დე, არხოტს აჩნდეს  
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი;  
მწამს თავს გაიტანს და გამომაჩენს,  
ფხა ვაჟკაცური და სწრაფვა სწორი!

დაიქცნენ ძველი ბურჯების ბჭენი,  
ბინდი არ ბოჭავს გულს მარწუხივით;  
გამყვება ქალაქს ტრფიალი შენი  
და დედაჩემის ჩემზე წუხილი!..

შევხვდები ბარში ვაჟკაცებს, ნარჩევს,  
მოვალ და ნათელს მოვიტან შორით,  
მშვიდობით, ქალავ! დე, არხოტს დარჩეს  
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი!

## **თეთრი მთისადმი**

როდესაც ვიგრძნობ აღსასრულს,  
თეთრო მთავ, მაშინ მჭირდები;  
შენ შეგახიზნებ მღაფავ სულს,  
მკერდს კბილით მოგეჭიდები.

ხელს ნუ გამიშვებ, მიშველე,  
ფხა მომაკერძე სიყმისა,  
წამაქეზე და მიშველე,  
წიხლი ამოვკრათ სიკვდილსა.

## თეთრი მთა ჩამჩურჩულედა

აი, ეს შენა  
და ეს მე  
ჩემი გუმანის ბარგითა:  
- გაბრიელ, ქალაქს დაეხსენ,  
ვერ შეეწყობი,  
არ გინდა!  
ფიქრობ:  
ბარს თავზე დაესხე,  
ჩონგურ ჩასცვალო ჩანგითა?  
ვთქვათ, პროსპექტს მკერდზე დაემსხვრე  
ნაბანგი მთათა ბანგითა!  
გიჯობს:  
ეს ხევ-ღრე  
და ეს კლდე  
მიგალ-მოგალე არგნითა,  
გინდ წრიაპ დასხლტეს,  
დაასკდე  
სალს,  
როგორც ჯიხვი თავ-რქითა,  
მაინც თეთრი მთა! - დაასკვენ,  
შუბლშაბურვილი თალხითა!..

\* \* \*

მშვიდობით, მთებო, ავახმე...  
თქვენი დათმობაც მებედა,  
თქვენთან ყოფნის ხე გავახმე,  
გიმტყუნეთ ქართლის მეფეთა.  
თბილისმა თავად დამთოფა,  
ხელს შემატეხა ფალია,  
მშვიდობით,  
თქვენი დათმობა,  
სულ ამ ქალაქის ბრალია.

## პაემანი

მთამ გადივარცხნა ქოჩორი ბრძამის,  
ბარს აღარ უნდა ნისლებს მონებდეს,  
წავიდეთ სახლში, დავტოვოთ ღამე,  
იქნებ მთა ჭალას თავს აწონებდეს...  
მიწვა ქედებზე ქარი - არჯალი,  
მარტო არაგვი გარბის არულით,  
იქნებ ნიავის ნელი ჩურჩული  
არის ბაასი სასიყვარულო?..  
იქნება ტრფობის ფიალას სვამენ  
მოლნი მოლლილნი წყაროს ებანით.  
შევიდეთ სახლში, დავტოვოთ ღამე,  
ბუნების თრთოლვა და პაემანი.

## ხატობა მთაზე

რამდენი ლუდია. რამდენი მთებია. რამდენი მზე არი.  
რამდენი ვაჟია. რამდენი ქალია. რამდენი ცდუნება.  
გული და გუნება შეიქმნა მეცხრე ცის ზიარი,  
ვლოცულობთ, ვლხინობთ და გულლიად შევხარით ბუნებას.  
ლუდისებრ ელვარებს თვალებიც ასულთა, ცბიერი.  
ჩურჩული სიოსებრ, სიცილი - წყაროთა წკრიალი.  
აგერა, მილიმის ქალშავა - ვარსკვლავი ციერი,  
თავის თასს მთავაზობს მაცდური ცქრიალით...  
ვსაუბრობთ. ირხევა დალალი, გველისებრ მაცდური,  
ლუდიან თასშიც ჩანს მზისფერი დალალი.  
„ - ქალბნელო, ამ ჩემს გულს იქნება შენ დასცე დასტური:  
სად არის მზექალი?  
„- მზექალი არ არის! არ არის! არ არის!“  
აღარსად ქალები...აღარსად ვაჟები...აღარც მზე...  
დაიქცა სასმელი...დაბნელდა გარემო და მთები...  
დაეშვა ლაღობა მიმწუხრის მწუხარე დაღმართზე:  
ავახმე, გაბრიელ, ღამდების...ღამდების...ღამდების...

## ავადმყოფი მზექალისადმი

ჩამოდი, ფერი ზაფრანას გიგავს,  
ჩანს, ფუჭი იყო ჯაფა და გარჯა;  
მზეთა მწვერვალზე აღწევის იგავს  
დროა, დაეხსნას გული და განსჯა.  
შუბლს გაწერია სიკვდილის გველი,  
ავი სვე გიწვდის არყოფნის ფიწალს,  
აქ სადმე ანდერძს აგიგებს მღვდელი  
და მერე თავად მოგაყრი მიწას.  
მე იქნებ იგი მწვერვალი მზეთა  
მეხილა,  
მაგრამ უშენოდ არ ღირს  
და ალბათ იმავე სადგურზე ლეთას  
შემასმევს იღბლის ღავლავა ძაღლი,  
რომ ჩემი მრუმე სიცოცხლის იგავს  
წამოვეწიო შავეთში მერე...  
ჩამოდი, -  
ფერი ზაფრანას გიგავს,  
ჩანს, აქ შევხვდები სიკვდილის მერეხს.

\*\*\*

„წინ, წინ, ოცნებავ, ერთგულო ხარო...“  
ვალერი ბრიუსოვი

არა,  
ჯერ მაინც კამეჩი არ ხარ  
(თუმცა კარგა ხანს გლახკაცი მერქვა, -  
ლილღოს და არხვატს ვადექი სახნავს  
და ვუსწორებდი ხევსურულ ერქვანს).  
ისიც არ ვიცი,  
ჩვენი მხრის ქართველს  
რომელი უჯობს:  
ლექსი თუ იფქლი...  
შენ მაინც ჯერხანს რითმები მართე  
და ჩამოქენი სტრიქონად ფიქრი.  
ხოლო თუ მაინც ვერ ექმნა ხემსად  
ხალხს ეს ხმიერი სიტყვა და ჰანგი, -  
ჩვენ ისევ ერქვანს შევავლებთ ხელსა  
და გასცილდება გუთანსაც ჟანგი.

\*\*\*

არხოტის თავზე ბობოქარს  
ქარს ნისლი შემოეყარა,  
ქარმა თქარუნი მოთოკა,  
სიჩუმის ჯარი შეყარა.  
ნისლო, ქარს ჰკითხე ქონდაქარს  
რად აყირავებს ქვეყანას,  
მოსხლული მაგის კონდახით  
არხოტს ცხრა მუხა ეყარა.

## დაშლილი ციხე

ხელებს დარხელთ შენდა ძახილად,  
ქარი შავ ქარაფს ჯიქურ ახეთქებს,  
სისხლი მიშხეფავს სახეს ახვითქულს,  
ვირხევი, როგორც მწიფე ძახველი.  
მთათა ტყვეობის თეთრი მძახალი  
გიხმობ, გეძახი მზექალს, - ახვათ ქალს,  
განვუდექ შმაგი, ღილღოს, არხვატსაც,  
ვარ რუხ ქარაფში დღეთა მძახველი...  
შემომიქროლებს შლეგი ქარიშხლის  
შავი ფრთა თარსი და თავგასული,  
ის შენთვის შანთვას შმაგად დამიშლის  
და თეთრ მწვერვალზე თეთრი ასული  
მომელანდები...მაგრამ დამიშლის  
მირაჟის ციხეს ნისლი - ავსული.

## ქალაქის საავადმყოფოში

ო, როგორც იქნა, შემოვალწიე  
შენამდე, მზექალ, ქრთამით და ხერხით...  
ჩაიცვი ჩქარა! -  
მთის ლალ არწივებს  
კვლავ მივეახლოთ,  
თუგინდაც ფეხით!  
ახ, წყეულები! -  
ლამის მოგახრჩვეს  
ცრუდოსტაქრებმა წამლების შხამით...  
შენ, სნეულს, ბარი როგორ მოგარჩენს,  
თუ არა მთების სუნთქვა და ჩქამი!  
ჩაიცვი, ჩემო!  
წავიდეთ ჩქარა!  
შორს ამ ქალაქის მტვერი და ხვატი!  
გვეძახის ჩქართა ჩანჩქერთა ჩქერი  
და უწმინდესი ზეცა არხვატის!..

## ერთგულება

წამოდი ცაში!  
მაგ სნეულ სხეულს  
მე ვუდასტაქრებ შუქის ლექსებით;  
მზეს მაცოცხლებელს გამოვთხოვ სხივებს,  
მაინც გამოვთხოვ,  
არ მოვეხსნები!  
და თუ მნათობი მაინც გაკუმტდა,  
არ გაიმეტა შენთვის წამალი, -  
გულს ამოვიგლეჯ, მზექალ, საკუთარს  
და შენ ჩაგიდგამ! -  
დაე, ალალი  
იყოს ის შენთვის  
თუ ბედნიერი  
იქნები მგოსნის ქალღმერთი - ჯიქი;  
ჩემთვის კი აბა, რა ბედენაა,  
თუ რომელ მკერდქვეშ იბორგებს იგი!

## კიდევ მგზავრის მონოლოგი

მე კვლავ გზაში ვარ.  
ახლა ერთია  
ჩემთვის ბილიკი,  
გინდაც შარაგზა,  
მწირს ყველა გზები გადამეხლართა  
და გულს უშრეტი ცეცხლი შე-რე-გზო...  
ქვესკნელის უფსკრულს ფიქრჩაქცეული, -  
მე ახლა მხოლოდ ვაგლახს ვუნდები;  
ამ ერთ წელს სადღაც შორს გაქცეული,  
მზექალო, ისევ ღიღღოს ვბრუნდები...  
მზექალო, ისევ შენთან ვბრუნდები,  
წყევლა და კრულვა ამ წყეულ წელსა,  
კუპრად დამექცა დღის ბინდბუნდები, -  
მიწა ჩემს ენას, -  
შენ მიწას წევხარ...  
შენ მიწას წევხარ...  
ვიწვი მე მწირი, -  
მიკვირს: კვდომისგან ანდა რა მიცავს?  
...ახ, ამის წერაც თურმე მეწერა,  
წერამ კი შენთან არ დამამიწა.  
მე კვლავ მგზავრი ვარ.  
ახლა ერთია  
ჩემთვის ბილიკი ანდა შარაგზა;  
მწირს ყველა გეზი გადამეხლართა  
და გულს უშრეტი ცეცხლი შე-რე-გზო.  
გაიღვიძე

გაიღვიძე!  
გესმის, დროზე გაიღვიძე! -  
შენსკენ ვისწრაფი და ხომ უნდა შემხვდე  
ფხიზელი!  
რამდენი გიმღერე,  
რამდენი გეძახე,  
რამდენი ვიღვაწე,



არ მოზრუნდი და უშენობა მეტად ვერ შევიძელი!..  
რამდენი სათქმელი დაგროვდა რომ იცოდე, -  
მგონი, ათ წელსაც ვერ მოვათაო ლაყაფი.  
გაიღვიძე!  
კუბო მორთე!  
შენს გვერდით მომიწოდე! -  
ადგილი მანდ ორივეს გვეყოფა!  
ხომ იცი: -  
ხალხს და სოფელს განვებვებე,  
მტორავენ ტრფობის და კენტობის ვაებანი.  
გაიღვიძე!  
გესმის, დროზე გაიღვიძე! -  
ნუთუ არ მოგენატრა ჩემთან პაემანი?

## **ზამთარი სასაფლაოზე**

ისეთი ყინვაა, რომ ლამის ასაც შეაგუბოს,  
ვერხვებს გახევებული ხელები მზისკენ აუშვერიათ;  
მზეს კი არ სწადის ხეებს ღიმილი შეაგებოს,  
ტოტები ტირიან, მაგრამ თავს ამით , აბა, რას უშველიან...  
თეთრი სუდარა გადაჰკვრია მთა-კლდეს და ხეებს,  
ჩამკვდარა უკაცო სოფელი.  
ქარი ცას ესვრის ნისლის ნახეებს,  
ცა კი მშვიდია და უგრძნობელი.  
სასაფლაოსაც თალხის მაგიერ თეთრი აცვია,  
უუჰ, როგორ ცივა!  
ფიჩხსაც ვერსად მივაგენი...  
შენი სამარე თითქოს გათოშილი ლაწვია,  
მზექალო,  
მანდ, კუბოში, გცივა, განა?!

## ჭორი

დაგვარგე.

გემებ.

გიხმოზ.

გიყივი.

ყელში ამოდის გული ნაკლული.

შენ ჩემთვის უღვთოდ მკაცრი იყავი

და მაინც გემებ თავგადაკლული.

შენს ხატს რისხვის ხმა როგორ დამარხავს,

გული შენს ტრფობას ვით შეეღევა?

მეუბნებიან, ვითომ, აღარ ხარ , -

ჰაუ, რამხელა სისულელეა!..

## დაგვიანებული შერიგება

მეზმანე:

მოხველ,

მომესათუთე,

ცრემლი მიცვალე ტრფობის ტაროსით,

მიარმადანე ვერცხლის სათითე

და მე , შეშლილი, შვებით ვტიროდი...

შენი სიკვდილი განა მახსოვდა, -

რომ მიღალატე და დავიღუპე,

რომ შენი მზერა სულეთს გასხივდა,

რომ მიღმურ მნათობს გაუღე უპე...

გამომეღვიძა:

დარდის დევებად

დამაწვნენ დილა და განთიადი...

რა ფუჭი იყო ის მოტევება,

მზექალო, რარიგ დაგავციანდა!

## ჯილდო

ცოცხალს მე გითხარ საკუთვნო ხოტბა,  
მკვდარსაც მე გტირი ყველაზე მწარედ;  
განა გაყვედრი  
და მაინც რომ ვთქვა: -  
მეც ხომ მეკუთვნის მომიზლო მცირედ?  
ერთხელ ღიმილით მაინც მომხედე  
(მზერა ჩაგიქრა? - ეს განა მჯერა!),  
მე უსაშველო ურვის თალხს მომხდის,  
მზექალო, შენი კეთილი მზერა!..

## მიძვნა ხევსური მელექსეებისადმი

მოგესალმებით მგოსნებს ჩაუქებს,  
თქვენი ნამღერით გულგაღლობილი.  
მე თქვენი ლექსის შუქი მაშუქებს  
და უსათუოდ ვართ ახლობელი.  
ვიცი, მოგავხართ ბრძენ ხოგაის მიწდს:  
ზვერავთ ბუნებას მზერამშიერი  
და თუ ჩემი ხმის ეხოც გაისმის, -  
ვარ თქვენი ჯიშის მე ნაშიერი.  
მსურს, ჩემს ლექსებსაც, გამძლე ძარღვებად,  
აქვნიდეს თქვენი თქმის ფხა და მეტადრე:  
შესძლოს ნამღერმა ღამის გარღვევა  
და მთებს დაადგეს ნათელ სვეტადა.  
რომ დარჩეს სიტყვა - ბოკვერი ვეფხის,  
ვინც გალიაში ვერ გამოკეტეს,  
ჰქონდეს სიმტკიცე, სითბო და ეშხიც,  
კაცურად შეხვდეს მტერს და მოკეთეს.  
მოგესალმებით მგოსნებს ჩაუქებს,  
თქვენი ნამღერით გულგაღლობილი,  
მე თქვენი ლექსის შუქი მაშუქებს  
და უსათუოდ ვართ ახლობელი.

## გოდება დედისადმი

დედი, ვიხრჩობი,  
შემწე შენს მეტი  
ქვეყნად ძე-კაცი არ მეგულება,  
უსრულო გეზის მგზავრი შესდექი,  
მოდი სამზეოს და მიგალობე.  
გესმის, გადმიწყდა ყოვლი ილეჯი,  
გულს დედის ჰანგი მზისებრ სჭირდება,  
მოგაკითხავდი მანდ, სიკვდილეთში,  
მაგრამ უმზეოდ გამიჭირდება.  
ყელს მემარყუჟა ბედის შამათი,  
სვლა მეძნელება,  
გზა მეგველება...  
ვიხრჩობი...  
შემწე, დედი, შენს მეტი  
ამქვეყნად კაცი არ მეგულება.

## ცხვარში მიდიხარ

ელავენ სხივთა მერცხლები,  
ცხვარში მიდიხარ, მზექალო,  
შორიდან გეაღერსები,  
მეხვევი, ტრფობის მძლე ქარო.  
ირხევა ვერხვის ლერწები  
და ვერხვიც ამბობს: მიყვარსო!  
შორიდან გეაღერსები  
ცხვარში მიმავალს, ძვირფასო!..  
გული მეთანგვის გაბრიელს,  
მირქენენ ქუფრი ფიქრები,  
მეც შენს ფარაში გამრიე,  
ერთი ბატკანი ვიქნები!  
რომ დავყო ტკბილი წუთები  
შენთან და სევდა მექარვოს...  
შორიდან გესათუთები  
ცხვარში მიმავალს, მზექალო!

## გიორგი გიგაური

### არაგვზე

მთა იქოჩრება კორდებად,  
კორდებს შარაგზა მიჰყვება,  
მზე როცა ამოგორდება,  
როცა დღე-ღამე იყრება,  
შეგვეგებება საამოდ,  
სხივი სიცოცხლის მთესავი,  
ჰა, წყაროც შესვი, გაამოს,  
შეგერგოს დედის რძესავით.  
მთას ტყის ტევრები აკრია,  
ტყის ტევრებს - საიალადო,  
უმღერეთ მიწას მადლიანს,  
ქარო, წყალო და ბალახო,  
გამიორკეცეთ ხალისი,  
დამატკბეთ თვალის ნახულით,  
მთებში მეველედ გამიშვით,  
ვიქნები მთათა მსახური.  
გზამ ხეივნების ჩრდილები,  
წამოიხურა თავშალად,  
ჩრდილებს მისდევენ წყვილები,  
ფრთა სიყვარულმა გაშალა.  
ჩამაცვით სხივთა სამოსი,  
ამივსეთ ვერცხლის სურები,  
არაგვზე ქორწილს რა მოშლის,  
მეც იქით მივეშურები.

## თემი

გიორგი წიკლაურს

ზღაპრიდან აღსდგა ხევსურთ სათემო,  
მთებს მოევლინა ღმერთი პატრონად,  
ღიმილის დილა რომ გაათენოს,  
მზემ ანატორის ღამე დატორა.  
ქარმა ნისლეები შორს გადარეკა,  
არხვატს აყვირდნენ თეთრი ხარები,  
ჭირისუფალი აცლის ნარ-ეკალს,  
გმირთა საფლავებს გულმხურვალეებით.  
ჯვარ-ჯვარის კარი იმშვენებს ნათელს,  
ქვითკირზე მთვარეს ჰკიდებენ ზარად,  
არაგვზე თემის იშლება ზადე,  
ბორგავს არაგვი  
და მტრის გულს ზარავს.  
არღვევს გუთანი  
ოცი წლის ყამირს,  
ფხვიერი მიწა ხორბალს იცოხნის,  
აი, რა არის სიცოცხლის წამი,  
აი, რას ჰქვია ღონე სიცოცხლის...  
ახლა, ხევსურო, იმარჯვო უნდა,  
უნდა გააპო მღვრიე მორევი,  
სატკივარს თუ არ მიიტან გულთან,  
ისე დიდ ლოდებს ვერ მოერევი.  
თუ არ მიჰყევი  
მიზანს ბოლომდე,  
არ დაემსგავსე  
წინაპარს შენსას,  
ვერ დაამარცხებ ფლიდებს, ბოროტებს,  
ჯვარში საკარგემოს ვერასდროს შესვამ.  
თუ ხევისბერად გიგულა თემმა  
და თუ იმედად თემს ეყოლები,  
ასპარეზს დათმობს  
ტანჯვა და გვემა,  
ამაღლდებიან ციხის ყორენი...

## არაგვის სათავეებთან

წამოიმართნენ ისრებად  
კლდენი არაგვით ნალესი,  
აღმა მავალმა ნისლებმა,  
ფრთებზე შემისვეს ალერსით.  
მომტაცეს სევდა ნამალი,  
საჯიხვე ერთად დავტორეთ,  
დაღს ავუწეწე დაღალი  
და ჩემზე გავაბატონე.  
საგაზაფხულო ჰანგები,  
ჩანჩქერმა ჩააწკრიალა,  
მე კვლავაც გავითანგები,  
ამ ხმებით სევდით კი არა.

## ბლოს სალოცავებს ვთხოვ პატიებას

1

წელთა ქავ-ციხის დამეცა ჩრდილი,  
მთებში შურთხები აღარ მელიან,  
ვეღარ ავყვები საჯიხვე ბილიკს,  
ვეღარ გავარღვევ ნისლებს ელვიანს.  
ვეღარ გაბერტყავს დაღლილი მუხლი,  
ცვარ-ნამს ბალახზე ასხმულს მძივებად,  
ბლოს სალოცავებს თავს დაბლა ვუხრი  
და მოკრძალებით ვთხოვ პატიებას.  
ვთხოვ პატიებას ნასახლარს ჩემსას,  
მხედრებს ნახშირით ქვებზე ნახატებს  
და გმირ წინაპარს  
შეფიცულს თემთან,  
საგვარო სათიბს, ტევრებს სახატეს.

იქ ბორიალობს ბავშვობა ტკბილი,  
წელზე ხანჯლით და ცერზე ხვეულით  
და მე თუ არა,  
ის მუდამ ივლის  
კლდეებზე წყაროდ ჩამორხეული.

2

ქარაფს ვეწვიო,  
მე მაინც ვნატრობ  
და თქმულებების ვარწიო ტახტი,  
სადაც კოპალას -  
წყალ -ჭალის პატრონს -  
დაულეწია დევები ლახტით.  
მამუკაურის ფრანგულის ელვა,  
სად ქარიშხლიან ღამეებს ხევდა,  
სად ჯარჯი მშვიდად დააკვდა მწვერვალს  
და მთებისხელა დატოვა სევდა.  
მინდა, ჭაღარა ჭიუხის პირას,  
მეწყერებმა რომ გაიმეფარეს,  
ნადირთ მწყემსივით დავიდო ბინა,  
დავუმობილდე არაგვს მჩქეფარეს.  
მაგრამ ამოდ, არ მუხლობს მუხლი,  
მგონი, დამთავრდა გზების ძიება...  
ბებერ საფლავებს თავს დაბლა ვუხრი,  
ბლოს სალოცავებს ვთხოვ პატიებას.

## **ბლოღელეს**

მაქვს სასაუბრო, ბლოღელევ, შენთან,  
შენ მიცისკროვნებ დღეებს მარადის  
და ლექსის ნერვიც შენი მზით ფეთქავს,  
შენთან ვხნავდი და შენთან ვბარავდი.  
რამდენი რამ მაქვს სათქმელი შენთვის,  
ამაღლდა სული შენზე ფიქრებით;  
ქვეყნად ყველას ჰყავს თავისი ღმერთი,  
შენ ჩემი ღმერთი ხარ და იქნები.



## ალუდა არაბული

### არხოტი

გაბრიელ ჯაბუშანურის ხსოვნას

აჰა ესერა,  
აქ გადახნული ყანებიდან  
ამოდის ქერი  
და მოარხევს მწვანე გორაკებს  
არხვატის მიწა.  
აჰა ესერა,  
დაღამულა საწუთროს შუქი  
და მგლოვარე ზარი მოისმის.  
სტირიან ქალნი,  
თუ ქართა ქვითინს მოდენის ბნელი,  
ლურჯი ყანისკენ.  
აჰა ესერა,  
შენი ხატი და მხოლოობა,  
არხვატის მიწა  
წევს ქარის და ყანების ფსკერზე...  
თავმიშვებული  
ჩამოსულა ნისლების რემა  
და წვიმის ფლოქვებს  
აჩქაფუნებს ასაის წყალში,  
მაგრამ ეს ხმა შენთვის არ ისმის.  
მოაქანავებს  
ჯეჯილის მთებს ნიავი ბნელში,  
აჰა ესერა,  
დაღამულა შენი საწუთრო...

## თორღვას სიკვდილი

ცა გასკდა, მიწა გაიხია,  
თორღვა მაგანი გაიხვია...  
იწვა და პირი უცინოდა,  
გული ტიალი უტიროდა...  
- ცა არ ქუხს, წვიმა არ მოსულა,  
თორღვას ტანი რამ დაუსველა?  
- ნაისრალი სჭირს გულისპირსა,  
სისხლის ნჩქლევათა დაუსველა.

თორღვას ისარი ვინ მოჰკიდა?  
- ძმობილის ხელმა, ვინ მოჰკიდა.  
- ჯაჭვი ხომ ეცვა ქვიშისფერი!  
- ჯაჭვი არ ეცვა ქვიშისფერი,  
იელოვანზე დარჩენოდა...  
მაინც სიმხდალე არ სჩვეოდა,  
თორღვა ბაბრ იყო უძლეველი,  
თორღვას რა მტერი მოერია?

- ნეტამც კი მტერი მოჰრეოდა,  
მაგრამ ღალატი მოერია.  
თორღვას პირი კი უცინოდა,  
გული ტიალი უტიროდა,  
ნაისრალიდან ცრემლოდა...

## ტკივილი

ბერდედავ,  
შენი დაღლილი მხრები,  
თეთრი თმები ისვენებს ჩემთან,  
ახალი წლის თეთრ ღამეებში  
და მე ვბრუნდები  
შენს კალთაში, ჩვენს სოხანეზე.

შენი ტკბილი ხმა დადის ჩემს გულში  
და ჩვენთან ერთად,  
ჩვენს გარშემო,  
ჩვენი ქოხის კეთილ სითბოში,  
ბედნიერი დღეები სხედან,  
ჩემო ბერდედავ,  
ახალი წლის ბედნიერდღენი...

და მე დავდივარ შენს საფლავზე,  
შენს სამარესთან,  
როგორც ჩემს სულში...  
მხოლოდ ახალ წლის ღამეებში  
ვბრუნდები შენთან,  
სოხანესთან და ყველაფერთან,  
ჩვენი ქოხის კეთილ სითბოში...

შენს სამარესთან  
მე მოვდივარ, როგორც აკვანთან,  
ჩემო ბერდედავ...

## შიში

I

მე ახლა ვფიქრობ: შენც არ წახვიდე,  
არ დაუტოვო ეს მიწა ნადირს,  
სახლებში დიყი  
და ჭინჭარი არ ამოვიდეს.  
სიმართლე გითხრა,  
მეშინია:  
შენც არ წახვიდე.

II

და მრცხვენია  
ასი წლის შემდეგ  
ჩავლილი მგზავრის...

III

ბალახი მხოლოდ...  
ხვართქლის და სვიის  
მძიმე ჭილოფი ვინ მოგიქსოვა?  
ან ქვების ტანზე  
მეწამული ფორეჯის მძივი  
როგორ აისხი?..  
ხმა,  
თუნდაც ფეხის,  
სად წავიდა შენგან, საწყალო...

IV

მე მეშინია, შენც არ წახვიდე.

## წართქმა მეოთხე

თუ გათენდები, ნეტავი,  
დღეო, არ დადამდებოდე,  
ქვენ ბაცალიგოს ციხესა,  
კუთხეო, არა სქდებოდე,  
გველო, შენ ლიბოს ნაწილო,  
მტრის ლიბოს შეჰფარდებოდე,  
თვალთაგან ამომავალო,  
ნათელო, არა ჰქრებოდე.

## წართქმა მეშვიდე

მთასა ჰყიოდა არწივი,  
ყვილს გასქდების აღარა,  
კაი ყმა ავად გამხდარა,  
კვდება, დარჩების აღარა.  
მაგისი მამა პირქუში,  
პირს გააცინებს აღარა.  
მაგისი დედა ბეჩავი,  
ძილს დაიძინებს აღარა.  
მაგისი ცხენი ტიალი,  
ნალებს დაიკრავს აღარა,  
მაგისი ცოლი ლამაზი,  
მძივებს აისხამს აღარა.

## ტირილისა

ყანა მკვე,  
დედის მშვენიერო,  
ყანა სამკალად დაგენატრა,  
მიწას წევ,  
დედის მშვენიერო,  
მიწა სავალად დაგენატრა.  
ლოგინი როგორ მაგეწონა,  
დედის დაგებულს ხვარ ინატრი.  
ან კუბო როგორ მაგეწონა,  
მამის გათლილ ტახტს ხვარ ინატრი.  
ათათა დედის მშვენიერო,  
ცხენთ გადაგალეს კარიკური,  
თავს დადეგ, თავსად დაუდეგი,  
მტერიმც დადგების შენფერდა...  
ცხენ გიკვლევს,  
დედის მშვენიერო,  
ტოტს უცემს, ლაგამს აჟერებსა.  
მამა ბნელსა ზის საბნელოსა,  
ფანდურს სცემს, ლართა აჟღერებსა.  
ყანა მკვე,  
დედის მშვენიერო,  
სამკალად არას გეყოფოდა.  
მიწას წევ,  
დედის მშვენიერო,  
სავალად არას გეყოფოდა.  
ლოგინი დედის დაგებული,  
ლოგინად არას გეყოფოდა.  
არც სახლი მამის აგებული,  
შენ სახლად არას გეყოფოდა.  
მიწას წევ, დედის მშვენიერო...

## ომში მოკლულ შვილზე მამის გოდებისა

ირმებმა სავალი დამიშალეს,  
სულავ,  
სად გძინავ, მამილასა?!  
მიწავ,  
ლოგინი გამიშალე,  
სიბერემ ყოფა გამიძალდა.  
ვაი, შენ, ჩემო სიბერეო,  
ჩემო სულაო, მამილასა,  
ხმალ სად გაგიტყდა ჯავარდნისა,  
ბჭყალი სად გაცვდა შავარდნისა,  
სად ჩაიჭუჭკენ ნეტა თბენი,  
სულავ,  
სად გძინავ, მამილასა?!  
მიწავ,  
ლოგინი გამიშალე...  
ტანი ვინ დამრა გმირისაი,  
სულას ნათელი დილისაი,  
ნეტავი ვინრა დაუღამა,  
წყარო ცხოველი დაუღვარა...  
სულავ,  
სად გძინავ, მამილასა?..  
ყორანი სად რა გეთელეზა,  
გმირის მხარმკლავი ენდომეზა,  
ვინ მოგაშორებს მამილასა.  
კერას ბებერი გიზის მამა,  
მანდ ვერ მაგიძევს, ვერ მაგივა,  
საპყარი, ნათელ დალეული.  
მიწავ,  
ლოგინი გამიშალე,  
ჩემი სულაიც დამიშალე,  
ჩემი ნათელი დაღამული.  
სულავ,  
სად გძინავ, მამილასა?!..

## ნუგეზისა

ამ სამარეში ვის გძინავს,  
ან გვერდზე გიწევს ვინაო?  
რომელი დგახარ ფეხზედა,  
დაიარები ვინაო?!..  
სათავე ჩემი სისხლისა,  
სხვა უნდა იყო ვინაო!  
ძმად გიხმობ, ძმაო იმედო,  
ვინც დგახარ, ვისაც გძინაო...  
იმ შენი ძმობის ჭირიმე,  
ლომს ღგვანდი ლომად შობილსა,  
მეხს ღგვანდი აგრგვინებულსა,  
ელვას ცით ჩამაშობილსა.  
ხან ისარს ღგვანდი ფრთამალსა,  
მშვილდზეით გადმახვეწილსა,  
ცეცხლს ღგვანდი ალავარდნილსა,  
გრიგალსა თავაწყვეტილსა,  
ფარს ღგვანდი მოზარნიშულსა,  
მამულზე აფარებულსა.  
ხან ღგვანდი დავითფერულსა,  
ხმალს მტრისად შამაქნეულსა.  
ხან ღგვანდი რვალის ჩაჩქანსა,  
პირზე ვერცხლშამავლებულსა.  
ვეფხვს ღგვანდი ომში შესული,  
დაჭრილსა, გააფთრებულსა.  
მზეს ღგვანდი ლხინში მყოფელი,  
პირს ნათელგადავლებულსა.  
არაოც დათავდებიან,  
ძმაო, მამულის მიწანი,  
არაოც დაგველევიან,  
შუქნი სამშობლოს მზისანი.  
სულმუდამაოც იდენენ,  
წყარონი ცივი წყლისანი.



არაოც მოგვენატრება,  
მასკვლავნი სხვათა ცისანი.  
არაოც მოგვინდებიან,  
მზე და მთოვარე სხვისანი.  
სულაოც დაგვირჩევდება,  
სხვის მიწას ჩვენი ქვიშანი.  
„ისე არაოც დავწყდებით,  
ჯავრი შევჭამოთ მტრისანი.  
კიდევაც დაიზრდებიან,  
ალგეთს ლეკვები მგლისანი“.  
იმ შენი ძმობის ჭირიმე,  
შენი ხმისა და ხმალისა,  
შენს თავს ქედნების ღულუნი,  
ჩქერალი წყაროს წყალისა.  
შენი ორგულის თავზედა,  
არ გათენება ხვალისა,  
სიკვდილი დაულეველი,  
ცრემლით დაშრობა თვალისა.  
ამ სამარეში ვის გძინავს,  
ან გვერდზე გიწევს ვინაო?  
რომელი დგახარ ფეხზედა,  
დაიარები ვინაო?  
სათავე, ჩემი სისხლისა,  
სხვა უნდა იყო ვინაო!

## ერის სიმდიდრე

ბარისახოს მეტყვევს- გაბრიელ ოჩიაურს

ჩემო გაბრიელ, ესაა ერის  
სიმდიდრე, ლხენა და სიცხოველე,  
ტყე თუ შრიალებს და წყარო მდერის,  
მუნ მართლა მდერის ცის ქვეშ ყოველი.  
დღეს რომ უხსენო დგნალი და წნორი,  
მოიქექავენ ზოგები კეფებს.  
შენა ხარ ახლა  
ნამდვილი ლომი  
და ხევსურეთის ტყეების მეფე  
და რომ ხსენება იფნის და თელის  
არ დაგვიძვირდეს, წინარე ყოვლის,  
მართლა სჭირდება ჩვენს ტყეებს შველა,  
ტყეში ბუხუნი შენნაირ ლომის.

\*\*\*

დათვისურაის დენამა,  
მაგ დათვისურმა წყალმა,  
სხვამ გამახარა ვერამა,  
ვერც ამამდერა სხვამა.  
გინდა იქროლოს ზენამა,  
გინდა ქვენამა ქარმა,  
მაინც იმავ წყლის დენამა,  
ცეცხლის იმავე ალმა.  
სულ შენ გიმდეროს ენამა,  
სულ შენ გიყუროს თვალმა...

## შენ ერთადერთი...

შენ ერთადერთი  
ესწრებოდი დევების ქორწილს  
და კიდევ მეტი:  
შენ გველისაც მიირთვი ხორცი.  
რა უნდა გითხრა,  
რა ითქმება ამაზე მეტი...  
ვეფხვის და მოყმის  
შენ, რომელიც ბალადას წერდი,  
რა იქნებოდა, არ გენახა ქორწილი დევის.  
კრავი გეჭამა,  
არ სხეული გეჭამა გველის,  
თივა გეთიბა,  
ყანა გეხნა,  
გეგრინა თოკი.  
ლექსი არ გეთქვა  
( ფუი, ეშმაკს! )  
ვეფხვის და მოყმის,  
შე დალოცვილო,  
ვინ იყავი, კაცი თუ ღმერთი?  
ათასი ერთად,  
თუ მარტოდენ ათასში ერთი?

\*\*\*\*

დიდი რამ ცოდვა  
არ იქნება, მე მგონი, ჩვენგნით,  
ვეფხვის და მოყმის უცნობ ავტორს  
ავუგოთ ძეგლი...

## ქალუნდაურის მონოლოგი

ქალუნდაურის ფრანგულმა,  
ცას შუქი გამაუტია...  
ხევსურული

ამბობდნენ, ველარ იტყვიან,  
„ქერიგოს ქვიშათ ფერია...“  
არ ვიცი, აღარ იციან,  
თუ გულითგულში მღერიან.  
აღარა ჩანან მერნები,  
არც ქორ-შევარდნის ჯარია,  
არ ვიცი, მე მეჩვენება,  
თუ მართლა აღარ არიან.  
გუროს ყანები ჩაშლილა,  
შატილს ციხე და ფეხონი,  
ქალები აღარ ქმარ-შვილობს,  
აღარც ვაჟები ვეფხვობენ.  
ლექსობდნენ, აღარ ლექსობენ,  
„სხვა კიდევ გაიზრდებისა...“  
არ ვიცი, ერთურთს ვერ ძმობენ,  
არ ვიცი, სული ხდებისა.  
შენ რისთვის, ქალუნდაურო,  
რკინა პერანგად გცმევია?  
გუროს წამხდარო მამულო,  
ყანა ნარეკლად გქცევია!..  
იტყოდნენ, აღარ ამბობენ,  
„ამამღერა ხმალია...“  
არ ვიცი, ან მე მჯაბრობენ,  
ან მართლა აღარ არიან...  
ნუ იტყვი, ქალუნდაურო,  
აუგს, აუგი ბრალია.  
ცოტანი იყვნენ, რა ვუყოთ,  
თუ მართლა აღარ არიან.

თუ წახდნენ, წახდნენ სიმცირით,  
არა სიცუდით წამხდარან...  
იქნებ არ ჭამეს სირცხვილი,  
იქნება სულ არ დამწყდარან.

### **ვაჩე ალუდაის ძე**

ქარი ივარცხნის ხეების ვარჯებს,  
ტყე მიირხევა და იფიფქება.  
მე როცა წავალ, შენ უნდა დარჩე,  
სხვა ქარი მოვა, ტყეც სხვა იქნება.  
მე როცა წავალ, შენ უნდა დარჩე,  
შენ უნდა ნახო სხვა თოვლის თოვა,  
და ახლა, როცა სიარულს გაჩვევ,  
მე იმას ვშველი, მერე რომ მოვა.

### **ჩემს უხუცეს მასწავლებელს ხვთისო ალუდურს**

მზე თავს ევლება ბლის და ბიის კვირტებს ამოყრილს,  
გაცვივა ფიფქი, გაღიმებულს და შრომით მოღლილს  
და შენი სახლი, უფრო რე კი მცირე რამ ქოხი,  
მაგონებს სენაკს და ცვილს შენი მაგონებს სახე.  
მზე თავს ევლება  
ბლის და ბიის კვირტებს ამოყრილს,  
წელზე სატევრით,  
მე მინდოდა  
და ჟღალი ჩოხით,  
ლაფშა ცხენით და ძერასფერი თორით მენახე.  
გხედავ მდუმარეს, დაფიქრებულს და წელში მოხრილს...

## მზე რიდად მოსახდომელი

კრწანისზე ლურჯად მოსკდა ბალახი,  
არაგველების სისხლზე ნაზარდი,  
ჩანს მულანლო და ყარაბულახი,  
ერეკლეს ხმალი და მუზარადი.

ზეცას მოანთებს მზის ხანძრები,  
მიწას აყრია ოქროს ზოდები.  
ქართლის მინდვრებზე მღერის ყანები,  
ქართლის ზეცაში- შუქის ტოტები.

ღვივის ყაყაჩო ჩამავალ მზეზე,  
როგორც თოქალთო - გდია კუმისი.  
შეჯახებულან კრწანისის ველზე,  
ბებერი ლომი და საჭურისი.

შემოსჭიხვინებს არაგვის ჭალებს,  
დამარცხებული მეფის ულაცი,  
შეეფარება მიმინო ჩალებს,  
ჩანს მულანლო და ყარაბულახი...

## ტოლხას ლექსები

თუ დავეყრდნობით ტოლხას არაკებს,  
მისი ცხოვრების მივმართავთ ანბანს:  
ვდუმდეთ, მასზე, რაც გვალაპარაკებს,  
ვერაფრით ვიზამთ ამნაირ ამბავს.  
ხოლო თუ ვიზამთ, ეს უკვე ნიშნავს,  
მეტი თუ არა, ვქცეულვართ მძორად,  
პირუტყვის ანუ მძოველის ჯიშად  
და , ერთი სიტყვით, ბალახის მძოვლად.  
ამგვარად ბრუნავს სოფელი წუთის,  
ვინც უნდა იყო, თუ არ ხარ იგი,  
სანამ ფიცრისა მოგიწევს ყუთი,  
პირუტყვის უნდა შეავსო რიგი,  
შარვალი რო გცვავ და კაცი რო ხარ,  
კაცადვე დარჩი,- გვასწავლის ტოლხა.

\*

ტოლხამ თქვა, ერთი გზა არის,  
ეგ გზა არ სახუმაროა,  
ყველა ვართ მაგ გზით მავალი,  
ეგ ერთადერთი გზა როა.

ამას არც წვეთი გაუვა,  
არც ბევრი უნდა ჟიჟინი,  
საქმე ის არი, ვით ივლი,  
ბრძენისდარად თუ გიჟივით.

წინ რაა, ნუკი კითხულობ,  
იკითხე, უკან რა გრჩება.  
ვისაც ლომებად ფიქრობდი,  
ხომ არ ქცეულან მაჩვებად.

კაცურად უნდა იარო,  
ამ გზით, ეს ერთი გზა როა,  
არადა, რისთვის მოხვედი,  
ეს გზა არ სახუმაროა.

\*

„კაი ყმა ომში მოკვდება,  
სწორების მჯობინობასა,  
ცუდაი- საცხვრის ყურესა,  
ქალებში ლოგინობასა“.

ტოლხამ თქვა: ესე ამბავი  
დიდს არ მოითხოვს ბრძნობასა,  
ორსავე წაიყვანს სიკვდილი,  
ერთი სულეთის გზობასა.

მაგრამ ის უნდა ვიკითხოთ,  
ვინ ურჩევნია გრძნობასა,  
მელობას მგლობა სჯობია,  
თუ მელობა სჯობს მგლობასა?

თუმც, რა ჟიჟინი სჭირდება,  
ცუდის და კარგის ცნობასა,  
ვინ იტყვის, როგორ აჯობებს,  
სიმხდალე მამაცობასა!

\*

ტოლხამ თქვა, შეთეკაურმა,  
რა ლარი უნდა მაგასა,  
მე იმ ქართველის გამჩენიც,  
ვინაც რო ქართველს არ ჰგავსა...



\*

ტოლხამ თქვა, კაცი იგია ქველი,  
ვინც არა მარტო მოიღო ნახვად,  
არამედ, კიდევ აღმართა ძელი  
და გულის ეს ქნა, რჩევის თანახმად.

ვინც რომ არაფერს მოელის ჩვენგნით,  
არც საწუთროსგან არაფერს ითხოვს,  
მას უდიდესი ეკუთვნის ძეგლი,  
რაღა თქმა უნდა, ეს მე რომ მკითხონ.

\*

ესეც ტოლხამ თქვა, თუ ერთი სცოდე,  
თუ დაუხარე ცხოვრებას ქედი,  
გმართებს დიაცის ულუფით სცხონდე,  
შიბ-ბროლის ღილით მოირთო მკერდი.

რომ მიწაც დუღდეს, რომ ზეცაც სჭექდეს,  
ქროდენ სიკვდილის ქარნიც მქისენი,  
ვაჟკაცს ღიმილი პირს უნდა შეგრჩეს,  
არ უნდა ჩურთო მხრებში კისერი.

ხოლო თუ ერთი, თუ ერთი სცოდე,  
თუ შეგეფერთხა დიაცებრ გული,  
სხვა ვერა გრძნობას - ველარა ჰგრძნობდე,  
ხარ ისე, როგორც ნარქენი ფური.

\*

ფილოსოფიურ ტრაქტატებში იტყვის მავანი:  
ამოსული მზე, იგივეა მზე ჩამავალი...  
არ წაუკითხავს ტოლხას ერთიც როდესმე წიგნი,  
ქალღმერთი წეკო რომ ეხვევა, კი იცის იგი  
და იტყვის ტოლხა (სისტემის და სტილის გარეშე),  
სიცოცხლის დღესთან სიკვდილის დღეც იანგარიშე!..

\*

ტოლხამ თქვა, ასე ვიცანი,  
საწუთრო, სამზეობელი,  
ერთისთვის - გრძელი კვნესაა,  
სხვისთვის - წამწამის მსწრობელი,  
კაცს არ შეშვენის ტირილი  
და ლხინში სმა უმღერელი.  
თავისას იზამს სოფელი  
და ბედის წერამწერელი.  
გააერთფერებს დღეღამეს,  
ცისა და ქვეყნის მპყრობელი.  
ასეა, ასე ვიცანი,  
სამზეო, საწუთრობელი.

\*

შური წააქცევს საწუთროს სვეტებს,  
(არაყს ვსვამთ, ტოლხა განაგრძობს სიტყვას),  
მე ხარის ძარღვით კიდეც რომ მცემდნენ,  
ტაჯგანალებიც თუ გინდა მირტყან,  
მთქმელი ვარ, შური დაარღვევს სოფელს,  
შური უწმინდესს წაბილწავს საყდარს.  
იგია, კაცს რომ ბრძენს აქცევს ცოფად  
და ჰგავს სატევარს გულ-ღვიძლში ჩამტყდარს.  
ქვა უმძიმესი არაა შურის,  
წყალი მღვრიე და გონება ბილწი  
და მე რომ კარგად დამიგდონ ყური,  
ვურჩევდი, ვინაც ამ ცეცხლზე იწვის,  
თუ კაცი უნდა ერიდოს რამეს,  
(თუკი აქვს ტვინი და ჭკუა უჭრის).  
შურს, უპირველეს გონების მჭამელს  
ერიდოს უნდა, ვით ჭიაბუჭყის  
ან მიწლიკვანის უბეში ჩასმას.  
მთქმელი ვარ( თუნდაც მახვილით მცემდნენ,  
თუნდაც ამიღონ და ძელოზე გამსვან)  
შური წააქცევს საწუთროს სვეტებს.

\*

ტოლხამ თქვა, ვერ განათდება,  
არე ვარსკვლავთა ჯარით,  
სუყველაფერი ნათლდება,  
მნათობითა და მთვარით.

ქვეყანა ვერ აშენდება,  
თამაშითა და ფრენით,  
სუყველაფერი მშვენდება:  
სისხლით, ოფლით და თმენით.

დღე მზის სხივებით ნაზდება,  
ღამე ნიავი დაჰქრის.  
სუყველაფერი ფასდება,  
საქმით და მხოლოდ საქმით.

\*

ტოლხამ თქვა შეთეკაურმა,  
ხმაღს არ შევიბამ სხვისასა,  
მოყვასის მტრობას არ ვიზამ,  
პირს არ ვაკოცებ მტრისასა.

ვეფხვის გზას ვეფხვურ გავივლი,  
მგლურად გავივლი მგლისასა.  
სხვას ვინ რას გვკითხავს ქვეყნისას,  
ვინ გვარჩევიანებს ვისასა.

სჯობს თითო ჩავახრიალოთ,  
მწვადიც ავხლიჩოთ ბერხენის,  
თორემ ერთფერად, ერთი გზით,  
გლეხნიც მიდიან, მეფენიც.

როცაა, იქითკენაა  
ჩვენი ნაგაზიც მყეფელი,  
სანამ ვართ უნდა დავკრიფოთ,  
ჩვენს წილად დასაკრეფელი.

ტოლხა ვარ, შეთეკაური,  
პურის მადღსა და მზისასა,  
ვეფხვის გზას ვეფხვურ გავივლი,  
მგლურად გავივლი მგლისასა.

\*

ბევრი ბევრი და მერეხის ყლუპი,  
მოუხვრეპიათ მთებზე სამუმებს,  
ჩვენ ყელზე ნისლის გვაბია ყულფი,  
ისე მივმართავთ ტოლხას მამულებს.

მგლის ტოტზე ბრუნავს ბაბრი ბერხენი,  
ხონისჭალაში სწორია მეფის,  
შემირცხვენია მასთან მეფენიც,  
არაერთია ტოლხასთან ბლეფი.

და იტყვის ტოლხა: ყანას თუ სეტყვავს,  
სეტყვის კი არა, საქმეა ღრუბლის,  
თუ ადგა ვინმე და ყბაში გხეთქა,  
ის შვრება, შიგნით რომაა შუბლის.

არ დააბრალო: ხელს საქმე ხელის,  
პირს - ჭამა პურის, სიმთვრალე - არაყს,  
ტვინია საქმის ყოველის მქმნელი,  
გაიხეთქ თავს თუ გადახვალ მალაყს.

ქვეყანა ასე მოაწყო ვინცა,  
სიმი მუხთალი შერია სიმებს  
და ტვინს კი ნიჭი ბოროტიც მისცა,  
იგია, თუა საზვეპი ვინმე.

ბევრი ბევრი და - ქოჩორი ბრძამის,  
გადაივარცხნეს მთებმა სამუმით.  
კაცისთვის ( ტოლხა ამგვარად ბრძანებს),  
არაა ღმერთი, გარდა მამულის.

ტოლხა ხარლადი და მთაა მთასთან,  
ხონისჭალაში სწორია მეფის.  
შემირცხვენია მეფენიც მასთან,  
არაერთია ტოლხასთან ბლეფი.

\*

ტოლხამ თქვა, ცოდვა იგია,  
ნისლივით ფიქრის ამყრელი,  
ვისაც გულზე, ვით რიგია,  
არა ჰყავს მიწის დამყრელი.

თორემ კაცი რომ მოკვდება,  
მანდ გასაკვირი რა არი,  
ან რომ სიცოცხლე მოკვდება,  
გადასარევი რა არი.

ვინაც მოვიდა კიდევაც,  
უნდა წავიდეს, წესია.  
ინათებს, მერე ბინდდება,  
წუთისოფელი ესეა.

\*

ტოლხამ თქვა, ქალი, მე თუ მკითხავ,  
მე რომ მაგათი ამბავი ვიცი,  
ბევრი ბევრი და, მართალი გითხრა,  
რომ არ დავიწყო ვიცი და მტკიცი,

ქალი ერთგვარი არის ულუფა,  
ღვთის ბოძებული ქვეყნად კაცთათვის.  
რალა თქმა უნდა, პირად სჯობს ტურფა  
და მწიფე, როგორც ყანა მკათათვის.

მხურვალე ვით რო, შუადღის ხვატი,  
ლადი, უხვი და დაუცხრომელი,  
ამანთებელი კოცონად ხვადის  
და მერე ცეცხლის ცეცხლით მქრობელი.

აი, უფალმა კაცს სახით ქალის,  
რისთვის უბოძა ულუფა - მწველი...  
ვერ დაისვენებს გული და თვალი,  
თუნდაც ათასი იცოცხლო წელი.

\*\*\*

ტოლხამ თქვა კაცის თუ გინდა ძმობა,  
ძმობისთვის ღონეც შეგწევდეს უნდა,  
შური არ უნდა შერიო გრძნობას  
და არც სხვის დიაცს შეხედო მრუდად.

ერიდო უნდა ლაპარკს ზედმეტს,  
თქმას მით უმეტეს ტყუილი სიტყვის  
და არც გოლეულს არ უნდა ზელდე  
ერთისთვის,  
ხოლო სამსალას სხვისთვის.

უნდა გაუგო სიხარულს სხვისას,  
იგრძნო ტკივილად ტკივილი სხვისი.  
თუ შეხვალ, თუნდაც პალატსა მტრისას,  
ძმა უნდა იყო შესვლიდან მისი.

აი, ამგვარი გრძნობით და ცნობით,  
ამგვარი ღონით თუ გიმგერს გული,  
იქნები მუდამ მდიდარი ძმობით,  
მაგრამ სიმდიდრის რა გითხრა პურით.

ხოლო, თუ საზღვარს ყოველგვარს გავცდით,  
(აქ ელიმება ცბიერად ტოლხას),  
დახარბებული ჭამადზე კაცი,  
არა კაცია, არამედ ძროხა.

\*\*\*

ტოლხამ თქვა შეთეკაურმა,  
იგიც, სირი რო სირია,  
თავისას უსტვენს ფეხებზე  
სხვისი ჰკიდია სტვირია.

კაცი მინახავს თითქოსდა,  
კაცური სახე-პირისა,  
მაგრამ რად გინდა ყოფილა,  
არ ნათალი სირისა...

\*\*\*

ტოლხამ თქვა არავითარი,  
ქალს ჭკვა არ მოეთხოვება,  
მაგრამ უქალოდ ბინდი და  
ბინდისფერია ცხოვრება.

საწუთროს წესი ასეა,  
კაცმა უნდა თქვას ნამდვილი,  
პური და ქალი თუ გშივა,  
მხეცი ხარ, ველის ნადირი.

არ მოხერხდება ამ ორი,  
ამბის გარეშე ცხოვრება,  
თორემ სხვა არავითარი,  
ქალს ჭკვა არ მოეთხოვება.



\*\*\*

ტოლხამ თქვა, ერთი ქართული  
არდოტის ქვაზეც წერია,  
ენაყბედი და ორპირი,  
კაცი თავისი მტერია.

ვერც რო სალაროს დაიდებს,  
ვერც უნჯებს მოინაპირებს,  
მოყვასის გულსაც წააგებს,  
ვერც სხვისას მოინადირებს.

ვერც ამხანაგში გამოვა,  
სწორშიც არ დაედგომება,  
არც გულს არავინ უჩვენებს,  
დაებინდება გონება.

\*\*\*

ტოლხა იყო მონადირე,  
როცა მონადირეობდნენ,  
ტოლხა იყო მონაპირე,  
როც მონაპირეობდნენ.

როცა ხნავდნენ, როცა მკიდნენ,  
როცა თივას თიბავდნენ,  
როცა მთების მაღალ კიდეც,  
მზის ალებით იბანდნენ.

ჰოდა, ყანა რომ იხვნოდა  
და რომ მონამკალობდა,  
ტოლხა იყო, ტოლხა მკიდა,  
ტოლხა მონამკალობდა.

სადაც მთვარე მთვარეობდა  
და მზე სადაც მზეობდა,  
იქაც ტოლხა ტოლხაობდა,  
ტოლხა ზედაზეობდა.

სადაც სიტყვა ქვირითობდა,  
სადაც სიტყვა ფასობდა,  
ტოლხა ნაღდად ჯირითობდა,  
მოხმალ-მოკალმასობდა.

საქართველო ქართველობდა,  
ყანა მოთაველობდა.  
ტოლხა იყო, ტოლხა ქროდა,  
ტოლხა მომთაველობდა

და როს მონადირეობდნენ,  
ტოლხა მონადირობდა  
და როს მონაპირეობდნენ,  
ტოლხა მონაპირობდა.

\*\*\*

მელსკამზე ვსხედვართ:  
ტაბლა გვიდგას ( რტო გვიდევს დაფნის),  
პური და მწვადი,  
სხვა არ გვინდა ფიცი და მტკიცი.  
არაყს ვსვამთ მწარეს;  
ტოლხას სწვეთავს ზაგეთგან თაფლი,  
სიტყვა უმეტეს  
პურ- ღვინოზეც რომ ფასობს, იცის.  
ვაჟკაცად - ვეფხვი,  
ენად - მჭევრი, მასპინძლად - მეფე,  
ამბების მთქმელი,  
მონადირე  
და არყის მსმელი,  
ბუბუნებს ტოლხა...  
მწვადს მივირთმევთ, ვიქექავთ კეფას,  
არაყს ვხვრეპთ, ვატანთ  
ხემსს არაყზე, ამბების ძველის.  
ვიგონებთ მეფეს,  
ერეკლეა ეგ მეფე - კახი,  
ვიგონებთ ვაჟკაცს,  
მაგანია ეგ ვაჟი - თორღვა  
და სხვაც იმდენი  
მოყმეა და გმირია ხალხი,  
რამდენიც ალბათ  
ხონისჭალას ქვაა და ღორღი...  
არაყს ვსვამთ მწარეს,  
მე ტოლხასთან სად მოვალ სმაში,  
მაგრამ ვინ გტოვებს  
უსმელად და ვინ დაგსვამს მდუმრად  
და ვარ პირველი  
არყის სმაში  
და ამბის თქმაში,  
მასწავლებელი ვარ სოფლის და  
ვითვლები სტუმრად...

\*\*\*

სანამ ქართულად ვყიჟინებთ  
ბეჭეოსა და ეჭესა,  
ტოლხამ თქვა, შეთეკაურმა,  
მტერი ვერ მოგვჭამს ფეხებსა...

\*\*\*

ტოლხამ თქვა ,შეთეკაურმა,  
ქვეყანა მივგალ-მოვგალე,  
მომძეში მტერი კი ვნახე,  
მტერში ვერ ვნახე მოყვარე.  
დრო ჩოხასვით გაცვკითე,  
ამ სოფლის წესი ვიცანი,  
ვეფხვი რომ მოინადირებს,  
ვერ შეიპყრობენ ციცანი,  
ქალს არ შაემბის ფრანგული,  
მადლმა ღმერთის და მადლა ცის,  
მხდალი ვერ გამამაცდების,  
არ დადედლდების მამაცი.  
ქვეყანა მიდგებ-მოდგება,  
ხედავ, უგზოზე გზა არი,  
სამშობლო თუ არ იქნება,  
კაცის სიცოცხლე რა არი...

\*\*\*

გარეთ ქარი ქრის და ბარდნის თოვლი;  
მაქვს გაკვეთილი ქართული ენის,  
ვასწავლი ბალღებს: ანბანთა შორის  
უძველესია ანბანი ჩვენი.

წიგნს მივადევნოთ მშობლიურს თვალი,  
თუ ვართ ამ წიგნით ვართ და ანბანით,  
მას არაერთხელ ეკიდა ალი,  
არის ქართველის სისხლში ნაბანი...

ხონისჭალაში ფანტელი ბარდნის,  
გათეთრდა მიწა ,გამღა ფანტელით,  
სხვაც რომ არ იყოს მარტო ის რად ღირს,  
მერხზე ათიოდ მიზის ქართველი

და მეთერთმეტე შემოდის ტოლხა,  
სალამს ბალღივით ამბობს და ჯდება,  
- მასწავლებელო, თოვლი თოვს ოხრად,  
ღმერთისმამ, დიდი ზამთარი დგება...

დადგეს, შეშა გვაქვს, ღუმელიც აგერ  
კიდევ ქართული წიგნი ანბანის,  
ბალღები ახტნენ, ბალღები ადგნენ:  
- მასწ, ქართველების სისხლით ნაბანი...

\*\*\*

ტოლხამ თქვა, ტოლხა შეთეკაურმა,  
( ეპიკურელი ტოლხაა, დიდი),  
ვერცა მტერობამ და ვერცა შურმა,  
ვერ დაგირღვიოს ცხოვრება მშვიდი.  
ქვა რასაც, კაცის აიტანს გულიც,  
ცა რასაც ხედავს, იხილავს თვალი,  
მაგრამ მშიერს თუ არა გაქვს პური,  
ქალი თუ გინდა და არ გყავს ქალი,  
აი, ამბავი ეს არის ძნელი:  
თანაზრად უჭირს გლახაკს და მეფეს,  
თუ უცებ სტაცა გრძნობებმა ხელი.  
თორემ სხვა...ვითომც ძაღლები ყეფენ.

\*\*\*

ვუსხედვართ ტაბლას: ჯიხვის ბარკალი  
გვიდევს და არყის გვიდგას „ჩეთვერი“,  
ვჯიჯგნეთ ხორცი და ვხვრიპეთ არაყი,  
თქვა მერე ტოლხამ, როცა შევთვერით.  
- მე სამი ვიცი ვაჟკაცის საქმე:  
ქალი, არ უნდა ჟიჟინი ამას.  
ცხენი, ასეა ეს იმას აქეთ,  
რაც მოვსხლტით ძუძუს და ფაფის ჭამას.  
ხოლო მესამე (გაწიწკნა მწვადი),  
სიმამაცა! - თქვა ტოლხამ ეშხზე...  
ხონისჭალაში ფანტელი ბარდნის,  
ეგ მე და ტოლხას გვკიდია ფეხზე...

\*\*\*

ვთქვათ, ეს რომ მოხდება,  
სიკვდილი მოხტება  
და ტოლხა მოკვდება.  
ვინღა ინადიმებს, ვინღა ინადირებს?  
ვინ მოკლავს, ტოლხა რომ მოკლავდა?  
ვინ მოხნავს, ტოლხა რომ მოხნავდა?  
ეს როცა იქნება,  
ცრემლი დაიქცევა  
და ზარი ითქმება.  
ფიქრს ვინღა იფიქრებს,  
ტოლხა რომ ფიქრობდა?!  
ან სიტყვას ვინ იტყვის,  
ტოლხა რომ იტყოდა?!  
სიკვდილი დედაკაცს მრუმს ჰგავსო,  
ვინ იტყვის,  
მამრი და ვაჟკაცი უყვარსო,  
ვინ იტყვის.  
თორღვა და შამილი ძმები ყოფილანო,  
ვინ იტყვის,  
მეფური თესლით შობილანო,  
ვინ იტყვის...  
ეს როცა მოხდება,  
სიკვდილი მოხტება  
და ტოლხა მოკვდება,  
ვერავინ იფიქრებს,  
ტოლხა რომ ფიქრობდა,  
ვერ იტყვის, ტოლხა რომ იტყოდა,  
ვერცა ინადიმებს,  
ვერცა ინადირებს,  
ვერ მოკლავს, ტოლხა რომ მოკლავდა.  
ვერ მოხნავს, ტოლხა რომ მოხნავდა...  
ვაი, რომ იქნება  
და ზარი ითქმება...  
ვაი, რომ მოხდება  
და ტოლხა მოკვდება...

\*\*\*

ტოლხა ვარ, შეთევკაური,  
ამას ჟიჟინი არ უნდა,  
ჩავხუხავთ წინწარაქალის  
არაყებს, მე და ალუდა.  
ტოლხამ თქვა, - მე კი ჩავწერე,  
მერე თქვა ესე ამბავი:  
ცხოვრება გარღვეულია,  
ოთხივ მხრივ გასალამბავი,  
არც პირი უჩანს, მე და შენ,  
არცა ვართ მაგის მწურთნელი,  
რომელი მე ვარ ძაგანი,  
ანდა შენ -შოთა რუსთველი.  
საქმეს ლექსის და ფარ-ხმალის,  
პირი უკულმა ვუყოთა.  
ეს ჯიხვის ბეჭი გავხლიჩოთ,  
ეს არაყები ვხუხოთა.  
მერე ცხენებიც მოგვგვარონ,  
მიწა ჩაგვაცვან ხალათად,  
წაგვიყვანენ და წავიდეთ,  
შევსხდეთ ლალად და ხალვათად.



\*\*\*

ვაჟკაცს ეს საქმე ნამდვილად მართებს,  
ვინც მართლა ნაღდი არის ვაჟკაცი:  
ჰგავდეს, პირველად ყოვლისა, ქართველს,  
იყოს ხმალი და არა ქარქაში...  
ვაჟკაცი წყნარი სჯობია, უთქვამთ,  
ჩაღად არ ღირსო, უთქვამთ -მკვებხარი...  
ვაჟკაცი თუა, ისეთი უნდა  
თორღვა რომ იყო, ბაბრი მჭებხარი.  
ტოლხას საზომი აქვს ერთადერთი  
და ამით ზომავს ქვეყანას მკაცრად...  
ყველა ქართველი ( რჯული და ღმერთი),  
მაინცდამაინც უნდა ვაჟკაცად...

\*\*\*

ტოლხამ თქვა, რამე თუ ვიცი სოფლის,  
ეს სამი საქმე შეშვენის მოყმეს:  
უნდა იწუროს ქვეყნისთვის ოფლი,  
იცოცხლოს მისთვის და მისთვის მოკვდეს.  
სამითაც კაცი გახდება მძორი:  
ერთი,  
მაშვრალი სხვათათვის ომით.  
მეორე,  
მელისნაირად მძრომი.  
მესამე,  
ძმათა წინააღმდეგომი.

\*\*\*

სმაა, თასების მიმოწოდება,  
მიმოფრინავენ, ზმები, ლექსები...  
მე მომაკვდავი დღე მეცოდება -  
საბოლოო დღე, შენი წესების.  
ამოდის მთვარე თეთრ მოსასხამში,  
ხევზე მდინარის გარბის ხმაური  
და დაჟანგული, მხოლოდ შენს ხმაში,  
ყრია აბჯარი და სამკაული.  
სუფრაა, ზმის და ტყორცნა თასების,  
ლექსების ჯერაც ლაღი მიმოსვლა  
და მაინც ლანდებს ებაასები,  
თითქოს პერანგის ნახევს იმოსავ.  
თვალეებში ცეცხლი ნელდება, ცხრება,  
ჰა და ჰა, პირში ძლივს გიდგას სული  
და გრძნობ, შენი ცა ძირს ენარცხება,  
ხარ დანგრეული და გამარცვული.  
ძალით გიჭირავს მთვარე პირთეთრი,  
ხმას ძალით იღებ ზმებად, ლექსებად.  
და თვრები, როცა ვეღარ ინთები,  
მღერიხარ, როცა მოგეკვნესება.  
ყრია აბჯარი და სამკაული,  
თვალეების მწველი ცეცხლი ბინდდება  
და გაგიმართავს დღესასწაული,  
ალი გსურს...მაგრამ არ გეკიდება.  
სუფრაა, თითქოს ზმების, ლექსების  
და თასის ლაღად მიმოწოდების,  
მაგრამ აღარ კრთის ცეცხლის ფესვები  
და ვტირი, ისე შემეცოდები.  
მოაქანავებს  
ჯეჯილის მთებს ნიავი ბნელში,  
აჰა, ესერა დაღამულა  
შენი საწუთრო...

## ქარსაოტ ჭორმეშიონის შეგონებანი

### პროლოგი

დინ რიდი მღერის და ალა მღერის  
და ჩანს ფანჯრიდან: სერს მისდევს სერი,  
მზე დგას, დაგრძელდა ცხენ-კაცის ჩრდილი,  
პირდაპირ სერზე ალაჯებს სერით.  
აი ნაბიჯი მესმის...ნაბიჯის  
ამნაირისთვის ღირს სერზე ასვლა.  
როგორ მომწყურდა ახლა „სულიკო“  
და საქართველოს მთა-ბარში წასვლა.  
დინ რიდი მღერის და ალა მღერის,  
გადაიარა მხედარმა სერი...

### ტექსტი

გამძალტყავებული ასკეტის სახით,  
იჯდა ქარსაოტ ჭორმეშიონი  
და ტაბლაზე თავშესაქცევად,  
არყით სავსე ედგა ტარკოში,  
სხვა არარაით სვამდა არაყს, ქარსაოტ ხმელი  
და მაღალი ჭაბუკი ტანად.  
მეინახენი  
კიტრის მწნილს, ხინკალს და ყაურმას სვრემდნენ.  
და თქვა ქარსაოტ:  
-მუცელი დაბლა მიტომაა,  
რო იგი თავზე არ ჩამოვიცვათ,  
არ ვიქცეთ იმად...(ღორს გულისხმობდა,  
მაგრამ აღარ თქვა ზრდილობის გამო).  
კაცს ქალთან წოლა, არყის სმა  
და ცხენზე ჯდომა უნდა შეეძლოს.

ესაა ნაღდი კაცური საქმე  
 და ამ საქმეს ვერ იქმენ სამნი:  
 ვერ დაწვებიან ქალთან უკისაონი,  
 დედაჭუანი ვერ სმენ არაყს  
 და ულაყზე კი გულსუსტები უფრთხიან ჯდომას.  
 ვთქვი ეს ქარსაოტ ჭორმეშიონმა:  
 მემთვრალენო და უხამურნო,  
 მექალთანენო, მჭამელნო და მსმელნო ვაგლახად.  
 ვთქვი და ისმენდეთ:  
 რადგან არ ვიცით კაცს გულში რა აქვს,  
 კაცს ვაფასებთ ნამოქმედარით.  
 ერთხელ ბათურათ მინდია ადგა,  
 დაავლო ხელი  
 ფუტკრებით შავად დახუნძლულ ფიჭას  
 და დაღეჭა ფუტკრებიანად.  
 ეს ამბავი ქორწილში მოხდა  
 და ძლიერ შეშინდა ქორწილის ხალხი,  
 ზოგიერთები სუფრიდანაც კი გაიპარნენ...  
 (დასცალა წვეთად ქარსაოტმა ტარკოში  
 და მოტეხა პურს ლუკმა მცირე).  
 თქვენ როგორ ფიქრობთ,  
 განა ხალხის ჭამასაც დაიწყებდა  
 ფუტკრის მჭამელი,  
 მაგრამ ხალხის აზრით,  
 საშიშია უქნელის მქნელი  
 და უარესის ქნა შეუძლია.  
 ხალხს ცოტა ჰყოფნის  
 და ჩვენც უგონოდ  
 თუ ავყვებით გულისთქმას პირველს,  
 შეიძლება მამაცი მხდალად მოგვეჩვენოს,  
 მამაცად - მხდალი,  
 ბრძენი - რეგვენად და ბრძნად - რეგვენი.  
 ნუ იყვირებთ: „ჯვარს აცვი ეგე!“  
 და ნურც „ვაშას“, განუკითხავად.  
 ვთქვი ეს ქარსაოტ ჭორმეშიონმა.

ჰამად ცოცხლებო!  
სახედრის მძორზე თავმოყრილი ტურებივით  
რომ შემომცქერით:  
არ იცით განა, ისკორტაზე რა გიკიდიათ,  
თორ-სამკლავის და ფრანგულის ნაცვლად,  
ფართლის პერანგი და ნეილონის საწმერთული  
და მაინც კიდევ  
ის, იქ გინდათ და სული სამოთხეში.  
კი, როგორ არა, - გამოგიწერთ ახლა სამოთხეს,  
ცხოველმზადების  
კანტორაში რომ წერენ ქვითრებს,  
აი, იმგვარად.  
მუქთად მჰამლებო,  
სათითისხელა „სტაქნებით“ მსმელნო,  
მენაღბენო და ჩუმჩუმად მექალთანენო.  
თავის მაგიერ მიწის ვაშლა გაბიათ მხრებზე.  
(მესამე ტარკოშს სცლიდა ქარსაოტ  
და ზრდილობაზეც ნაკლებ ფიქრობდა).  
თქვენ ცხოვრება ლაგის დიფჩა ხომ არ გგონიათ,  
გაღვეროთ და ისე მიირთვათ.  
არაა ეგრე, თქვე საწყლებო,  
თორემ რა ჰირდა, ეგრე რომ იყოს.  
ყველა ხილი ყველასთვის არ მწიფს,  
ასეთია ცხოვრების წესი.  
ვთქვი ეს ქარსაოტ ჰორმეშიონმა.  
თქვენ კი ისეთი ბეჩავეები ხართ,  
რომ შეგიძლიათ:  
რეგვენს სირეგვენე მოუწონოთ,  
მოლიმარს - ღიმი,  
მოუბარს - სიტყვა,  
მეძავს - სიძვა  
და ერთი სიტყვით, კანდალკაცასავით იქნით თავი.  
თქვე დღედაღამ მძინრებო და შიშიბელეუბო,  
თქვენ რა კაცნი ხართ.  
(მეოთხე ტარკოშს სცლიდა ქარსაოტ

და ოთხსართულიანებს ამბობდა უკვე).  
მე ქარსაოტ ჭორმეშიონი,  
გუდანისჯვარის მეზობელი  
და ნათლული მისი ხუცესის,  
გეუბნებით, რომ თქვენ მხდლები ხართ,  
არ დამაღვეროთ ყურებზე შუპყა.  
მე ვწვები ქალთან,  
არაყს ვსვამ ტარკოშით  
და გაუხედნელ ულაყზე ვჯდები.  
მე სიცილი მწუხარებისას,  
სიკვდილთან თამაში  
და სიკვდილის წინ გაღიმება შემიძლია,  
თქვენ მე სიტყვას ვერ შემომიქცევთ.  
მე ვარ ქარსაოტ ჭორმეშიონი.  
თქვენ კი, საწყლებო, ისიც არ იცით,  
რომ არის ერთი განსხვავება ქალს და ძაღლს შორის:  
სხვისი ქალი სხვასაც უწვება,  
სხვისი ძაღლი კი სხვის ეზო-კარს არ უდარაჯებს.

სხვის გამომცხვარ პურს კი ჭამთ, მაგრამ  
სხვისი ყანა თქვენთვის არ მოიმკება,  
არც სხვისი ხორბალი  
ჩაიყრება თქვენს ბელელში,  
არც სხვისი პირით თქვენი სიმღერა არ იმღერება  
და სხვისი ენით არ ითქმება თქვენი სიტყვები.  
ცას ვკიდევართ ბეწვით, საწყლებო  
და ერთხელაც გაწყდება ბეწვი,  
(მა, რა მოუვა - ჩვენ რომ ვკიდევართ).  
გაწყდება ბეწვი  
და ისე წახვალთ, თქვე ბეჩავებო,  
რომ ერთხელაც ვერ წამოწვებით სოფლის შარაზე,  
ცხენის ფლოქვებით ახელილ ლაფში  
და ვერ წაიცხებთ მიწას გულ-მკერდზე.  
რა ბედენაა მოსვლა და წასვლა,  
თუკი არ იცით, რომ არსებობს

განსხვავება ძაღლს და კაცს შორის:  
ძაღლი თუ კოჭლობს - ძაღლს სტკივა ფეხი,  
კაცი თუ კოჭლობს შეიძლება თავს იკატუნებს.  
განსხვავება ქალს და კაცს შორის:  
ქალი თუ სტირის - წვიმაა მხოლოდ,  
კაცი თუ სტირის - მეხთა ტეხაა.  
სადიაცენო,  
„სტაქნით“ მსმელნო და ჭამაზე მტირალნო,  
არ დამიფრთხოთ ახლა ჯორიკა.  
მე ქარსაოტ ჭორმეშიონი,  
როგორც სახლში ისე შევდივარ დათვის ბუნაგში,  
ფეხშიშველი ღადარზე ვდგები  
და ხელით ვიჭერ გასროლილ ტყვიას.  
მე შემძლია შუა ზამთარში ყინულიანი  
გადვივლო წყალი,  
ხმაღს შევუშვირო სახე მშვიდად  
და ვთქვა უარი ქალის ალერსზე.  
თქვენ კი რა, მხდლებო,  
მძაღე ყაურმის და დამპალი მწნილის მჭამლებო,  
ისიც არ იცით, რომ არაა კაცი მართალი,  
თვინიერ მთვრალის  
და გულწრფელი - თვინიერ ბრიყვის.  
ერთფერია დიაცი ყველა,  
მაგრამ ღრუბელი სხვადასხვაა მეხის და წვიმის.  
კანონიერი შვილი არის ცხენისთვის კვიცი,  
ხოლო თუ ჯორი ცხენს გაუჩნდა,  
მაშინ ჭაკმა იმრუშა ვირთან.  
მე თავის სახელს ვარქმევ ყველაფერს.  
თქვენ რომ გგონიათ  
ცხოვრება არის დამინება-გამოღვიძება,  
მე ეგრე არ ვარ,  
ვიცი, როდის მივირთვა თაფლი,  
როდის ავმხედრდე  
ჯორზე და როდის  
ავირჩიო ვირით ჩინდრიკი.

იცით, ვინ ფიქრობს სეტყვაზე მუდამ?  
 ვისი ყანაც არ დასეტყვილა.  
 დიაცზე, ვისაც არ ჰყავს დიაცი.  
 ვის აწუხებს მამულზე დარდი?  
 ვინც იცის, რომ არ აქვს მამული,  
 ან ვინც ხედავს, რომ ჰკარგავს მამულს,  
 ვის ეშინია?  
 ყანის, ქალის და მამულის პატრონს.  
 ვთქვი ეს - ქარსაოტ ჭორმეშიონმა:  
 უყანონო,  
 უდიაცონო, უმამულონო,  
 ნეტავი როდის,  
 როდის მოიშლით ჭამაზე ტირილს.  
 კაცს სიცილი მწუხარებისას,  
 სიკვდილთან თამაში  
 და სიკვდილის წინ  
 გაღიმება უნდა შეეძლოს.  
 სულგრძელობა და სიმტკიცე მტრებთან,  
 ქალთან - რაინდობა,  
 უშურველობა მეგობრებთან და გულწრფელობა.  
 სმაში -სმა ნაღდი,  
 ომში - ომი სამაგალითო,  
 და ჭამაში - ზომიერება.  
 ვთქვი ეს ქარსაოტ ჭორმეშიონმა,  
 ვთქვი და ისმენდეთ.  
 ცოდვაა:  
 მტრობა ბეჩავთან და მეძავთან წოლა,  
 ფხიზელის მღერა,  
 არყის დაღვრა და მხდალთან შუღლი.  
 ჩამოხსენით თქვენს ისკორტას ფართლის პერანგი  
 და ნეილონის საწმერთული ფერად-ფერადი.  
 სამბურ-გირკალი არ შემაბათ ახლა ტაბიკზე,  
 ჭამად ცოცხლებო  
 და სხვის დაკრულზე მოთამაშენო.  
 ვთქვი ეს ქარსაოტ ჭორმეშიონმა,



არყის მსმელმა  
არა „სტაქნით“, არამედ ტარკოშით.  
(ქარსაოტმა დასცალა ტარკოში  
შვიდჯერ და აივსო მერვედ).  
გულს გაუჯავრდით,  
თორემ ჭაობმა იცის გულში გაჩენა.  
ჭაობი კი გველ-ბაყაყის  
და ათასნაირი მამამაღლობის ბუდეა.  
სიცოცხლე კარგი იმითაა ცოცხლები რომ ვართ,  
გულში სიყვარული გვიდულს და ცას ვკიდივართ  
ბეწვით, რომელიც უნდა გაწყდეს ერთხელ უცილოდ.  
მხოლოდ მხდალები ყრიან იარაღს,  
მამაცი კვდება ფარ-ხმალით ხელში...

### ეპილოგი

კითხულობ ლექსებს,  
(პოეზიას კითხულობ ხალხურს),  
იგონებ დღეებს,  
ხალხს იგონებ მამულის მსახურს.  
აფუჭებს ამინდს ძაღლის ყეფა ენაზე ძაღლის,  
ჩანს ქუჩის ძუკნას მოეფხანა ვნებების ძარღვი.  
გახედავ გარეთ,  
წიგნს გადადებ და იკურთხები,  
ჯაჯღანებ, ღრინავ, იბოღმები და იფურთხები.  
უცხო ჯილაგის ყვითელ ძუკნას შეუსვამს ხვადი,  
მზე არ ჩანს... მაინც ყელში უჭერს ქვეყანას ხვატი.  
ქუჩაში მიდის მშვენიერი ასული ორი  
და საუბრობენ  
საქართველოს ენაზე მგონი.  
კითხულობს ვაჟას,  
ან წინდას ქსოვს პოეტის ცოლი...

## ბიორგი ჭოლიკაური

### სამშობლოსადმი

გიღალატე და გაწირე, გულით ძნელამოსადებო,  
ოზლებ ვართ უერცხვისოდა, “ვაის“ მემრ დასაძახებო,  
მე ბარი მედედინაცვლა, მე - შენ, შენ მე განაღვლებო,  
შენი მლოცველი მეკვლე ვარ, კარს კრძალვით შემოვადებო;  
ყრმობას ფეხშიშვლის ნათელო, სამშობლოს იალადებო,  
რად მხვდებით მოქუფრულები, გეუცხოვებით, ლადებო?!  
კბოდებო და კორდებო, ნაკადულ - ნაქამანდებო,  
წარმტაცო სიმაღლებო, საჯიხვეთ თავ-გუმბათებო,  
აკვნიდან წრიაპებამდე თვალშადგმით დასანახებო;  
ცის ბოდო, კიდევანაო, ღმერთების ნაქანდაკებო,  
იერზვიადო, მეხების სპირალით ნასვირანგებო,  
სინდიურავ და საჯარევ, ლურჯი ლაჟვარდის ჭაღებო,  
ტანმთელო მიცუს ციხეო, ზისვრის დულაბით ნაგებო,  
მსოფლიოს ციხეთ ლიდერო, მომხვდურთგან ვერანადებო!  
შულღწაუგებო შატილო, ბეგენგორივით საქებო,  
ქალუნდაურის ნამუსო, ძალიკას ნაჯანსაღებო,  
ბნელ ღამევ, ბაბურაულის დაშნაით ნაჩახჩახებო,  
შენ, ჩემო თემის კარიბჭევ, ცქიოტო ქავის თაღებო  
დავლათიანი გაგაის უტყუვრად ნაგუშაგებო,  
ქარჩათ ბუბაის დალალო, ჩაჩქანში ნატუსაღებო,  
ტკივნებავ - სულის წამლებო, კივლებავ - გულის ამკლებო,  
ნიას „კალდიმის“ წივლებავ - ლაშქრისად ოცის მამკლებო,  
მახვილ-ხმალ-მაჯა-მარჯვენო, ურჯულოს ყანად მამკლებო!

მელოდი, სულის სამყოფოვ, მართლადამც დამელოდები,  
შენს მკერდზემც ამოვბორცვდები,  
შენს ფერხთით გადავსწორდები,  
მამღერე შენი სიმაღლე, ხომ მაინც ლექსით მგონდები,  
მათქმიე, რომ ძველს გაუსწრებ, არამც თუ გაუსწორდები;  
მისალონე და გამხარჯე, მომანანიე ცოდვები,  
მოვედ და განაწილების შემდეგ ნელ-ნელა ვგროვდები...

გუნებაგამოცვლილები, პირქუშად დგანან გორ-მთები,  
ჭერმოხდილ ჭერხოთ ყორეებს ბუ დაჰქვითინებს, მგოდები;  
მოშლილა სათოფურები, მრავალგზის განაფოთები,  
აქით სიკვდილის პირითა იფურთხებოდნენ თოფები,  
ისმოდა ხეიბარ პაპის ჟრუანტლიანი ლოცვები...

სატკენი შედარებაა, საწყენი, გასაოცები -  
მაწმიდართ სამამაცოსა დაუბამთ ფერმის ძროხები,  
რიოშით შეძრწუნებული ამხდარა ანგელოზები,  
გადაფარულა შამბითა პატრონცოცხალი ქოხები,  
დამისმთეველთა მაღალბან არ წკრიალებენ დროშები,  
ყელს შესდნობიათ სამოსი - ქალწულთა ხელსახოცები,  
მეც ბრალიანთა რიცხვის ვარ, ვუმზერ და სულით ვღონდები.  
ვითამ რა საზღაურია? მიუწვდომ გავსაგონდები,  
ქვეყნად ჰყავდა კი? ან რაად აუხდა ავთ ნალოცები?!  
მტრისგან ძლეულს და დარბეულს  
ღგავ ნასოფლარი სოფლები!..  
მთიელი უმთოდ - უმშობლო, მთა - უშვილებო მშობლები,  
ასე ვართ, მთაო, მე და შენ უერთმანეთოდ ობლები.

## გაბრიელზე ფიქრობა

ორმოცი წლის წინ ვიცნობდი,  
ნასწავლს კაცს ჩვენი მხარისა,  
რა ხშირად იცის, ვიცოდი,  
ცისად შევლება თვალისა.  
სრუ ღგვანდა შორით მოსულსა,  
სრუ ახლის საუბარითა,  
რა მართალს თურმე მიკვირდა,  
მისი სიფხიზლე მთვრალისა;  
გულით ყურება იცოდა,  
დანახვა გულის თვალითა,  
აწონა გონებისგანა,  
მოხდაი გრძნობის ვალისა;  
თაოდ სხვის ალაგს დადგომა,  
მემრ წაყენება ბრალისა,  
უძლოურთან მორჩილებითა,  
მიმცემი გასაქანისა.  
ხალხის გენიით დაწერილს,  
წიგნს ღგავდა სამართალისა.  
ჰქონდა უბადლო უნარი,  
უბრალო შესახედავსა,  
იერკუშტი და მდუმარი,  
შორს გატყორცნილი ხედვადა.  
მიზანს მისნური გუმანით,  
სწვდებოდა, შუბლს გახლიჩავდა,  
ქედუღელს დანაშურალი,  
ოქროს გვირგვინზე მეტადა.  
მუზა მკვლელი და მკურნალი  
სულს მოხვეული ქერქადა.  
კარგსიტყვა, ლაღი სტუმარი,  
მასპინძლის მქცევი ღმერთადა.  
მწამებლურ გვემით მჭმუნვარი  
ენტო, იწვოდა, ღვენთავდა,  
პოეტი გაყრას მწყურვალი  
მელექსედა და ლექსადა;

ლექსი - ქმნილება სურვილით,  
მელექსე - შემოქმედადა!  
თურმე რა ცოტად ვიცნობდი,  
თან ყველა მცნობზე მეტადა!

\*\*\*

ამღავ, ოცნების ზიარო, მეღბინება თუ მიჭირს რა,  
სხვაგან რად უნდა ვიარო, თუ შენთან მოსვლა მიჭირსა?!  
ბუჩქო, მოგნატრდა ირგვლივ ვლა ფეხებშიშველი ბიჭისა?  
კბილნო, მოგნატრდათ დაღეჭვა სოჭის, მშობლიურ ფიჭვისა?  
ბარუქავ, გმირთა სამგალევ, ხომ არ განიცდით შიმშილსა?  
მოშურნეც იყავ, მლოცველიც გამარჯვებული ქისტისა!  
ჩუმ მკერდში რომ იხუტებდი მეხად დატეხილ სიკვდილსა.  
შენი ალალი შვილი ვარ, აგრემც თავს შემოგვევლები...  
რა ვქნა, რომ გადამიჟამდა ღორღუში ჟოლის მტევნები?!

## ტარიელ ხარხელაური

### არაგველებო! სამშობლო გემებო!

არაგველებო! სამშობლო გემებო!  
გემებო და შუბლი ფიქრმა შეთრთვილა,  
რად სდუმან მთები მამულის მკერდზე,  
უფლის ცრემლებად ჩამოკრეფილან...  
არაგველებო!  
მამული მტკივა,  
წამლად დამადეთ მამულის წყლულებს,  
მძიმე სენი სჭირს სამყაროს მთლიანს  
და ვერ ისვენებს მსოფლიო სული!  
არაგველებო!  
რად გვინდა სისხლი,  
თუ არ ბორგავს და შიშმა დანისლა,  
თუ არ იქნება სამშობლო ღირსი,  
რომ საქარველოდ იქცეს კრწანისთან.  
არაგველებო!  
მოვკივი ქარებს და  
მყუდროებას ვურღვევ სასულეთს,  
არაგველებო! გაშალეთ მთვარე და  
ჩემს სამშობლოს მხრებზე დაჰხურეთ.  
არაგველებო! სამშობლო მტკივა  
სამშობლო -  
უფლის მუხლთა სასვენი,  
არაგველებო!  
ამინთეთ დილა  
და ჩემი ქვეყნის ზეცა გახსენით.  
არაგველებო!  
მწუხრი წევს მყინვარს,  
გონებავ ერის, სიფრთხილე გამართებს,  
არაგველებო!  
სამშობლოს სტკივა,  
სამშობლო სტკივა ღვთისმშობლის სანთელს...

\*\*\*

მოდინ, დაღლილნი მოდინ,  
წყლისპირას ლოდებზე სხდებიან,  
იმათგან ცოცხალი ზოგია  
და უმრავლესობა მკვდრებია.  
არ ჰგავდნენ კრწანისის მეომართ,  
კრწანისის ლომები სხვებია.  
ჰკვენესიან, ნისლები ჰფარავენ,  
ბორგავენ ნისლიდან ჩნდებიან.  
ადიან, ცად იკრიფებიან,  
ცად ვარსკვლავებივით სხდებიან.  
ღიაა სულეთის კარები,  
მიდიან, მიდიან, ჰქრებიან,  
არ ჰგავდნენ კრწანისის მეომართ,  
კრწანისის ლომები სხვებია...  
რას დამდევთ, აჩრდილნო ღამისა,  
ამ მწუხრში დახვალთ და წანწალებთ,  
რად ბორგავთ, ვის რატომ ემდურით,  
ან ჩემზე რადა ხართ გამწყრალნი.  
ხომ გხატეთ, ვის როგორ შეგფერით,  
ვის როგორ, თავ-თავის სახელით,  
რას შვრებით, რამდენიც აგინთეთ,  
იმდენი ჩამიქრეთ სანთელი...  
სხვა ღონე, სხვა ძალა არა მაქვს,  
თქვენს სახეს მოვფინო ნათელი.  
ღიაა სულეთის კარები,  
მიდიან, მიდიან, ჰქრებიან...  
არ ჰგავდნენ კრწანისის მეომართ,  
კრწანისის ლომები სხვებია.

\*\*\*

თქვენი ქალაქი უცხოა ჩემთვის,  
დღეს ჩემი მზერა შეაშრა მყინვარს,  
ვარ ჩაბნეული ნისლივით მთებში  
და დანისლული არხოტი მტკივა.  
დღეს ჯავრი ჩემი არხოტის მფლეთავს,  
ვლეჩავ ღრუბლებს და საფლავებს ვუმცვრევ,  
მტკივა შატილზე დახრილი ზეცა  
და მუხლებამდე ჩაშლილი მუცო.  
სულში ლანდივით შემოდის მთვარე,  
შემაჟრჟოლებს და შემაკანკალებს,  
ვარ ქარაფებში მზორგავი ქარი,  
ანატორელთა სევდას ვატარებ.  
ცოცხლობს ეჭვი და ნიადაგ მკორტნის,  
ჯავრო, დღეს აღარ უნდა მეგლოვე,  
მზის ანაზარა დამრჩა არდოტი -  
მზის სწორფერი და თანამედროვე.  
უარვყოფ დროს და ვამბობ სამდურავს,  
თრთოლვას მამჩნევს და გული მიწყება,  
სამშობლო ჩემთვის, სადაც ცა ბრუნავს,  
იმ ჩამოდლილი მთებით იწყება  
და ზოგჯერ მაინც ვმასპინძლობ  
მთვარეს,  
რომ ღამეები ვათენო თეთრად,  
ო, ღმერთმა ნუ ქნას, ამ ლამაზ მხარეს,  
ნახევსურალი ოდესმე ერქვას.  
ვგმინავ და მზინდავს კლდეების ოხვრა  
და სისხლი სჟონავს სხეულს აბზარულს,  
ვაითუ, მექცეს მამული ოხრად  
ან მხოლოდ უცხო თესლთა სამგზავროდ.



## ალექსი ჭინჭარაულს

რა ცივი ქარი მიბერავს,  
ცა ოდნავ უნდა ავწიო.  
ჰბერდები, შენი სიბერე  
ვინ სთქვა -  
შატილის არწივო!  
ნებას ნუ მივცემთ  
ყვავ-ყორნებს  
სამშობლო დაგვინაწილონ...

## გაბურთ ქალებს

რა ხდება, გაბურთ ქალებო,  
რისთვის მეძახით ჯარზედა,  
სულ შიშში უნდა მამყოფოთ,  
მზერას მიშრობდეთ გზაზედა...  
სულ მარტოდმარტო მაჩქამოთ,  
ბერი არწივის ხმაზედა,  
რისთვის რა გამოიშალებთ,  
ჩემს ჩამობინდულ ცაზედა.  
ვერ გამიგია, რა გინდათ,  
რისთვის მაქეზებთ შარზედა,  
მეტწილად არეული ვარ,  
მეტწილად მწყრალი ჭკვაზედა,  
არცა მწადია ავიჭრა,  
თქვენის თვალების ფხაზედა...  
ჩამოგეწიოთ სერ-სერა,  
ნისლივით ჩამდგართ წყალზედა,  
ჩამოვისვენო თქვენს მხრებზე,  
როგორც ნიბლიამ ნარზედა.  
მერე გამშალოთ ცვარივით,  
კლდეებს ამასხათ ტანზედა,  
მაკმაროთ ჩემი ტკივილი,  
ცრემლად შეგაშრეთ თვალზედა.

\*\*\*

ტაძრის სიღრმეში დამუხვლილ ხევსურს,  
ზურგიდან მთვარის ნათელი ადგას,  
არც არასა ჰრძნობს, არც არა ესმის,  
სანთლის და უფლის ჩურჩულის გარდა.  
ჟამდაჟამ მაინც იხსნება ბაგე,  
შინაგან ფშვინვას გამოაქვს გმინვა  
და შავ კედლებზე დაფენილ ლანდებს,  
შეაქუჩებს და მიუძღვის წინა.  
გზას აღარ ირჩევს,  
გზა სულერთია,  
აღმა თუ დაღმა, იქით თუ აქეთ -  
სამყარო, რაშიც ვერ დაეტია,  
უმძიმეს ტვირთად დაჰკიდა სანთელს...

### **ჩემს ხევსურ ძმას ზაზუნა ალუდაურს**

დავყუდებულვარ კლდესავით,  
ქარი ნისლს მახვევს ტანზედა,  
ჩამდგარა ჩემი ნაგრილი,  
კუპრივით მქშინავ წყალზედა.  
არ ვფიქრობ აღარც ცოცხალზე,  
არც არას ვჯავრობ მკვდარზედა,  
განრისხებული შევყმუვლებ,  
ვარსკვლავთ გამოსულთ ცაზედა.  
მიმოსვლას შავი ლანდების,  
ძვლებით ჩახერგილ გზაზედა.  
მთებიდან აშლას ყორნების,  
ჩოჩქოლს სულეთის კარზედა,  
მპატრონობს ბერი არწივი,  
დამყევს გაზარულ ხმაზედა.  
ცის გულისპირზე გადმოსულს,  
მთვარეს მისვენებს მხარზედა,  
სულს ვგავარ მოხეტიალეს,  
შეშლილს, გადამცდარს ჭკვაზედა.

## გელა დაიაურს

\*\*\*

რას ჩადი, რასა, სამზეოვ,  
სულ მწუხრით უნდა მავლიო,  
ჩამომქნა სანთელივითა,  
ჩამომადნო და დამლიო.  
ვერ მოგიხერხე ვერარა,  
ვერ აგირიე კვალიო,  
რამდენჯერ დაგდე ნიშანი,  
იმდენჯერ დამასწარიო.  
ვერ ჩამომილხო მზის სხივმა,  
ცრემლით ნაჭირხლი თვალიო,  
ტკივილად მექცა, რაც ვჭამე  
შენს კეცზე გამომცხვარიო.  
ჰაი, დედას, დაიაურო,  
შენიც გაიმღვრა წყალიო,  
შენს მკერდზეც ჩამოიშალა,  
ჭარბად ცრემლების ღვარიო.  
გასულნი ღმერთმა გიცხონოს,  
მათ უფლის ჰბანდეთ ცვარიო.  
შენც უნდა ჰზიდო ტკივილი,  
მძიმედ საზიდი ჯვარიო,  
ჩაშრები სამეალის კართან,  
ზვაავივით ჩამომდნარიო.  
გასულზე არანაკლებად,  
შენა ხარ შესაბრალო.  
ბევრჯერ ჩამოზნექს ჭიუხებს,  
ჩამოტეხილი მხარიო,  
დღეიდან ჩვენი ცრემლების,  
ერთად იდინებს წყალიო,  
წარსდგები შენც იმ ქარაფზე,  
სადაც მე ვქრი და ვბღავიო,

ბევრჯერ დაგვიხეთქს ძარღვებსა,  
გულს ჩაქცეული ჯავრიო,  
გაძელი - გაუძლებელი,  
ამქვეყნად არცრა არიო,  
ნურავის მისცემ მიზეზსა,  
ვიდრე ხარ, შეგინანიონ.  
არ დამიდუმო ფანდური,  
ჟამდაჟამ ჩამოჰკარიო,  
მოგშივდეს, ამიჟღრიალე,  
როგორც ჯურხაის ფარიო.  
გამილალდება სიკვდილი  
ბუბუნს თუ შეწყვეტს ხარიო,  
ახლა გეძლევა უფლება,  
ჰრეკო საუფლო ზარიო.  
გაგტეხავს წუთისოფელი,  
თუ გამჩნევს - დაიძარიო,  
თუ დაგიხავსდა სხეული,  
სულს თუ გაუჩნდა ბზარიო.  
ცა მუდამ ასე იგრგვინებს,  
ვიდრე ჩვენი ჰყევს გვარიო,  
ვინც მიდის, არაფერი აქვთ,  
მათ ჩვენი შესაბრალიო.  
დასჭექე, როგორც გჩვევია,  
შეირყას მთა და ბარიო,  
არწივის ნაბილიკარზე,  
სულ უნდა ჰქროდეს ქარიო.

## ლადო ხარხელაურს

გუდანში ძალი ეყეფება  
მგზავრს ნაგვიანევს,  
ეზოში შესულს,  
ჩქამზე ეტყობა არაგვიანელს,  
ქერის ლუდმესმულს.  
შევიდა სახლში,  
მუხის კარი შეიჭრიალა,  
ემთხვია ბუხარს,  
შეყინული სისხლი განეთბო,  
შეჭვარტლულ კედელს  
მოატარა  
თვალნი ბრდღვიალა,  
საკურთხეველთან მიიკეცა,  
პირქვე განერთხო.  
თავთან დაიდო დაპოხილი  
დუმით ხანჯალი,  
ამოტრიალდა,  
თვალეზიდან ცრემლი  
მოხვეტა,  
მთას დაუბრუნდა ხარი  
ბარით ნაავადარი,  
ვაგლახ, რომ პაპის ჩამქრალ  
კერას  
გვიან მიჰხედა...

## შენც დაჰბერებულხარო, კაცო...

(მიხეილ ჭინჭარაულის ნათქვამი)

მიწია, ჭინჭარაულო,  
ყვითლად დაწვევრვამ მზისამა,  
ამოსვლამ ყოფნის ცაზედა,  
არყოფნის ყვავილისამა.  
ქარქაშში ჩაბრუნებამა,  
სისხლმოწყურებულ ხმლისამა,  
ჯავრის ხვრამ ლაგამივითა,  
ჩემის, შენის და სხვისამა.  
საფიხვნოს დაგვიანებამ,  
დროზე არასდროს მისვლამა,  
სისხლისფრად ჩადედებამა,  
ძარღვებში ცრემლებისამა.  
სულ უგზო-უკვლოდ წანწალმა,  
დევენამა ქარებისამა,  
ვერ ჩამქრალ - ჩანელებულმა,  
ჯავრმა ცოცხალის მტრისამა.  
სულ მუდამ ბნელში ჯდომამა,  
მარტოას გლოვამ მკვდრისამა,  
განდგომამ, განცალკევებამ,  
ცხოვრებამ მოწამისამა.  
შვილის უბრალოდ სიკვდილმა,  
ვერმოყრამ ჩემის ხნისამა,  
სიყრუემ გაღმა მხარისამ,  
სიბეცემ გამოღმისამა.  
დამღალა წუთისოფელში,  
მიმოსვლამ მცირე ხნისამა,  
ლოდინმა სავსე მთვარისა,  
ჩაქრობამ ნაკლულისამა,  
საავდრო ღრუბლის შეყრამა,  
ჩამოზვავებამ კლდისამა,

როცა ბუბუნი მეწადა,  
მაშინ გაბზარვამ ხმისამა,  
მეტწილად დაუნძრახებამ,  
ნამძინარევის წყლისამა.  
ჩემს თავზე ჩამოწოლილმა,  
გრგვინვამ და რისხვამ ცისამა,  
ვერც რა ჰქნა ხატის კარს დგომამ,  
ვერც ნთებამ სანთლებისამა.  
სად სისხლი უნდა მელოკა -  
იქ, ვერქმნამ საქნარისამა.  
სიკვდილმაც მაშინ მიყელა,  
ჩემფერამ, ჩემის ხნისამა,  
ჩემმა არ გაკეთებულმა,  
იმედად ყოფნამ ღვთისამა,  
გაქრობამ სურვილისამა,  
ჩემის მომკვლელის კვლისამა.  
სულეთთან ბრუნვამ ნისლივით,  
ვერშეხსნამ კარებისამა,  
ვერწურთვნამ თავის ჭკვაზედა,  
გაერთფერებამ დღისამა,  
გაქრობამ თანდათანობით,  
სურვილმა სინათლისამა,  
სულ ტკივილებით ზიდვამა,  
სამოცდასამი წლისამა.

\*\*\*

დასხედით, შატილიონნო,  
გულს ნაღვლის ფაფა უხარშეთ,  
გეყოთ, რაც იბრძოლ- იომეთ,  
ახლა აფურთხეთ ბუხარში.  
მუხლებზე ჩამოილაგეთ  
ნაცვეთ-ნაჯაფი ხელები,

ზოგჯერ სიჩუმე გააფრთხეთ  
დამძიმებული ხველებით.  
დიაცთა უბეს შესცქირეთ,  
გარეთ ვარგახართ აღარად...  
ვაი, რა მწარედ გატირებთ,  
სოფელმა როგორ დაგლალათ,  
არცა რო სიკვდილს აპირებთ,  
არც გიყვითლდებათ ჭადარა,  
ავაჰმე, ციხის ნაშალო,  
რა შავად გაიბოლები,  
შენს წინ მუხლმორთხმით დამსხდარან  
ბრჭყალებდამცვდარი ლომები.  
შუბლმთვარიანი ხარები,  
მნისლავნი ჩემის გონების...  
რაისთვის გავჩნდი, რად გნახეთ,  
თუ ასე დამაღონებდით.



\*\*\*

ხევსურთ კაი ყმად შემრაცხეს,  
მასვეს ნახარშის წვენი,  
მაგრამ , ვაი, რომ შემარცხვენს,  
გულო, დედლობა შენი!  
ძველთა ყორეთა ლოკვისგან  
სდნები - ნაშენი მტვრისგან,  
ვერცა მტერს არჩევ მოყვრისგან,  
ვერცა მოყვარეს მტრისგან.  
შენის ნამუსის შემბლალველს,  
ჯილაგის სისხლის ამმღვრევს,  
ხანდახან კიოთ შეჰბლავლებ  
ციხის მორღვეულ თაღებს;  
მაგრამ ძალა რამ დაგზნეჟავს,  
წელს გაგიმრუდებს ხნიერს,  
გაგტეხეს, კლდევ, კლდის ნაჟღენტო,  
გძლიეს, ბედკრულო, გძლიეს!  
რამდენჯერ დაგიკემსია  
ცრემლით სამშობლოს ზეცა,  
შიშით ვერ დაგიკვნესია,  
წართმეულია კვნესაც.

\*\*\*

წყლის პირას სხედან ხევსურნი,  
ღვთის შუქი ადგათ იღბლიანთ,  
დღეობა არის- ხევსბერს  
ბინდისფერ კურატს მიჰგვირიან.  
-ჩვენ თავად დაგვამწყალობნე,  
ცალყბად შეჰვლრენენ მინდიას.  
ზურგით მთას მიეყრდნობიან,  
მიჰვლრეკენ, შიგნით მიჰხრიან,  
წინ ლუდის უდგათ ჯამები,  
შიგ მთვარის ნატეხთ იყრიან,  
შვიდი ჰხრავს ლაგამს საფერხე,  
სანთელიც მხოლოდ შვიდია.  
რა არის მათი გუმანი,  
ამ ღამით საით მიდიან.  
იქ შეჩნდნენ, სადაც ღრუბლები  
ნაგლეჯ- ნაგლეჯად ჰკივია,  
საპირიქითოს გადვიდნენ,  
წარაფს გადასცდნენ ბინდიანს.  
- ხელ მოუმართე , გუდანო! -  
ხატს შეავედრებს მინდია.

\*\*\*

დაღეჭილ ლაგამს ჩამოაცლის  
მზისფერ აჯილდას  
ხევსური აბა,  
ბებერ შატილს გადმოაბიჯებს,  
ჩავა,  
ჩაიჭამს შემოდგომის კლდეებს მითრთვილულს  
და ბნელ ხეობას აზანზარებს ლომის ქვითინით.

\*\*\*

თქვენს ბილიკებით შავიარ,  
ხევებს ავივლი ყრანტალით,  
ჯავრი არ შაგიჭამიათ,  
მოძმის მოგიკლავთ მამკლავი.  
გულო, მტრის გასაცინებო,  
შავფერ სისხლით რო ისვრები,  
დანაყრდით, ხევსურთ შვილებო,  
ლოკეთ ფრთაღეგა ნისლები.

\*\*\*

ეხვევა,  
გმინავს,  
ულოკავს მაჯას  
ნისლი მთებს,  
სწურავს ღალას, ეგების  
და ჰკოცნის,  
როგორც ხევსური ხანჯალს,  
ძმისმკვლელის სისხლით წითლად შეღებილს.  
დატრიალდება ნელი ტორტმანით,  
წავა და შავზნელ ხეებს დაბოღმავს,  
აქვითინდება მოძმის მომკლავი,  
სველ ბილიკებზე წყევლით დაბოღმავს.  
ეხვევა, გმინავს,  
ულოკავს მაჯას  
ნისლი მთებს,  
სწურავს ღალას ეგების  
და ჰკოცნის,  
როგორც ხევსური ხანჯალს,  
ძმისმკვლელის სისხლით წითლად  
შეღებილს.

## ამირან არაბულს

ნისლს ქარაფებზე ვუთენეთ,  
მთები ფხიზლობენ ძაღლები,  
ჩასძინებიათ ჯუთელებს,  
ღამესა სტეხენ ძაღლები.  
მიყუჩდა წყალი და მთვარემ  
გადმოიარა გუდანით,  
ხალხს მასპინძლობდა ნამთვრალევს  
არაბულების უბანი.  
ეძინათ კლდეებს, ეძინათ  
ღიად დამრჩალი თვალებით,  
ეძინათ დამძიმებულებს  
ხევსურთა ნატერფალებით...  
მთებს ახლა მთვარე უთენებს,  
რიჟრაჟის კარის გამღები,  
რა ესიზმრებათ ჯუთელებს,  
რად წკავწკავებენ ძაღლები?!..

\*\*\*

მქუხარე სიმღერა უხდება,  
არაგვის ხეობას ნისლიანს,  
აქ უნდა ითრთოლონ მუხლებმა,  
არაგვი ამ თრთოლოვის ღირსია.  
კარგია, კლდეები ბორგავენ  
ცა როცა ასეა გამწყრალი.  
ქარებო, პირიმზე მომგვარეთ,  
პირიმზე, მზისფერი წაწალი.  
მოდინ, არწივი მოსწივის,  
ღრუბლები ჟამ და ჟამ კრთებიან.  
კლდის თავზე გაშალეთ ქორწილი,  
მაცრები?! - მაცრები მთებია.  
ტყუილად ირღვევა ცარგვალი,  
ამ ბინდებს გავიდე, დრო არი,  
ქორწილში სიმღერა სხვაგვარი  
გვინდა და იმღერებს ყორანი.  
რატომ იშლებიან ვარსკვლავნი,  
რა მალე აჰკეცეს კარვები.  
მოჰბეზრდათ ყორნების ყრანტალი,  
მიდიან დახრილი თავებით.  
მიდიან, ერთმანეთს უსწრებენ,  
მივკვივი ჩამჯდარი ორბებთან.  
მე მთელი სიცოცხლე ვუსმენდი,  
მაგათ ერთ ღამეში მოჰბეზრდათ.  
იმღერე, დღეს შენი რიგია,  
ისედაც მასკდება ნერვები,  
იმღერე, მერე რომ მიდიან,  
ჩანს, ჟამი მოვიდა თენების.  
კარგია, კლდეები ბორგავენ  
ცა როცა ასეა გამწყრალი.  
ქარებო, პირიმზე მომგვარეთ,  
პირიმზე - მზისფერი წაწალი.

\*\*\*

აი, აქ იყო ჩემი წინაპრების სალოცავი,  
ამ ხის ქვეშ ღრღნიდნენ ლაგმებს  
ულაყები სადოღე,  
აქ ლუდს ადუღებდნენ ხნიერი ქალები,  
აი, აქ ეყარნენ ვაჟები ჩასისხლულ  
თვალებით...  
სახედაკეჭნილნი,  
აი, აქ იმართებდნენ სისხლს  
ხევსურები მოძმისას,  
აქ აგროვებდნენ თავებს  
მონისლისფერო მოზვრისას.  
აი, ამ სერით გადმოდგებოდა მთვარე,  
ხევსურ დიაცის მკერდივით ავსილი.  
აი, აქ ელაგა ხმლები, სისხლით დასვრილი,  
მაგრამ არაფერი იყო საოცარი...  
ენები დაჟანგებიათ ზარებს,  
აღარავინ აღარ ხსნის საყდრის კარებს...  
დავიძარ,  
სიბნელეში შევცურე...  
ხომ იყო აღმაღალი ცეცხლი ხევსურეთს?  
სადაა?!  
სადა!

\*\*\*

იკეჭნავეთ, შვილებო, ბასრი ხანჯლებით,  
სხეული ტკივილს და  
სისხლისღვრას შეაჩვიეთ.  
არ ჩამოიღადროთ ძარღვები,  
სისხლი გაყინული შეამჩქვრიეთ.  
იკეჭნავეთ, შვილებო, ბასრი ხანჯლებით -  
მკერდი იარებით აიღრმავეთ,  
მერე, სიკვდილის ჟამს აღარ დაიტანჯებით,  
დედლურად აღარ დაიბღავლებთ.  
ბრძოლის ველზე ხარებივით წაიქცევით,  
დაღლილი ხარებივით,  
ვალმოხდილნი.  
დაბზარული გული გამიმრთელეთ,  
გული - ამოჭმული ამოგმინვით.  
იკეჭნავეთ, შვილებო, იკეჭნავეთ -  
ეგ თქვენი წინაპრების ჩვეული თამაშია.  
ჩამოიბერტყეთ მხრებიდან საუკუნის სიბეჩავე,  
ჩვენ რომ სულმცრობას დაგვაჩვია.  
იკეჭნავეთ, შვილებო, იკეჭნავეთ -  
ეგ რჩეულთა და ღმერთთა თამაშია.



\*\*\*

### (თედო გიგაურის პორტრეტი)

„არაგვიშავრაო, - ასე მითხარ,  
სახლში კარგი ამბავი ჩაიტანე!“  
რალაც გაბრაზებით გააფურთხე,  
დამსკდარი ხელისგული ჩაიტყავე.  
შუბლზე ოფლის ღვარი შეიმშრალე,  
ცრემლის შეკავება გაგიჭირდა...  
შენს ბეჭებს დავხედე და შევიშალე  
მისი სიფართოვე გამიკვირდა.  
შექალარავებული საფეთქლები,  
მხრები უროკვერით ნაბრტყელები,  
შენი ზღაპრული ნატერფლები,  
მკლავები - რკინის სალტეები.  
შენი სიარული მომეხარბა,  
თვალი მალულად აგადევნე,  
უცხად სიყვარული მომეჭარბა,  
ყველა ტკივილები გავამრთელე.  
ო, რა ბრწყინვალე კაცები ხართ...  
რა შესაშური ამტანობის!  
კარგია, ასეთი მკაცრები ხართ  
მუდამ გაღიმებაც არ გამოდის...  
„არაუშავთრაო“, - ასე მითხარ,  
სახლში, ცოლ-შვილთან დამაბარე,  
შენი გაბრაზებით გააფურთხება,  
იმ დღეს ცუდ ამინდს დავაბრალებ...

\*\*\*

ცოცხალმკვდრებივით დაყრილან  
გონწართმეული ხევეები,  
სასომიხდილი მდინარე  
ხავსიან ლოდებს ლოკავს.  
იანვრის ქარი აივლის  
შეჭირხლულ ტყეებს ხველებით,  
შეხვდება გზაში მოსისხლეს,  
დედას უტირებს, მოჰკლავს...  
ძმისმკვლელის სისხლი სწყურია,  
მისდევს ბილიკებს, ნათლავს,  
შურს არ შეარჩენს შურიანს,  
მოდმეს დაენტოს სანთლად...  
ბებერი მგლები ყმუიან  
იქ, ლომისგორის ხევში,  
მოდის და მუხლებს მოიმტვრევს  
ქარი წიოკით, თქემით,  
მოდმის საფლავთან შედგება,  
თვალს დააკვესებს წყრომით,  
თოვლში მხრებამდე ჩადგება,  
ღრუბლებს გაჰკენწლავს შორით;  
რა დედა გაუჯავრდება,  
მამა დაუშლის რამეს,  
ჩაივლის,  
ჩააკანკალებს,  
გვერდებს ჩააცლის ხრამებს.  
- ვაგლახ მე!  
დედას გიტირებთ! -  
ვის ემუქრება, ვისა,  
გულღვარძლიანი ხევსური,  
სისხლის ამლები ძმისა;  
საყორნის მთაზე შადგება,  
მთას აეწვება გავა,

ო, ვის რა დაუღამდება  
ზამთრის მოკლე დღე შავად!  
წავიდა...  
მერე ნისლებმა  
გადააფარეს კალთა,  
ჩაკეცა ვიწრო ბილიკი,  
ლომმა მუხლებით ჩაფქვა;  
ცოცხალმკვდრებით ეყარნენ  
გონწართმეული ხევები,  
სასომიხდილი მდინარე  
ხავსიან ლოდებს ლოკავს,  
იანვრის ქარი აივლის  
შეჭირხლულ ტყეებს ხველებით,  
გამოარიდეთ მოსისხლე,  
დედას უტირებს, მოჰკლავს!

\*\*\*

### (მამაჩემის ხსოვნას)

სიკვდილს ფლეთდი და ძარცვავდი,  
შენს ჭკვაზე, როგორც გეწადა.  
ა, ეგლა დაგრჩა საცადი,  
ეგეც ხომ უნდა გეცადა.  
უფალმა შექმნა სამყარო  
შენფერთა დასაღეჭადა,  
არ გათქმევიანა არც შენი,  
ვერცა თავის თქვა ვერსადა.  
რაც შენ გემართა საქნარი,  
ვერც სხვამ ქნა უკეთესადა,  
რო ვფიქრობ, წუთისოფელი  
არც ღირდეს დასაკვნესადა.  
წესია, უნდა მივდიოთ,  
როგორც აქამდის უვლიათ,  
სიკვდილს ვინ დასდო სამანი,  
ვინ ნახა დასასრულია,  
ეს პლანეტათა ფშვინვაა,  
ჩვენ რომ გვეგონა, სულია;  
რასაც ნაკლებად აღვიქვამთ,  
ის უმეტესად სრულია,  
სიცოცხლე ფასობს მაშინა,  
რაც რო ძნელი და რთულია.  
ბევრს დააქვს, ძალზე ბევრს დააქვს  
ჯავრით ნახრავი გულია.  
არც ყველას ყოფნა ყოფნაა,  
არც ყველას წყლული წყლულია.  
ამიტომ ღეჭე სამზეო,  
როგორც გინდა და გწყურია.

## არჩილ ფირცხალავა

### ხევსურული ბალადა

ჩაიღმუთუნებს რა შაგვბედაო ,

ბერი პაპა

და

ცრემლს აელვებს მღვრიე ჭავლებად.

ლაგამს წავუყრი კავშა ბედაურს

და მაინც არსად მიმეჩქარება.

ღმუთუნებს პაპა,

უკანკალებს ყურის ძირები -

სისხლგაუშვები რაფრა დავტოვო,

- დამკარი პაპავ,

მაგრამ კოლხის შურისძიება

საშინელია პაპავ ბატონო.

- დახეთ, ე ვიღაც მელექსეს დახეთ,

თითქოს ეშმაკის ფიცხილს ახარებს,

ჩამოფხოჭნია ბერდედას სახე,

დეს სახეზედაც სისხლი ღვარღვარებს.

აწ ჩემი ყოფა არ ღირს შაურად,

ძგმუტუნებს მამა, ლამის დამტოროს,

- მელექსედ ხმობდნენ ჯაბუშანურსაც,

არ გეკადრებათ, მამავ ბატონო.

- კიდევ მამაო, -ძგმუტუნებს მამა,

არადა თვითონ ამომყავს ჭიდან,

თორემ ასეთ დროს მეგრული ყამა

ქალის ენასავით ორპირად ჭრიდა.

- აგერ, ბატონო დიაცი თქვენი,

აგერ უხმლო და უხანჯლო კოლხი,

შეცბუნდნენ ცოტათი.

- ახლაა ჩვენი? -

ვერ ამოიბრუნა ბერდედამ ოხვრა.

რას იტყვის ლელა,

აღწერა ვის ძალუმს,  
 - ე, ქალავ, იმ წმინდა აღერსის ხათრით...  
 - გაგიწერეს ბიჭაუ,  
 გაგიწერეს ბიჭაუ,  
 გაგიწერეს ბიჭაუ გიორგის ხატი.  
 მენა რას მერჩოდი, აქ ჩემთვის ვეყუდე,  
 სიკვდილიც დამყუდვნია აწი,  
 განაღა ქალაი ჩემს ნებას ვეკუთვნი,  
 ე, რა კირის ცეცხლით დამწვი.  
 მოგენდე, რადგანაც ნათია გწუნობდა,  
 ვირწმუნე ფიცი და ლოცვა,  
 მე კოცნა, სულ ერთი კოცნაღა მსურდა,  
 გამეგო, როგორია კოცნა.  
 რაი ბედენაა, გაქცევა იმწამსვე  
 გრძნობამორეულმა ვერ შემოიშნო,  
 შენ კი, ე ტუჩები კოლხოზის მიწაზე  
 მოკრეფილ ვაშლივით ჩაკბიჩე გიჟო.  
 მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე,  
 ვინ იცის რომელად ჩამთვლი,  
 მენა რას მერჩოდი, აქ ჩემთვის ვეყუდე  
 გაგიწერეს გიორგის ხატი.

## მუქარა

ლელაუ, გული დაბერდება და  
 მერე ვინ მე და ვინ ამირანი,  
 ნუ, ნუ იქნება დაყვედრება და  
 გინება თორემ, გვიან ინანებ.  
 ნუ, ნუ იქნება საყვედური და  
 ნუ ეჯიბრები წარბმოხატულებს,  
 თორო ე მაგ ძუძუებს სამკერდულიდან  
 კალმახებივით ამოგიხტუნებ.  
 ე, ჩემი ლექსი როდის გეშარა,  
 ისევ იშენი ცოდვა მაყივლებს,

ქალავ, თოფ მაინც გამოგეშალა,  
თოლი თოფივით რომ დამიღირე.  
ახლა ნეტარა რას იკლორწები,  
შამბიანს შენ არ შემომადამე,  
ერთი კოცნაო, მაშინ კოცნები  
ნაკვერცხლებივით შემომაყარე.  
ელირებიო გაქუცულ ლექსად  
რომ მაჯავრებდი, ახლა მამტყუნე,  
გაფრთხილდი თორო, მა ძუძუებსაც  
კალმახებივით ამოვახტუნებ.

## განაჩენი

არაო, ისმის მშვიდობის  
დგა პაპა როგორც მგელი და,  
ჩემთავად ქალას მიმნდობის  
დედაც ვატირე დღეიდან.  
ქალაის კუდში სად ირბენ,  
ვაჟიმც გახდები საკაბე,  
ყველა სათიბი ათიბეთ,  
ყველა კორომი აკრიფეთ.  
ე რანაირი ჯიშია,  
ე რანაირი უნარი,  
ქალა ვერ გამოგვიშვია,  
არ შეგვიცდინოს სტუმარი.  
მა მეგრელს აღარ სჭირდების  
ბევრი ზღაპრების მოყოლა,  
ჩემ თავად ას ცხორს ვპირდები  
ოჩიაური ჯოყოლა.  
ე ქარახვეტა ვინ არი,  
დაჰკვლია, მაიყურადა,  
კაციმც ყოფილა ბიჭაი,  
მა ლეჩაქ მაიხურავდა.

## წარსტევა დედილამ

შენ პირს ცეცხლი და ნაცარი,  
შენ პირს ალი და ალქარი,  
დიაცებს განა გვაცალე,  
დიაცებრ მორთე ქაქანი.  
შენ არ გაუშვი ქალაქად,  
თოლს წყალი ეხარბებაო,  
რაც წლები მიდის, ბარაქა  
ცხორშიაც გვეკარგებაო.  
შენ არ უყიდე საკაბე,  
არ გამოაწყვე მზითურებ,  
რო ყვირი, კორომ აკაფეთ,  
მენაც იქ არ შემიტყუე.  
რას გაიგებსო პაპაი,  
ალმურში გადამახვიე,  
ი დედისერთა კაბაი  
კორომში არ დამახიე.  
თითქოს უჩემოდ კვდებოდი,  
ზღაპრების გუდა გაბერე,  
სასახლეს რომ მპირდებოდი,  
ქოხში არ ამომაბერე?!  
ათასი მიეთ-მოეთით,  
ვითომც თოლ ამახელინე,  
თორმეტ წელიწადს თორმეტი  
ბალლი რო დამაყრევინე.  
არ გეცვა პერანგ-საცვალი,  
ვა, ქალა ქმარმორეული,  
განალა ვიყავ საწყალი  
და ასე ჩამოლეული.  
განა ჩვენთანთ თონემა,  
არ დაგახარბა პურ-მარილ,  
არ ამაცივლო თორემა  
ა შენ და შენი სტუმარი.



## მენა რა მეთქვა

რაი ვქნა პაპავ , ამ ბუნებას  
მართლაც სცოდნია გახელება,  
რალაც ბუნებრივად დაბრუნება,  
რალაც ბუნებრივად ამღერება.  
რქაგაბორჯღალეებულ მძლე ხარებად  
სიტყვების ხორხშივე დახანება,  
რალაც ბუნებრივი შეყვარება,  
რალაც ბუნებრივით გახარება.  
ქალას საჯირითო მიეცი და  
უცებ აჩქამდება დაწრეტილი,  
რალაც უსაშველოდ პირველწმინდა,  
რალაც უსაშველოდ დაწმენდილი.  
სულაც არ ვამტყუნებ ამ ბუნებას,  
არც ქალს, არც სხვათა განაბულებს,  
რომ შეიძლებოდეს დაბრუნება,  
კოცნასაც უკლებლივ დავაბრუნებ...  
ვინ იცის, ხვალ ვისთან დაწვები და  
ვის რა ბედის კვართი ამოსია,  
კაცნი ამადაც ვართ კაცები და  
თმა- წვერი ამადაც ამოგვსვლია.  
რაი ვქნათ, დალოცვილ ამ ბუნებას,  
მართლაც ცოდნია გახელება,  
რალაც ბუნებრივად დაბრუნება,  
რალაც ბუნებრივად ამღერება.  
მენაც შავი მიწა წამეფაროს,  
თუ თქვენს მტერს ჯილაგი გავუხარე,  
არც ისე შორია სამეგრელო,  
ლელავ!  
ცხენს ლაგამი წაუყარე,

ლელავ!  
არც ისე შორია სამეგრელო...

## გელა ჯაბუშანური

### მთების ტყვეობაში

შეგყურებთ, როგორც წარმართი,  
ჩემი ბედიც თქვენ წარმართეთ:  
სიმშვიდე რატომ წამართვით,  
მითხარით, თქვენი რა მმართველს?

მიწვევს მწვერვალი ლაპლაპა,  
თანამგზავრებიც ვიცანი;  
დრომ ბევრი ლტოლვა ჩაყლაპა,  
ბევრი სწრაფვა და მიზანი.

თქვენთან ვარ, მაინც მეძახით,  
შორი ძახილით მშობლისა...  
თქვენს სიმაღლესთან მეძრახვის  
ამ ჩემი სულმდაბლობისა.

ვიქნები თქვენი მძევალი,  
ეს ბედი დამბედვებია...  
თქვენს ძახილს სად დავემალო,  
ცხრამთას იქითაც მთებია.

## ხევსურეთი

გიორგი წიკლაურს („თორელიჩს“)

არ გეძახის მეფე ომში, როგორც წინათ,  
დრო გაჩერდა, მოლოდინი თითქოს გაცვდა,  
ხმაღს ქარქაშში სამუდამოდ დაეძინა,  
დაგეუფლა უსარგებლო ბარგის განცდა.

სალოცავის მაღლი კიდევ შეგრჩენია,  
მიუბრუნდი და შეივსებ სულის მარაგს,  
თორემ უცხო ჭირი რამე შეგჩვევია,  
ვით აგვისტო, ისე ხარბად მოხვრეპს არაგვს.

დრო იცვლება, შენ კი მაინც გერად დარჩი,  
საქართველოს ზღურბლთან დგომა რა სენია?  
ხევსურეთი, ბრძოლის ველზე დანახარჯი,  
სპარტელივით თავის ფარზე ასვენია.

მშობლიური სიო კეთილ იმედს არწევს,  
არ ჩაქრება შენი სული, ქარიზმული;  
დაუზრდია მართვეები დედა არწივს,  
ნუ მოვესწრო მთას მყვირალი ხარის ზმუილს.

## მობუცი

ბექჯვარიანო, შენ მოიწყინე,  
როცა ქარქაში ხმლის კუბოდ იქცა,  
ზამთარმა მთები შემოგაყინა  
და აღარ გყოფნის სამყარო ციცქნა.

საუკუნეთა სიღრმეში მყოფი  
შეჰყურებ კოშკებს - დევთა ნახელავს...  
აგერ, სადღაცა გავარდა თოფი  
და მთამაც ექო ამოახველა.

მოგონებები დაგდევს აჩრდილად,  
მზერასაც მუდამ უკან ისროდი;  
ხვალინდელი დღე გზაში გაჩრილა,  
თავზე საყრელი უკმარისობით.

წარსულში შენ სხვა რა დაგაბრუნებს,  
ხატე დევებით სავსე ზღაპარი;  
ლექსი გაგათბობს და დაგაჰურებს,  
ლექსი - ხევსურთა თავმესაფარი.

## პობა არაბული

### სულო-დედილო

მარტოა დედა,  
ქალს ბევრი რამის ედარდება სიბერეს მიჯრილს...  
„ვინათგან ყველა სახლის გარშემო  
რიალებს ავი ქარების დოლი“  
და ღვინისფერი ქედების იქით  
გადახვეწილან მათი შვილები.  
ნეტავი, დედი, სიყმაწვილის ჩვენებად მექცევს  
უეცარი ხილვა სიბერის.  
ნუ გეშინია,  
თბილი სინათლე გედვრება თმებზე სიზმრისა ფერი,  
შენია, შენი ეს ბილიკი  
ცრემლიანი ფოთლებით ჭრელი!..  
დაღლილი მიწა,  
ჩემი დედის სამოსს გავს თითქოს, თბილია იგი,  
მოსასხამი ხმელი ბალახის...  
ქვეყანა ფიქრობს...  
და შენც, ჩემო გვიანო ფიქრო,  
გამიმდაფრე წამი სიცოცხლის!..  
თორემ დრო გადის,  
დრო იწურება... ჟამი რეკავს მამულის ქვებზე  
და ჟინით ტვიფრავს მწუხრის სევდას:  
ჭრელი მითოსი - ჭორფლიანი გველის პერანგი,  
ჩაუცვიათ თორღვაის კომპებს,  
გაფოთლილან მყოფადის ცრემლით, როგორც წითელით  
და მე მიხარის შენ რომ ხარ ქვეყნად,  
ფერგამკრთალი და გამჭვირვალე,  
შენი სიკეთით მოიქცევა ყოვლი კეთილად,  
სულო - დედილო,  
მიწიერთა შორის მავალო...

## დოღი

მზის ჯვარი დგება მეფის სამარხთან,  
მოსჩანს დაღლილი მეომრის ხელი,  
მალე იწყება დოღი წარმართთა,  
მოვდივარ ჩემი ბებერი ცხენით!  
დათრიმლულია კარი სიმართლის,  
იხსნება ზეცა სულეთის ხმებით,  
მევსება სახლი სისხლის სინათლით  
და სამოთხიდან გადიან მკვდრები!  
მზის ჯვარი დგება აღმოსავლეთით,  
მოსჩანს უცნობი მეომრის ხელი,  
არაგვზე დგება კვირიას ლანდი  
და მთვარეს რეკავს სპილენძის ხემით.  
მალე იწყება დოღი წარმართის,  
მოვდივარ ჩემი ბებერი ცხენით...

## მთვარე

ორშაბათ დილას მოადგა კარზე  
გველის ნალოკი მთვარე ჩემს კოშკებს:  
„ჩვენს სოფლებს ქაჯნი დაეცნენ თავზე,  
ყველა კეთილი სული შეკოჭეს“,  
როცა მამალმა იყივლა სამჯერ,  
გამთენიისას, მეშვიდე ჟამზე,  
ჩვენ შევაწყვიტეთ ქაჯები ქაჯებს  
კოპალას კოშკთან,

კარატეს მთაზე!

როდესაც მთვარე მოგვივა მაცნედ,  
გავვიხსნის ძველი ქარაგმის ნიშნებს  
და გავგახსენებს მამულის დამცველთ:  
მახვილს,

სულსა და

კოპალას ნიშებს!

\*\*\*

დაეცა ბინდი მეწამულ ველზე  
და სუსტი ფრთები ეტკინათ პეპლებს,  
რეკავდა ქარი უცნობი ხემით,  
ბებერი ციხის გატეხილ ნეკნებს.  
ჯერ დაემგვანენ ჩრდილები ცოცხლებს,  
მერე ცოცხლებიც ჩრდილებად იქცნენ,  
გადარჩენილი მლოცველნი ლოცვებს  
შეაფარებდნენ გადახრილ სივრცეს...

### წუთისოფელი

ხომ ლამაზია შატილი,  
კომპები ცაზე ნახატი...  
ბერდედას ცრემლით ნატირი,  
იგი სულ სხვაა - არხვატი!..  
ხომ ლამაზია არხვატი,  
დარბაზი მოკალმახული,  
მაგრამ სულ სხვაა სანატრი,  
ცა, რომკის თავზე განხმული.  
ხომ მწუხარეა ბალახი,  
ანატორს სული ნათლისი,  
ქვაზე მტირალი კალმახი,  
იგი სულ სხვაა - დათვისი.  
ჩემი დარდია ნამალი,  
მთები შუაზე გახსნილი,  
ფიქრია ჩემი წამალი,  
შენს ჭრილობებში ჩაშლილი.  
ხომ ყველასა ჰყავს თავისი,  
გმირი, ხატი და ლალატი,  
ჩვენცა გვაქვს ჩვენი კრწანისი,  
ვეფხვი, მოყმე და კარატი.  
მე ჩემი მიყვარს თვალჭრელი,  
ყანა და ქალი სწორფერი,  
ჩემი ლალატის ვაშლები  
და ჭრელი წუთისოფელი...

## კარგად იყავით...

5-აკლდამა,  
როგორც 5 -ბებერი ყვავი,  
იდგა იდუმალ ბედის მისანი  
და წილ-ნაყარი!..  
აქეთ შატილი განწონილი ისრის პირებით  
უკანასკნელი აეშაგი დაუტირები.  
ცისფერ ძარღვებში შეპარული ყვითელი წვენი  
„ამაოება ამაოთა“ - წვალეზა ჩემი...  
5- აკლდამა, როგორ ხუთი ბებერი ყვავი!  
თქვენ შორს წასულხართ, ჩემო კარგო,  
კარგად იყავით!..

## კარატი

მყუდრო ლოცვების საუფლოში დარჩა კარატი.  
რწმენის ნიშანი  
და საკუთარი ხორცის კვარდატში  
დაიკეტა სული მშიშარი.  
დარჩა კარატი - მზეჩაღვრილი ნიში თითბერის,  
სულ მარტო დარჩა,  
არავისთვის,  
სხვისთვის  
და მტრისთვის.  
ათენგენისთვე ლომისფერი იყო ივლისი,  
ერია ჟანგი ლომების სისხლში.  
ყვაოდა სისხლი სერობისთვის შენახულ კრავში  
და ხევისბერი ველარ კრავდა წარსულთან კავშირს.  
ის მარტო იყო... გახლეჩილი დროში და მითში,  
და აი, უცებ, მოიყვანეს პაწია ბავშვი  
მოსანათლად და  
სამყაროსთან შერიგებისთვის.



## სევდა

გამექცა,  
გამექცა ლამაზი ბავშვი,  
დატოვა პეპლების ფერადი ქავლი...  
მშვიდობა სახლსა და სამწყსოსა ამას,  
რომელიც იქნება,  
იყო  
და არის!..  
აღარავინ ჩანს საფიხვნოში,  
სადა ხართ, კაცნო,  
ან შენ სად წახველ, ხუცესის ქალო?!  
შეშინებულის ლოცვებს რომ ქსოვდი.  
მე სულ მესხომები, წარმართი ფრესკა,  
წვიმებით სველი,  
წითელიანი მზე გედგა თავთან...  
სავათები მიგაცილებენ, ჩემო მთვარევ  
და გზაზე მიგიფენენ სიმწიფის თავთავს!..  
ძველისძველი სიზმრების ნახვა თუ გასურდეს,  
უნდა ჩაიძინო ხახმატის ხატთან!  
თუ გინდა აგისრულდეს ბავშობის ნატვრა,  
უნდა დაუჯერო ქადაგის ნათქვამს!..  
....  
გამოიხედეთ სარკმლებიდან,  
სადა ხართ, ხალხნო!  
ქალებო, ქოხებში შვილებს რომ აჩენთ,  
ვაჟებო, ცხენებს რომ ხედნით და  
მშვილდებს რომ ჰკოცნით!  
ჯვრიან ტოშლებს რომ უგორებთ ყმაწვილებს,  
სამეშვლოებს რომ მიუყვანთ კერპებს,  
ბეჭებს შეუცნობი გინათებთ ჯვრები,  
თუ ეს ყველაფერი იყო და გაჰქრა?!  
...მშვიდობა სახლსა და სამწყსოსა ამას -  
სადაც ქალწულები ბაძავენ ფრესკებს  
და რძიან სურებს უდგამენ სტუმრებს.  
გზაზე - ფარნავაზის შვლები რომ დგანან,  
გზიდან - წმინდა ნინოს ჯვრები რომ ჩანან!

## იქ, ხევსურეთში

იქ არავინ უსმენს „ავე მარიას“,  
არავინ იცის რა არის იგი...  
შინ არიან თუ  
გარეთ არიან,  
თან დააქვთ ცხოვრების წიგნი.  
ძალიან ადრე დგებიან დილით  
და ღვიძავთ ძალიან ბევრი!..  
ცოცხლობენ და ცხოვრობენ ნამდვილი,  
ახალი და ძველი ამბებით.  
თვითონ წერენ

და თვითონ კითხულობენ,  
საუნჯე მათი ძვალმაგარია;  
არიან კეთილი

და გვანან ლომებს,  
რომელთაც აროდეს უნახავს გალია!..  
სავსე აქვთ კოდები ლუდით და ლექსით  
და მუდამ სჯერათ ფხიზლებს და მთვრალებს,  
მზე - მისი ამოსვლა და მერე ჩასვლა,  
ღმერთი და მთვარე.

ჯვრებით უნათდებათ სული და ანდაბი,  
გული უღონდებათ ომების ლოდინით,  
როცა რომელიმე სულეთში გადადის  
და თვალის გუგებში მზე მოილოგინებს:  
ფარ-ხმლიანს აწვენენ წარმართულ საწოლზე,  
მოვლენ მოკეთენი და ხმით მატირალნი.  
იციან, რომ მიწა ყველაფერს ასწორებს  
და ბედის ბორბალი უკულმა ატრიალებს.

## ლექსი ხოგაისა და ხოგაის მინდისი

„თუ გველის ნაკბენს გადურჩები, ხო კარგი, მაგრამ  
თუ ვერ გადაურჩი,  
სხვა ქვეყანაში შეხვდებით მაშინ,  
მტერს თითოჯერ შეხვდება ყველა,  
ნუ გეშინია“ - მითხრა უცხო ხმამ  
და სიჭრელეში გამომეღვიძა.  
ხოგაის სახლის ყორეზე ვწევარ.  
რაკი დამარცხდა ხოგაის მინდი,  
ახლა ამ სახლში ხარშავენ გველებს,  
ძველი ქაჯები ახალი ტყავით,  
ძველი შემით  
და ახალი ხერხით.

„ხედავთ, სტუმარნ მასპინძლად გვექცნეს,  
ხოლო, სტუმარნი ქაჯნია ოდენ?!“  
სახლის ყორეზე ჩამოყუდებულს,  
მაგრა მეძინა მნათობით ბეჭზე,  
თბილი ჭავლი მივლიდა ირგვლივ,  
კვლიის სუნის და მარიემულის.  
ამ სახლის ბანზე პირიმზე ჰყვავის,  
სულ ერთადერთი ყვავილი ნათობს,  
სუსტია იგი სინათლის ზოლი.  
გველის ხორცი არ მომენატრა,  
წყალი მინდა ჭრელი ქვირითით!..  
თენდება მრუმედ,  
ცაზე თევზის დღე ამოდის წყლიდან,  
თევზისფერი მზე ეკვრება მთვარეს,  
სულკალმახი მარტო დგა წყლისპირ,  
მუქასარში მიმაღავს კალმახს.  
ბედნიერია სოფელი იგი,  
ვისაც ხოგაის ძველი სახლი აქვს,  
ვისაც ძე ესვა ხოგაის მინდი.  
ხოგაის სახლი ისეთივეა

როგორც იყო ქორონიკონის  
თაფლიან დილას, ქრისტეს მოსვლამდე.  
ათენგენობის ძნისფერ კარვებთან,  
იდგა ფარნავაზ, მთვარეს უმზერდა,  
რომელიც ნელა ქრებოდა მზეზე.  
გამოდიოდა ცარგვალზე ხარი,  
მაგრამ ის დილა შორს დარჩა ახლა,  
ის ფარნავაზიც აღარ არს ნეტარ,  
თავისი ჭრელი ნიჟარის ჭოგრით.  
მთვარე კი ისევ ანათებს ცარგვალს,  
ჩვენი ანბანის პირველი ასო  
და, იმ მთვარისებრ, ხოგაის სახლიც,  
დგას და ანათებს არხოტის ღამეს,  
როგორც ანბანის პირველი ასო.  
რგვალა იგი, როგორც წისქვილი,  
ზოგჯერ მზე არის და ზოგჯერ მთვარე,  
სახლი ანათებს იმის მიხედვით,  
როგორი დარი უდგას ამ სოფელს.

...

ესეთი სახლი მინდა რომ მქონდეს,  
მთვარესაც ჰგავდეს, წისქვილსაც ჰგავდეს.  
ბანზე გადივლის მნათობთა ხომლი  
და წელი ორას ოთხმოცდა ოთხი!  
სახლის დარაჯად მექნება ხარი,  
ჩემი საყრდენი იქნება ჯვარი  
და სანამ ქაჯნი სტუმრობენ ამ სახლს,  
ვიდრე ვიმღერებ მახვილის ქებას,  
პირველ, ვახსენებ წმინდა გიორგის,  
ვით ახსენებდა ხოგაის მინდი  
პირველად...წინა ომების ღამეს.  
ახლა კი გველი პატრონობს ამ სახლს,  
სახლის ლიბოში დაცურავს იგი,  
მდუმარე ნიშნებს შორის მიმოაქვს,  
ამბავი ჩვენი ყოფნა არყოფნის!..

....

ხოგაის სახლის ყორეზე მძინარს,  
გამომეღვიძა მინდიას სახლში.  
მთვარისფერი მზე თრთოდა ღრუბლებში,  
სერებზე კოშკებს აგებდნენ ქაჯნი...  
„ჰეი, ქაჯებო! რა გიხარიათ?!  
სულ ერთი დრო არ იქნება  
არცა ქაჯთათვის, არცა კაცთათვის,  
ყველა ჩამავალს თავისი მთვარე ჩააქვს საფლავში,  
ახლა ცაზე სულ სხვა მთვარე დგა.

\*\*\*

დახურულია კარატის მთა თოვლის კრატერით,  
მთვარის თოკებით დაკერილი მისი კალთები  
ჩაკეტილია მწუხარების ჭავლად ჩემს სულში...  
გადაჭრილია ჩემი ჯვარი ყვავის ვალეტით,  
აჰა, იხსენება, დახურული ზეცის კარედი,  
განცხადება დღე იხედება ქრისტეს თვალებით.

## ჩემი და მზიას სიზმრები

შარშანწინ შატილის კოშკში მერცხალმა თავი მოიკლა!...  
„მაგას ან შვილი მოჰკდომია,  
ან ცუდი სიზმარი უნახავს,  
ან ფრინველებს თბილი ქვეყნიდან წარღვნის ამბავი  
მოუტანიათ,  
ანდაც, ჩვენ შატილს გაუთენდება შავი დღე,  
ჯვარში საკლავი უნდა დაჰკლათ!“  
თქვა ასი წლის ხორიელმა.  
ჩვენს დროში ფრინველები იხოცენ თავებს,  
სინამდვილე იმდენად მწარეა,  
ჩვენ კი, ყურზე გვძინავს და ალაგ-ალაგ ღიმილიც ძალგვიძს,  
„გთხოვ მაპატიო, მზიაო“,  
ჩემი სიზმრები ისეთივე ბნელია და ბუნდოვანი,  
როგორც ჩვენი იდუმალი დრო და ყველა ჩვენთაგანის ბედი.  
ვერაფერს ვერ ვხსნი,  
არაფერია ჩემთვის ნათელი!..  
ვერ ვხედავ ისეთ ცხად სიზმრებს,  
წინაპრები რომ ხედავდნენ ჩემი!  
ჩემი სიზმრების ახსნა ვერც სანდუას შეუძლია,  
ვერც არგვეთის ხორცისმჭამელ მღვდელმთავარს  
და ვერც ალდიას - გამქრალი ხევსურეთის  
უკანასკნელ ქადაგს!...  
მზიას სიზმრები ისეთივე ცხადი იყო,  
როგორც ჩვენს მთებზე გადმომდგარი მზებუდობის ღამე!  
ამის მოწმე წითელი მთვარე იყო ცაზე,  
„მოხარე ქალის ფერით“ რომ იდგა,  
ხოლო მიწაზე ბექიდან დაგორებული თავები,  
„მაინც ჩემიას“ რომ იძახდნენ ძუძუები  
და მოჭრილი ფარაგიდან გამოვარდნილი  
მთვარესავით ცაზე.  
ცხადი და სიზმარი მაშინ ჰკარგავენ კავშირს,  
როცა დღე და ღამე ერთმანეთს ჰგვანან

და ცოცხლები მათს გასარჩევად სანაძლეოს დებენ,  
როცა მთვარე წალმა ჩადის და უკულმა ამოდის!  
არ შეგეძლება სიზმართა საიდუმლოს ახსნა  
და ცხადში სიზმარეულის განჭვრეტა,  
თუ ყველაფერი ისეთი მარტივი გეჩვენება,  
როგორც წყალში თევზის ჩასმა და  
პირში წყლის ჩაგუბება.  
...სიზმარი კი თავისას შვრება,  
მე ახლაც თვალწინ მიდგას  
თარხანათ გაგას წყეული სიზმრები,  
ჩვენი ბედისწერა რომ განჭვრიტეს,  
მაგრამ სიზმრის ახსნა და გადმოცემა  
ეტყობა ისეთივე ძნელია,  
როგორც მოსმენილი მუსიკის დახატვა,  
ანდაც, გადაშლილი ფრესკის გაცოცხლება.  
.....  
გთხოვ, მაპატიო, მზიაო...“

## დედის სოფელი

აქ ხომ ირმების ნაწოლია,  
პირნაბანი ყვავილები დილის ნისლში იღვიძებენ.  
უხარია მდინარეს გამოსვლა ყინულის სამოსიდან  
და შესვლა ბალახის სამოსელში.  
როშკა ჩემი დედის სოფელია,  
რომელიც დგას მაღალი ლექსის ტამარზე  
და ვულკანური ქვების მდინარეზე.  
ქვის პირამიდებზე მიკრული სახლები  
ჩანან, როგორც მერცხლის ბუდეები-  
შებოლილი, დაწყველილი საუკუნის მიერ  
და განათებული ცისკრის შუქით.  
ჩემი დედის სოფლიდან გამოსმის  
ფანდურის ხმა და სიმღერა,  
რომლის მოსმენისას ქვები დარდისგან ფითრდებიან,  
„ეგეთ ხარ, წუთისოფელო, სთველში რომ ჩავა ხილია,  
ზოგთა საჭმელად მწარე ხარ, ზოგთად - ძალიან ტკბილია“...



## ხვეისბერი

ვის გაელვიმა უჟამო ჟამზე,  
ზარებს ვინ რეკავს გიორგის მთაზე?!  
ჩემი გუდანის ბებერ ხვეისბერს,  
მზე ამოუშრობს ცრემლიან თასებს!..  
ნუ შეშფოთდები, ბერო მარტვილო,  
ზარი უფსკრულს არ დაგიგორდება,  
ნუმც გნახავ შენი ქვეყნის სატირლად,  
მაგ შენი ხატის კარზე მგოდებარს...  
არ დაუშრება ჩვენ ხალხს ოცნება,  
არ გარდახდება ჯიში ყოველი!  
მე გეყოლები ერთი მლოცველი,  
ერთი უიღბლო მადლის მთხოველი.  
ნეტა ვის სძინავს ამ მთვარიან დღეს,  
ვის გაელვიმა უჟამო ჟამზე;  
ჩემი ბავშვობის ჟუჟუნა ავდრებს,  
ათენგენობის ლუდიან ჯამებს...

## როშკა

შენი წინაპრის სიმამაცეში  
ანათებს სისხლის მძინარე ზოლი,  
ცა საბუნო ვარსკვლავთა თქემით  
წვიმდა ქედების მაღალ ეზოზე...  
სახლები ჰგვანდნენ დახოცილ ლომებს,  
საკვამურები სითბოს ნატრობდნენ  
და მთებს უჭკნობი ჰქონდა ჭრილობა,  
უკაცურობის და სიმარტოვის.  
არც რწმენა იყო და არც სირცხვილი,  
ტურები ხმობდნენ ძაღლების ნაცვლად,  
სუფევდა შიში, რომელიც იცის  
სიმაღლეების უეცრად განცდამ.

## ივანე ნიკლაური

### სამშობლოს მთებს

მთებო, გიგზავნით სალამსა, ზედ დავახატებ იასა,  
თქვენი ქება და დიდება ვერ უთქომ ადამიანსა.  
ზოგთა თქვეს: „რა ბედენაა, სუყველა ერთფერი ასა“,  
მაგას ამბობენ უჭკონი, მაგას ვერ ათქმევთ ჭკვიანსა;  
სამშობლოს მთების ტრფიალი არა ღგავ სხვათა ტრფიალსა.  
თქვენთვი ფეხშიშველ გადვივლი გორებსა ნარ-ეკლიანსა,  
თქვენის გულისად რო დამკრან, მგონავ, ავისხლექ ტყვიასა,  
როს გხედავთ, ჩემთვის დღეია, ვერ გხედავთ, ბნელეთი ასა,  
თქვენ გამო მზე რო ჩამიქრას, ვიკმარებ მასკვლავთ ციალსა.  
მეც დაგთმობთ, თუ როს დასთმობენ შუნ-ჯიხვნი კავკასიასა,  
მეფეს შადგვიხართ გულუხვსა, გლახაკსთან წყალობიანსა,  
ვაჟსა გულადსა, პურადსა, სწორებთან თავაზიანსა,  
კაცსა შადგავხართ კაცურსა, ბრძენსა და სახელიანსა,  
შულს ღგვიხართ პირისპირულსა,  
მზეზე ფოლადის პრიალსა,  
მამაცსა ღგვიხართ ვაჟკაცსა, მამაცსა - ნაჭრევიანსა,  
ვეფხვსა უღრანის ტყისასა, ჯუნგლებში იმის ბრდღვიალსა,  
ჩქარი არაგვის ჩანჩქერსა, მთის ყურეთ იმის დგრიალსა,  
თოფის ხმას შატლივიანისას, თოფში გილდების წკრიალსა,  
ბისნას ჯიხვების ჭიდილსა, ტატნობზე რქათა ტრიალსა,  
შველს ღგვიხართ - ველის მშვენებას,  
გორ-გურზე იმის რიალსა,  
ივრის პირებში ჯეირანს, ირემსა ქორბუდიანსა;  
ზამთარში საშინელნი ხართ, დევთ ღგვიხართ ნაბდებიანსა,  
ზაფხულის პატარძალს ღგვიხართ, ტურფასა, მანდილიანსა,  
წყაროს - ყინვარზე ნადენსა, ანკარას, სიცოცხლიანსა,  
დღეს - შუა მაისისასა, კორდებსა - ყვავილიანსა,  
შუა ზაფხულის ღამესა - ზეცასა მასკვლავიანსა,  
ალვას - ედემში დარგულსა, ვერცხლის ტოტ-ფოთლებიანსა.  
მტერი ვეროდის დაგძლევათ, სრუ მუდამ რკინის კრიანსა,

თქვენ წინ დაუხვდით მომხვედურსა,  
ფაშიზმსა, პირისხლიანსა,  
იდევით წარბეზშეკრული, მტერს უმზადებდით ზიანსა,  
მტრის ხრიკი, ვერაგობაი, ქარს გაატანეთ, ნიავსა,  
კალთებზე მიწას აჭმევდით დუშმნისა ლეშსა, ძვლიანსა,  
მტრის ხელით აუღებელო, შაღვვიხარ წევლილიანსა\*,  
ჯვარს ღგვანდით არხოტისასა, წელზე სიკვდილის ხმლიანსა,  
კოპალას კარატიონსა, შუბნურსა, მათრახიანსა,  
მტერს თავზე „კოჭობს“ ანჩქლევდით,  
სავსესა ნავთის წყლიანსა,  
ჩოქით ვემთხვევი კალთათა, ბუმბერაზთ, ყინულიანთა,  
თებულოს, კიდეგანასა, გერგეტსა ვეშაპიანსა,  
იალბუზს, სინდაურასა, უშბასა ქარბუქიანსა,  
თქვენს მკერდზედა აქვ ბინაი ჯიხვებსა, რქაჯანგიანსა,  
უფრთხიან მენადირესა, თოფიან-დურბინიანსა,  
ყინვარზე გადამავალსა, ფოლადის წრიაპიანსა,  
ლეგჩოხა ამოკვართულსა, ვერცხლის შიბ-მასრაიანსა,  
კლდეში კილდისის\* ფერასა, ჯიხვთ რო უწვერავს ნიავსა,  
გულ-მუხლით დაულალავი, ფრინველს გაჰყვება მხრიანსა.

\* წევლილიანი - გრძნეული

\* კილდისი -- კლდის მცხოვრები (გადატ.-ავი სული)

## სამშობლო ჩემი

რა დამავიწყებს, მომაგონდება ჩემი სამშობლოს თენება - რუხი,  
ნაომარივით ნაყარნი ღორღნი,  
მანდიკის ჭალას ტუმბოს რუხრუხი,  
ფრინველთ ჭიკჭიკი, წყაროს რაკრაკი,  
ყველგან ჩანჩქერი და ჩაბარუხი,  
თიკნის კიკინი, შუნის ქშუტუნი,  
შურთხების სტვენა, ჩემი ჭაუხი,  
ქვიშის წკრიალი, ჯიხვთა ჭიდილი,  
რქანი რქათაზე ჩამონაქუხი;  
ქარის ქროლვაზე ღელვა წერისა, ღელვა სვილისა,  
იფქლი, თავთუხი,  
წერთხალ-კენკეშა, ხიფხოლა, ჭიმა, შიბუ,  
წიწმატი - ბუნება უხვი;  
ჟოლი და ხუნწი, მარწყვი, შალშავი, ცლიხვა,  
ამპურა, სვინტრი, ცირცელი,  
მწყერთქიფლ-ალუდა, პანტა, მაჟალო,  
ქირკო და თხილი - მოსახვეტელი,  
დუცი და შუპყა, ლაგი და ღოლო -  
კუთხის სიუხვე შეუწყვეტელი,  
კრავისთვალა და დიყი და დიფჩა,  
მწყურიელა და დეკა, ჭრელ-ჭრელი,  
ვაციწვერა და ჭრელი ქართომლა -  
ფესვებით სალ კლდეს მინაჭედელი,  
კიტრი კოშოლას, მემრე კი კიტრას  
დაუმშვენებავ კორდი და ველი,  
ზოგ - გაზაფხულზე, ზოგიც - ზაფხულში,  
ზამთრის - ცირცელი, უწყვეტი რთველი...  
მთან ლამაზნი, ბუნება ლაღი, მიწის სიუხვე თვითონ მეწველი,  
ხანაც სიავით, ხანაც სიუხვით ხელშეუხები, გაუცვთელი;  
ხალხი უზადო, ხალხი უდარდო,  
თავისა ბედის თვითონ მჭედელი.

## ვახუშტი კობახიძე

### ფშავ-ხევსურეთის სონეტი

აქ პირველითგან იყო ლექსი. სიტყვა, ვით სეტყვა!  
აქ ყველა სიტყვის მეუფეა, თანაც ტყვე არი.  
ყველა კაი ყმას წელზე ლექსი ხმალივით ერტყა  
და გულზე ლექსის დალი აჩნდა, ვით ნატყვიარი.

ქართულმა სულმა აქ ოდითგან იხმლო, იმშვილდა,  
ქავ-ციხის ლიბო არ დაშლილა, არ გამომჰკალა,  
აქ დღესაც ისმის მადლიანი ლოცვა ღვთისშვილთა,  
ხმობენ: ლაშარი, იახსარი, ბერი კოპალა.

აქ ყოველივე მიგემნია: ტკბილი თუ მწუთხე,  
გულზე ლექსების გუთნეული გამდევს ხნულეზად.  
ვყოფილვარ ბევრგან, მაგრამ ქვეყნად არცერთი კუთხე,  
ჩემი სულისთვის უფრო ახლო არ მეგულეზა.

ჩემი სამზეო, საიქიო, შავ-ხევ-სულეთი,  
აკლდამა ჩემთა ოცნებათა - ფშავ-ხევსურეთი!

## დავით მჭედლური

### არხოტში ერთი ქალია

(გივი ჯახუას)

არხოტში ერთი ქალია,  
ქალი ცოტაის ხნისა,  
მკერდზე მზე-მთვარე გადასდის,  
სტუმარს არიდებს პირსა...  
ჭერხოში უდგა ლოგინი,  
თავის ვარსკვლავსა ჰკვლევსა,  
ვაჰმე, არხოტელ ქალასა  
თვალშურთხსა, გულის მკვლელსა...

### მთები სიმარტოვეში

სველი ტყე, წვიმა ,წვიმის ღრუბელი,  
მესამე დღეა, წვიმს და ხეობას  
ალტობს, მაგონებს რატომღაც წვიმა,  
მტერთა ძველისძველ მოსისხლეობას.  
მესამე დღეა, ლამის ვინატრო  
ქალი, რომელიც სიძულვილს მგვრიდა,  
მესამე დღეა, მეხის გრიალით  
მოდის ღრუბელი არხოტის მხრიდან.  
ვგრძნობ, ყველაფერი იძვრის, ხმაურობს,  
ხმაური ხმაურს მჭახედ მოემა,  
ჩვენ დავრჩით მარტო ქვეყნად მდუმარი,  
დუმს უჩინარი ჩვენი ცხოვრება.  
დუმს უჩინარი ჩვენი ბანაკი,  
დავიწყებული უკვე მტრისგანაც,  
ვერ აგვამუვლა ლამის სიმძიმემ,  
ვერ აგვამხედრა დილის ცისკარმა...  
არცარა საქმე, არცარა სიტყვა,  
არცრა შემოკვრა საქვეყნო ძელის  
და სამომავლო ხმაურის ნაცვლად,  
წვიმით ივსება ხეობის ყელი...

## თედო ბაქიშვილი

### შატილი

ერბო რა ღირსო ქალაქში,  
ცხრა ფურს ვწველიო, ღალიანს,  
კითხულობს ბებერ ხევსური,  
ახრჩოლებს მწარე ყალიონს...  
მთვარე ჩამოდის ერდოდან,  
მთვარე პირსავსე ქალიო...  
აბა, რა გითხრა ქალაქის,  
დაასხი, კაცო, დავლიოთ...

## ზაურ ბოლქვაძე

\*\*\*

ხევსური ადრე ხომ ხევსურობდა,  
ღმერთისგან ღონეს ხომ სესხულობდა  
და ხევსურეთში ხომ გაისმოდა  
მეხნარევი ხმა ხოგაის მინდის?!



## მიხეილ ჯვლივიძე

### ვხედავ

ვხედავ, გაშალეს მთებმა მკლავები,  
მეუბნებიან: - აი, არაგვი!..  
დაბალახობენ ცაზე კრავები,  
( ღრუბელს თუ გინდა კრავიც დაარქვი!),  
ვხედავ - გამოდის გლეხი ყანაში,  
აკვანს დაჰმღერის ქართველი დედა,  
კარგი თვალი მაქვს -  
ჩემს ქვეყანაში  
მე ყოველივეს თანაბრად ვხედავ!

## ვახტანგ ხარჩილავა

### მიხეილ ჭინჭარაულის ხსოვნას

მომაქირავა ქალაქმა ღამე,  
მომაქირავა სახლად და ბინად,  
ქვის მაგიდაზე სანთლის მაგივრად,  
დამიგდო ყვითელ მთვარის ნატეხი...  
ამომიშენა კედლები წვიმით,  
რუხი, უსარკმლო და ყრუ კედლები,  
რომლებზეც ხშირად აკაკუნებს დეკემბრის ქარი  
თავის ნაღვლიან მელოდიას.  
ვიწრო ხვრელიდან, კარგად რომ აქვს ჩატანებული,  
გულმომობიერი მკვიდრები დღისა,  
შემომიგდებენ ხანდახან ნუგემს  
გახრულ ძვალავით.  
მომაქირავა ქალაქმა ღამე,  
ქირას სიცოცხლის წლებითა და დღეებით ვიხდი...

## შაბურა არაბული

\*\*\*

ვზი ხევსურეთში,  
არაგვის პირას  
და ვარსკვლავებს ვაშინაურებ...  
პატარა ქობიც არსად მეგულვის,  
ცისქვეშ, ჩემთვის გადახურვილი.  
ვზი ხევსურეთში:  
ცა ყვავილობს გაზაფხულივით.

\*\*\*

ა, იმ ქედს იქით ქედია,  
ქედთან პატარა სოფელი,  
მახსოვს, ზაფხულის ღამეებს,  
მარცვლავდა ჭრიჭინობელი...  
ვიცი, აცელილ მინდორზე,  
დადგა ღრუბლების კარავი,  
სოფელთან ტყეში შველია,  
უბეში დასამალავი.  
ა, იმ ქედს იქით ქედია,  
ქედთან -პატარა სოფელი,  
იქ ბავშვობაში ღამეებს  
მარცვლავდა ჭრიჭინობელი.

## ჯუთა

(ტოპონიმიკური ლექსი)

ვინახულებდი „ჯვარ-ხორხს“ და „შარვანს“,  
ვწუხვარ, რომ ახლა ჯუთაში არ ვარ.

და იცით, ასე რამ დამაღონა?

რომ ვერა ვხედავ „დიდრუს“ და „მილოს“.

თბილისში ლამის დავჯდე მთხოვარად,

მეც ხომ მოვთიბდი „სათიბლოვანას“.

ღამეა.

ცაზე მთვარე დაგორავს...

აქედან ვხედავ ჩემს „შუაგორას“.

ნულარ მადარდებ, ღმერთო, ნულარას,

ათოვს „ბრმა- ჩრდილას“ და „საქუხარას“,

მე გთხოვთ, ნურვინ გამიგებთ ცუდად,

უბრალოდ, მე გამახსენდა ჯუთა.

\*\*\*

წამოველ, მაგრამ სოფელმა,

თვალეები გამომაყოლა,

გზა დამილოცეს ბებრებმა -

ჯურხამ, ბეწინამ, ჯოყოლამ.

ხოლო, ამ გზაზე რაც ვნახე,

გამიჭირდება მოყოლა...

ბევრთანა მქონდა დუელი,

მიყვარდა ბევრი გოგონა,

ვწრუპავ კაფეში კონიაკს,

მივატან ძვირფას შოკოლადს.

დე, ჩემს წინ სხვამ დაიჩოქოს,

მე სხვის წინ დავიჩოქო რად?

\*\*\*

ჯერ ხომ ისევ გაქვს ჯუთაში,  
ძირის სახლი და ჭერხო,  
უნდა აიღო ხერხი  
და შემა უნდა ხერხო!  
უნდა იკითხო ვაჟა!  
უნდა იკითხო ლი ბო!  
უნდა აიღო ცელი,  
ჭინჭარი უნდა თიბო!  
მხარში გიდგანან ძმები:  
ამირანი და სოსო!  
და არ აიღო თოფი  
და ჯიხვები არ ხოცო!..

## ალექსანდრე ბაბური

\*\*\*

ისევ დასთელავთ ვაჟები ჩორებს,  
მზერას გაჰკიდებთ შავწყალს და ბისნას,  
ნუ დაადუმებთ მთა-კლდეებს, თორემ  
მიჩუმებული მამული - მტრისას!..

გარიჟრაჟისას წამოშლით გორებს,  
არ მოგეშლებათ იმედი მზისა,  
ნუ გააბორტვებთ ხატისკარს თორემ,  
რწმენამოშლილი მამული - მტრისას!..

აღმა შეყვებით დღეთა ფალანგებს,  
ტკივილს გრიგალებს გაატანთ ნისლად,  
ისევ თქვენ გაზრდით სამას არაგველს,  
უარაგველო სიცოცხლე - მტრისას!..

\*\*\*

თქვენი ხმის ექოც ჩაუვლის  
ზისნას და შავწყალს - ასასთან...  
ეგ სიჩუმე და ხმაური,  
ჩემს თვალებს ერთიჯ არ აცდა.

მოხვედით, ყელი გაიშრეთ,  
გაიავდრეთ და ახვედით  
და დარჩა თქვენით სანიშნე,  
წარსულში გადასახედი.

განგაშით ყოფნას გიმადლით,  
ჩემი დღე - მშვიდად არც მე ვარ!  
თქვენს ღრუბლის შეყრას მივნატრი,  
თქვენს წარბად - მთვარის აწევას.

როგორ იცოცხლეთ, რა ჰქენით,  
ხმალი რა ცრემლთან ჩააგეთ?!  
უფრო კი დარჩა სათქმელი,  
ღამეს - ხვალის დღის განგებას.

მე მიჭირს - იყო ბეწინა,  
დრომ, დრომ აჯობა აბიკას...  
...ის ვარ ,ერთხელ რომ ჩემს წილად,  
არ გავახარებ ქავის კარს!...

\*\*\*

სხვა თოვლი მოდის, სხვა ველი კვიის,  
სხვა ღამის ბინდი მიღამებს თვალებს,  
აქ არც რიჟრაჟი არხოტის დილის,  
აქ არც არხოტის ჯიხვივით მთვარე.

ვითომ სიხარულს დავუქნევ ხელებს,  
ხანდახან ბედიც მიღიმის ვითომ;  
ეს ტყეა, მაგრამ რა უგავს ხეებს,  
აი, ეს სითბოც არ არის სითბო.

აქ არ ქცეულა საწუთრო წუთად,  
მეფობენ დრონი: „სხვაგან“ და „მერე“,  
აქედან უფრო ახლო ხარ გულთან,  
აქედან უფრო მიმძიმებ ცრემლებს.

აქ უფრო მეტად კვნესაა სიტყვა,  
აქ ქარიც უფრო განგაშით ქარობს,  
აქედან უფრო მჯერა და მიყვარს,  
აქედან უფრო ველი და ვნანობ.

აქ არ ვიფარებ სიშორეს სხვის ცის,  
თავსვე ვთხოვ პასუხს: რაც ხარ, ვინაც ხარ,  
დედინაცვლობა რაც არის, იგი  
და ვსუნთქავ ჰაერს ნადედინაცვლარს...



## ვალერიან სალლიანი

### ზამთარი ხევსურეთში

კიდევ თოვს, წიქა,  
დამიდგი ჭიქა,  
შემივსე ისევ;  
დარდებს ხომ ვისევ,  
ხომ ვისევ დარდებს?  
ჩაუქებს, მარდებს,  
გვმართებს ვძირკვავდეთ  
ეკალს და ბარდებს.  
აცვიდა მთაში,  
ბზარი გვაქვს ხმაში,  
ვაი, რა ბზარი,  
თითქოს და ზარი,  
ჩაგვიდგა ტანში,  
გაქვავდა ენა,  
წაგვიხდა ლხენა,  
სულს აღარ ძალუმს,  
დავანდეს ვანში,  
ცას აუშლია,  
საავდროდ ბეწვი,  
მოყვასის ბედი,  
მტკივა და მეწვის,  
გაღმა სჩანს მუცო,  
არდოტის ხედი,  
არა ქნას ღმერთმა,  
მოვიდეს უცხო,  
სუყველამ ერთად,  
მოვდრიკოთ ქედი.  
მამხნევებს შენი,  
სიმხნე და ძმოზა,  
გარს აკრავთ ქედებს

ბურუსის ქობა,  
ფიქრს ჩვენსას, ძმაო,  
ტევრ უკაფია,  
ო, როგორ მინდა  
შეთეს კაფია.  
მიწაა ჩემი  
ლეიბ-ლაჭანი,  
ფიც-ვერცხნაჭამი,  
ვარ ხევსურ ძმასთან.  
სულს ვუნთებთ სანთელს  
და ღამეს ვათევთ,  
ადგილის დედის  
უნაზეს ხმასთან.  
ვუწყით და ვიცით,  
არ გვინდა ფიცი,  
წვრილი ძაფით ვართ  
მიბმული ცასთან.  
დრო ვერას გვიზამს,  
კკითხულობთ ნიზამს,  
გვამხნევებს ვაჟა,  
ვეუბრვით რა ჟამს...  
ეს არის რაიც,  
შეგვრჩება მაინც,  
გააღწევს გაისს.  
აკვნესებს ყინვა,  
თავის მწველ სამ თარს,  
გავატან ყველა ,  
სურვილებს ამ ქარს,  
ისევ თოვს, წიქა,  
შეავსე ჭიქა.

## არხვატში

გავივლი ამ ღელეს, იმ ღელეს  
და ტყეებს ყინულის გარსიანს,  
შევხვდები ამღელეს, ჭიმღელეს,  
ვიმღერებ, ვამღერებ გარსიას.  
ბილიკზე გამიყვანს გაბური,  
ხანჯლით და სვანური ქუდიტა,  
შემხვდება ღრუბლებით ნაბური,  
სოფელი სვიანი ლუდიტა.  
ლუდსა სმენ და ეშხში შესული,  
არხვატი ინებებს მარულას;  
მომართმევს ბედაურს ხევსური  
და მთებზე მივქრივართ ქარულად.  
ო, გულში მინთია ხანძარი,  
მივდივარ, ცრემლები დამდინდა,  
დამკარით ხმალი და ხანჯარი,  
მე სხვაგან სიცოცხლე არ მინდა!

\*\*\*\*

აქეთაც ქარაფებია,  
იქეთაც ქარაფებია,  
მოვკვდებით? არაფერია,  
ვიცოცხლებთ? არაფერია.

## კვლავ მემახიან

(ალექსი ჭინჭარაულს)

მაღალღებს სუნთქვა  
მათი ქარ-ხვატის,  
იქ გამყვეს ჩემი უშბა და შხარა!  
კვლავ მემახიან მთები არხვატის,  
გამიშვით, ჩქარა!...  
ჩათალეს ჩემთვის  
თასში იქ ტყვია,  
ჯიხვის ბილიკზე გამიჭრეს შარა...  
ლექსებს უჩემოდ სხვები იტყვიან,  
გამიშვით ჩქარა!..  
მე იქაურის  
ოხვრა ვარ ხატის,  
იქ მდევდეს ლანდად უშბა და შხარა.  
კვლავ მემახიან მთები არხვატის,  
გამიშვით ჩქარა!...

## დაგვიანებული პასუხი ალექსის

(ჭინჭარაულს)

მთაში ვარ, ვირჩიე ჯიხვების საუფლო,  
არწივთა ბუდე და არჩვების სავანე;  
ვარსკვლავებს ვუმღერი, მთვარესთან ვსაუბრობ,  
შევხარი თოვლიან ქედების თავანებს.  
ვუყვარვარ, ჩემსავით ფიქრებით მქისეთი  
გვერდით მყავს ათასი ლელა და ალუდა,  
რა მინდა ქალაქში, წყალი მაქვს ისეთი,  
რომ მიღირს თბილისის მთელ ღვინოდ და ლუდად.  
კოშკში ვარ, ხმალ-ხანჯალს ბეთქილი მილესავს,  
სარკმლიდან ენგურის მქუხარე ჩანს ჩქერი,  
თავნება გრიგალი მიმღერის ”ლილესა”  
და ზღაპარს მიაძობს მჩქეფარე ჩანჩქერი.  
ვადიდეშ მაღალ მთებს ყინულის თავიანს  
და მიყვარს სვანეთის ზაფხულის ცხარე მზე...  
სვანეთში ზამთარშიც ვარდები ჰყვავიან,  
არ გჯერა? იხილე მეორე მხარეზე.

## ხვთისო ნიკლაური

### მამის სიკვდილი

ოჟა ჰგონიხარ, დაუცდელი,  
სიკვდილმა ომი გაგიბედა...  
არიქ,  
გამაგრდი,  
გაუძელი! –  
მოდგა სიცოცხლის სათიბადა.

შეხვდი უდრეკად,  
განრისხებით,  
ხმალი ქარქაშით წამოზიდე,  
არხოტის მთები გაიხსენე,  
უკეთესნია წამალზედა...

განა ბალღი ხარ, უწვერული,  
სიკვდილის შიშით ყმაი წახდე?!  
თავ ჯაბან ფიქრებს უცერულე,  
გულში იმედი ჩაისახლე.

ცამ უკვდავება დაგიბედა,  
სიცოცხლე წერტილდაუსმელი...  
არიქ!  
გამაგრდი, გაუძელი...  
ზნელ მოდგა ნათლის სათიბადა.

## გროზნოში მდინარე ასასთან

როგორ დაღლილხარ, ჩემო ძმაო,  
თვალები წმინდა აგმღვრევია,  
დაზანტებულხარ,  
უმომრას  
არწივნი აღარ დაგმღერიან.

ვიყავით არხოტს ყმაწვილები,  
არხოტმა გვშვა და გვაჩანჩქერა.  
დამწვა მე მასთან დაცილებამ,  
დარდის ბარდნარმა გადამთქერა.

ხოლო სიყმილი ვერ ჩაბუგა  
სიშორემ -  
მთები კიდევ მშია.  
იქ, მახსოვს, იყავ მზეჭაბუკი,  
დაბერებულხარ მინდვრებშია.

## ციკლიდან „მთების გაზაფხულის გახსენება“

იქ, დილა, დაო ნანუკა,  
რა დიდებულად ჟღერდა,  
გადაუვლიდა მთა-გორებს,  
ლივლივი უცხო ფერთა.  
იქ, მთაზე მთა კითხულობდა,  
რასაც ივნისი წერდა.  
იქ, ერთი ჯაბუშანური  
გვესახებოდა ღმერთად:  
იქ ჩვენთან ერთად იყოფდა,  
დალხინებას თუ ტანჯვას,  
მუდამ სიმართლეს იტყოდა,  
იმ წმინდა კაცის განსჯა.  
კარგი მელექსე იყო და  
მთების მედროშედ დარჩა.  
იქ, დინჯი ხირჩლათ ბეწინა,  
სიტყვას ხმარობდა სარჩად,  
იმის მზერას და მაღალ შუბლს  
სიბრძნის ბეჭედი აჩნდა.  
...მე ვერ ვივარგე, ძვირფასო,  
მომხვეჭელად და ჩარჩად,  
ჩემს მზერას ველარ ატყვევებს  
სიმდიდრე,  
ვერცა ფარჩა.  
ასე მგონია, მაქცია  
გზამ, გამოვლილმა, კაცად.  
დრო კი - მძარცველი -მძარცვავდა,  
კვლავ ძველებურად მძარცვავს,  
ერთი ლამაზი სიცოცხლე,  
იმ ლამაზ მთებში დამრჩა.



## მამის ხელები

მათ არ უსინჯავს უხვი საუნჯე,  
ძუნწის ცახცახით და ხარბის ღელვით,  
გათოშილ მოძმეს ცეცხლი დაუნთეს  
და შეუმშრალეს ვაების ცრემლი.  
ნუგეშის შუქად შევიდნენ გულში,  
მშიერს მიაგეს ხემსად ხმიადი,  
შექმნეს ქველობის ტაძარი ლურჯი,  
უღრუბლო ცაზე, ვით განთიადი.  
მათ არ უსინჯავს მდიდრული განძი  
და არც მამონა დაუსვამთ ღმერთად,  
არამი ლუკმა გასწიეს განზე  
და მძიმედ გაჰყვნენ საკუთარ ერქვანს.  
მზეს ვფიცავ, ღირდნენ თვალის შევლებად,  
როცა ძირს დასცეს, როგორც ფიტული,  
მტერი  
და გავდა ცის გაელვებას  
მახვილი - მათგან ამოზიდული.  
განთიადივით ჩანს მომავალი  
და მოქრის ჩემსკენ შეუჩერებლად.  
ჩემს ხელებს რამდენ რამეს ავალებს  
ის, რაც აკეთეს მამის ხელებმა.

## ფიქრები ძველი არხოტის ნანგრევებთან

გზებს მიუყვება  
კეხა და კიმხა,  
თითქოსდა ლელა ისევ აქ არის.  
უპყრია ვერცხლის  
საყვირად ჭიმღას,  
ასა  
და მთების დუმილს აქარვებს.  
ლურჯ სევდას აღვრის  
მგზავრი ახიელს,  
მოლს გვირილების აკრავს ღილები,  
მთები დათოვლილ დროშებს არხევენ,  
ზეცას ღეჭავენ კლდეთა კბილები.  
ამ სიჩუმეში თეთრი საყვირი,  
არხოტის წყალი თეთრ ხმად იღვრება,  
ღრუბელი მღვრიე დუმილს ამყარებს,  
რომ მოისმინოს წვიმის სიმღერა.  
მეხება მხრებზე ცივი ქუსლებით  
წვიმა  
და ხევზე ხმაურით გარბის.  
კედლები ჭოტის მოთქმას უსმენენ  
და გამარჯვებას ზეიმობს შამბი.

## ენვერ ნიჟარაძე

### სისხლის ყივილი

მე ვდგევარ ხახმატში, მოჩითულ მინდორში,  
მალლით ცა დამყურებს ლურჯი და ლივლივია,  
ამაყ არწივთა და ორბთა სამკვიდროში  
მთაში ამომადო კვლავ სისხლის ყივილმა.  
დღეა ჯილიანი, მაბრმავეებს ჩახჩახა  
მნათობის ციაგი და შუქთამფენობა,  
ხატის წინ ათასი კოცონი გაჩაღდა  
და ეშხში შესული დულს ათანგენობა.  
აქ, რომ პირუტყვია შეთქმული საკლავად  
ქვაბები დევების ყბებივით დანთქავენ,  
ხოლო დაზვინული ძვლები კი სახრავად  
ნადირს და ყვავ-ყორანს ეყოფათ ზამთრამდე.  
მტვრიანი დროშები გამოაქვს დეკანოზს  
და მრევლს ამწყალობებს დომბური ბუხუნით,  
თითქოს გააღვიძოს სურს მკვდართა ქვეყანა  
და სამიდღემჩიო დაუფრთხოს უკუნით.  
ეჰ, ვგრძნობ, რომ ბახუსის გავხდები ზვარაკი,  
დღეს თავს ვინ მოიკლავს დარდით და კაეშნით,  
დაგრეხილ ყანწებში ლიცლიცებს არაყი  
და ლუდი ქაფქაფებს სპილენძის ჯამებში.  
ჩუმიად ვეფერები მოვერცხლილ სატევარს,  
ძველთაძველ სამკაულს ხევსურულ ტალავრის,  
სისხლი მემღვრევა და ძალა მემატება  
და ჩემი მომრევი არა ჩანს არავინ.  
ტაბლებზე ხინკალი გროვდება გორებად  
და ბრწყინავს მაცდურად ერბო და ხავიწი,  
არ ვიცი არაყმა თუ ამაფორეჯა,  
არ ვიცი დალდალა მზის კოცნით დავიწვი.  
ქეიფის ნიშატმა გაჟღინთა ჰაერი,  
ვარვარებს ფიქალი, დულდება სინდიყი,

ანაზდად კაჟივით ნაკვესი შაირი,  
ჭიუხებს შეასკდა, ვითარცა ფინდიხი.  
გაგიჟდა გარმონი, გაენტო ფანდური,  
დოლი აბაგუნდა გულამოვარდნილი,  
გახურდა ტორტმანი და ბუქნა ხვადური,  
კბილების ხრჭიალი, ბრდღვინვა და ქადილი.  
მეც ვგრძნობ ველურმა მომზიდა მშვილდივით,  
როს ქალამ ხევსურმა, სიზმრად, რომ მინახავს,  
შორიდან თვალებით დამიწყო ჭიდილი  
და მზერით კეფამდე გამბურლა კინაღამ.  
უსიტყვოდ მეძახის ურჩი და დიდგული,  
ქალაი, მთვარის და მზის დასაკოცნელი  
და მის ნაწნავებზე ბრიალებს სინგური  
და ლამაზ სხეულში წრიალებს ფოცხვერი.  
ძვირფასო, ჭიხვინებს ქურანი უბელო,  
რომ არ მიიკარა ლაგამ-უზანგები,  
ვიწრო ბილიკებზე ავარდა ღრუბელი  
და ასხლტა ჯირითი ელვა-ზიგზაგებით.  
აღარ ვერიდები არვის და არაფერს,  
ან ხმალში ან დოდში ჯაბანი როდი ვარ,  
ჰა, ჩემი ქურანი მოფრინავს ქარაფზე,  
მოვდივარ,  
მოვდივარ,  
მოვდივარ!

## ვაჟა ოთარაშვილი

### ლხინი ხევისურებთან

რომელი ლექსი დარჩება ნეტა  
ჩემი ცხოვრების ეპიტაფიად,  
ხევისბერივით ხინკალს მოვხვრეპავ,  
პირს ჩამითუთქავს ცხელი კაფია.  
რომელი ქალის ტრფობა გამყვება  
სამარეში და სამარადისოდ,  
გოგო მიჰგვარეს ნეფეს მაცრებმა,  
მთებზე თავს იკლავს უკვე დაისი...  
ოხშივარს მიაქვს სახინკლე ხონჩა  
და პირს მითუთქავს ცხელი კაფია...  
ნეტა, რომელი სტრიქონი მოჩანს  
ჩემი სიცოცხლის ეპიტაფიად?!

## ხევსურეთში, მუცოს გზაზე

ღრუბლის ხევისბერები  
დგანან ზეცის დარებად...  
ქარისფერო ფერიავ,  
მალე გაავდარდება...  
სიზმარშიაც მინდოდა,  
დედასავით გენაღვლე,  
ჩაიჩოქა მინდორში,  
ქარმა -ძველმა მეარღნემ.  
დავიხარე : ბალახის  
გადატეხილ ღეროდან,  
სისხლის სჩქეფდა არაგვი  
თუ ხევსური მღეროდა...  
საწვიმარი ღრუბლების,  
ჩაიარეს ჩრდილებმა  
და ცა - მონაქუფრები -  
მუცოს მიმაცილებდა...

\*\*\*

(ხევსურული მოტივებიდან)

ქარმა ღრუბლები მთებზე ახვეტა,  
მიწყდა ძაღლების ყეფა-გნიასიც  
და ჩაიძირა ბინდში არხოტი,  
როგორც წაწალის მკერდში დიაცი.  
სულს მიკოდავდა შენი ქარაგმა,  
გაკვესებული ბნელში კაფიად...  
ისეთი გმინვა იცის არაგვმა,  
თითქოს ლოდები გულზე აბია.

### **დილა ხევსურეთში**

ირგვლივ ლივლივებს სილურჯე წმინდა,  
ჩანჩქერში სხივი ხმალივით ელავს,  
პაჭიჭებსა და ხევსურულ წინდებს,  
ალუდას უქსოვს ლამაზი ლელა...  
ჩემში შემოდის მზის ენერგია  
და მიხარია დადგომა დილის,  
ეს მყინვარწვერი აისბერგია  
თუ მამალმერთის სპეტაკი ჩრდილი?!..

## რამაზ გიბაური

### ბელურების საკენკი

დიდი თოვლი მოვიდა შარშან...  
დეკემბერი სოფლის ზემოთ, მთაზე ჩამოჟდა  
და თავისი თეთრი ყავარჯენი ჩამოიქნია.  
ცვიოდნენ და ცვიოდნენ ციდან ფანტელები,  
ცვიოდნენ და ცვიოდნენ ხელისგულისტოლა ფანტელები.  
თოვლით ამოივსო მთელი ხეობა.  
ხალხმა გვირაბების გათხრა დაიწყო -  
წყარომდე, ბოსლამდე, თივის ზვინამდე.  
ვისაც ჰქონდა კოდში ფქვილი,  
ეზოში - შეშა, სათივეზე - თივა,  
არხეინად იყო,  
დანარჩენები ჩუმი ოხვრით და  
ტურქების კვნეტით ცას შეჰყურებდნენ.  
ცვიოდნენ და ცვიოდნენ ციდან ფანტელები,  
ცვიოდნენ და ცვიოდნენ ხელისგულისტოლა ფანტელები.  
თოვდა და გადაღებასაც არ აპირებდა.  
ამ დიდმა თოვლმა ფრინველები მოიყვანა,  
უამრავი და ნაირ-ნაირი;  
ყველაზე მეტი ბელურები იყვნენ.  
მოხუცებმა თქვეს, ეგ ომის ბრალია,  
ომმა მოიყვანა ამდენი ჩიტი.  
მალე მგლებიც შემოგვესევანო,  
მაგრამ მგლები არ მოსულან,  
შეიძლება სხვა სოფლებში წავიდნენ.  
მხოლოდ ბელურები მოვიდნენ.  
მოვიდნენ და თან შიმშილი მოიყოლეს.  
ბელურები ქათმებისთვის გადაყრილ საკენკს უცბად  
კენკავდნენ,  
მერე იდგა ეზოებში მშვიერი ქათმების კრიახი.  
შიმშილმოკლული ბელურები ხეებიდან მხიარულად  
ჟივჭივებდნენ,



თითქოს ქათმებს და მათ პატრონებს დასცინოდნენ.  
 სოფლის დედაკაცები გაბრაზდნენ -  
 წყევლა- კრულვით მიწაში ჩადეს ყველა ბელურა,  
 ქოქოლა მიყარეს ომის დამწყებსაც.  
 მერე შეშინდნენ,  
 რადგან დამშეულმა ქათმებმა კვერცხის დადებაზე  
 თქვეს უარი.  
 დედაკაცები ქათმებს გარეთ აღარ უშვებდნენ  
 და საქათმეშივე უყრიდნენ საკენკს.  
 ამან ქათმები მხოლოდ ორ დღეს შეინახა,  
 მესამე დღეს ბელურებმა  
 საქათმეების ღრიჭობებში შეძრომა ისწავლეს.  
 მერე დატრიალდა ცოდვის კალო,  
 დედაკაცების წყევლა-კრულვა შეასკდა ზეცას  
 და შუაზე გააპო;  
 მერე დაფიქრდნენ სოფლის კაცებიც,  
 რაღაც უნდა მოეფიქრებინათ,  
 თორემ სოფელი ქათმისა და კვერცხის გარეშე დარჩებოდა.  
 ამას კიდევ რა უშავდა, უკვერცხოვას როგორმე აიტანდნენ,  
 ბალღებს ერბოში შემწვარ კვერცხზე ეტყოდნენ,  
 ბუამ და ბულდაჯანამ წაიღესო,  
 მაგრამ აღდგომას რა შეეღებათ?!  
 მიცვალებულისთვის საფლავზე რა გადაეგორებინათ?!  
 ანდაც ბელურების დამარცხებული სოფელი რა იქნებოდა?!..  
 ბელურები იყვნენ, ლომები და ვეფხვები ხომ არა.  
 დაიწყო ხალხმა საშველზე ფიქრი -  
 ზოგმა მოწამლული საკენკი დაყარა საქათმესთან,  
 ზოგმა ეზო კაკანათებით და მარყუჟებით გაავსო,  
 ერთმა კაცმა კი,  
 ყოველ დილით სახლიდან  
 პირჯვრის წერით რომ გამოდიოდა,  
 მგლის ხაფანგი დაუგო ჩიტებს.  
 არცერთს არ მიეკარნენ ბელურები...  
 მოწამლული საკენკი ქათმებმა ჭამეს,

კაკანათშიც ქათმები გაეზნენ.  
 ხაფანგმა კი ის მეწველი ძროხა დაიჭირა მხოლოდ,  
 წყლის დასალევად ბოსლიდან რომ გამოეშვა პატრონს.  
 ბლაოდა ძროხა  
 და თავის დაგლეჯილ-დამტვრეულ ფეხს დასტიროდა.  
 ძროხის პატრონი,  
 რომელიც ყოველ დილით  
 სახლიდან პირჯვრისწერით გამოდიოდა  
 და რომელმაც ბელურებს მგლის ხაფანგი დაუგო,  
 ყველაფერს ეშმაკს აბრალებდა.  
 ხმამალა იგინებოდა, „ბელურებში ეშმაკია შესული  
 და რკინის ხაფანგიც სწორედ ეშმაკს დაუვუგე,  
 რადგან ეშმაკი რკინას გაურბისო“.  
 მაგრამ ამან ძროხას მოტეხილი ფეხი ვერ გაუმთელა.  
 დაკლეს ფეხმოტეხილი და თვალცრემლიანი ძროხა.  
 ძროხას პატარა ხზო დარჩა.  
 მეწველი ძროხის სიკვდილმა  
 კიდევ უფრო გააბოროტა ხალხი.  
 ატყდა თოფების ბათქი-ბუთქი  
 და ციდან პანტა-პუნტით ცვიოდნენ ბელურები.  
 მაგრამ ბელურების ჯარს არაფერი აკლდებოდა,  
 თუ არ ემატებოდა...  
 კვერცხთან ერთად თოფის წამალიც შემოაკლდა სოფელს.  
 ფიქრობდნენ სოფლელები  
 და ვერაფერი მოეფიქრებინათ.  
 ექვსი დღე სოფლის შუაგულში იკრიბებოდნენ -  
 თათბირობდნენ, კამათობდნენ, ქოთქოთებდნენ, ყვიროდნენ.  
 მეშვიდე დღეს წმინდა გიორგის ხატისთვის  
 ცხვრის შეწირვა გადაწყვიტეს.  
 „ისევ ღმერთი, წმინდა გიორგი ან  
 მთავარანგელოზი თუ გვიშველისო“.  
 ქათმის ყველა პატრონმა გაიღო წილი -  
 ზოგმა ფულით,  
 ზოგმა ერბოთი,

ზოგმა სანთლით  
ზოგმა ხილის ორნახადი არაყით.  
ხატის წინ შეიკრიბა სოფელი.  
ილოცა ყველამ,  
მაგრამ ყველაზე მხურვალედ ქათმის პატრონებმა ილოცეს,  
რას არ შეჰპირდნენ ღმერთს და წმინდა გიორგის;  
ოღონდ მათთვის ეს ჭირი და სატკივარი მოეშორებინა,  
ოღონდ არ გაწყვეტილიყო სოფელში ქათამი და კვერცხი,  
ოღონდ აღდგომას მიცვალებულებს  
წითელი კვერცხი ჰქონოდათ.  
წმინდა გიორგისთვის შეწირული ცხვრიდან არაფერი დარჩა,  
ქალები შეიჭამა და არაყი დაილია,  
მთვრალი კაცები ცოლებმა წაიყვანეს სახლებში:  
„ჩხუბი არ ატყდეს და ღმერთმა არ გვიწყინოს,  
თუ გვიწყენს, ბელურებს აღარ მოგვაცილებსო“.  
დაწვა სოფელი დასაძინებლად და ვერ დაიძინა.  
ხალხი დილის გათენებას გულის კანკალით ელოდა.  
ყველა საკუთარ სახლში დამალვოდა ბელურებს  
და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა.  
რადგან სოფელი დამარცხდა ბელურებთან,  
რადგან ადამიანებს ძალა გამოეღიათ,  
რადგან იმედი გაუქრათ.  
ამიტომაც მიმართეს ღმერთს.  
ამ დროს ღმერთისთვის მიმართვა ხომ აუცილებელიც კია.  
ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც მამა-პაპით ახსოვდათ:  
ცხვარი დაკლეს,  
სახელდახელოდ ამ დღისთვის ნაყიდი,  
ქადა დაჭრეს,  
სახელდახელოდ ამ დღისთვის გამომცხვარი,  
სანთლები აანთეს,  
სახელდახელოდ ამ დღისთვის ჩამოქნილი,  
დალოცეს ჯვარ-ხატი და მიაფურთხეს ეშმაკს.  
ახლა კი საკუთარ სახლებში შეყუჟულიყვნენ  
და ღმერთის დახმარებას ელოდნენ.

ბელურებს ღმერთი დაუპირისპირეს;  
ღმერთის წინააღმდეგ წასვლა კი არავის შეუძლია,  
გარდა თვითონ ღმერთისა  
და თუ ამ დილას ბელურები ისევ შემოესეოდნენ სოფელს  
და ისევ დარჩებოდნენ ქათმები საკენკის გარეშე,  
ჩათვლიდნენ რომ ბელურები -  
უფლის გამოგზავნილები იყვნენ,  
ამიტომ აღარ შეუშლიდნენ ხელს საკენკის აკენკვაში,  
თუნდაც, ქათმები მთელი დღე მშივრები ყოფილიყვნენ.  
თუნდაც, კვერცხი აღარ დაედოთ,  
თუნდაც, საერთოდ დახოცილიყვნენ კიდეც,  
თუნდაც, მიცვალებულები წითელი კვერცხის გარეშე  
დარჩენილიყვნენ.  
რა უნდა ექნათ ადამიანებს,  
როცა ეს ყველფერი ღმერთის ნება ყოფილა.  
ელოდა სოფელი გათენებას;  
გათენებასა და სასწაულს.  
როდის-როდის ირიჟრაჟა;  
როდის-როდის ამოვიდა მზე.  
ყველა თავისი სახლის ფანჯრიდან იყურებოდა -  
ფანჯრებიდან მოჩანდა მათი შეშინებული  
და მომლოდინე თვალები.  
სოფლელები ფანჯრებს აკრობოდნენ და თავს არ  
უტყდებოდნენ,  
რომ სასწაული მოხდა.  
ყველა გრძნობდა რაღაც დიადს,  
გრძნობდნენ, მაგრამ ბოლომდე ვერ იჯერებდნენ.  
ვერ იჯერებდნენ სოფლელები ამ სასწაულს.  
ეს სასწაული- სიჩუმე იყო.  
ბლაოდნენ ძროხები,  
კრიახებდნენ ქათმები,  
ყიოდნენ მამლები,  
ყეფდნენ ძაღლები,  
მაგრამ აღარ ისმოდა ბელურების ჟივჟივი,

არსად სჩანდა ერთი ბელურაც კი.  
მერე ადამიანებმა ერთბაშად იხუვლეს  
და სახლებიდან ლოცვითა  
და პირჯვრისწერით გამოეფინნენ,  
როგორც დილით ბაკიდან გამოშვებული  
ცხვარი გამოეფინება ხოლმე.  
დაიწყეს ერთმანეთის კოცნა და მილოცვა,  
ვერაფერი ველარ მოეფიქრებინათ,  
მხოლოდ ერთმანეთს კოცნიდნენ და ულოცავდნენ.  
თითქოს აღდგომა უკვე დამდგარიყო  
და ქრისტეს კიდევ ერთხელ გაემარჯვა სიკვდილზე.  
პირჯვრისწერიანი, ბელურებისთვის  
მგლის ხაფანგის დამგები  
და საკუთარი ძროხის დამკვლელი კი ხალხში იდგა  
და მათ ეშმაკისა და ღმერთის ურთიერთბრძოლაზე  
ელაპარაკებოდა.  
მთელი სოფელი მის გარშემო შეკრებილიყო,  
ყველა მასთან იყო,  
გარდა მეტყევე დაბალ გაგასი...

.....

დაბალ გაგა სოფლის გადაღმა ცხოვრობდა,  
სადაც სოფლის მინდვრები სრულდებოდა და ტყე იწყებოდა.  
მას არ ეცალა სოფლისთვის.  
არ ეცალა, რადგან სტუმრები ჰყავდა...  
გაეშალა ეზოში დაბალ გაგას ერთი ტომარა ხორბალი,  
იმ ზამთრის სარჩო და  
ბელურების მხიარულ  
ჟივჟივს ღიმილით უსმენდა.

## წელწადი

წელწადია - აპნისის თოთხმეტი.

თოვს...

ბუხარში ნედლი რცხილა იწვის.

მისი ბოლით ჩვენი სახლი ზეცაშია დაკიდებული.

დაბერდა ჩემი ბერდედა -

ბედისკვერებს ველარ აცხობს და წუხს.

დედაჩემმა არ იცის ბედისკვერის გამოცხოზა

და არც ბერდედასავით ლოცვა იცის.

მე სიცხიანი ვწევარ.

ძმრიან ტილოებს ჩემი უმცროსი და მალი-მალ მიცვლის.

მამაჩემის მნახველი კაცი ჯერ არ გამოჩნდა,

ჩაიხაფრა კავკავის იქით.

კიდობანში ხორბალი, კოდში კი ფქვილი ილევა...

ძროხები და ხბოები ბღავიან, თივის დამყრელი აღარ ჰყავთ,

რადგან პაპაჩემი გორშელმა სასაფლაოზეა.

მე სახადი მაქვს და მეზობლები ვერ გვეკარებიან,

მხოლოდ აბაისძეთა აშექალი გადმოდის ჟამი-ჟამს.

ძილ-ღვიძილში ვხედავ სახლში

მამაჩემი და პაპაჩემი შემოდიან.

მამაჩემს ხელში ძროხის მთელი ბარკალი უჭირავს,

მოდის და სისხლს მოაწვეთებს.

პაპაჩემს სპილენძის თეფშით კანფეტები მოაქვს.

პაპაჩემი მეუბნება: „რა დაღლილი ხარ, შვილო,

რამდენი გივლია, გირბენია, მოდი კანფეტი მოგცეო“.

მე ტკბილ კანფეტს ვჭამ და ვიცინი.

მამაჩემი მთელ ოთახში დააბიჯებს

და თან ძროხის ბარკალს ხელიდან არ უშვებს,

გასდის ამ ბარკალს სისხლი...

შორიდან მესმის დედაჩემის კვილი და ბერდედას ლოცვა.

პაპაჩემი კანფეტიან თეფშს მაგიდაზე დგამს

და გარეთ გადის,

მამაჩემი ძროხის ბარკლით პაპაჩემს უკან მიჰყვება.

მე საწოლიდან ვდგები და ფეხშიშველა მათ მივდევ.  
 თან ვტირი, მეც მინდა თქვენთან -მეთქი.  
 „წადი, მამცილდი, გამეცა!“ -ბრაზობს პაპაჩემი.  
 ტირილ-ტირილით ვბრუნდები სახლში.  
 მოვდივარ, შიშველი ფეხები მისველდება და მცვივა.  
 საწოლში ვწვები, მამცივნებს და ვკანკალებ.  
 მაგიდაზე პაპას დადებული სპილენძის თეფშით  
 კანფეტი დგას.  
 კანფეტი მინდა-მეთქი, ჩურჩულით ვამბობ.  
 დედაჩემი ერთ კანფეტს მიწვდის.  
 მე ვჭამ და ვამბობ: „ტკბილია პაპის კანფეტი-მეთქი.“  
 „რა პაპა, აშექალი იყო გადმოსული და იმან მოიტანა,  
 ქალაქიდან მოუტანია  
 იმის შვილიშვილსო“, - მეუბნება დედაჩემი.  
 ჩემი და შეშინებული თვალებით მიყურებს.  
 კედელზე პაპაჩემის ცხრამალიანი ფანდური ჰკიდია.  
 დაუკარი-მეთქი, ვეუბნები დედაჩემს.  
 დედაჩემი კედლიდან ფანდურს იღებს  
 და საბანზე მიდებს, „შენ დაუკარო“.

საწოლზე ვჯდები და დაკვრას ვიწყებ...  
 „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო მართალო,  
 ღმერთო, უშველე შენს ყმასა გაგასაო“, -  
 ლოცულობს ბერდედა...  
 კუმეტია - აპნისის თხუთმეტი.  
 აღარ თოვს...

მე საქონელს თივას ვუყრი, შეშას ვჭრი,  
 ვჩქარობ, რადგან მერე ხორბალია წისქვილში წასაღები.  
 გორშელმიდან პაპაჩემის დაკრული  
 ცხრამალიანი ფანდურის ხმა ისმის.

## წვიმა, პაპის გახსენება

სახლში თბილად ღულუნებდა ღუმელი,  
შემოდგომას ცივი წვიმა ეხურა,  
ცაცხვის ძირში სველდებოდა ურემი,  
ცაცხვის ხეზე ჟივჟივებდა ბელურა.

ცა გაშავდა წელანდელი, კრიალა,  
ბაღში შეკრთნენ გულაბი და კეხურა,  
მთებზე მეხმა ტეხით გადაიარა,  
ცაცხვზე მაინც ჟივჟივებდა ბელურა.

გარეთ იდგა სველი მიწის სურნელი,  
შინ მე და შენ არაყს ვსვამდით გლეხურად...  
„აღბათ დარდი აქვსო განუკურნელი,  
ჰოდა, გაგავ, გაუმარჯოს ბელურას!“

სახლში თბილად ღულუნებდა ღუმელი,  
შემოდგომას ცივი წვიმა ეხურა...



## თიბათვე. მთიბლები ბალახს თიბავენ

თიბათვე დაიწყო...

არა და დიდი არაფერი მთიბელი ვარ,

ჩემი უმცროსი ძმა მჯობია თიბვაში.

სოფელში რომ ვიყავით და ცელს მოუსვამდა,

იმის ყურებას არაფერი სჯობდა.

პაპაჩემმა გვასწავლა ორივეს თიბვა,

ჩემი ძმა ნიჭიერი გამოდგა, მე - უნიჭო.

სანამ მზე ბალახს გაახურებს მანამდე უნდა თიბვა,

დილაბნელზე უნდა ადგე, რომ შუადღემდე

ბევრის გათიბვა მოასწრო...

გენაცვალეთ ყველა მთიბელს,

ვინაც მუხლამდე ბალახში შეხვალთ,

გამოკვერილ-გალესილი ცელებით

ბალახს ერთმანეთზე მიაწვენთ.

ბარაქა ჰქონოდეს თქვენს ცელსა და ბევრი მოეთიბოს.

ბარაქა და კარგი ღალა ჰქონოდეს იმ ძროხის რძესაც,

რომელ ძროხასაც იმ ბალახს დაუყრით.

მადლი ღმერთსა, რომ მთიბლები

კიდევ არიან საქართველოში.

პაპაჩემი ღიღინებდა ხოლმე, როცა თიბავდა:

„გამოთიბე ჩემო ცელო,

ქადას გამოგიცხოზენო“.

აღარ არის პაპაჩემი...

ეს ჩემი პატარა ნაწერიც იმ ყველა მთიბელის ხსოვნისა იყოს,

ვინაც თიბავდა, თიბავდა და

მოითიბა სიკვდილის ცელით!

## აბა , რად გინდა იყო ხევსური

„ნეტავ, მეც ხევსური ვიყო...“

სუფრასთან მითხრეს

ნუ შეგშურდება ჩემი ბედის, ნუ შეგშურდება  
და ჩემს ცხოვრებას ნუ ინატრებ გულდაწყვეტილი...  
ნუ მოინდომებ პაპაჩემის ჟანგიან ფრანგულს,  
ნუ მოინდომებ ჯიხვის რქებს და სპილენძის თუნგებს,  
ნუ მოინდომებ წასვლას ამღას, მუცოს ან შატილს,  
ჟიპიტაურით ნუ დათვრები ათენგენობას,  
მთვრალი ფანდურზე ჯარჯის ლექსებს ნუ დაამღერებ,  
ნუ გეგონება ხევსურობა მარტო ხატობა -  
დოლი, ლუდის სმა, კეჭნაობა, კაფიაობა,  
ნურც აპარეკას ნუ დაირქმევ და ნურც ბეწინას  
და ნუ იკითხავ თუ ვინ იყო ხოგაის მინდი,  
ნუ ეცდები, რომ ვინმე ქისტი მტრად მოიკიდო,  
კარგად გახსოვდეს , ეს ყველაფერი ვალია მხოლოდ...  
ან ვინმე „მაქკლავს“ ან ჭიუხში გაიყინები,  
ზვავი დაგიტანს და ორწოხში ჩაგლეწავს...სადმე,  
ან როშკისგორზე კოპალას ლანდს დაუწყებ ძებნას.  
ამ ყველაფრისთვის მეცოდები პირიმზის მადლმა!..  
წადი, დამტოვე მარტოდმარტო ჩემს სალოცავთან,  
აქ ლოცულობდა პაპაჩემი და იმის პაპაც,  
აქ მოუხმობდა სანაგის სანაგი სამხარაულებს,  
აქ ბუბუნებდა დიდი გაგა - გიგაურთ ფარი,  
( ჩემ გვარმა მოკლა აშოთანი მუხრანის ველზე! )  
ახლა მე ვდგავარ იმ სისხლიან, ხავსიან ქვებთან,  
თავზე მეყრება სისხლიანი ჯარეგოს მიწა,  
სადაც იმედას თოფი „დახკრეს“ ასი წლის წინათ,  
მე დამყრანტალებს ყორანივით ნისლის ნაფლეთი  
და ყოველ ღამით მესიზმრება მოჭრილი მკლავი.  
ამ ყველაფრისთვის მეცოდები გუდანის მადლმა!..  
ნუ იხევსურებ, რადგან ამით ვალს იღებ მხოლოდ,  
ვალს კი იცოდე, გადახდა უნდა.  
აბა, რად გინდა იყო ხევსური -  
კუმტი, ამაყი, ჯიუტი მოყმე...

## გველისმჭამელის ნათლული

კობა არაბულს

გველისმჭამელის წელიწადი დამდგარიყო.  
ნაღვარმშვენიერს ხელები აეპყრო და  
მთვარეს უხმოზდა უხმოდ...  
მისი დაი კი - სამძიმარა ხოგაის ვაჟს თავს აწონებდა.  
ხოგაის ვაჟის გული  
ქისტის ტილიან ბალღებს უნდა შეეჭამათ,  
მანამდე კი გუგულების ქვეყანა უნდა ენახა  
და დათვისში ბალღი მოენათლა.  
სურწყუნისი იდგა და ვარდისფერი თოვლი თოვდა...  
უხაროდა აბათ მინდიას,  
ფანდურს აჟღრიალებდა და ბუხუნებდა:  
„გამაგრდით მარაისძენო,  
ოშკაცი დაგვებადაო“.  
მერე სტუმარი მოვიდა აბათ მინდიას სახლში -  
უცნაური და იდუმალი...  
ქვასავით ბეჭებზე მზე და მთვარე ეხატა  
და ილღიები ჰქონდა დასიებული.  
მონათლა სტუმარმა აბათ მინდიას ვაჟი  
და დაარქვა პაპის სახელი.  
ჭრელი სიზმრები დაანათლა -  
გაჭრილ გველივით რომ ჰგვანან ერთმანეთს.  
ორი წლის მერე ყაჩაღებმა ფარად იფარეს პატარა აბა  
და ისე შევიდნენ ხევსურთა სახლებში.  
მერე მოვიდნენ ჭრელი სიზმრები -გატეხილი ხანჯლები,  
გაცრეცილი ორნამენტები, აყვავებული ჯვრები...  
მერე მოვიდნენ ქაჯავეთელი ტყვეები  
და მოიტანეს ოქროს ფანდური.  
მერე იყო ლექსი და ქალების გვრინი,  
მამახურას ძახილში გარდასულიყო  
გველისმჭამელის წელიწადი...

## მოსე

„თქვა: რადგან წყლიდან მყავს ამოყვანილი“.  
გამოსვლა 2;10

მზე. სისხლისფერი მზე...

ცეცხლის რკალში მორიელები დარბიან.

ვარსკვლავი წყდება და „მეფეთა ველისკენ“ გადაექანება.

„სეფერ ეცირა“ ...

ჰურიები ხევში ეშვებიან: ჰურ -ხევი; ხევ(ს)-(ჰ)ური.

ლოცვის ერთი სიტყვა ჰაერში წკრიალებს: შადაი, შადაი...

მოგვი „ხელთაის“ კითხულობს და ჰოროსკოპებს ადგენს.

მზე. მზე და ორსული მთვარე.

ორივე მორიელი მკვდარი აგდია.

ადამ, მომეც სინათლე და ცოდნა;

ხევა, მომეც სიღრმე და სიმწიფე!...

რა -მზე -სი, ანუ მზე მზისთვის...

ჰერ -მე -სი , ანუ ჩემი ხმა შენ...

კიდობანში ჩაფენილი სიბრძნე.

შუა გახლეჩილი ზღვა.

მაღალი, წითელკანიანი კაცი;

თავსარქმელი, ფართო სარტყელი.

ზეაწეული ხელები და: ადონაი!

უდაბნო თახთახებს.

მანანი. მანანი. მანანი.

თიხა და ქვა.

ხანძარი და წარღვნა.

სიონი. სიონი. სიონი.

ალეფ -მზე;

ბეტ -მთვარე;

გიმელ - მიწა;

დალეთ -იუპიტერი;

თაუ - დასასრული.

მზე - დისკო და სისხლისფერი მზე...

მზე - შარავანდედი და მზისფერი მზე...

მე - სადდასაი და მზიანი ღამე...  
 თუთა და უთუ,  
 „ჭირანო არს მთვარე,  
 ხოლო სპარსულად იწოდების ყამარ;  
 მის სამყოფელ არს მეორე ცა“.  
 ხელთაი (ძველქართული ეზოთერული წიგნი)  
 სისხლისფერი თორი მეცვა ანატორს მცხოვრებს,  
 ხარების სისხლს ვსვამდი ჯამებით;  
 ვლოცულობდი მორიგე ღმერთზე -  
 წელიწდეულად ხარმეტ ხარს ვკლავდი.  
 ხარები მყავდნენ - რქით დაჰქონდათ  
 კოჭიმელის, ჭირანოს შუქი.  
 ერთხელ, ვეფხვის წელს,  
 ვარდის დღეობას დავთვერი ლუდით,  
 ჩართის წვენი გულისპირზე ჩამომდიოდა  
 და როცა ბოლო დავცალე ჯამი -  
 სადღეგრძელო ცისა და მიწის,  
 მაშინ ვიხილე თეთრი თუთა ლურჯი თვალებით.  
 „ვისი ხარ მეთქი?“ გავეხმიანე.  
 ვერ ვიცანი; მან ხმა არ გამცა.  
 „უთუ გახლავარ, ნადირას ვაჟი! -  
 ანატორელი ხარების მწყემსი“.  
 ნებიერად გაწოლილიყო,  
 მისი სხეული ქათქათებდა ვითარცა თოვლი.  
 შემაჟრიალა...და მომინდა მისი შეხება.  
 ხელი ნელა წავიღე მისკენ.  
 ცამ დაიქუხა - დროის მორიგემ ელვა მესროლა  
 და მუქ ცაზე გაიკლაკნა მისი სახელი -  
 თუთა!  
 - ეჰეი, თუთა, - ვიღრიალე თოფნაკრავივით;  
 - მიყორხარ, თუთა!  
 მაინც წავიდა -  
 ცაზე ნელა გასრიალდა უხსენებელი.  
 გაიკრიალეს სიბნელეში თეთრმა მკლავებმა.

-სად მიხვალ, სადა?! - მივძახობდი გაგიჟებული.  
 წავიდა თუთა,  
 გაიყოლა ზეცის სიშავე, ჩემი ღრიალი.  
 ვერც დავეწიე, შეერია იმ უკუნ ღამეს.  
 გამწარებულმა მოვფხოჭნე და შევჭამე მიწა...  
 მეორედ ასე ვიხილე თუთა:  
 ბანზე ვიჯექი, გველისპირულს ვლესავდი სიპზე,  
 ვბუტბუტებდი ხმლის ფხოვურ ლოცვას.  
 ამ ლესვაში დამადგა თავზე.  
 „თუთა ვარო“, - მითხრა ჩურჩულით.  
 ვერ ვიცანი...  
 გამხდარიყო, გალეულიყო.  
 სადღა იყო ბროლის ყელი, თეთრი მკლავები,  
 მის ლურჯ თვალეებში ჩამქრალიყო ცისკრის ვარსკვლავი.  
 ელდა მეცა გულგამეხებულს,  
 სიმწრით აღმომხდა, „ეს რა მოგსვლია?!“  
 „ორჯერ შვიდი დღე ბანზე ვიჯექე შელოცვილივით,  
 არცთუ ჯიხვის ხორცს, ქერის პურსაც არ ვიკარებდი,  
 არ ვემძრახობდი არც სულიერს და არც უსულოს,  
 ვიჯექი და ცას შევყურებდი.  
 ჟამიდან ჟამზე ჩემი ბერდედა  
 მილოცავდა თვალნაკრავისას:  
 გავიდა ორჯერ შვიდი დღე და ფეხზე ავდექი,  
 დავიბერტყე მუხლებიდან წარსულის დარდი,  
 აწმყოს ბინდი და მომავლის შიში.  
 ჩემს თეთრ ხელეებში მზის სინათლე ილანდებოდა.  
 მერე დაღამდა.  
 და იმ ღამით მოვიდა თუთა.  
 კი არ მოვიდა, მე დავინახე,  
 ჩუმად იდგა ზურგმექცეული.  
 „ეჰეი, თუთავ“, დავუძახე ომახიანად  
 და იქვე მივხვდი, რომ სხვა ხმა მქონდა,  
 ან სხვა დრო იყო ან თვით სხვა ვიყავ.  
 „თუთა უკვე ცოლია ჩემი“ -

გაიჟღერიალა ჩემს უკან ხმა(ლ)მ(ა).  
მივიხედე, სახენაჩეხი წვერ-ულვაშით მზვერავდა მოყმე.  
ვინატრე, რომ მეც მსხმოდა წვერი.  
იქვე ხმალზე ხელი მოვისვვი,  
გაიკლაკნა გველისპირული და იქცა გველად.  
წითურმა მოყმემ გააშიშვლა თავისი ხმალიც,  
გაიპრიალა წითლად ფოლადმა.  
ჩემი ხმალი გასრიალდა, გაიყოლა ჩემი ძალ-ღონე,  
დამტოვა უხმლოდ სულის ძაფზე ჩამოკიდული.  
დავიხარე, მოვაფათურე მიწაზე ხელი,  
ქვა მომხვდა ხელში,  
ავიდე და ვესროლე ძალით.  
„ავახმეო“, იღრიალა წითურმა მოყმემ  
და ჩაემხო პირქვე მიწაში.  
თუთა ისევ ჩუმად იდგა ზურგშექცეული.  
მოყმეს მიწაში პირქვეჩამხოზილს  
საფეთქლიდან სდიოდა სისხლი.  
სულ შევიშალე, ვღრიალებდი -  
ვწყევლიდი ზეცას.  
გამწარებულმა ვგმე კოჭიმელი,  
ვგმე ჭირანო, ცორანოს შუქი,  
ვგმე მელტარო, ჭიმჭიმელი და კიმკიმელი,  
არბასტროც ვგმე და ვარსკვლავთა ზეცაც...  
მიხვდა მორიგე, უნდა მეგმო მზიანი ღამე,  
დამასწრო და მესროლა ელვა,  
იქვე დავიწვი და დავიფერფლე.  
მხოლოდ არაგვში ერთ ორაგულს წასკდა ცრემლები.  
მთვარის ნამგალზე დაიწერა ასომთავრულად:  
„ მაგრამ მაინც მიყორხარ, უთუ!“

## რომელი ხარ

ვარ ერეკლე კრწანისის შემდეგ,  
ვარ დარლას საფლაგზე დაკლული ზვიადაური,  
ვარ თვალებდათხრილი მამამზე ერისთავი,  
სულხანაური ვარ - შატლიონის ტყვიით მკვდარი,  
აღდგომა დილით გარდაცვლილი მხატვარი და  
ფილტვებდახრული პოეტი ვარ.  
კოჭლი სარდლის მიერ აოხრებული საქართველო ვარ...

## სინათლის მგზავრი

„მშვიდობით ქალავ, დე, არხოტს აჩნდეს  
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი“.

გაბრიელ ჯაბუშანური

სადღაც მთის გადაღმა ხრიალებს არხოტი,  
ორი მთის გადაღმა - ღიღლო და ჯოყოლა,  
გრიგალმა წარსულის ლანდები ახვეტა,  
ხევში გადაყარა, მეც გადამაყოლა.  
მშვიდობით, გაბრიელ! - თავს მიქნევს ძახველი,  
მშვიდობით, გაბრიელ! - დამტირის ასას ცა,  
არაგვმა ბგერები ძლივს ამოახველა,  
ეტყობა სათქმელი სასულეს გადასცდა.  
მშვიდობით...მშვიდობით, ტკარცალებს კოცონი,  
ჩაფერფლილ რვეულში ბღავიან ლექსები,  
მთა-ბარი იდუმალ სიჩუმეს მოუცავს,  
ზეცაში ავდივარ, უფსკრულში ვეშვები.  
და ისევ სიჩუმე. ერთია მიზანი -  
როგორმე შემოვრჩე სულეთის კიდობანს,  
ბროლის ცა მშვიდობის ანგელოზს მიგზავნის,  
უფსკრულის მოამბეც მომძახის მშვიდობას.  
სადღაც მთის გადაღმა ხრიალებს არხოტი,  
ორი მთის გადაღმა - ღიღლო და ჯოყოლა,  
გრიგალმა წარსულის ლანდები ახვეტა,  
ხევში გადაყარა და გადამაყოლა...



## ტახტი

პაპაჩემის ძველ ტახტზე მძინავს,  
რომელზედაც უცნაური ნიშნებია ამოკვეთილი,  
მასზე ეძინა პაპაჩემს, იმის მამას და იმის პაპას.  
ბერპაპამ ქიტო გიგაურმა ჩონთა მამულაიძეს  
სამ თუმნად მუხის გულისგან გაათლევინა.  
ზედ მზე, მთვარე, ჯვრები და სხვა იღუმალი  
ნიშნები, „დაატანებინა“,  
სახლში ურმით მოიტანეს.  
ბერდედამ, არახვეთელმა ბაბალემ  
ზედ წყვილი სანთელი აანთო და „გამოულოცა“.  
მერე ქიტო დაბერდა და „შავეთს“ იორლა „გაათხა“,  
ტახტი მის მრწემ ძეს - თედოს დარჩა,  
მერე იასონს - პაპაჩემს.  
პაპაჩემმა საკუთარ შვილს, მამაჩემს,  
ტახტი ქალაქში არ გაატანა და მე მაჩუქა.  
მერე ტახტზე ამოჭრილ სახელებს ჩემი სახელიც მიუმატა.  
მე ტახტზე წელიწადში მხოლოდ ცხრამეტი დღე მძინავს,  
როდესაც სოფელში ჩავდივარ...  
სწორედ იმ დროს მესიზმრება უცნაური  
და საცნაური სიზმრები,  
სწორედ იმ დროს მესმის საკუთარი გულის ფეთქვა  
და სისხლის ჩხრიალი.  
სწორედ იმ დროს გადმოდის ჩემზე მუხის გიორგისა  
და მთავარანგელოზის ჯვართა მადლი.  
ტახტი - ეს მცირე ისტორიაა,  
რომელიც ჰაერში წკრიალებს  
და ეს ხმა მხოლოდ „ჩვენ“ გვესმის.

## მშვიერი ქრისტე

„რაც არ უნდა მშვიერი იყო, ნელა ჭამე, შვილო.  
ქრისტე ზოგჯერ კაცის სახით ჩამოივლის ხოლმე,  
შეიძლება მოვიდეს და ლუკმა გთხოვოს,  
ხომ უნდა გქონდეს ცოტა მაინც დარჩენილი,  
რომ უწილადოო“,  
მეტყოდა ხოლმე ბებიაჩემი.  
სწრაფად ჭამა ვიცოდი და ასე ცდილობდა ჩემს გადაჩვევას.  
ერთხელ გზაზე მანქანა ტალახში ჩავარდნოდათ  
და ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა უბანში.  
ვიქნებოდი ასე რვა-ცხრა წლისა და ეზოში ვთამაშობდი.  
„უფროსი არის ვინმეო?“  
პაპაჩემი არ იყო და დავუმახე ბებიაჩემს.  
„ბებო, მანქანა ჩავვივარდა ტალახში,  
ტრაქტორს ველოდებით, აქაურები არ ვართ,  
მთელი დღის მშვივრები ვართ  
და ერთი-ორი პური მოგვყიდეო“.  
ბებიაჩემმა, „შემოდი, შვილო ეზოში,  
ოღონდ ეგ ფული ჯიბეში ჩაიდეო“.  
სათონეში გამიყოლა,  
სამი პური დაადო ერთმანეთს, ერთი ნაზუქი,  
მერე ავედით სახლში,  
ყველი ამოიღო დერგიდან, პომიდორი,  
კიტრი, ნივრის მწნილი.  
„მოდი, შვილო, ბოთლი დამიჭირეო“,  
ერთი ბოთლი ქლიავის არაყი ჩამომასხმევინა.  
გავუტანეთ ეს ყველაფერი და მივეციო.  
„ღმერთმა ხელი მოგიმართოთო“, დალოცა ბებიაჩემმა.  
გამოგვართვა ამ ბიჭმა ეს ყველაფერი და არ მიდის.  
დგას ასე გაშტერებული და დაჰყურებს საჭმელს.  
მერე შეხედა ბებიაჩემს, მერე მე შემომხედა, მერე სახლს.  
ბოლოს თქვა რაღაცნაირად, მოგუდულად,  
„ვისი ოჯახია ესო?“

„იასონ გიგაურისო“, თქვა ბებიაჩემმა ამაყად.  
მერე გადმომხედა და დაამატა:  
„როცა დაღევთ ესა და ამის ძმაც მიდღეგრძელებთ“.  
გატრიალდა ეს ბიჭი და წავიდა.  
ბებიაჩემიც სათონეში შებრუნდა.  
მე ვეღარ ვითამაშე, გული მიფართხალებდა,  
რადგან დარწმუნებული ვიყავი,  
რომ ქრისტე იყო ჩვენთან მოსული.

\*\*\*

ხვალ მკვდარ პატრონებს იტირებს ძაღლი,  
ჭინჭარი ტყემალს დაუგებს მახეს,  
ნასახლარს სტუმრად მიუვა ბაღლი,  
გაუნათდება ნასახლარს სახე.

ხატის წინ ჩუმად ილოცებს პაპა,  
აღმართს სირბილით აივლის ცხვარი,  
ქარი მოყვება ბავშვობის ზღაპარს  
და იგალობებს ბრინჯაოს ზარი...

## პრეკლე სადლიანი

### ტარიელ ხარხელაურს

მყინვარწვერზე თოვლი რომ ძევს,  
თუა შენებრ წმიდა, ნეტავ,  
აღსავლის კარს უღებ მოძმეს,  
ქვის გულშიაც მიტომ ხედავ.  
ხმელი ფოთლის დარდი გადაგავს,  
ქარს მიჰყვები მისებრ სადღაც,  
ლექსის უღელს ადგამ ლაზას,  
ღმერთიც კაცის უღელს გადგამს.  
დღემ იმედი გმატა ხვალის,  
უდრეკობა გმატეს წლებმა,  
ქართულ სიტყვის ცეცხლის ალი,  
ვერკვლის ციხის თავზე წვება.  
მზე შუქს გაყრის მჭრელი ისრით,  
მწველ სხივთაგან გიქსოვს ბარათს,  
არ გშორდება, ვით მთას ნისლი,  
ავთვალთაგან ისიც გფარავს.  
სხლოვანსა თუ ცივ მთას -გომბორს,  
გწყალობს ზენა ხატის ტარიგს,  
სიცოცხლესაც შენ გრძნობ, როგორ  
და სიკვდილსაც შენ გრძნობ, რარიგ.  
არც ზაკვა და არცა იჭვი,  
შედგომიხარ ჭერხოს სვეტად,  
მუხლიც გიჭრის, თვალიც გიჭრის,  
კალამი კი მათზე მეტად.  
ხნულში გიხმობს მარცვალი და  
სულს ივრის წყლის ზვირთით ალტობ,  
შენს ლექსივით მართალი და  
შენს ლექსივით უღალატო.  
მყინვარწვერზე თოვლი რომ ძევს,  
თუა შენებრ წმინდა, ნეტავ,  
აღსავლის კარს უღებ მოძმეს,  
ქვის გულშიაც მიტომ ხედავ.

## მზია წიკლაურს

კვლავაც იცავდე მრავალ წელს, მზია,  
ქართველი ქალის სინდისს და ნამუსს,  
ხევსურეთს კვლავაც სხვაგვარი მზეა,  
ზედ ადნობს მწვერვალს თეთრ თოვლის სამოსს.  
ვუყოფთ ერთმანეთს სიცოცხლეს ზიარს,  
ძმები ვართ შენი, წაგიყვანთ ჟამუმს,  
კვლავაც იცავდე მრავალ წელს, მზია,  
ქართველი ქალის სინდისს და ნამუსს.

## ანატორი

აწყდება ოთხმრივ აკლდამის კედლებს,  
მომაკვდავ დედის მოთქმა და გლოვა,  
შვილის ალერსი სწყურია, ვერ ძლებს,  
იცის, რომ უკვე ის აღარ მოვა.  
დალაი მას და სულეთის მხედრებს,  
შატილს ნატირი სმენია გლოლას,  
ვაი, სიკვდილი რომ ვედარ ვხედნეთ,  
თვალეებში ბინდი ამოდის, ბოლავს.  
ცრემლი სდით, ცრემლი ცაცხვებს და კედრებს,  
არღუნის წყალში ქვები დგას გროვად,  
აწყდება ოთხმრივ აკლდამის კედლებს,  
მომაკვდავ დედის მოთქმა და გლოვა.

\*\*\*

შატილის გზაზე ვერა ვგრძნობთ დაღლას,  
ველარ ვლევთ სულის ვეება მარაგს,  
ხევსური ხიფათს არ აგდებს ძაღლად,  
ფეხს დაჰკრავს, თავზე გადუფრენს ქარაფს.  
მთები ფერხულში ჩაბმულან ახლაც,  
მუხლიდან ქარი ამოაქვს არაგვს,  
შატილის გზაზე ვერა ვგრძნობთ დაღლას,  
ველარ ვლევთ სულის ვეება მარაგს.

\*\*\*

კლდეს ვერ ელევა ბებერი მუცო,  
კლდეც ვერ ელევა მის კომკებს დღესაც,  
შურით გახედავს სტუმარი უცხო,  
ხევსური კაცის ინატრებს ზნესა.  
მოგმართავთ ყველას, ნაცნობს თუ უცნობს,  
წადით ხევსურეთს, ეუბნეთ მზესაც,  
კლდეს ვერ ელევა ბებერი მუცო,  
კლდეც ვერ ელევა მის კომკებს დღესაც.

\*\*\*

ჭიუხის თავზე დამდგარო ნისლო,  
როგორც ნატკეცი, ატყვიხარ კბოდეს,  
შენ მონადირეს არასდროს ინდობ,  
დალუპულისთვის შენ აღარ ჰგოდებ.  
გაურბი კვლავაც ახოს და მინდორს,  
ფრთას გაჰკრავ კლდიდან ჩამოშლილ ლოდებს,  
ჭიუხის თავზე დამდგარო ნისლო,  
როგორც ნატკეცი, ატყვიხარ კბოდეს.

\*\*\*

ისე წვიმს, თითქოს ზღაპრულ ყამარის,  
ცრემლი დამეცა გაჩეხილ შუბლზე,  
გამოფხიზლება კარგი რამ არის,  
ამ დროს მოყვასსაც სხვა თვალთ უმზერ.  
გზა სიცოცხლისა, არა სამარის,  
გზაა ჯომარდის, ვერ ვგუობ უბრებს,  
ისე წვიმს, თითქოს ზღაპრულ ყამარის  
ცრემლი დამეცა გაჩეხილ შუბლზე.

\*\*\*

შევდექ დათვისჯვარზე შენით, მწყალობელო!  
ნატვრა სანატრელი, გმადლობ, ამისრულდა,  
მითხრეს: აქ ნისლეები მთაზე ხარობენო,  
მითხრეს, რომ აქ სივრცე მზისგან დაისრულ არს.  
გუროს ხევსურები ლექსად გალობენო,  
კლდეზე გადმომდგარი ვსუნთქავ თავისუფლად,  
შევდექ დათვისჯვარზე შენით, მწყალობელო,  
ნატვრა სანატრელი, გმადლობ, ამისრულდა.

\*\*\*

საორბის თავზე დააფრთხო ორბი,  
ხევსური კაცის ხირიმის ხმამა,  
ბინდი სოფლისკენ მოიწევს, მორბის,  
გახევებული შევყურებ ამას.  
თუ სუნი არ მცემს აქაურ ხორბლის,  
არსობის ხმიადს შევირგებ შხამად,  
საორბის თავზე დააფრთხო ორბი,  
ხევსური კაცის ხირიმის ხმამა.



## ლაშა ბახარია

### კალამბურა

ბალათერ არაბულს

არაგვს მაუსხამსა  
კალმახები...  
წამო, ვიანკესოთ,  
ვიბადუროთ;  
ფშავის ბილიკები -  
წვრილ - ხვლიკები  
ქარმა გაიბას და  
იფანდუროს.  
არხვატს დევებია,  
ახმახები,  
ლუდზე დავიწვიოთ,  
ბალათერო,  
ისე გამავათვრათ,  
სალახნები,  
ერთხელ იახსარმა  
ბაყბაყდევ რო...  
იმდენ დავუყაროთ  
რიყ - ხინკლები,  
ხვანჯარ ვერ შაიკრან  
გველისტყავის.  
რას რა იფხინკები,  
შენც არ მყავდე,  
მითამ საარაგვოს  
ერისთავი!..  
წამო, არ დალანდა  
ვიდრე წყლიდან  
თევზმა - ბუს თვალები,  
მლუერები.

ქოლგას რას დაეძებ,  
თუ გაწვიმდა,  
ფშან-ფშან უშქარია,  
ბუერები.  
წამო, კაი ცეცხლი  
ვაცეკვოთ და  
ლექსით ჩავუწყნაროთ  
არაგვს გული.  
ჯვარმან გუდანისა  
შაგინდოთ და  
მუზამ ხვარ გაგთოლათ  
არაბულნი?!  
ძველი კალამბური  
აქ არ ხამს და  
ვშიშობ:  
რახმა სხვა არ  
მიკარნახოს.  
არაგვს კალმახები  
მაუსხამს და...  
წამო, ვიკალმახოთ!..

## **გელა დაიაურს**

უკვე მგზავრობის სამზადისს ვიწყებ,  
წავალ ხევსურეთს, იქ დავწერ რამეს,  
მუცოს ციხეზე ავეყვები ნისლეზს,  
პაპის ნაბადში გავახვევ ღამეს.  
იქ სალი კლდენიც მოჰგვავან ფიწლებს,  
ღამით თვალეზი ვარსკვლავებს სვამენ,  
უკვე მგზავრობის სამზადისს ვიწყებ,  
წავალ ხევსურეთს, იქ დავწერ რამეს.

## ორწყალთან

სიკვდილი შამომეყარა  
ზედ ორწყალშასაყარშია!  
- ხმალ დაიშიშვლე, უშიშავ,  
ახლა ამოვალ ვალშია!  
ბინდის ნაბადში შაჟრჟოლდა,  
ჩააჟრიალა ტანშია!..  
ეტყობა ხორცად ვემლაშე,  
ანდა, ვედიდე ყბაშია.  
ერთი კი ამოიხავლა:  
- აღარ მამსდიხარ თვალშია...  
ვით ორწყალ - შუა ჩავკაფე,  
მაგრამ კი შავცდი ცდაშია:  
ერთის მაგიერ, სულძაღლი,  
ორი ჩამიდგა კვალშია,  
ერთს კი ჩავღლაღავ შავეთში,  
მაგრამ ...მეორეს სხვა შია!..

## მანანა ჩიტიშვილი

### არხოტში

არმაზ წიკლაურს

ლექსს ვამბობ,  
არ ვარ მდუმარი,  
მთანგავს ფერები მინდორთა,  
ვიყავ არხოტის სტუმარი,  
სხვა რა პატივი მინდოდა.

რა მთები წამომართულან,  
ნისლი მიცოცავს ცერ-ცერად,  
სისხლი გვიჩქეფდა ქართულად,  
ჯვარი გუდანის გვეწერა.

სული სულ სხვა მადლს მონებდა,  
გული დავაგზნეთ - მაყალი,  
ამღას ვზი ამლიონებთან,  
მათებრ ლაღი და მაღალი.

იყო ლუდ-არყის სიუხვე,  
ჯეჯიმებს შლიდნენ ფერადებს...  
ისხდნენ ამღელნი, ჭიუხებს  
მალ-მალ მგლის თვალით ზვერავენ.

არც ტკივილებმა დამტოვეს,  
ეს დღეც ღმერთმა თუ ინება...  
მე ხომ ქართლს ვერ ვუპატრონე,  
ვით არხოტს არხოტივნებმა.

მწვერვალს ვარსკვლავი შვენიოდა,  
ცერზე შემდგარი ბინდისას,  
ცას ლურჯად გადაჰფენოდა  
სული ხოგაის მინდისა.

თითქოს სხვა ზეცას მიმგვარა  
ბედმა, სულ სხვა ცას ნაჩვევი...  
გულს კვეთდა სიტყვა იმგვარად,  
ვით გორდა ლელა ბაჩლელის.

ლომკაცთა ბუხუნს ვისმენდი,  
ჟამმა ვით წამოგვაჩოქოს...  
აქ რა უნდა თქვა ისეთი,  
რომ უკვე ნათქვამს აჯობოს.

მომდევს ფოთლების ამქარი,  
მუხლის თავს - ასას აღერსი  
და ლექსი, ხევსურთ ნათქვამი,  
დროში ხმალივით ნალესი.

როშკას ცირცელი მისხია,  
ქარს ღრუბლის ფარა დაუდის  
და ვგრძნობ, გულიან-სისხლიან  
მათსავით გავწიკლაურდი.

განათდა კლდეთა ყურე და  
მთვარის ჩანს იატაგანი,  
ამდას ვარ წიკლაურებთან,  
ვითა წიკლაურთაგანი.

მზეში მწვერვალნი თბებიან,  
ქარი ხმაურობს დანდგარით,  
აქ გორაკებიც მთებია,  
მუხლზე ხატის კარს დამდგარი.

## სამასი არაგველის გახსენება

ბაბუა ალუდაურს

წვიმს და მთებს არყევს ქუხილის ხმები,  
ღრუბლები ელვის შუბებს ლეწავენ,  
თუ არაგველთა თამამი ხმლები,  
კრწანისის ველზე სიკვდილს კენწლავენ.  
„ხახმატის ყმა და ქართველის მონა ვარ!“ –  
ბაგეზე უცხო ცეცხლი ვარვარებს,  
სამას კაი ყმას, მთებით მომავალს,  
ბარში სამასი უცდის სამარე.  
თუმცა, გულიც და გორდაც ვარგობდა,  
შავად ჩამოდგა იმ დღეს დაისი,  
ჯავრმოუშუშებ საარაგვოდან,  
კვლავ სისხლმდინარი მოჩანს კრწანისი.  
ნისლო, რა მწარე ნაღვლით ითვრები,  
სული ვერ მოკლა მომხდურის დანამ,  
დღესაც არაგვის მრისხანე მთები,  
ომში მიმავალ მოლაშქრეთ ჰგვანან.  
წვიმს და ცას არყევს ქუხილის ხმები,  
ღრუბლები ელვის შუბებს ლეწავენ,  
თუ არაგველთა თამამი ხმლები,  
კრწანისის ველზე სიკვდილს კენწლავენ.

## შატილში

(ტრიპტიქი არჩილ ციციშვილს)

\*\*\*

მაცნე მოედი შატილსა,  
წამს დაყოვნება არ უნდა,  
აღარც ლუდს ხარშვენ ხევსურნი,  
წინ არც შენ შემხვდი, ალუდავ.

„ჯავრი ქისტივით დამეცა!“-  
ვკივი,  
თვლემს ციხე ზარმაცად,  
მხოლოდ ერთ ლოდმა საფლავის  
უცნაურ გაიბარბაცა.

\*\*\*

აემ ციხესამც ჩამკეტა,  
წყალი არღუნის მასვა და  
შენამც საჩემოდ დაგწერა,  
აღარ გამიშვა არსადა.  
ფეხთ ჭრელი წინდა ჩამაცვა,  
თავს ფაფანაგი დამხურა,  
გზები მინამქროს დიდთოვლმა,  
არც როდის გააზაფხულა.  
წელანაც თვალი წაგკიდე,  
რადაც სხვანაირ კრთებოდი,  
რა მშვიდად მივიძინებდი,  
თუკი შენ მოგიკვდებოდი.

\*\*\*

გაღმა გორაზე რა ტყეა,  
რა აშრიალებს ლაღადა,  
წლებს ვითვლი, როგორც ნატყვიარს,  
გულზე დამჩნეულს დამღადა.  
ჰკიდია ნამის კურცხალი,  
შატილს ლურჯთვალა იასა,  
საფრად დრო მიზის - მუცალი,  
დანდობილ მაშლის ტყვიასა.  
წერა- მწერალი თანა მდევს,  
გზა მისგან ვის დაუცავსა,  
ღმერთო, ნუ მომკლავ, მანამდე  
რჯულს არ ვუხსენებ მუცალსა.

## ეთერ თათარაიძე

\*\*\*

ხევსურთ სალოცაში  
ჯინჯარ მომრავლებულ,  
საზღვრებ წელთდენაში შესცვლი,  
აღარვის სანთლის ნთებას,  
აღარვის ხელმიცემას,  
ჯანგ ხატის ხინჭრიკვაებს  
ტკივილად შესცრი.  
მეტა დიდ ლოდნას, მაგრ  
მაინც არვის მოსვლას,  
ხატ ჭკვითა გადამდგარა-დ შეშლილ.

\*\*\*

შენ სოფელ კდიან-კუნჭრუხიანი,  
ჩემ ქორბუდად-დ სალფერდებიან,  
შენ სოფელს მთვარის ნაჭერა ადგას,  
ჩემს - მზე, სხივ-ისარ ნაზფერებიან.  
შენ სოფელს მამღარ ყანა ამშვენებს,  
ჩემს - საკართობლე ნაჭრელებიან,  
შენ სოფლის პირში მოგიჩქეფს წყარო,  
მე - შიგ სოფელში, ნაპერწკლებიან.  
ორთავ საუფლო სამყოფა გვაქვის,  
მაგრ უერთკვადოდ ნარ-ეკლებიან.



## მარიამს

კიდევე ერთ ხმით გავაბევერ,  
ჩემ დამ ქვეყნად ხსენებად,  
კიდევე ერთხენ მომივიდ,  
თაღჩახჩახა თენებად,  
კიდევე ერთხენ მარგინ ბედმ,  
შუბლთეთერ რაშის ჭენებად,  
კიდევე ერთხენ მომერგინ,  
გულს მცხრალ მთვარის კერებად.

## მინდიას

მინდი, წუხრ დაქ ბუილით,  
შავნაბადა გათეთრდ,  
ალარად აღარ გადიღვ,  
ამინდ გაქვავდ-გაკერპდ.  
წყნეთაძც თეთრად მაქცი,  
მთაწმინდაძც გაპენტ...  
მინდი, წუხრ დაქ ბუილით  
მიწაყვითლ მთებ დათეთრდ...

\*\*\*

- მთებ რაგვერ არიანავ? -  
გუშინას ვხვითხ ყუდიას,  
დაფეთებულმ შემომხედ:  
- ჰა, ჰო... ხყუდიანავ...  
ყველათ გაწირულებივ,  
ლოდნას თვალეზდამშრალნივ,  
ბალახნამყავრ ბილიკნივ,  
კაცის კვალს ნატრულებივ,  
ხყუდიანავ... მითხრ  
დაფეთებულ თვალეზით,  
გაკვირვებულ ყუდიამ.

\*\*\*

ბალღების შმაკა-შმიკ დგას  
ჩამჩუმ ჩამდგარ ოთახში,  
ლურჯ თვალთ ძილ აქვ შეპარულ  
იას თიხის ქოთანში,  
ღრუბლებ იღვენთებთან  
ცის საცრემლო კოკაში...



\*\*\*

მასკვლავ ხფენავ ჯუთის ცაზე,  
რაგვერც ბიჭონ წალოში,  
არაგვ ჩადის ჭალასაკ,  
რაგვერც მთვარე ხაროში.  
მთვარე ჩამოჯდ ფხის კენწერზე,  
რაგვერც თეთრ დოქ თაროში...  
ღეს ღამეიც იღეწების  
წუთისოფლის კალოში.

\*\*\*

გზის ნაწყვეტამ ამომიღამ თვალეზ,  
წახვედ ისრ რო არც სთქვი, როდის მოხვალ,  
იგრ ვარ, რაგვერც დადუმებულ ღიღინ,  
ძნელ აღმართზე რაგვერც ძალით მხოხავ...  
ბინდდებისა-დ შემომიღამდ გულში,  
უშენობას ცხელ ცრემლებით ვხპოხავ.

\*\*\*

მთრების წყალ მოვ მთრეხელსავით,  
შუმპუარი-დ მართალ,  
ნაწვეთ მღერის წკაპა-წკუპით  
ბანედაის კართან.  
წართხალ თეთრად შებერებულ,  
ცირცელ ღვივის სახლთავ,  
ბინდდებ, სოფელ იმალების,  
დგას ძალლების წკავ-წკავ.

\*\*\*

ჯუთას სიზმრით მომიდის,  
შენ მთა-წვერის სურათებ,  
შენ მასკვლავით ნაკეჭნ ცაჲ,  
თავხრილ ყანებ, პურადებ,  
შენ ტანგლუვ, თლილ კოდებში  
ჩაფუებულ სულადებ,  
ბედვაისკარ კუნძურა,  
უდერაჯერ ცულნადებ.  
ჯუთას მესიზმრებიან  
შენ ხატისკარ კურატებ,  
მოჩორთ- მოოთხდებიან,  
ყელფერდენა ულაყებ...  
თენდებ, სიზმარ მეძეძებ,  
გულს ჯანლ წვების კუნაპეტ.

### **ბაბუა ალუდაურს**

ხახმატ ლამფებ ინთების,  
ტაბლას ხინკლებ დისხმების,  
სტუმარ-დამხვდურ დითვრების,  
გუდანურებ გიშლების.  
მასკვლავთ არვე იშლების,  
მთვარე მთისპირ ჩილევის,  
ცისკარმოსვლით სტუმარ წავ,  
სოფელ შავ ნისლ ჩიცრების.

## გიორგი შეთეკაური

### საუბარი მთასთან

ქარები ჭიუხ-ჭიუხ დაჰქრიან,  
მთა აღიმართა მაღალი თხემით.  
- ჰეჰეი, მითხარ, მთაო, რა გქვია?  
- მყინვარწვერია სახელი ჩემი!  
- თქვი, რა გვარი ხარ?  
- კავკასიონი!  
- მამის სახელი?  
- ვულკანის ძე ვარ!  
- შენი ასაკი?  
- არცთუ იოლი,  
მართლა ძნელია ამ კითხვის ძლევა!  
მე დავიბადე შორეულ დროში  
როდის? არ ვიცი! აღარც კი მახსოვს!  
მას შემდეგ მფარავს ხან თოვლის თოში,  
ხანაც მზე სხივთა ზარნიშებს მაქსოვს.  
- საქმიანობა?  
- სულ ფეხზე დგომა,  
ეს არი ჩემი წადილი, ნდომა  
და თუ ჩამოვჯექე, ვიქცევი ბარად  
და მე თავისთავს დავკარგავ მარად.  
- ოჯახი?  
- რა მთაც ჩემს ახლოს ელავს,  
ხედავ? სულ ჩემი და-ძმია ყველა!  
- მაშ, ჯანმრთელობა? თუ გტკივა რამე?  
- ო, როგორ არა! დღეა თუ ღამე,  
სიმაღლე მტკივა და მხრებზე, თავზე,  
წამლად თოვლი და ყინული მადევს!  
- რა ენა იცი?  
- მარადისობის!  
- იბრძოდი?

- მეხთან, გრიგალთან ბევრჯერ!
  - რა უფრო გიყვარს?
  - მზერა ცისაკენ,
- ცა რომ ულურჯესს აელვებს ბეჭებს!
- სადმე წასულხარ და გიმგზავრია?
- იქნებ სამკვიდრო ოდესმე დათმე?
- აქ საქართველოს შუქი მავლია და წავიდოდი აქედან სადმე?!

## ნასახლარები

აქ, ამ ადგილას იღებდნენ სტუმრებს  
და მასპინძლები გულს ახარებდნენ,  
აქ გაზაფხულის სუნთქავდნენ სურნელს,  
აქ ათენებდნენ,  
აქ აღამებდნენ.

ლხინის და ჭირის აქ შლიდნენ სუფრას  
და ბელტებს გუთნით აქ აბრუნებდნენ,  
აქ უხვ ჭირნახულს შესთხოვდნენ უფალს  
და სულს სიმხნევით გააბრუებდნენ.

აქ მზის ამოსვლას ლოცვით ელოდნენ  
და წააქცევდნენ ხატთან კურატებს  
და უმღეროდნენ  
და უმღეროდნენ  
ძმებთან - პურადებს.  
მტერთან - გულადებს!

აქ ხელის გულზე დაყრიდნენ მიწას,  
გაშლიდნენ ფრთხილად და ემთხვეოდნენ,  
მოიგონებდნენ წინაპრებს ფიცხად  
და წარსულ წლებში გაეხვეოდნენ.

## ბერდია ჭინჭარაული

### მწვერვალზე

ფხიტუ დაიბერტყს ყინულსა,  
ზაფხულის მოსვლას ხვდებისა,  
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,  
ქედები მწკრივში დგებისა.  
აყვავდებიან დეკანი,  
მთა-ღელე დამშვენდებისა,  
მთის წყარო ჩამამდინარი,  
თეთრ ქაფად მაიქცევისა,  
ჭიუხთ თოფის ხმა ალაღებს,  
შვილს რო ალერსი დედისა,  
ჯიხვებს ქარაფზე ტრიალი,  
ზურგზე გადაყრა რქებისა.  
გორებს ეხვევა ნისლები,  
დაბლა ხევებში სწვდებისა,  
ბრძოლით დაღლილი ლემადე,  
გველივით იკლაკნებისა.  
ქარი კვნესს, მეხი გრიალებს,  
ჯიხვი ჭიუხში ფრთხებისა;  
მე კი ტყუილად ვაშინებ,  
მალვა რად უნდა რქებისა?!  
აქით იქ ვერ სჭრის დურბინდი,  
არც ტყვია მიმიწვდებისა,  
სინდიურაზე ყინვასა,  
თოვლ ამეს, ადარ შრებისა,  
ნისლების ჯარში ტრიალებს,  
ტანზე ჯავშანი სცვდებისა,  
ცეცხლზე წყალს უსხამს ღრუბლები,  
თითქოს ფოლადი წვრთებისა.



## მარიამ წიკლაური

### ლექსი წიკლაურებზე

“წიკლაურებო, ხატმა აგიკრძალათ,  
ომში და მეკოპრეობაში მოპოვებული ოქრო-ვერცხლი  
სათქვენოდ მოიხმაროთ. რაც მოგეცემათ, ხატს შესწირეთ.”

აი, ასეთი განჩინება ამოვიკითხე უძველეს წიგნში  
„ხევსურეთი“ (ავტორი სერგი მაკალათია).  
დიდადაც არ გამკვირვებია:  
ეგრე ჭრის და კერავს მაინც ჩემი ცხოვრება.  
არც არაფერი მაბადია, არც რა მაკლია,  
ის კი არადა სხვაზეც ბევრი მაქვს საბადებელი...  
არც რას ვაგროვებ,  
არც რას ვკარგავ,  
მაგრამ გასაცემს სულ მიგზავნის უფალი თავად.  
ეს ლექსიც, როგორც შესაწირი, წაიღოს იმან,  
ვინც წაიკითხავს.  
ყველა გვარის სასმენი იყოს  
და არა მხოლოდ მათი, ვისაც  
თვალში ნაკლებად მოვუდივართ წიკლაურები!  
ბევრიც მითქვამს ჩემი გვარის ისტორიაზე,  
მაგრამ განა ისტორია ყველაფერია?  
ცოტაც იმაზეც მინდა მოვყვე, რაც ისტორიას გადაურჩა და  
ლაღობს ახლა,  
სუ თავისთვის დაიარება.  
მოკლედ ვიტყვი,  
რადგან სათქმელს არც სუფრა უდგას,  
არც ფანდური,  
არც მოლექსე,  
არც მოპასუხე.  
ვიტყვი და ეგრე დავტოვებ, როგორც ქარსა და წვიმას  
უტოვებდა ჩემი გვარი ხატში, საწირველს.

ჩვენ არასოდეს არც ბატონი, არც მონა ვინმე არა გვყოლია.  
ერთადერთი ხატის ყმობა მოგვიდიოდა!  
ახლაც ასე ვართ,  
მაგრამ მაინც ძალით ვემონეთ ერთ ყრუბატონს,  
გავეცით ხატი -  
ლექსის წერამ აგვიყოლია:  
ერთი გიორგი, ნაციმბირალი,  
ერთი ივანე-ვახუშტის ჯილა,  
ერთი დიდი მათე-მამუკა,  
ერთიც დიმიტრი-ღვთისკაცის სულით,  
ჯურხათ ივანეც უნდა ვახსენო,  
ფაფარენაში რომ აქვს საარსო,  
ერთიც მე თავად - მარიამი, ცეცხლივით ქალი.  
სხვებიც არიან: ერთი ელისო, ერთიც ეთერი,  
თამაზია, მარტოკაცი, ისიც ცეცხლისა,  
ერთიც ილია იყო და ომაც...  
ვინ ჩამოთვლის ყველა წიკლაურს,  
მაგრამ ბედი ყველას ერთი გვაქვს.  
რა გვჭირს ასეთი?  
თანხმოვნებივით ყურს უკაწრავს  
მავანს ჩვენი გვარის ხმოვნებიც.  
ვიღაცას ალბათ ეშინია ჩვენი ცეცხლისაც,  
ვიღაცასაც უცდომლად ახსოვს,  
რომ ჩვენ მონად არასოდეს არ ვიქცევით,  
ერთ სიტყვასაც არ ვიტყვით ისეთს,  
რაც ჭკუაში არა გვიჯდება...  
რა ვიცი, ეგებ სხვა მიზეზიც მოეპოვება  
ჩვენი დიდი მათე-მამუკას, ჩვენი კარგი დიმიტრის და  
თუნდაც ჩვენი მარიამის ამ “არაფრობას”?  
მიჩვენებს ღმერთი.  
ერთ მშვენიერ დღეს წამაკითხებს ძველ წიგნში სადმე,  
გადამყრის სიბრძნეს ამ „არაფრობის“,  
ამ სიჩუმის...  
ამ გვერდზე ჩავლის...

დიდმა გულმა დარდიც დიდი იმიტომ იცის,  
რომ დიდ სიჩუმეს ღირსეულად დაუდგეს ძმად და,  
თავისი გზით იაროს იქით,  
სადაც ხატი ქარის სხეულით ელოდება,  
თავისი წილის და კუთვნილის მისაღებად.  
მარტოობა დიდი განძია,  
ამას თუ გვითმობს ჩვენ  
მამა-პაპის სალოცავები.  
წიკლაურებო, აბა, თქვენ იცით,  
არ შემიშინდეთ ამ ყიამეთ აურზაურში.  
ჩვენ დევებმა ვერაფერი დაგვაკლეს და  
მოჩვენებები რას გვიზამენ,  
კოჭუკუდმელნი?!..  
გაგიმარჯოთ, წიკლაურებო: უსახელონო,  
უჩინარებო, უთქმელებო,  
დიდი დარდების ქვაბულებო, თავშესაფრებო,  
სულ იმედის კვერის მცხობელნო.  
თქვენი სიტყვის ჯავარი სხვაა.  
იმან იკითხოს, ვინც ვერა გვზიდავს...

## ფაფარენა

(ნაწყვეტი პოემიდან „მარადისობის რიტუალი“)

ფაფარენა სოფელი იყო ხევსურთ მიწაზე.  
სამკალს ცის ქარი მზეკაბანს რომ გადაავლებდა,  
გეგონებოდა, უხილავის სამანი იძვრის.  
მისი ზამთრებიც  
ხილვა იყო თეთრი სიკვდილის,  
ზვავის ნაწნავებს რომ იშლიდა მაცდუნებლად  
და უთვალავი, უსუსური ფიფქის ერთობით  
სასტიკი ძალის აღეს იღებდა...  
რამდენი დილა დადგომია იმედად სოფელს,  
რამდენ ღამეს უთევია თავისივე შიშის სიზმარი...  
იქნებ არც ისე დიდი იყო ფაფარენა,  
იქნებ სულ ერთი კომლი ესახლა?  
ნეტავ როგორი იყო თურმანი,  
ერთ მშვენიერ დღეს  
მარადისობის მგზავრივით რომ მოადგა სოფელს,  
სადაც ხთისკარი ეგულებოდა...  
ეგებ სიზმარში დაინახა მისკენ სავალი?  
ეგებ კვრივმა უხმო მსახურად?  
აიყარა ჯალაბით და ეახლა ბატონს?  
ვის უნახავს ჩვენი სიზმარი?!  
ან გულის ხმა ვის უსმენია, თურმანო, ჩვენი?!  
მოდით, პიროფლიანი...  
ვინა გცნობდა, როგორი იყავ?  
მაღალი, ხმელი თუ ჯმუხი და ჩოფურა კაცი,  
ავზნიანი თუ სახელიანი?..  
მიწის წიგნში წერია ახლა შენი ამბავი,  
გვარის დიდი ამბის სქოლიოდ...  
საფლავის ქვები -  
სიკვდილ-სიცოცხლის ძველი ნაანზანარი,  
ბალახის კვართში გამოხვეული,

რას აღარ ჰყვება ჩემს წინაპარზე...  
იმ თურმანს ორი ვაჟი ჰყოლია.  
ერთ იმათათგანს  
დაუდვია გვარის სათავე...  
გაღვივებულა წიკლაურთა დავლათის ფესვი  
როშკის მიწაში...  
გამხვივნებულა სახელიც მათი...  
რამდენი კაცის ბედისწერას, სიტყვას, გულისხმას  
აუგია გვარის კერა, დაუნგრეველი...  
რამდენ ომსა და რამდენ ლხინს ერთად  
უკოდია გვარისციხის თლილი ლოდები...  
შენი რაღაა, დღეისდღისავ?  
განა სიტყვა დაილია, ჟამი განიმქვრა?!

## როშკისწყალო

(ნაწყვეტი პოემიდან „მარადისობის რიტუალი“)

- როშკისწყალო, რასა მღერი,  
საით მიჰქერი, ჩქერიანო?  
- არაგვისკენ ვეშურები,  
მეც ორწყალთან მელიანო!  
- ის პატარა ბიჭი გახსოვს?  
გამოზრდილი დედის რძითა?  
- მე წყალი ვარ, არც რა მახსოვს,  
მიწას ჰკითხე, გეტყვის ქვითა.  
მე რო თავქვე ვეშურები,  
ეგ სულ აქ დგას, თავის დღითა,  
მე ვჩხრიალებ, მაგას უხმო  
ხსოვნა უდევს ღმერთის ხნისა.  
საფლავებზე უწერია  
ორთავ სოფლის სიტყვა ღირსად,  
ჯიშად ჩემზე ძლიერია,  
მყარად დგომა არა ღლისა.  
მე სუ მივქერი, მივკალმახობ,  
დარდი არ მაქვს არცერთ მხრისა.  
ხან ცოტად ვარ, ხანაც ვბევრობ,  
ვერ შემიცვლის ვერვინ ნირსა.  
მიწას ფესვი ლოდების აქვს,  
ჭია ვერ ჭამს, ვერა ხრისა.  
მე უფესვოდ ვეძინები,  
ზოგჯერ ჩემივ დენა მღლისა.  
ხსოვნა არ მაქვს შერჩენილი,  
ჩქერზედ გარდასულის დღისა.  
ცის და მიწის კარზე დავალ,  
დარდი ნისლისფერად მდისა.  
მიწამ ჩემზე უკეთ იცის,  
კაცის მოდგმას რაცა სჭირსა,  
ჰკითხე, ქვათა ენით გეტყვის,  
რაც შეემთხვა ობოლ ბიჭსა.

## არაგვო

(ნაწყვეტი პოემიდან „მარადისობის რიტუალი“)

არაგვო, სიმღერა მინდა,  
გული ამომდის ყელშია.  
გუგუნებ მრავალჟამიერ,  
გამორჩეული სხვებშია.  
შენი სახლის გზა მასწავლე,  
გზაწვრილი ბროლის მთებშია,  
თოვლში გახვეულს გნახავდი,  
როგორც ჩვილს დედის მკერდშია.  
გზა-გზა რამდენ ფშას იერთებ,  
რა ძალას იკრებ ხმებშია.  
შენი ნაცვარი შრომანი,  
ღვთისმშობელს ეწნა თმებშია.  
მოდოდა და მღეროდა,  
ბალდი ეჭირა ხელშია,  
ზისცვრით მოთხვროდა ღაბაბი,  
სხივს ანათებდა მზეშია.  
თან ირემს მოიდენიდა,  
პეპლები ესხა რქებშია.  
ლურჯი ჩქერებით შესცქერდი,  
ტანზე კალმახი გემჩნია.  
შენთან გინდოდა, გყოლოდა,  
იმათ ცის კერა ერჩიათ.  
წავიდნენ, შენაც წახვედი,  
უფლის ნამზერი მხრებშია.  
სიმურის წყალი მგონიხარ,  
ვეშადდენილო სკნელშია.  
წყლისმკლავიანო ბორჯღალო,  
არ ამერევი სხვებშია.  
არაგვო, სიმღერა მინდა,  
გული ამომდის ყელშია.  
ვითომ არც მისმენ? გენაცვლე,  
მაგ გამჭვირვალე ჩქერშია.

## როშკაში ერთი ცირცელი

როშკაში ერთი ცირცელი,  
სუ ფაფარენას უყურებს.  
მოდის ნისლი და მის წითელ  
ტუჩებს აკვდება, უხუნელს.  
მერე აჰყვება სათიბებს  
მზისჟამინდელი ცროლისკენ,  
სიჩუმეს გაეჩქამება  
ფიქრი, საშენოდ მორისკე.



## ლელა გაბური

### როშკაში

მივალ და მივალ,  
მონატრების ბილიკით მივალ,  
ჩრდილისფერ გზაზე სალმის მთქმელი არავინ არი,  
ბავშვობის მერე  
გიჟმაჟი და თავქარიანი,  
დიყის ფოთლებზე  
თავდაყირა  
ჰკიდია წვიმა...

### მოვედი, მთაო..

იახსრის ბეჭებს ვაკავებ სუნთქვით  
და ზეცის თალებს ვზომავ არშინით,  
მოვედი, მთაო, რომ შენს კალთაში,  
ჩამოვისვენო დაღლილ ბავშვივით,  
ჯერ არ მომიკვდე, ნისლო, აშლილო,  
დათვისჯვარიდან მტკვრამდე, ასამდე,  
ერთი ღამეა გათენებამდე,  
ერთი სიზმარი - ცისპირგახსნამდე...

## ხევსურეთის გზაზე

ჭრიჭინების რია-რიას ვისმენ,  
ცვრიან მოლზე ცივცივ ვიარები,  
ფრთაფართხუნა აჭახჭახდა ფშატზე,  
გაიტკნენ მსუყე რძიანები.  
ნარეკალმა გაიწვიპა ტანი,  
მწვანე კაბა გამოჰკიდა მზეზე,  
ბილიკ-ბილიკ ვეხეტები მგზავრი  
და წყაროსთან ნაცნობ კენჭებს ვეძებ...  
ბუერებო, რად ვერა გრძნობთ ამბორს,  
გვირილებო, რად მიყურებთ ეგრე,  
„ჭია, ჭია ,მაპოვნინე“, კარგო,  
აქ ბავშვობა დამეკარგა ერთხელ...

## ნუ გეშინია...

მზიდან დაღლილი ფრთებით ეშვები  
აღარ გაცილებს ზეცის მაყარი,  
გახსოვს? ცხრაწყარო ხვრიპე პეშვებით,  
გახსოვს? იყავი ისე მაღალი...  
გადაგეპოხა სანთლით ხელები,  
აღარ გატყვია ძველი სიფიცხე,  
გადაგავიწყდა ცისარტყელები,  
ცისარტყელებმაც გადაგივიწყეს...  
შენი უფალიც ჯვარცმით განდიდდა,  
მაღე გაგცოხნით, ტანჯვის ხმიადო,  
ნუ გეშინია, მოვა მარტი და  
არავს მართვეებს ისევ მიანდობ...

## ასას

(ჩემი მშობლიური მდინარეა არხოტში)

რამდენჯერ  
ბრძოლის დაადევნე ყიჟინა მხედრებს,  
წიალი შენი  
საიდუმლოს რაოდენს მალავს,  
რამდენი ტალღა  
ქარაფებზე კვიცივით ხედნე  
და ფიც-ვერცხლივით ჩაუთალე  
კალმახი არაგვს...  
გახსოვდეს, დღესაც  
ცადაზიდულ,  
ნისლიან ქედებს,  
გულგატეხილი რომ ეჩვენო  
უფლება არ გაქვს!

\*\*\*

მახვილი მტრისაკენ ნაგზები  
და მხოლოდ უფალი თამადად,  
რა გზები, რა ხმით და რა გზნებით,  
ჰაუ, რა გამოვლეს მამათა...  
სიზმრიდან კვლავ ცხადში მომწყურდი,  
მამულო, ნამუსის ქუდითა,  
რა ვქნა და ...მიყვარხარ მორწყულო,  
ხან სისხლით, ხან სვიან ლუდითა.  
რა ვქნა და...არ მინდა ვასხვისო,  
ლაჟვარდი, ნახური ამინდად,  
რა ვქნა და...რომ მოკვდეს, რაც იყო,  
არ მინდა...  
არ მინდა...  
არ მინდა!

\*\*\*

...ჩამოათოვა  
მთებს-  
მკაცრს და გოროზს,  
ცა მსუბუქია  
და გაცრეცილი...  
ისეთი დღეა,  
ო, ამ დღის ბოლოს -  
უნდა დაისვას მრავალწერტილი...

\*\*\*

„ნულარ მეტყვით სამძიმარს,  
გული არ შეიცვლება“  
გ.ჯაბუმანური

მზემ შესძლო  
მიდის უცრემლოდ,  
არხვატის ნათობს სათავე,  
ექოს უცრემლო ტკივილის,  
ეს მერამდენედ ათავებ...  
გეტირებოდა, იტირე,  
შესჭამე ტანჯვის ბარძიმი,  
იზამს კი გული, ტიალი,  
რომ არ მოვიდეს სამძიმრით...

## შოთა არაბულის გარდაცვალების გამო

გზა მეშორა და გორის ფხამდე ვერ გაცილებთ,  
შინ დავსდგამ სულამაის ტაბლას,  
(დედისგან ნასწავლი მაქვს სუყველა ესეთურა,  
არცრუ არ მეძნელება),  
თქვენთან რა ხელი აქვს  
ავსა და მაცილებს,  
ეტყობა -ლექსი არ მაძინებს.  
თქვენთან რა ხელი აქვთ ჩემფერ ჭირისმწყენლებს,  
სწურთნიდით მტრების წუთისოფელს  
და მაინც,  
თუ რამე ვერ ვთქვა საკადრისად,  
სულმნათო (ბატონად გხმობდით),  
აჰა, გაზაფხული მოდგა დარიალთან  
და...თქვან ენძელებმა!

\*\*\*

ვიდრე ქუდნისლას ნისლით,  
მზე ჩვენს კარავთან მივა,  
ვიდრე სული და სისხლი,  
შეშლილია და ცივა...  
ვიდრე ჩემს თვალში დირე  
და შენს თვალებში ბეწვი,  
მარადისობის კართან,  
ღია ჭრილობად მეწვის,  
ვერ მოვანატრებ არავგს,  
წუხილს, სამყაროს მკარგავს,  
თვალებს – შენს გამო ტკივილს,  
მუხლებს – შენს გამო კანკალს....

\*\*\*

პირიქითიდან პირაქეთისკენ,  
ვახსენებთ ღმერთს და ანგელოზს წვერის...  
სიტყვა სალექსო,  
სეტყვად გვეშლება  
და ხსოვნას ლესავს მითები ძველი...  
ხახმატისაკენ მეტობს გულისთქმა,  
ვეშვებით,  
ნისლებს არ უჩანს ბოლო,  
გამოგველია მწირი საგზალი,  
ვსხდებით,  
არაყზე ვაყოლებთ ღოღოს...

\*\*\*

ხმალაზე ხმალაის წყალი,  
გველივით ლოკავს იფნიანს,  
ბევრი გიამბე, ტკივილო,  
რამდენი ჯერ არ მითქვია...

\*\*\*

„ხვალ, მზედაბრძანების ხანს,  
სანეს გორზე გადავწყვიტოთ,  
როგორ მოქცევას მოგვთხოვს დრო–ჟამი...“  
შოთა არაბული  
„ნისლისფერი ცხენები“

სიზმარში ვხედავ  
ნირწამხდარ მისანს,  
ხევსურეთს – ციდან აღარც რომ მოსჩანს,  
სანეს გორიდან დანახულ მიზანს,  
სანეს გორიდან გაზომილ დრო–ჟამს...  
ვიდრე არაგვი წაღმა ივლის და  
ვიდრე ორწყალში  
მტრის გრილო მოდის,  
არა,  
არ მოვმლი  
ამ ჯიუტ ლოდინს,  
მზედაბრძანების  
ხანის ხილვისა...

\*\*\*

მეუღლისდამი

როგორ თრთის  
შენი რჩეული სისხლი,  
ფოლადის ჯავშანგადაკრული  
ხელებიც,  
სახეც,  
ხმაც,  
როგორ გითრთის  
და მერე  
ცვილის გულჩვილ ცრემლად  
ბრწყინდება თვალში,  
როცა იხსენებ  
(სულთქმის ციხედ გადაქცეულ),  
შენს გმირ წინაპარს  
და მის საფლავზე ამოსულ ბალახს  
ხმლის ვადასავით ებლაუჭები  
და როცა მისი აბჯრიანი,  
ამაყი ლანდი,  
სიკვდილ–სიცოცხლის  
მარადიულ წრებრუნვაში  
აბამს ფერხისას.  
როგორ თრთის  
შენი რჩეული სისხლი...



## კალმახის სიკვდილი

ჩიტის ნისკარტით მოტანილს ჰგავს შენი ამბავი...  
ჩემი მსხვერპლი ხარ,  
ქვიშაზე წევხარ.  
მე კი მდუმარე,  
ფიქრში წასული ზემოდან გიცქერ  
და ველოდები,  
სიკვდილს როდის შეურიგდები,  
როგორც ყველაზე დიდ ბუნებრიობას.  
გდის ცივი სისხლი  
და მდულარე ვულკანივით მიწვეთავს სულში.  
აი, გაყუჩდი,  
აღარ გითრთის უკვე ლაყუჩი  
და ქარი ხიდან ჩამოვარდნილ ტირიფის ფოთლებს  
მიაფრიალებს არაგვისკენ,  
როგორც სუდარას...  
კვლავ ილიცილებს გუბეები მდინარის ტანზე,  
ჩამავალ მზეზე იქვირითებს შენი მოდგმა კიდევ მრავალი,  
მაგრამ უშენოდ.  
მზე ჩადის...ჩადის.  
შუბისტარზე წამოვაცვი გაყინული ორი თვალი  
და ცრემლებს ვუშრობ ცისკენ მზირალ აქერცლილ გუგებს.  
გულადმა წევხარ,  
(უხერხულია ,სიკვდილს შეხვდე  
უზრადმყოფივით პირქვემხოზილი),  
არაგვისპირას მძიმე ლოდებს  
ეხეთქება  
მშვენიერი  
შენი სხეული...

ჩემიც ეგრეა.  
მოშიმშილე, აუვსებელი ჩემი დღეები  
და ჩემი მზერა- მოკანკალე ამოსუნთქვამდე  
შეეზრდება,  
შეეხიზნება  
საყვარელ კაცის მომდურავ თვალებს  
და გაქვავებულს,  
ფრთებშეკვეცლს,  
ისე უმწეოს,  
აუკინძავს სინანულის მძივებად ცრემლებს  
და ჩამოღვენთილ კელაპტართან მისი ხელები,  
(საოცარი, თბილი ხელები...  
დათვლილი ხალით,  
დათვლილი ხაზით,  
დათვლილი ვნებით),  
სიკვდილის წინ  
ჩემი მაჯის  
თრთოლვით მჭერელნი,  
ამ ფოთლებივით ჩამოწყდებიან...

----

ჩიტის ნისკარტით მოტანილს ჰგავს შენი ამბავი.  
ჩემიც ეგრეა.

## შემოდგომა არხოტში

გ.ლ.-ს

ჭიმლის  
ჭიუხთა ტანს  
ოქტომბერი  
მოუხვევია, როგორც საბანი...  
ახლა გამოვა  
ბანზე სწორფერი,  
ბანისპირ პირი უნდა დაჰბანო.  
თითებს სამყურას  
სურნელი ასდის,  
უცნაურ თრთოლვით  
ითვლი ნაბიჯებს  
და მისი ოდნავ მოხრილი ლანდი,  
ისევ ისეთი სნებით გაგიჟებს.  
ხრამუნობს ფეხქვეშ  
გამხმარი ბაღბა,  
კვდება და მშვიდი, ისე ამოა.  
(რა ენაღვლება,  
ახლა ჩავა და  
იმ გაზაფხულზე  
ისევ ამოვა...)  
როგორც არხოტელთ  
კეკლუცი ქალა,  
მზის შუქზე ქოჩორს  
იყვითლებს ქუჩი.  
მწიფს ოქტომბერი  
და ღელვას მაღავს,  
წყაროზე  
თუნგის  
დახრილი ტუჩი...

## ზამთრისპირის ფიქრები

...ჭვარტილიან ღუმელს,  
და ღუმელთან  
ჩამუხლულ დედას,  
მტკივანი გულით  
და საოცრად მჭკნარი ხელებით,  
კედელზე შპალერს,  
ღელისპირზე გამარცვულ ალვებს...  
ყველაფერს - ნაცნობს და შეჩვეულს -  
იმგვარად ვუმზერ,  
თითქოს, ამ სახლში  
ეს-ესაა ჩამოვესვი წეროთა გუნდებს,  
მიწიერი  
საიდუმლოს ამოსახსნელად...

\*\*\*

გმადლობ,  
რომ ფერით ციციანათელის,  
ამივსე სუნთქვა  
და დღე ამინთე,  
რომ აღარ მაკრთობს დინება დროის  
და აღარც მისი ჭრელი ამინდი...  
რომ გავუსწორე  
მზერა წავარნას,  
და ბეწვის ხიდზე არ ვარ დახრილი,  
გმდლობ,  
რომ მთების წყაროსთვალივით,  
სავსეა შენი ხმა და ძახილი...  
რომ ვერ მეწევა -  
სიტყვა ჯაბანი,  
და სანთლად ვძერწავ  
სიმშაგეს ლაფის,  
გმადლობ,  
დაეტყო შენით სამანი,  
სიკვდილ -სიცოცხლის უღმობელ ნაპირს...

## არ დაიჯერო...

არ დაიჯერო,  
თითქოს მაკლიხარ,  
არ დაიჯერო,  
თითქოს გინატრე,  
შენ ხომ ჩემთან ხარ  
დღისით და ღამით,  
შენ ხომ ჩემში ხარ,  
როგორც სინათლე...  
ჩვენი სიშორე  
ვინ მოიგონა,  
ან მარტოსულად  
როგორ ჩამთვალეს,  
რად ვერ ამჩნევენ  
რომ მზეებივით,  
შენი თვალები  
დააქვთ ჩემ თვალებს...  
როგორ თქვეს ჩემზე  
ცხოვრობს ეულად,  
და გულზე დარდებს  
იკრავს ღილივით,  
სასაცილოა,  
რად ვერ შენიშნეს-  
ჩემს ბაგეებზე  
შენი ღიმილი...  
უკვირთ აღმართზე  
მყარად რომ მივალ,  
მე ხომ გეყრდნობი  
მხარზე გოლიათს,  
სასაცილოა,  
როდესაც ვტირი,  
ის ცრემლი  
მარტო ჩემი ჰგონიათ...

მე შენი სულიც  
მიმაქვს სხეულით,  
მინდა ლაჟვარდის  
ფრთებზე ვარწიო,  
და უკვდავებას  
თუ ვერ ვუბოძებ,  
ლექსებად მაინც  
გადავაქციო...

**ვუძღვნი ძმის -  
გოჩა გაბურის ხსოვნას**

შავი დილაა...  
შავად სცრის,  
(თოვს იქნებ ახლა გუდელას),  
თავის წილ ნატვრას  
და ტკივილს  
ღამე სიკვდილმაც უთენა.  
ლოცვით ვუწამლებ წამებად,  
ოხვრას სხეულში მიმალულს,  
როგორც ყოველთვის, უფალო,  
სიკვდილით ვსწავლობთ  
სიყვარულს...  
გაქრება მიწის ყვავილი,  
უცაბედ თოვლის ფართალით,  
სულის საოხად დარჩება,  
ლექსი- ცხელი და მართალი.  
შავი დილაა,  
შავად სცრის,  
( თოვს იქნებ ახლა გუდელას),  
თავის წილ ნატვრას  
და ტკივილს,  
ღამე სიკვდილმაც უთენა...

## გალაკტიონის შეხვედრა ჩემს მამასთან - დავით გაბურთან

ტოვებდა როცა თავის ჭიმდას,  
თავის ახიელს,  
იერი მაინც  
ვერ მოირგო  
ქალაქელ კაცთა,  
სტუდენტობისას  
ყმაწვილ მამას- ბრგეს და სახიერს-  
უყვარდა თურმე  
ხევსურული სამოსის ჩაცმა...  
და დადიოდა რუსთაველზე  
ჯვრიან პერანგით,  
მთიელ მოგვების  
და ღვთისშვილთა ჩამომავალი.

გალაკტიონი დაუნახავს  
ერთხელაც მის წინ...  
(გაშეშდა მამა,  
უყურებს და თვალს არ აშორებს),  
...ის მოდიოდა რუსთაველზე  
მარტო , თავისთვის  
და ნამთვრალევი მისი მზერა  
ეკიდა შორეთს.

მოულოდნელად  
დაეფინა სახეზე შუქი,  
იგი მამასთან მივიდა და  
ჩახედა თვალში.  
მერე ასწია  
მძიმედ, დინჯად მარჯვენა ხელი:  
ჩამოატარა მამას



თავზე,  
შუბლზე,  
სხეულზე...  
ჩაიბურდუნა: „აი, რაა - ჯიში და გენი!!“  
და უხმოდ გაჰყვა  
ისევ პროსპექტს  
ფეხარეული...

გალაკტიონის არის ეს დღე  
ცივ ნოემბრისა...

## ჩემს დას - ნინიკოს

ნეტარი მზეების  
შორი კუნძულია,  
(თვალი საზეპურო  
ითქმის),  
ისეთი ლამაზი ხარ,  
მთვარე- ქალო,  
მარადი ბავშვი ხარ  
თითქმის.  
რაგინდ მოვინდომო,  
მოგიძღვნა, ძნელია  
ტაეპი,  
რომელიც გშვენის,  
ყველა მეტაფორა  
გახუნდა,  
ძველია,  
ნატიფობს სიმშვიდე შენი.  
განა აიხირე,  
თვითონ არ გცილდება  
ვარსკვლავთა ხვამლების  
რიდე!  
უნდა მაპატიო,  
მთვარე ქალო,  
ცრემლების ზღვას  
გადაგვიდე...  
ისეთი სუფთა და  
ისეთი სხვაგვარი ხარ,  
მარადი ბავშვი ხარ  
კიდევ.

რამე მომწერე, ლელ,  
ისეთი, რომ სიცოცხლე მომწყურდეს

( ჩემი რძლის-  
თეონა ჭინჭარაულის წერილიდან)

მომწერე რამე,  
ჩემო ძვირფასო,  
რომ მომაწყუროს  
ისევ სიცოცხლე,  
დადლილ სხეულზე  
ამომდის ხავსი  
და სულს  
კბილებით ვიჭერ , იცოდე.  
იცოდე, სევდა შემომეჩვია,  
მომწერე რამე ,  
რომ მზით ავივსო,  
დარდები ხრავენ -  
მწუხრებს ეჭვიანს,  
ალარ თენდება  
დღე სამაისო.  
სამყარო სავსე -  
ყალბი ღიმილით,  
ვშიშობ,  
გრძნობებსაც გახდის საქაროდ,  
მომწერე რამე ,  
ისე ნამდვილი,  
შემაჟრჟოლოს და  
შემაკანკალოს.  
როგორც სჩვევიათ  
ჩვენებრ გოგონებს,  
უხვად დავწანი  
ნატვრის თოკები,  
კაბაზე ვიქრობ

ჭიკოკონებს  
და მიწითლდება  
ისევ ლოყები.  
მომწერე რამე,  
რომ ხელუხლები,  
ისევ მომწყურდეს-  
ჩემი სიცოცხლე,  
უფლის კალთაში  
მდგარი მუხლებით,  
კვლავ დაღლილ სხეულს  
ვგლოვობ, იცოდე...

## თინათინ მღვდლიაშვილი

### ჯურჯიაულის ციხე და ჩრდილოელები

ღამე დაიმსხვარა მწვერვალზე.  
მზე ცის გუმბათზე ანთია  
და მიირწევა გზაწვრილზე  
ცისკარაული ნათია.  
ნამის წვეთები ბალახებს,  
უბრწყინავს ათასფერები,  
ხელით იჭერენ კალმახებს,  
ასაში არხოტელები.  
აღბათ ეს თეთრი ღრუბლები,  
ახიელაში მიდიან...  
არხოტს დარდი აქვს ულევნი,  
არხოტის გულში ბინდია!  
ამ ცათა მეუფებაში,  
რა ესაქმება ჩრდილოელს?!  
სიკვდილთან უწევთ თამაში  
ლევს, ვაინახს და დიდოელს!..  
დრო დადგა ძველმა ქიშპობამ  
გუდა-ნაზადი აიკრას...  
აღარ ჰკიდია მომხდურთა  
ხელისმტევნები ქავისკარს.  
გაღმა რომ შავი ყორანი  
ლეწავს ჩეჩენთა აულეებს,  
ჯურჯიაულის ციხესთან,  
ცრემლი სდით ცისკარაულეებს.  
მტერმა ხეობა ანგრია,  
თითქოს გაშლევდა წყეული!  
მაგრამ ჯერ არვის უხილავს  
არხოტის მთები ძლეული!..  
კოშკი - გამძლე და მაღალი,  
რომ დაარღვია ოხერმა!

იქნებ იმიტომ შეიკრა,  
შუბლი მრისხანედ ჩორეხმა!..  
დრო მოვა, ლაგამს აიწყვეტს  
რაში, დაბმული თავლაში,  
ჯარჯი სახატე პურს გატეხს,  
მოყვანილს ჯვარის ყანაში.  
ყალყზე შედგება მთა-ბარი,  
ერთ მუშტად დაიჯარება,  
ხევსურის ხარის კისერი,  
სალაშქროდ დაიძაგრება.  
არვინ თქვას, ვაჟას არწივებს,  
თითქოს დასცვივდათ ბუმბული,  
მტრის თმა ჯერ კიდევ ფრიალებს,  
ვით თივის ოქროს ბულული!  
ჯერ კიდევ მოფენილია,  
ყვავილით ამლას ველები,  
ხელით იჭერენ კალმახებს,  
ასაში არხოტელები...  
მზე, როგორც მწველი მიჯნური,  
შავწყალას უცქერს ნაბდიანს,  
უფსკრულს თვალებში უმზერს და  
წელთგზაზე მიდის ნათია..

## დავით ჩიხლაძე

### დათო გიგაურს

მზის ამოსვლას შევეგებებით, როცა გაცოცხლდები,  
როცა დაბრუნდება  
ის მზიანი თბილისი უდარდელი ადამიანებით,  
რომ ათენებდნენ უბრალო სასადილოებში,  
უიღბლო ცხოვრების ლამაზ დღეებს.  
ქალები იყვნენ ისეთი ლამაზები, როგორც სამოთხეში.  
მზის ამოსვლას შევეგებებით, სოციალისტური ქვეყნის  
ფართო საზღვართან, ვიბანავებთ ჩვენი საქართველოს  
ან რუსეთის მდინარეებში,  
შეგვიყვრდება ჩვენი დები და მივუტანთ მათ ჩვენს  
გულებს,  
კიდევ მოვუსმენთ როლინგ სტოუნზს და გრანდ ფანკს,  
რადიოში დავიჭერთ სექს-პისტოლზის პირველ კონცერტს  
და ვიქნებით ბედნიერები ჩვენი სოციალისტური  
საქართველოს  
ბედის წინაშე.  
მზის ამოსვლას შევეგებებით ყოველთვის,  
ჩვენთვის არ იქნება ღამე,  
გავა დრო, დაითვლება ყველა ფული  
აბსოლუტ ბანკში,  
შენი თმა, შენი გიტარა, ვიოლინო,  
მოტოციკლეტი, შენი გარაჟი და სასაფლაო,  
ნესტიანი გასტრონომები,  
რემარკი და ჰემინგუეი, ძმობის პირველი გაკვეთილები,  
წაიყოლებს დღევანდლობის ყველა სიყალბეს,  
ჩვენ დავლევთ, გავიხსენებთ, როგორ დავკარგეთ,  
რამდენ ხანს ვეძებდით ყველა ერთმანეთს,  
შენი საფლავი მე არ ვიცი, არც სხვა ვინმე  
მყავს ვინც მასწავლის,  
მომენატრები, დათო, ძალიან,  
რომ ვეღარ შევძლებ შენთან ერთად შევხვდე  
მზის ამოსვლას ამ ლამაზ ქალაქში.

## დალილა ბედიანიძე

### ამირან არაბულის ეპიტაფიების გამოფენაზე

ლაპარაკობენ საფლავის ქვები,  
სიცოცხლის ენით ლაპარაკობენ.  
მათ არ ბეზრდებათ სიცოცხლის ქება  
და ჩუქურთმები ამ ქვებს ამკობენ.  
გაღმა გავიდნენ გარდაცვლილები  
და მაინც ჩვენსკენ მოისწრაფვიან,  
უკვე ყველაფერგამოცდილები  
და მკერდს უმშვენებთ ეპიტაფია.  
სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა-ჭიდილი  
ამ დახვესებულ ქვებსაც ატყვია.  
მათ შესანდობარს სვამენ ჭინჭილით,  
ზოგი დრომ მოკლა, ზოგი -ბრმა ტყვიამ.  
ისტორიაა დაუწერელი,  
საფლავის ქვებზე ამოკვეთილი  
და ისიც თავის წარმკითხველს ელის,  
შენდობა თქვი და იყავ კეთილი!  
ტკბილად იძინეთ, მამა-პაპანო!  
როცა იქნება, ყველა მანდ მოვალთ  
და მემკვიდრეებს გადავაბაროთ  
გარდაცვლილების ხსოვნა და გლოვა.



## დათო მალრაძე

### არაგვის ჭალაში თქმული

გაყურსულია სუფრა არაგვაზე,  
საფიხვნოს თავში ფიქრობს თამადა,  
სიტყვას ის უფრო შეულამაზებს,  
ცით რომ  
ვარსკვლავი  
წყალში  
ჩავარდა.  
მზე ჩაიწურა გულში ივნისის,  
ხეს შესევიაწ წითელი ბლები,  
გაირიჟრაჟებს,  
მაგრამ ვინ იცის,  
ლელიანიდან ყმუიან მგლები.

მანავს გაუდის ყელში რაკრაკი,  
ღვთის უკეთესი რაღა ვინატრო,  
ხის ძირში უნდა დავცე ბანაკი,  
ოცნება ცაში დავაბინადრო...  
თითქოს  
ჩანჩქერი  
მიჭირავს  
ხელში,  
არაგვის ტალღებს გავყურებ ცერად,  
მე და ჩანჩქერი დავრჩებით ტყეში  
და დავიღვრებით უთვალავ ფერად.  
ალვაზე უნდა დავკიდო ლექსი,  
ასიათასი მხატვრის ჯინაზე.  
იქნებ შემომხვდეს დამთვრალი მწყემსი,  
მთებს შევაბღავლებთ ზეცის წინაშე...  
მთელი ღამე რომ თოვლმა ითოვოს,  
ატამი მაინც გაიკვირტება.

მეფის ქალი რომ გლახმა ითხოვოს,  
ამაღამ არც ეგ გამიკვირდება.  
ოცნებად ვიხდი რაღაც ურთულესს,  
მომყავს ვარსკვლავთა მთელი ამაღა,  
ღრუბელი ღრუბელს ჩაუჩურჩულებს  
და საიდუმლოს ღამე დამალავს...  
დრო მიდის,  
მაინც  
ბრუნავს  
ბორბალი,  
ნაწამებია უმთვარო ღამე,  
განთიადს ეტრფის მიწა ყომრალი,  
მისი საუნჯე ოდით ვიწამე.  
ზენ-ბაცალიგოს თოვლი ადნება,  
არაგვის ქალას ასდის ალმური,  
ავხედავ ზეცას,  
მომელანდება:  
წვიმა,  
ბერდენკა  
და წიწამური.  
მზე კი ჩასულა გულში ივნისის,  
ისე ჰყვავიან აქ ალუბლები,  
უკვე თენდება,  
მაგრამ ვინ იცის,  
ლელიანიდან ყმუიან მგლები.  
მანავს კი გააქვს ყელში რაკრაკი,  
ღვთის უკეთესი რაღა ვინატრო,  
ხის ძირში უნდა დავცე  
ბანაკი,  
ოცნება ცაში დავაბინადრო...

## თამარ შაიშველაშვილი

\*\*\*

წვიმები ამ კომპების შრომანია...  
შორს ცაზე უფლის თვალი მემთვარება...  
ქარები – სიზმრის მგზავრნი  
შორს არიან.  
გაზაფხულს რად ნისლებით ვეთოვლები?  
ვინაღვლო, ცრემლური გაგიშალო,  
მზეს მივწვდე ჩანჩქერებად, ცვარ-ციაგით  
და მწუხრის გათენებით  
გემწყალობო,  
გემშობლო უმწეობის საცეცებით,  
გზა ჩქარობს, დრო მუნჯია და ლოდები  
გოდებენ ყრუ ქარიშხლის აბზინდები...  
სიცხადით სიშორეში ვილოდები,  
მწედ მყავხარ უპირქუშო  
და გპირდები:

წვიმები შენი სულია,  
შატოლო,  
ქანანის შრომანების სევდა,  
სამძიმარაის გორა კი  
ცრემლივით მალავს  
ვარსკვლავს - სამშობლოს!

\*\*\*

ჩამოიშალეს  
მთებმა ამ დილით,  
გულზე ნისლების მძივი,  
ჩასძინებიათ კოშკებს შატილის,  
თოვლში უჟამო ძილით...  
ფითრისფერია  
ზეცა არდოტთან,  
დაბინდული აქვს მზერა,  
ეს ბილიკები  
არ დამიტორონ,  
მზე არ მოგტაცონ მძევლად.  
არ გაგისხვისონ  
თუ რამ გებადა,  
შეურყვნელი და წმინდა,  
ქარმა ჩურჩულით  
ლოცვა გაბედა  
და ცრემლი მოიწმინდა.  
თრიმლისფერია  
ზეცა არდოტთან,  
ყრუდ მორიალე ჟამით,  
ო, ხვესურეთო,  
ფიქრშიც ვერ გტოვებ,  
მარტოს დღითა და ღამით...  
ჩქერად გულის დარდს  
გაუმხელს ცარგვალს,  
არღუნი - ენამჭევრი,  
თოვლში ჩაძირულ  
თეთრ გემებს ჰგვანან  
კოშკები -უფლის ბჭენი...

## მუცო

ამდევნებია დილის რიჟრაჟი,  
ჩამწუხრებული მთებივით უცხო,  
მეჩვენებოდა თითქოს იმ ჟამში,  
ნისლებთან ერთად ეძინა მუცოს...  
ეძინათ ნისლებს, მზის მირონცხება,  
იდუმალს ხდიდა წამებს- ჩაუქებს,  
ასე მეგონა მთელი ცხოვრება,  
ამ მთებისაკენ მოვიჩქაროდი.  
ხშირად სიზმრებშიც ვხედავდი ამ მთებს,  
და ცას, შეხება რომ დამიპირა,  
იქ დამრჩა გული, თეთრლამენათევს-  
ლურჯი გვირილა არღუნის პირას...

\*\*\*

მზეზე გამოსულან  
ღრუბლის კაცები,  
დიდი მთებისა და  
ბედისწერის შვილები,  
ქარაფებზე ასხლექტილი  
ქორბუდა მზერით.  
ლექსებით მშივრები,  
მდინარეში გამოსულან.  
სიზმრის კაცები,  
უჩუმრად მკაცრები-  
გულში თოვლითა და  
წყურვილით  
ცისა და მიწის.  
მზის ნამს მოჰყოლიან  
დილის კაცები,  
მარტოკაცები და მარტო მგლები.  
ღრუბლებს მოჰკვალავენ  
ხელის ცეცებით,  
ელავენ წვიმის მზეში,  
კოშკები აღთქმული...  
ჟამის მოქცევამდე კი  
ჯერ ისევ შორია.

\*\*\*

...ცრემლები მალავენ  
უმწეო სამშობლოს,  
ღმერთო, გადაარჩინე  
რიჟრაჟის შვილები...

## თემურ ჩალაბაშვილი

### ხეცურ გოგონას

დიდთოვლობისას ამოვალ მთაში,  
ისევ მომინდი უცნაურ ჟინით,  
გაგეჯიბრები ლექსების თქმაში  
და ამოგიტან ზაფხულს ხურჯინით.  
მაგრამ, ვაი, თუ აღარ გახსოვარ  
და მკერდის სითბოს სულ სხვას ჰპირდები.  
მე დიდთოვლობას ამოვალ მთაში,  
გეწყინები თუ გაგიკვირდები...

## რეზო ამაშუკელი

### ივნისი

ვითარცა მწერი  
გამჭვირვალე ქარვის ნატეხში,  
ჩაკირულია ჩემი სევდა  
შორის ქედების!  
მოცალეობა ტანთ მაცვია,  
მივდივარ მთა-მთა  
და მიმყავს ჩემი მარტოობა  
ხელჩაკიდული,  
ყაყაჩოების წითელ ტბორში  
ზერდაგი კვიცი,  
პირველყოფილი სინატიფით  
დგას და  
ფრუტუნებს,  
მის გაშლილ ფაფარს  
სპილენძივით  
აჟღერებს ქარი.  
და ტრიალებს ირგვლივ  
მინდორი.  
წყნარად ივსება  
ვაშკარანი  
ჩემი ფიქრების  
ველურ ყვავილით,  
ფრინველის ხმით,  
იდუმალებით...  
ბედნიერი ვარ  
უსაზომოდ  
და სული ჩემი  
ჭროდა ქორივით  
ბოინობს ცაში!...  
ახლა მავანნი  
უკიდურეს სიზუსტით წერენ,



რომ  
ხეს ხე ჰქვია,  
სევდას - სევდა,  
ლიმილს - ღიმილი,  
მე კი მივდივარ  
გალუმპული ზაფხულის ფერში  
და უცნაური  
სიმღერა მესმის!..

ჟანგმოკიდებულ  
ლოდებს შორის  
იცინის წყარო,  
-მოვიყრი მუხლებს  
და ვუკოცნი გაყინულ ბაგეს  
და ვხედავ:  
იჭვით შეფაკლული  
ბუჩქი ასკილის,  
ზაფხულის წვიმის წვეთებივით  
მოგრძო ნაყოფებს,  
დროდადრო  
როგორ  
ანთებს და აქრობს...

...ეს არხოტია!  
ან...  
არ არის სულაც არხოტი!...  
მაგრამ  
ღიმილი ხანჯალივით გაელვებული?!  
ბირკი ცისფერი  
დამარცვლილი  
და  
მძივის ჯვრები?!  
სალამოს ადგას  
გვირისტი მთვარის,  
და ბრუნავს მწიფე  
ქერის სურნელი

ძარღვებს ედება  
მღვრიე რახი  
და მასპინძელი  
წამოსთქვამს - ამინ!  
მყუდროება კი  
ცეცხლის პირას  
ლეკვივით წვება...  
ცივია, ცივი  
და ამაყი,  
მაღალი თუნგი,  
რომელიც მე  
ქალივით მიყვარს!  
...და დარჩა  
ჩემი მარტოობა დათვის ტყავზე,  
ხევსურ გოგოსთან,  
აწ ზოდიაქო კირჩხიბისა  
მზემ მიითვალა!  
გოლეულივით  
ხელისგულზე  
მიდევს ივნისი -  
სავსე მინდვრების გუგუნით  
და  
ვბრუნდები თბილისს,  
რომ გადავძახო  
მაღალ სახლებს,  
ანტენებს,  
ქუჩებს,  
მონღოლებივით შემოსეულ  
მანქანების ჯოგს,  
კვამლში და ბუღში  
ჩაძირულ ქალაქს:  
-გაუმარჯოს მთებს!  
ნეტარიმც იყვნენ  
მწვანე ტყეები  
უკუნითი უკუნისამდე!...

## ბალათერ არაბული

### მგზავრი

გაბრიელ ჯაბუმანურს

მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი,  
მამულზე ფიქრი, სინდისი, მრწამსი...  
მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი  
და შეუცნობი ხმაურით სავსე,  
ყვოდა სივრცე, გზებზე კი ბინდი  
და უხილავი ქარი კიოდა.  
მას კი მიჰქონდა ლამაზი ტვირთი  
და ჯერ უთქმელი სევდა სტკიოდა  
და მიდიოდა...  
სოფელი დიდი  
განვლო სიმღერით და მწუხრით სავსე,  
მზის გადასვლისას მოიხსნა ტვირთი  
„და...სასაფლაოს მუნჯ ლოდებზე ჩამოისვენა“

### დატირება

ბიძის ხსოვნას

მორჩა თამაში...  
შენ გძინავს დაღლილს  
და ფარდასავით ეშვება მიწა,  
სევდით ავსილი სამარის სახლი,  
გარე სამყაროს სცენისგან გიცავს...  
მოწყენილია შენი გუთანი  
და მოშიშარი შენი სიმორის  
სწუხს ყანა, ასე ნასათუთარი,  
ყვითელი დროშა მარადისობის...

## დედის წერილიდან

მაისი კაი დღეებს გვპირდება,  
ბევრის ხვნა-თესვას ვცდილობთ,  
ჩვენ არაფერი გაგვიჭირდება,  
შენს თავს მიხედე, შვილო...  
ქალაქს მრავალი თვალი აბია,  
ყველა თავისად ფრთხილობს,  
განა სუყველა ამხანაგია,  
ვინც შენ გიცინის, შვილო...  
ავს და კარგს განსჯა უნდა ყოველთვის,  
ხილვა მზვარეს და გრილოს,  
ხალათს მხედრის და ხალათს პოეტის  
კაი ყმა იცმევს , შვილო...  
ქვეყნად მარადის გწამდეს სიმართლე,  
მამულის ლილო-ჭრილო,  
თუ ხალხმა მოგცა მზე და სინათლე,  
ხალხი გიყვარდეს, შვილო.

## სიმღერა ხოლიგაზე

(ხევსურული მოტივი)

კაი ვაჟი ხარ, ხოლიგავ,  
კაი გულით და მკლავითა,  
ნეტავ ერეკლეს ჰყოლიყავ,  
ამა ლურჯაით, მალითა,  
ამა ფარ-შუბით, აბჯარით,  
ამა უხმარი ხმალითა,  
ვერსაით გაგექცეოდა,  
მტერი ცოცხალის თავითა...

## ირაკლი ოჩიაურის სახელოსნოში

მაღალი ზეცა განიღო თითქოს  
და მზის წინაშე შევკრთი თვითონვე,  
აქ ხომ სიმღერა უბრძანეს ლითონს,  
ოდეს მდუმარე ნახეს ლითონი...  
აქ ხომ კვლავ სულის  
ლტოლვას და სურვილს,  
ერის პარნასზე ხმობენ ზარები  
და ვგრძნობ მეხება სავსე და სრული  
მთვარე და სუნთქვა ოპიზარების...  
ვგრძნობ, დამღლელ ჩარჩოს იხდის ასული  
და მიხმობს ცეკვით, მთვარის დაირით,  
არც დასაწყისი, არც დასასრული,  
რა შეასწავლე , თქვი, ამნაირი?  
და მიირწევა მზეზე ტრამალი  
და ვარსკვლავების წყება უთვლელი,  
სადღაც ჩემს ახლოს ტირის თამარი,  
სადღაც ჩემს ახლოს მღერის რუსთველი.  
მე კვლავ ავღზევდი და დავიჭერი,  
მიმზერს მამული - ოთხი კედელი,  
აქ გრძნეულებას უფრო ვიჯერებ,  
რა ფუნჯი, ანდა რის საჭრეთელი?!  
და წვიმასავით მეღვრება დიდი  
სინათლე მხრებზე და თრთის სხეული  
და ჩემი ერი შლეგიც და მშვიდიც,  
ამ კედლებშია გამომწყვდეული...

## დაბრუნება

თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი,  
გაბერებული ქარებით ცივით  
და ღრუბელივით დაბინდულ შატილს,  
კოშკებში ეჯდა ვარსკვლავთა სხივი.  
ჩვენ კი ვიდექით, ვით შორეული  
და შეუცნობი ქვეყნის მგზავრები,  
მონუსხულები მისი სხეულით  
და დარეკილი მწუხრის ზარებით...  
ჩვენი ცხოვრებით, იმედით, დარდით,  
იმ კოშკებისთვის ვიყავით უცხო,  
თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი  
და მთვარესავით ელავდა მუცო...

## ჩემს ვაჟებს ლაშას და დავითს

დღეს თქვენ გაბარებთ ზარზმას და შატილს  
და წინაპრების საფლავებს წმინდას,  
მეც მადგას თავზე დიდება მათი  
შარავანდედად, გაჩენის დღიდან...  
მე თქვენ გაბარებთ ნისლიან მინდვრებს,  
დიდგორის მზეს და კრწანისის სევდას  
და ამქვეყნიდან თქვენც გახვალთ ვიდრე,  
ვიდრე წაგერთმით სამყაროს ხედვა,  
გადაუხადოთ უნდა დროულად  
გადასახდელი, რაც დაგხვდათ ვალი  
და დღეის შემდეგ თუ ვერ მოუვლით,  
თქვენ დაგედებათ , იცოდეთ, ვალი...  
ოღონდ არ ვიცი ხმლითა, თუ წიგნით,  
თუ დაუღვრელი ოფლით და სისხლით,  
რადგან თავისას მოითხოვს იგი,  
მამული, მარად დიდების ღირსი...  
ან თუ ოდესმე ტკივილით შეგძრავთ,  
თქვენი გამზრდელი ლექსი ბებერი,  
მაშინ, ჩემ წილად, თქვენ უნდა შესძლოთ,  
რაც ვერ შევძელი - შეუძლებელი.  
დღეს თქვენ გაბარებთ უშგულს და შატილს  
და წინაპრების საფლავებს წმინდას,  
მეც მადგას თავზე დიდება მათი  
შარავანდედად გაჩენის დღიდან...

\*\*\*

დიდი ხნის მერე გეძახი, გემებ,  
უკან არაგვი მომდევს ბლავილით  
და კვლავ შრიალებს მოწმას მთებზე  
ზეცა - ძალიან ლურჯი ყვავილი...  
მაშინ კი თოვდა, თოვდა დათვისში,  
ჩვენ ვბრუნდებოდით თეთრი ცხენებით,  
შენს ხელებს ჰქონდა სითეთრე ნისლის  
და ნისლს - სითეთრე შენი ხელების...  
ახლა სადა ხარ? გეძახი, გემებ,  
როცა არაგვის ჭალებს ჩავივლი  
და კვლავ შრიალებს მოწმას მთებზე  
ზეცა - ძალიან ლურჯი ყვავილი...

### (ციკლიდან: „დაცლილი სოფლები“)

დაშლილ ღობეზე იჯდა მამალი,  
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!)  
ამალა ყველა მსხვილ-მსხვილ, წვრილ-წვრილით,  
ყველა დედლით და ყველა წიწილით.

ბევრის მომსწრე და ბევრის მომთმენი,  
იქვე ღობესთან იჯდა თოთელიც...  
თოთელს გულ-ღვიძლში ეჯდა მაცილი,  
თოთელს შვილ-ბოლო ჰყავდა გაცლილი.

დაშლილ ღობეზე იჯდა მამალი,  
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!)



## მოწმაოში

...აქ მზე ქუდნისლადან ამოდის და  
ბოროლას იქით ეშვება დეკიანებში,  
დეკის ყვავილივით სუსტი და ყვითელი სხივები აქვს მზესაც  
და მათი შუქი საღამოობით ერთმანეთს ავსებს...  
ზაფხული უკვე იწურება, სადაცაა დაიწყება მარიამობა,  
ერთხელ კიდევ შეიყრებიან მაწმავლები აქ, ამ ნიშებთან,  
წამოაქცევენ ქედლიერ მოზვრებს,  
ლუდს ადულებენ  
და სანთლებით ააყვავებენ დახავსულ კედლებს,  
თაძიასძე ამწყალობებს მეხვეწურ-მეზღვენეს.  
- სათიბ-სამკალად კარგ ამინდ მიდის, - იტყვის სუმბატა  
და იმედაც თავს დაუქნევს, მოწმობის ნიშნად.  
ჩაიქირქილებს ბაბუასძე: - უსაქმურებს რა ამინდ გინდათ?  
ჯვარში ამოვლენ დათვისლებიც:  
აბათ მიწდია, გაგათ ალუდა, კობა, გოგია,  
დიდი აკია აქ იქნება საკლავ მოვა გველეთით,  
ბარიდანაც მობრუნდებიან:  
გიგოლა, ხვთისო, აპარეკა, ბათირა, სუხა,  
რომ ერთხელ კიდევ  
თავის ჩაშლილ სახლის კედლებს შეავლონ თვალი,  
რომ ერთხელ კიდევ გადათიბონ,  
მწვანე ნისლად დაფენილი შალან-ჭინჭარი,  
რომლის მიღმაც მათი ჩავლილი ბავშვობა ცხოვრობს.

ჯერ კი...მზე ქუდნისლადან ამოდის და  
ბოროლას იქით ეშვება დეკიანებში,  
დეკის ყვავილივით სუსტი  
და ყვითელი სხივები აქვს მზესაც  
და მათი შუქი საღამოობით ერთმანეთს ავსებს...

## ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები

(სავედრებელი)

მამ-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,  
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

არაგველებივით რომ იყვნენ გულადები  
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით...

ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,  
სულით კი ატარებდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს...

რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა  
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს...

მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს  
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩევებს...

ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,  
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

მაწმავლებ-დათვისლები, ბარისახოვლები,  
მთებივით ლალები და მთებივით ახოვნები...

ჩირდილელ-ლიქოკელნი, გველეეთელ-სახილელნი,  
ერისთვის საგმირო ბრძოლებში სახილველნი...

ქმოსტელებ-ხადუვლები, გუდანელ-ხახმატელნი,  
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების...

გვარ-ტომად ფხოველნი და ძირად ქართველნი,  
პირიქითელნი და პირაქათელნი...

არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,  
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი...

არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ-ჯუთელები,  
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ...

შთამომავლები გმირი წინაპრების,  
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები...

ბლოელეზ-ბისოვლები, ღუღელებ-ჭიელები,  
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ...

მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი, –  
თოვლიან მწვერვალებით და ციხე-კომპებით...

თავის მთასიქითით და თავის გორშედმით,  
ჯვარ-კვრივში შენახული საბრძოლო დროშებით...

მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,  
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმაწველნი...

წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,  
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი...

ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,  
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

## დათვისი

ჩაქრა სოფელი,  
ჩაილია, როგორც ცეცხლი,  
დიდი წვიმა რომ გადაუვლის  
და ნაცრის გარდა აღარა ამხელს  
გარდასულ გიზგიზს, წაშლილ სინათლეს...

საით წავიდნენ ის სახლები, სიხარულით ამოვსებულნი?  
რა ტკივილიან სიზმრებს ხედავენ,  
რა სატანჯველი გასჩენიათ მათ დაშლილ კედლებს!  
საით წავიდნენ ის კაცები -  
მტერს ხმლით რომ ემუქრებოდნენ  
და მოყვარეს არყიან ყანწით?..  
საით წავიდნენ ის ქალები,  
წოლა-დგომაში წესის დამჭერნი,  
შვილ- ძირის ქვეყნად გამმრავლებელნი,  
რად არ მოგელავს დათვისურაზე  
გალაღებული ცხენ-მხედარი,  
გველეთ-მოწმაოთ მთიბელიდან დაბრუნებული?  
რად არ ისმის საელიაოს თოფის ქუხილი?  
თოფი და ცხენი ხომ უყვარდა ბუზალათ დავითს?  
რომელ მზეს გაჰყვნენ ბრძენკაცები:  
ბაჭყია და გორელაური?  
სად ჩაიფერფლა მათი სიტყვა,  
თემ- სოფლისათვის გამოსადეგი?

....

სად წავიდნენ ის სახლები,  
სიხარულით ამოვსებულნი?

## ციკლიდან: „მოხუცები“

### აპარეკა

არავინ დარჩა აპარეკას:  
არც ძევაჟკაცი, დამმარხველი,  
წეს-ადათის შემსრულებელი,  
მიწათ დამყრელი,  
არც ასული - დამტირებელი,  
ცათა და ხმელთა ცრემლით შემძვრელი,  
არც დიაცი - საქმეთ გამძლოლი,  
თათ-პაჭიჭის დამკერებელი,  
სართავ-საჩეჩის გამგებელი,  
მომსვლელ-მომსვლელის მიმღებელი,  
გამსტუმრებელი,  
ამბავთ მკითხველი,  
თავის კაცის შემზრალელებელი...

\*\*\*

დიდხანს იფიქრა აპარეკამ,  
ბევრი ზაფხული ჩაილია ყვავილოვანი,  
ბევრი თოვლი ჩაქრა, ჩანავლდა,  
არავინ ჩანდა იმ ომიდან ამბის მომტანი,  
ბერიკაცის გამხარებელი...  
ბოლოს მოწყინდა აპარეკას,  
კიდევ იშქუნა,  
თავისი ბედიც შეაგინა,  
სიმწრით ჩასდუჟნა:  
„თავზე რა დოლაბ დამიტრიალევ!“  
გადმობერტყა გოდრებიდან ქერის ნარჩენი,  
დააფორა, მზეზე გაჰფინა  
და კვირის თავზე საწისქვილოსკენ ჩაემართა  
დათვისურაზე...

სამ დღეს ფქვავდა აპარეკა სალუდე ხორბალს,  
სამ დღეს ტომარამოგდებული  
ად-ჩადიოდა საწისქვილოში...  
„რას ჩადისავ, ხვარ შაიშალავ?  
რასად უნდავ ამდენ ფქვილივ?“-  
ეუბნებოდნენ მაწმაველებს დათვისელები,  
ხოლო გველეთში ვანოთ დურამ  
ლექსებიც კი გამოუგონა:  
„ბეჩავო, აპარეკაო, რა საფქვავის ფქვა აგიტყდა!“  
და სხვა ამგვარი...  
„სალუდ-არაყედ ვამზადებავ!“-  
ეუბნებოდა აპარეკა ამბისმკითხველებს...  
ლუდიც ადულა, არაყებიც მარტომ დახადა  
და დათქმულ დღისთვის  
შეგროვებულ მოკეთეებს,  
სოფლელ-თემელებს გამოეცხადა  
ხმალ-აბჯარში გამოწყობილი:  
„მადლობელი ორ ყველაისა,  
რო შასწუხდით, აქ მაწმაოში ამოხვედით,  
მე რაად ვღირორ,  
უთვისტომო, არას მცოდნე,  
თემ-სოფელში ბევრად არაის გამკეთები!  
ჭირ-ლხინშიც გვერდში ვერ დამდგომი,  
მხრის ვერ დამჭერი,  
პატარა მთასავ, ხო გაგიგონავთ,  
ნამნიც პატარან ჩამასდიანავ...  
აღარ შამიძლავ, დავბერდი ხალხნო!...  
სახლ-კარი თავზე ჩამომექცა,  
სათიბ-სამკალი ველზე დამრჩა, საქონ გამიწყდა,  
ჩემ ბათირამაც გიღალატათ, არ გამოგადგათ,  
ვერაი ქნა კაცთსაფერები,  
ვის გაუგონავ ამდენი ხნით ომში დარჩენა...  
არც მამა ახსოვს, არც სოფელი,  
არც თემ-მეთემე, არც ნათესავი მოსაკითხავი...

ნუ გამიცინებთ, სოფლელებო,  
თქვენც ნათესავნო, ნურას მიწყენთ ამ უჭკუობას...  
კარგად ვიცი, მიწის ზევით არას გამწირავთ,  
თითო მჯილ მიწას ყველა მამაყრით,  
წესსაც ამიგებთ, არ შაგეშლებისთ,  
მაგრამ დღეს მინდა  
ჩემი თავი თვითონ დავმარხო!..  
ქალ-ზალი ჩემზე ავატირო, ცხენნიც ვარბოლო  
და ყველა ისე შევასრულო,  
წეს-ადათში როგორც გვიწერავ...  
ეს ლუდ-არაყი ჩემს შესანდობრად მომიტანავის,  
ეს სანთლები კი  
სულეთში გზების გასანათებლად...  
ნუ დამზარდებით, ქალ-დედროვანო,  
ჩემს ტანსაცმელთან ჩამასხედით  
და დაიტირეთ თქვენი ბეჩავი აპარეკა...  
მწარე ცრემლებით დაიტირეთ,  
იქნება ამ გულს მოეფინოს, ლოდი მოეხსნას,  
დარდი, წუხილი დაივიწყოს,  
თქვენ კი, კაცებო, წამეედით, ტაბლასთან დავსხდათ,  
სანთლებ ავუნთათ აპარეკას, შანდობა ვუთხრათ...“

\*\*\*

სამ დღეს მარხავდნენ აპარეკას,  
სამ დღეს სწუხდა აპარეკა აპარეკაზე,  
სამ დღეს ჭერხოდან მოისმოდა ქალ-ზლის ტირილი  
და აპარეკაც სევდიანი ისმენდა მოთქმას...

\*\*\*

მეოთხე ღამეს...  
თოფის ქუხილმა შესძრა სოფელი...

## ბეწიწურა

შვიდ შვილი ჰყავდა ბეწიწურას,  
შვიდი ვაჟკაცი,  
მტრის და მოკეთის შნოზე დამხვედრი,  
სოფლის და კუთხის შვიდი იმედი.  
შვიდი ხმალ-ხანჯლით მეტი იყო თემის ლაშქარი,  
შვიდი ულაცი ლაგამს ხრავდა მტერზე მისვლისას,  
შვიდი ლამაზი ყვავილობდა იმათ მკლავებზე...

\*\*\*

შვიდნივ წავიდნენ...  
შვიდნივ მზეს გაჰყვნენ...  
შვიდჯერ მთოვარე მიიღია ბოროლას თავზე,  
სიკვდილმა შვიდჯერ შეიარა ბეწიწურასთან,  
შვიდჯერ ატირდა სოფლის ქალ-ზალი,  
შვიდი დაობლდა მშვილდ-ისარი, აბჯარ-საჭური  
და შვიდ სულის ცხენს მოუკაზმეს შვიდჯერ ფაფარი.  
არ უტირებავ ბეწიწურას,  
არც სამღურავი დასცდენია ქვეყნის გამჩენზე,  
„ყველანივ სიკვდილს უნდა გავჰყვათავ,  
ბეჩავაიც და ბედიანაიც  
ყველანივ იმის შვილები ორთავ,  
ამ ცა-ხოყანას არვინ შარჩებავ!“  
„რას იზამავ, გამლება გინდავ,  
შვილიშვილებ გეზრდებიანავ“-  
აიმედებდნენ ჭირის მწყენელნი...  
„არავ, მე ქვეყნად არავინ დამრჩავ,  
ვინც მალალებდავ ყველა მამიკვდავ,  
ეგენივ ჩემებ არ არიანავ!“-  
ამოიჩემა ბეწიწურამ,  
„შვილიშვილებ მე არა მყავავ!“  
და...ერთ დღესაც გამოაწყო ბალდ-ბულღები,  
მომზადა გუდა-საგზალი



და გზას გაუყვა მთასიქითისკენ.  
„სად მიგყავავ, რას უპირებავ?  
ყმაწვილებ არცად დამიკარგავ“,  
გამოეკიდა უკან დიაცი,  
გამოეკიდნენ სოფლელებიც...  
„სხვათ შვილებს სახლში ვერ გავსწირავ,  
მმახლებთან უნდა წავიყვანავ,  
იმათ გვარზე უნდა დავსწერავ,  
იმათ ჯვარ-ხატებს მივაბარავ,  
სხვების ბალებ არაად მინდავ!“-  
გამოუცხადა ბეწიწურამ გაკვირვებულებს...

\*\*\*

...სხვა თემ-სოფელში,  
სხვათ გვარ-სახელზე გაეზარდნენ შვილიშვილები,  
ხოლო თაოდ კი ბეწიწურას  
სიკვდილის წინ მაინც წამოსცდა:  
„სიკვდილმ ძალიან შამაშინავ, იმაად ვქენივ,  
იქნებ დამრჩანავ,  
ბალებივ სიკვდილს სხვების გვარში დაუმაღენივ,  
ბეჩავებივ ჩემობაზეით მოვსწყვიტენივ,  
ცხრა მთას იქით გადავჰკარგენივ...“

## თირუზანი

მოკვდა ბეჩავი თირუზანი...  
ბევრის მნახველი,  
ბევრი ხმალ-ხანჯლის მომქნეველი,  
მტრის შემრცხვენელი,  
დაიკრიფნა გულ-მკერდზე ხელნი,  
ხის ფესვებივით გამხმარნი ხელნი...

\*\*\*

დაიძინა დაღლილმა თირუზანმა...  
დაემშვიდობა თავის ცოლ-შვილს,  
რძალ-შვილიშვილებს,  
„აღარ შამიძლავ სიარულივ,  
ჩამოვხმივ კაცივ, ჩამოვილიევ,  
ჩემ სწორნ ქვან აღარ დაგორვენავ მიწის ზურგზედავ,  
უნდა წავიდავ,  
მხეს უნდა გავჰყვავ“, - ამოიჩემა თირუზანმა!  
ამოალაგა ტანისამოსი,  
პაჭიჭ-პერანგი, ხმალ-ხანჯალი, აბჯარ-საჭური,  
გამოეწყო, გამოლამაზდა,  
გაიდო მხარზე ბარი, წერაქვი,  
და წავიდა ...სასაფლაოზე!  
„საისკე მიხვავ, ხვარ შაიშალევ?“-  
გამოეკიდა სამძიმარა - ბერი დიაცი,  
„ქალაქში მიდის ჩვენი პაპა“, -  
მწარე სიცილი დააყარეს ახალუხლებმა.  
არ მოუხედავს თირუზანას არავისაკენ,  
აღარც დიაცი,  
არც ბაღლები არ ახსოვდა გზაზე მიმავალს...  
ჩუმად ავიდა სასაფლაოზე,  
მოწმოს ზემოთ, მუხათგვერდთან,  
მოიძია მამა-პაპათა ადგილ სამყოფი.  
„აი, მოვედი,“- თქვა თირუზანმა,

„იქნებ ჩემ მოსვლა არც კი გინდათ,  
არას მიჩნევთ თქვენს ტაბლასთან  
დაჯდომის ღირსად...  
მე იქ გამძღვებ ადარ ორ, ხალხნო,  
ამანდ არიან ჩემებ ყველანი:  
აბათ ბაბუა - მკერდისხლიანი,  
სუმბატა, ხირჩლა, გიგუჩა, აკა,  
სოფლის გამძღოლნი,  
მტრის და მოკეთის მიმღებელნი,  
გამსტუმრებელნი...  
მერე ჯამრულა, აპარეკა, ბაბო, ველგუჯა,  
ცხენ-მხედრობაში გამოწროთობილნი...  
ყველანი ახლა მანდ არიან,  
მანდ ხართ ყველანი!  
მე ერთი დავრჩი,  
ცას და ხოყანას გამოკრული, დავიწყებული...“

რა ვქნა, იქნება შაგაწუხათ,  
იქნებ დაგღალათ,  
მე უჭკოი ორ, არას მცოდნე, არას გამგები.  
აექ, თქვენს ახლოს წამოვწვები,  
ხელს არ შაგიშლით!“  
ორ დღეს თხრიდა თირუზანი საკუთარ საფლავს,  
ორ დღე და ღამეს საუბრობდა მარტოკა კაცი...  
მესამე ღამეს ჩავიდა შიგნით,  
დაწვა გულაღმა,  
დაიკრიფნა გულ-მკერდზე ხელნი,  
ხის ფესვივით გამხმარნი ხელნი,  
და...მხოლოდ მერე დაიძინა მოხუცმა მშვიდად!

\*\*\*

დაიძინა დაღლილმა თირუზანმა.

## დილა ხევსურეთში

(ეტიუდი)

მორჩა, ღამეების კართან,  
კვლავ ეშვება შუქის ფარდა  
და გაცრეცილ მთვარის გარდა  
ცაზე არაფერი მოსჩანს...

მორჩა, ბრწყინვალეა დილის,  
როგორც ბროლი ნაზად თლილი,  
მზის ელვარე სხივით, თბილით,  
ისევ ეფერება კორმას...

მორჩა მთვარის ათინათიც,  
ზეცის ტახტზე ადის მნათი  
და ჰგავს ნესტანს და თინათინს,  
მათ ვინც გადაასწრო დროჟამს.

## სოფლის გახსენება

(ბათირა არაბულს)

ღვიძავს საჩალეს, ბოროლას მთას, ბაგას, ნახიზნარს,  
მაგრამ, ვაი, რომ ჩვენთვის არ ღვიძავს...

მშობლის სითბოთი

ვინც შობიდან გულს გვიხუხავდა,

იქ მივაბარეთ, იმ დაკოჟრილ ბებერ მუხათთან.

დადუმებულა ნასახლარი, სათიბ-სახნავი,

ჩვენგან დიდი ხნის მოუვლელი და უნახავი,

მაგრამ, რადგანაც ამა სოფლის მგზავრები გვქვია,

კვლავ დავბრუნდებით ბავშვობაში ადრე თუ გვიან.

ამ ტკივილების გასაკურნად, მოსაოხებლად,

ისევ შევხვდებით კალოთგორზე, ანდა ქოხებთან.

დაუოკებელ უცხო ჟინის იმ მათრახებით,

ისევ ვაქროლებთ ბედაურებს, კვიცებს გავხედნით.

\*\*\*

ღვიძავს საჩალეს, ბოროლას მთას, ბაგას, ნახიზნარს,  
მაგრამ , ვაი, რომ ჩვენთვის არ ღვიძავს...

\*\*\*

მოწმას მთებზე საცაა მოთოვს,  
ბოროლას თრთვილის ფერი გადაჰკრავს  
და საარაგვოს გაცრეცილ ფოთლებს,  
ნოემბრის სევდა მიაქვთ ქარდაქარ...  
მიაქვთ იმედიც, რასაც ოდითგან,  
ამ მღვრიე გზებზე შუქად ვხატავდით,  
კვლავ სხივჩამდგარი ფერი მოდიდდა  
და ჩვენს ჭალებზე ღვარად გადადის.  
ჩვენ დავრჩით ქარში , ხოლო ზაფხული  
მზის მცხუნვარების სიზმრებში დარჩა,  
სადღაც წარსულში გადახაფრულის,  
ირგვლივ ზაფხულის ნასახიც არ ჩანს  
და სამუდამოდ ჩვენ მას დავშორდით,  
როგორც ფოთოლი შორდება ხის ტოტს,  
ჩამომხოზია ალვებს აშოტილს,  
ცა- ზურმუხტი და ცა- ამეთვისტო...  
შენ გაღმით მიხმოზ, გამოღმით მე ვარ,  
შუაში მთელი ზაფხული გვიდევს  
და შემოდგომის ქარების მხევალს,  
ყელზე ფოთლების ყელსაბამს გვიდებ...

## ბოროლას მთაო

ბოროლას მთაო,  
შენსკენ ვილტვი ხელის ცეცებით,  
მოვდივარ და სლიპ ყინულებზე  
ვდგები, ვეცემი...  
რომ მოგიჩრდილეს მაღალ შუბლზე ნისლი ქარებმა,  
ვერც ბოროტება, ვერც ღალატი ვერ გეკარება.  
დგახარ უბიწოდ,  
ცათა მკვიდრი, ცათა მპყრობელი,  
განრიდებული ლირწს და ტალახს ამა სოფელის,  
ჩამჭიდე ხელი  
და მახილე შენი საუფლო,  
ჩემს სატკივარზე და წუხილზე რომ გესაუბრო!

\*\*\*

ჩამოიშალა ბინდის ბულული,  
ჩამოეფინა მხრებზე უღრანებს  
და უღრანები ჩამობურული,  
მგლების ყმულით დამეს უღრენენ.  
მივდივართ,  
შორით ღელვაავსილი,  
მღვრიე არაგვი გვიხმობს ღულის ძირს,  
ბნელში სანთლებად ელავს ასკილი,  
გზად გამოსული ჩვენი გულისთვის!...

## ხევსურეთში

...ჩვენ მივდიოდით და ვრცელ უღრანებს  
ეკიდა ქარი, როგორც ეჟვანი,  
შორს, ხეობაში ჩანდნენ მწუხარედ,  
ციხე თამარის და ხორეშანის.  
დამძიმებული ზეცის თალებით,  
მხრებდადრეკილი ქედები იდგნენ  
და ნისლის თეთრი ბაირალები  
დაფრიალებდა ნამიან მინდვრებს.  
კვლავ მოგვიხმობდა ხოგაის მინდი,  
ქალუნდაური და ბათარეკა,  
მთის ფერდობებზე წვებოდა ბინდი  
და სანთელივით ელავდა დეკა.  
ჩვენ მივდიოდით და ვრცელ უღრანებს  
ეკიდა ქარი,  
როგორც ეჟვანი,  
შორს , ხეობაში ჩანდნენ მწუხარედ,  
ციხე თამარის და ხორეშანის...



## არაგვი

ჰოი, მდინარევ,  
სამკაულო ამ ველ-მინდორთა,  
ნეტავ ვინ გმტრობდა?  
მარტოდ შთენილს ვინ არ გინდობდა?  
ვინ დაგიჩეხა ჩქერალები?  
ანდა სხეული ვინ დაგიწყვიტა,  
მთიდან სიმაღ ჩამორხეული?  
ანდა ტალღებზე მოყვავილე ქაფი სანთელად  
ვინ გაიმეტა ასე უღვთოდ გადასათელად?  
ანდა რიჟრაჟზე გაღვიძებულ ჩიტთა ჟივჟივი,  
ვინ წარიტაცა შენი ციდან დილის ჟინჟლივით?  
თქვი, ვინ ჩაგიქრო მაგ ჩქერებში შუქი ციერი?  
ვინ ხელჰყო შენი ნაპირები უკაცრიელი?..

\*\*\*

ჰოი, მდინარევ,  
სამკაულო ამ ველ-მინდორთა,  
ნეტავ ვინ გმტრობდა?  
მარტოდ შთენილს ვინ არ გინდობდა?..

## ტკივილი

რამ დაგადუმა, მოწმას გორო?  
ნუთუ აქედან ვინც წავიდა აღარავინ დაგიბრუნდება?  
სად დაიხაფრნენ ის ქალ-ვაჟები,  
შენს მკერდზე რომ ყვავილებად ამოდიოდნენ?  
რომელ მზეს გაჰყვნენ,  
რომელ მთვარეს მიახატეს თეთრი თორპილი,  
რომელ გზებზე მიაჭენებენ ლაგამაწყვეტილ  
ცხოვრების ჰუნეს?  
რა ტკივილი ჩაგსახლებია?  
რა დარდი გიღრღნის ჩუმიად საგულეს?  
მხოლოდღა ქარი, ქარაშოტი გეხვევა თავზე  
და ყვავ-ყორნების ავი ყრანტალი  
გეფინება მხრებზე ჭვარტლივით...

\*\*\*

რამ დაგადუმა, მოწმას გორო?  
ახლაც მანდ ცხოვრობს უზრუნველი ჩემი ბავშვობა,  
მანდ დამრჩნენ:  
ჭრელი სიზმრებით მოხატული ის ღამეები,  
დამრჩნენ დღეებიც მოქარგული ლამაზ ოცნებით.  
მანდ დამრჩნენ:  
დიდი ტკივილებით ამოვსებული ძმა-ბიძაშვილთა  
საფლავები...

\*\*\*

რამ დაგადუმა, მოწმას გორო?

## მოწმავ, საგვარეულო სახლი

ჩაიშალნენ ჭრელი სიზმრებით მოხატული სახლის კედლები,  
ჩაიშალნენ ის ზღაპრები,  
კაფიები და ოცნებები...  
ჩაიშალნენ ჩემი ბავშვობის წლებიც, დღეებიც,  
წაიქცა უკვე დედაბოძი,  
რომელიც ხშირად დღეობებში აყვავებული  
იდგა სანთლებით...  
მიწას დაემხო მალაღბანი, კალო, წინგარდა  
და შიგ მოჰყვნენ ჩემთვის აკვანში  
ჩუმად ნამღერი ის სიმღერები,  
დედის და მამის ტუქსვა , ალერსი  
და ის ყველაზე ტკბილი სიტყვაც:  
„შენა ხარ, შვილო? მოხვედ მშვიდობით!“  
და ახლა სახლის ნანგრევებზე  
ჭინჭრის მწვანე იეროგლიფებს კითხულობს ქარი.  
ჩაიშალნენ ჭრელი ზღაპრებით მოხატული  
სახლის კედლები...

\*\*\*

არავინ მოვა,  
შენს სევდის სახლს არვინ იხილავს,  
ზამთრის ნალველი იღვენთება თოვლის ჭირხლიდან...  
გადაცრეცილან ველ-მინდვრები,  
მოსილან სევდით,  
ნისლის ბურუსით იბურება ბოროლას ქედიც.  
აღარ მოისმის ჟრიამული ახალუხლების,  
ყვავის ფოთლებით გაფოთლილან ახლა მუხებიც.  
მაღლა მუხათთან,  
სად საფლავებს დუმილი ფარავს,  
მივებარები ერთხელ მიწას,  
თუ მიმიზარა...  
იქ მივალ ბოლოს, სად დაიწყო ბავშვობა ჩემი,  
კვლავ ბავშვობაში ჩავსახლდები და იქ დავრჩები.  
მე იქ ვიცხოვრებ უდარდელი და უზრუნველი,  
ფოთოლ-ყვავილთა დამებნევა თავზე სურნელი...  
ისევ მოვისმენ ქართა მოთქმას  
და ქართა ხვივილს,  
სულს გამინათებს ვარსკვლავების ციური სხივი.  
თავს შევაფარებ ზეცის დარბაზს დღითა და ღამით,  
რომ მზის და მთვარის ნაბიჯების ჩამესმას ჩქამი,  
ისევ მოვისმენ ხეთა შრიალს, სუნთქვას მოლისას,  
ოდეს ბალახი სოფლის მინდვრებს  
მწვანედ მონისლავს...

## წერილიდან (ხალხურ მოტივზე)

### ირაკლი არაბულს

რახელ ხარ, გველეთელთ ხარო,  
ხვარ მაგერია ბარია?!  
გახსოვსა ალაზნის პირზე,  
შენი ჯიში და გვარია!..  
ან ხევსურეთის არაგვი  
თავქვისკე მამდინარია,  
გველეთ-მაწმალს გორები,  
ზედ მოზიბინე ქარია...  
ბალახზე აელვებული,  
ზეცის ნაცრემლი ცვარია.  
სთვლის პირზე ქეიფ-ქორწილი,  
ჩქლაფ-ჩქლუფი, სასმლის ღვარია.  
გვერდზე ნარჩევი სწორფერი,  
ყელბროლა, ეშმათ ქალია,  
ხან შულლი, შულლში ხანჯლების  
ერთურთთან საუბარია...  
დღეობას ლოცვად შადგომა,  
ჯვარი და ჯვარის კარია,  
ხევისბრის დამწყალობება,  
ამრახებული ზარია...  
ვაჟები ახლანდელები,  
ან გმირი წინაპარია,  
იმათი სისხლი დაღვრილი,  
იმათი ინაბარია...

## ხახაბო

გივი მინდიკაურს

ხახაბოს ,ხახის ციხეო,  
ხვარ შაგეჩვია ძილია?  
ხვარ ჩაგერღვია სისხლისგან  
ნაპოხი ფუმე- ძირია?  
ქვის პერანგჩამახეულსა,  
ტანთ გხვევაჲ ხავსის ჩრდილია,  
რა დრო-ხან გამაგივლავის,  
რაშირა გიდევს წილია?..  
რამდენ მტერ-მომხდურ გინახავ,  
რა სისხლისდენა ხშირია,  
„ვისარა აგებული ხარ,  
ვისარა ჩამოშლილია?“

## თალას ციხე

...და ხავსისფერი ედო ხახაბოს,  
ხევებს, მწვერვალებს, ტყეებს, ტყისპირებს,  
სად ხეობიდან, როგორც ხოხბები,  
ციხე-კოშკები ამოგვიფრინდნენ...  
არც მეციხოვნე, აღარც ამგები,  
მხოლოდლა ქარის მოთქმა ისმოდა  
და კლდეზე თალას ციხის ნანგრევი  
მოჩანდა, როგორც მარადისობა...

## სამასი არაგველი

გიორგი გიგაურს

სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,  
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,  
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,  
ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატის ყმები.  
ქარქაშში წკრიალებს სამასი მახვილი,  
ერთმანეთს ამხნეებს ჟღარუნით ფარ-ხმალი  
და მთვარე სამასი ვაჟკაცის მნახველი,  
მწვერვალთა გადაღმა ეშვება ფართხალით  
და მზედ მოელვარე სამასი გული,  
ერთად ძგერს მტრის ხილვის და ძლევის ფიქრით.  
სამასი რჩეული, სამასი ლომგული,  
კრწანისის ველისკენ ყიჟინით მიჰქრის...  
რამდენი ხირჩლა და რამდენი ბეწინა  
და კიდევ ვინ მოსთვლის სხვა გმირი რამდენი,  
სამასი გრგვინვა და სამასი თავგანწირვა,  
მამულისთვის ანთებული სამასი სანთელი.  
სამასი რისხვა და სიკვდილი ურჯულოსთვის,  
დღეს ციდან მოგუგუნე სამასი ზარი,  
ქვითვირით ნაშენები სამასი ციხე-ბურჯი,  
ხსოვნაში ჩაუქრობ სინათლედ მდგარი.

\*\*\*

სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,  
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,  
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,  
ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატის ყმები...

\*\*\*

ჩვენ ერთი ბედი გვერგო , არაგვო,  
ორივენი მთიდან ვიწყებით,  
ვიწყებით ჩვენი სიწმინდიდან  
და ლამაზი სიყმაწვილიდან.  
მოვდივართ ქვევით, ხეობებით მოვემართებით,  
ვეხეთქებით კლდეებს, წარაფებს,  
ჩვენს წინ აღმართულ ათას ჯებირებს,  
სულს ძლივს ვითქვამთ ბნელ გვირაბებში,  
რკინა-ბეტონის ბორკილებში,  
გვრყვნიან, გვამღვრევენ,  
ათასნაირი ჭუჭყით და ნაგვით  
ემუქრებიან ჩვენს ნაპირებს...

\*\*\*

ჩვენ ერთი ბედი გვერგო, არაგვო...

\*\*\*

და მხოლოდ ღამით, როცა სამყარო დაიძინებს,  
ჭაობიანი მინდვრებიდან,  
ჩუმად ვბრუნდებით ჩვენს ბავშვობაში,  
მთების ჩრდილების სასახლეებში,  
რომ დიდი ზღვების შესართავთან  
და ჩასაფრებულ მორევებთან  
იმ სიყმაწვილემ გადაგვარჩინოს!..

\*\*\*

ჩვენ ერთი ბედი გვერგო, არაგვო...



## შატლიში

შამბით შებურვილ შავ კლდესთან,  
შულლობის ეშხში შესული,  
შატლიონი შემთვრალი,  
ფშავლებს შარობდა ხევსური.  
მდიდარი ბატკან-ციკანით,  
უდედიძმოდ და უძმოდ,  
დაიაური ჯიგანი  
ჩამოდიოდა მუცოდან.  
მოდრიალებდა არღუნიც,  
ანუ არღუნის არღანი  
და ჯიგნის ავი ძაღლები,  
ბაღლებს ართობდნენ ღავღავით.  
ცას ღრუბლის ფთილა ეკიდა,  
ნისლი ესვენა წყაროსთან  
და ნამით სავსე ბექისთავს,  
მზის სხივი დასწკანწკარობდა...  
იქ კი, შარაზე, შავ კლდესთან,  
შულლობის ეშხში შესული,  
შატლიონი შემთვრალი,  
ფშავლებს შარობდა ხევსური...

## ხევსურეთი

...ტყის ფოთლებზედა სუნთქავდა წვიმა,  
ტბებივით ჩანდნენ სახლის ბანები  
და ფერმკრთალ ზეცის იდუმალ ბრწყინვას,  
ვუმზერდით შიშით და მწუხარებით.

იქ, შორეული ღრუბლის ჩანჩქერი,  
კვლავ მოგვიხმობდა ელვიან მზერით,  
მოკვდავი იყო სხვა დანარჩენი:  
ეზოც და კარიც,  
ფუძეც და ჭერიც,  
შუბიც და მშვილდიც,  
ხმალიც და ფარიც  
და უცნობ გმირთა გულის ძახილიც;  
დაშლივინობდა ჭერხოში ქარი,  
მოშიებული სოფლის ძაღლივით...

## მუცო

მიხეილ დაიაურს

გადაიარეს მთებზე ქარებმა  
და დააფეთეს მძინარე ღამე,  
სად აკლდამების დგას მდუმარება  
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს.  
დაშვებულია ძირს ნისლის კალთა,  
თვალი კრთის ბნელში ეშმა-უფერის  
და მუცო მოჩანს ცის გასაყართან  
ამაღლებული, როგორც ღრუბელი.  
და თავზე გვადგას სივრცე მაღალი,  
ავსებს დუმილი ზეციურ თაღებს,  
მხოლოდ არღუნნი, როგორც არღანი,  
ამ დახავსებულ სიჩუმეს ამღვრევს...

\*\*\*

გადაიარეს მთებზე ქარებმა  
და დააფეთეს მძინარე ღამე,  
სად აკლდამების დგას მდუმარება  
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს...

## ციკლიდან: „ხალხური მოტივები“

\*\*\*

ხანდისხან მამიგონიდი,  
მნახოდი ამაიასა,  
ხევზე კენკეშას დაგიკრეფ,  
ბუბულას, ანაიასა.  
ბროლისა ყელსა შაგიმკობ,  
მოგახვევ დარაიასა,  
არცრას ვინატრებ ქალაქსა,  
ქალაქიც არაიასა...

\*\*\*

ხანდისხან მამიგონიდი,  
მნახოდი ამაიასა...

\*\*\*

ნისლო - შე, მთათა ღიმილო,  
მდგარო საჩალის წვერსაო,  
რა ამბავ მაგაქვ ციდანა,  
ჩაღმისკე ჩამაესაო?  
იქნება მაგაქვ წუხილი,  
შავად მიღამებ დღესაო,  
ან მაგაქვ ზეცის სიცილი,  
ელვად გეხვევა წელსაო,  
დავეცეთ ჩვენსა დუშმანსა,  
ლიბო ვუმტვრიოთ მტერსაო...

\*\*\*

ნისლო - შე, მთათა ღიმილო,  
მდგარო საჩალის წვერსაო...

\*\*\*

მიამბეს , ხირჩლათ სუმზატა  
რასამ უჩივის თვალასა,  
ბეჩავ ცელ-ქასურს ვერ ხედავს,  
ვერც ნათიბ თივა-ჩალასა...  
არ იშლის, ისიც მიამბეს,  
აღმა-დაღმ ავლა-ჩავლასა,  
ბოროლას წვერზე შახდომას,  
გახდომას გაღმა ჭალასა,  
რა მაჰკლავს, რა დააბერებს,  
მაწმაველთ მათუსალასა...

\*\*\*

...კარატის წვერზე კოპალას  
ელვა ეხვია წელზედა,  
მეხით მისდევდა დევებსა,  
აკუმურაის ხევზედა,  
მისდევდა, მიაწუხებდა,  
ცეცხლის ბურჯღუმით ხელზედა,  
ცალ ფეხს ჭაუხზე ადგამდა,  
ცალს კიდევ ცისა ჭერზედა...

## მიხა არაბულს

დათვისის მაშლას ამბობენ,  
დაქცევას ბან-კარისასა,  
მეორედ მასვლას ამბობენ,  
ხალხზე გაწყრომას ღვთისასა,  
საელიაოს მაწყვეტას,  
ფეხად ჩამოსვლას ცისასა,  
ხევ-ყურეთ ერთურთ შაწყვეტას,  
შახვედრას ზვავებისასა,  
დათვისურაის დადგომას,  
ველარსად წასვლას წყლისასა,  
აიქ ჩარჩენას ამბობენ,  
ბუზალათ დავითისასა,  
ზვავეში მძინარის სიკვდილსა,  
სათემოს კაი ყმისასა...

\*\*\*

დათვისის მაშლას ამბობენ,  
დაქცევას ბან-კარისასა...

\*\*\*

„ნისლო, მთით გადმომავალო,  
უთქმელო დარდო მთებისა,  
რა ამბავია ხევსურეთ,  
ახალ რაირა ხდებისა?  
დამხვედრი მტერ-მოყვრისადა,  
ვაჟკაც ხვარავინ ჩნდებისა?  
ანდა თემ-სოფლის შამრცხვენი,  
უსახელოდ ვინ კვდებისა,  
საკარგემო ვისად ისმების,  
იქნება არც ისმებისა?..

\*\*\*

ნისლო, მთით გადმომავალო,  
უთქმელო ფიქრო მთებისა.

## ხინკალაური

როცა შეთვრნენ და სუფრიდან აიშალნენ,  
მაშინ ხინკალაურს დასძლია სიმმაგემ...  
იშიშვლა ხანჯალი და მაწმავლებს დასჭექა:  
- დედაბუდიანად სუყველას დაგჩეხავთ!..  
სიძეს მაწმავლებმა ცუდი არ აკადრეს,  
- მოვითმინოთო, როგორც ვითმენდითო აქამდე!  
ახლა ყველფრის თქმა  
და მოყოლა ადვილია,  
ხინკალაური უფრო გადაირია.  
- როგორო? მე არ მთვლითო არაფრად?  
რა თავში ვიხლიო თქვენს დადგმულ სალაფავს?!  
და წიხლი ღონივრად ამოჰკრა ტაბლას,  
ხინკალ-კეცეული გაჰფინა დაბლა.  
- სუფრა შეგვილანძლაო, - სიბრაზით იჭექეს  
და ხინკალაური გათოკეს ბიჭებმა.  
დილისპირს, როს მთვარე მთით გადაიწვერა,  
პირჯვარი, გონს მოსულმა, ძლივს გადაიწვერა...  
- რა ვქენიო ისეთი, ან რაზე მაწვალეზთ?  
ერთხელაც გამიშვითო, - შესთხოვა მაწმავლებს.

აუშვეს, ტყავ-პერანგი ბწკლით ჩამოიბერტყა,  
ზედ ხანჯლის ქარქაში უჩანდა იმედად.

კვილით ჩაივაკა და წყალში გაურია,  
ფხიზელიც აისივ ხინკალაურია...



## თაია

მთაწმინდაზე ჰყვავიან ალუჩები,  
ლიმილით მომყვება თაია.

- მაგწონსა, ქალავ, ქალაქის ქუჩები?
- ძალიან, ძალიან , კაია...
- აქაურ ვაჟებს შენ ვერ გადურჩები!
- ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია...

მთაწმინდაზე ჰყვავიან ალუჩები,  
ლიმილით მომყვება თაია...

## ძილუა

...ჩუმად დაგვესხნეს იმ წელს ქისტები,  
ერთ დღეს მთლიანად დაანგრის ამლა და ჭიმლა,  
სოფლად ადინეს სისხლის ღვარები,  
არვინ დაინდვეს,  
არც მოხუცი, არც ქალ-დიაცი,  
ბაღბულლებიც ცეცხლში ჩაბუგეს,  
მარტო გაბურებ სამ ძმა მაკლეს,  
ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები,  
ოჯახებით სუ ამასწყვიტეს...  
იმათგან მხოლოდ  
ხირჩლაის ცოლ - ძილუა გადარჩა,  
ბაღლასთან ერთად მწყემსობაში ყოფილიყვ წასულ.  
ამ ამბის მნახველ სუ შაიშალა,  
თმან გაიშალნა,  
მძივნ ჩაიშალნა,  
ბედ- იღბალიც მწარედ დასწყევლა,  
თემ- სოფელი ტირილით შასძრა...

- რას სჩადივ, რასავ?  
 თავის მაკვლით რაღას უშველავ,  
 ჩვენაც მაგნაირ დღეში ვართავ,  
 - მამშორდითავ, არა მითხრათავ,  
 თქვენ ნაუბარ არა მამდისავ,  
 არავის ნახვა აღარ მინდავ,  
 ეეს ბაღლიც რადარ მაკლესავ!..  
 - რას ამბობავ, ხვარ აირიევ,  
 ამა ყმაწვილს რაღას ერჩივ,  
 ღმერთმ უშველავ,  
 გადაგირჩინავ!..  
 - მაგის ყოფას რა აზრი აქვავ,  
 არც ბიძანივ, არც ბიძაშვილნივ,  
 აღარვინ ჰყვანავ,  
 ხვალ ქისტებს უნდა წაუყვანავ,  
 იმათ მივუგდავ,  
 მამ-ბიძათავით ეგიც მაკლანავ,  
 იქნებ გაძღანავ ჩვენის სისხლითავ.  
 არ დაიშალა ძილამ ნათქვამი,  
 თავისი მაინც გაიტანა,  
 მეზობლებსაც არა უსმინა  
 და ბაღლიანად ქისტეთ ჩავიდა...  
 - ეეს დაგჩათავ მასაკლავივ,  
 მაგიყვანეთავ,  
 გულიც რასაც კი გიბრძანებსთავ,  
 ის უყავითავ!..  
 გამოხდა ხანი...  
 ოცჯერ აენტო გაზაფხული  
 და ოცჯერ ჩაქრა,  
 ოცჯერ ზამთარმა გაანათა არხოტის მთები.  
 არც ძილუკა,  
 არც იმის ბაღლი არ ახსოვდა უკვე არავის.  
 მხოლოდ ზოგჯერ  
 ამღელელ- ჩამღლელი თვალს მოჰკრავდა,

ჭერხოს კართან მჯდომარე დიაცს,  
თვალცრემლიანი რო გასცქეროდა  
ქისტეთის მხარეს.

- ადექივ, ქალო, შინ შეედივ,  
შეუძახებდნენ მეზობლები.

- ჯოჯოხეთში ვარ შასასვლელივ,  
სახლში რა მინდავ,  
მე, ცოდვიანმავ, შვილ დავჰკარგევ,  
მასაკლავად ქისტებს მივუგდევ,  
მწარე ცრემლით მოსთქვამდა ქალი...

...

ერთ დღესაც სოფლად ხმა გავარდა:  
მთაზეით ქისტებ თეთრ დროშაით ჩამადიანავ,  
თან ცხვარ-ძროხაიც მაუდისავ არხოტისკესავ...

...

ოცდამეერთე გაზაფხულზე გამაჩნდეს ქისტებ,  
ცხენებით ჭალას ჩამაეფინნეს,  
ძილას მიგდებულ ბაღლთან ერთად  
ამლას მაადგნეს,  
გაზრდილი შვილი, ცოლშართული,  
სამი ვაჟით მგლოვიარე დედას მაჰგვარეს,  
ბევრა გვყოლია ეგეთა მტერიც..

## ატაბიონნი

ისევ იწვიმებს ის წვიმა,  
რომელმაც გუშინ იწვიმა,  
ქედებზე გადიწეწება  
ნისლები იწილ -ბიწილა.  
წამოდგებიან ნისლიდან,  
როშკის ჭიუხნი წინ-წინა!  
ატაბიონნი მამივლენ,  
მარიამობა დღის წინა,  
ლუდიან თასებს მასმევენ,  
დარდს შამიცვლიან სიცილად...

\*\*\*

თავზე მეხურა ცისფერი,  
როშკის ცა ზარნიშნიანი,  
გაფოთლილიყვენ ნისლები,  
იდგა ცრემლების წკრიალი...  
ვეფხვნი კლდეს შეტოტებულნი,  
ტყავებს იხდიდნენ ტიალნი,  
დიდგორზე გამოსულიყო  
ნიაღვრის მთვარე რქიანი!

## გაგა ჭინჭარაულს

კორშის, გუდელის გახსოვს ფიჭვები,  
ბევრი ფიქრი და ბევრი ბიჭები.  
პურის ყუა და ბოთლი არაყი,  
ამით ბიჭების გული ამაყი.  
მერე მთიბლები, მერე მაცარი,  
ზოგჯერ ჩხუბი და აყალმაცალი.  
ბიჭო, ყველა თუ გახსოვს ესენი  
და კიდევ შენი კარგი ლექსები.  
წავიდეთ, ისევ გვიცდის ცხენები,  
ისევ ჩავიცვათ თორნი ჯაჭვისა,  
თუ მტერი დაგჭრის მოგეშველები,  
შენ მომეშველე, მე თუ დამჭრისა.  
კიდევ დავლიოთ თითო არაყი,  
თითოც შევკაზმოთ ცხენი ამლაცი  
და კვლავ დავთესოთ ყანა ქერისა,  
პეშვით დავლიოთ წყალი ღელისა  
და ვიძმაკაცოთ ისევ ძმაკაცთან.  
გადაცდეს ჟამი თუ წრეს გადაცდა.  
კვლავ დავიყაროთ ხელზე მარცვალი,  
მოდი, წავიდეთ, არი, რაც არი.  
თითოც დავლიოთ კიდევ ჭერისა,  
ფუძის პატრონის და დამჭერისა...

\*\*\*

სვამდნენ, ღრეობდნენ ღამისმთევლები,  
ქუხდა ნამღერი და ნაფიქრალი,  
ლიქოკისჭალის თეთრი ტყემლები  
და ბარისახოს მთვარე მიმქრალი.  
არაგვის ჭალებს სდევდა ფოთოლი,  
მხალი, ჩადუნა და მზის ღვარები  
და ქუდნისლაზე ღრუბლის კოტორი,  
მალრანში იდგა ჭრელას ყანები...  
იყო დუქანი, იყო ამქარი,  
მეფურნის გოგო, როგორც ნალები,  
სკოლის ბაღლები- მთელი ლაშქარი  
და ბალათერას ვაშლის ბაღები.  
ახლა ის დროშა გადატეხილი  
და დამსხვრეული ყრია ფიქალი,  
მიდის მაისის თეთრი ხეხილი  
და ბარისახოს მთვარე მიმქრალი.

## ჩალხა ჭინჭარაული

### ციხე

არ დარჩენილა  
ოდენი მისხლის,  
არ დარჩენილა ოდენი წამის,  
სათოფურებზე შემხმარი სისხლის,  
სათოფურებზე დაყრილი წამლის...  
ამას კვნესიან ქარში თელეები,  
ამას შრიალებს სამშობლოს ისლი,  
სატრფომ უცადოს ბოლომდე ვინძლო,  
შემოსევიდან- შემოსევამდე...  
არ დარჩენილა ოდენი მისხლის,  
სათოფურებზე შემხმარი სისხლის...

\*\*\*

იქნებ სიზმარში ნახა ტანიე  
და ამიტომაც შეირხა ფიჭვი?  
იქნება ქარმა ჩამოუტანა,  
ამბავი კლდეში მძინარი ბიჭის...  
იქნებ ამიტომ ეღვრება სხივი,  
წასულ წლებსა და უკვდავ თარიღებს,  
როცა არაგვის ღამეულ ხივილს,  
მტკვარი ქალაქის სიზმრად არიგებს.  
იქნება მთვარემ ღრუბელთა შორის  
სატევარივით გაიკიაფა?  
და სახვალაო წამის საგზალი,  
ვერ მოიპოვა სულმა იაფად...

...

იქნებ სიზმარში ნახა ტანიე  
და ამიტომაც შეირხა ფიჭვი?

## ხევსურული მოტივები

თუმც, გიმუხთლა ავმა ბედმა,  
თუმცა, ხელი მოგეცარა,  
ტრფობა მანც გაგიბედა,  
ქალმა, ტრფობის უმეცარმა...  
ჯიხვმა კლდეში გადაგჩეხა,  
გავეშა და გალომგულდა  
და ხირიმის ხმები მეხად,  
ღრუბელს უნდა... ზეცას უნდა!  
როგორც საავდრო ცაზედა,  
ისე დავიცემ თვალსაო,  
„თორპილის სინათეზედა,  
დავხკერავ ნაჭრელასაო“ ...

## მინაწერი გიგლა ოჩიაურის წიგნზე

ჩვეულებრივი ზაფხულის დღეა,  
არავითარი მიზეზ-შედეგი,  
შენი ლექსია დღეს ჩემთან სტუმრად  
და სტუმარს ფეხზე წამოვუდექი...  
გასვლა მინდოდა, გავედი კიდეც,  
ჩემ ნაწოლ ადგილს მაღლით დავყურებ,  
თავქვეშ ბალიშად ვიდეშ შენს ლექსებს,  
როგორც სათიბში ნაწვიმ სამყურებს...



## ლებასკარი

წყლის პირას ება თეთრი იაბო,  
ჯერაც კაცის ლაჯმიუკარები,  
მთას იდგა კოშკი, როგორც ღრუბელი,  
გამოჯარული ჰქონდა კარები.  
ნისლისფრად იდგა მთას ხარავანი  
და თოვლიან მთას ეტყობოდა  
ნაკვალევი  
დევების მხოცელ კოპალასი...  
ნიავეს მოჰქონდა მთასიქითიდან  
ქალუნდაურის ომის ამბავი  
და ენთო ციხე,  
როგორც სანთელი  
მგზავრის საშველად  
მიმავალ კაცის,  
ქარში  
მთის ნებებით  
გარშემორტყმული...

\*\*\*

მიცავდნენ ოდით შენი პაპანი,  
შენი აკვანი  
მხოლოდ და მხოლოდ არის ამ გულში,  
ჯერ კიდევ გუშინ  
იყავ ხევსურეთს - ვით მოგზაური  
და წყლის ხმაური  
ჩაგესმოდა არა ხმაურად,  
არამედ გმინვად შენი მამულის.  
ნახე სოფელი,  
ნახე ციხე,  
გყავდა შვილები,  
ტეხე ყამირი,  
ოცნებობდი ჩიტის ფრთაზე და  
შენი ცხოვრება ააწყვე მკაცრად!  
(ხევსურული ფანდურის მსგავსად),  
აღმა და დაღმა,  
სიცხეში,  
ქარში,  
იტანჯე ბევრი,  
ილაღე და ილაღე ბევრი -  
ემებე ღმერთი.

....

ლებაისკარში დგას ფიჭვი ბერი  
და დათვლილია მისი დღეები.  
ჩამოსცვენია ქარაფებს თოვლი  
და გაცრეცილან სათიბეები.  
ქვითინებს ქარი დანგრეულ ნიშში,  
ველური ხმები ნანგრევებს აცრის  
და ყმუის ძალლი  
მოგებით ნიშნის,  
არის ღმერთი და  
არ არის კაცი!

## მიხო ჭინჭარაულის გახსენება მარტში

ბიჭები იყვნენ ნაღვინარები,  
ლოთივით შემოვიდა სალუდეში.  
დაკარგული მეგობრის თვალები.  
ჩვენში შემოვიდა სალუდე დარბაზი,  
თავისი ნაცრისფერი ნაღველით.  
მოჩხუბრებმა მაგიდას ხელი წაჰკრეს,  
ღვინო დაიღვარა მაგიდაზე,  
მიხოს თანა ჰქონდა იების მცირე შეკვრა,  
(პატარა ბიჭმა მოგვცა მთაწმინდაზე),  
მე იმ ჩხუბში არ ვიყავი ბაყბაყდევი,  
ტანზე შემომრჩა მხოლოდ ნაფლეთები,  
მერე...მე და მიხომ ხალათები გავცვალებთ  
და...ის თაიგული შუაზე გავიყავით.

## გაბრიელ ჯაბუშანურს

როცა ქალები ხურავენ ფანჯრებს  
და იმაღვიან შუადღის შიშით,  
მზე ფანჯრებს ათოვს სხივების მარჯანს,  
მაგრამ ვერ ატანს გულების შიგნით.  
მაშინ გამოდის უცხო პოეტი  
და ქუჩას მისდევს უცხო კაცივით,  
მას, სახედამწვარს,  
ჩუმად და უხმოდ,  
ხალხი რუსთველის ქუჩით აცილებს.  
შემდეგ დგება და გამხდარი ხელით,  
ლექსსა და აპრილს ფანტავს ხალებად,  
ნაღვლიან პროფილს ახლავს ხალისი,  
როგორც ტრფიალი და სახარება....  
მზე გადაჰკვრია  
თეთრ სახურავებს  
და თბილისს სძინავს შუადღის ძილით,  
როცა ქალები ხურავენ ფანჯრებს,  
მზეს და კაცს შორის ქრება მანძილი...

## არაგვს

როცა ხევეებში ჩრდილები ჩაწვნიენ,  
როცა მწყემსებმა ფარა მოლალეს,  
შენ დაიკაწრე ქერა დალალი.  
შენ უხდებოდი  
გაზაფხულს ისე,  
რომ შენს ფეხებთან იწვნიენ კრავებად,  
მზის ჩანჩქერები,  
შმაგი და მქისე  
და ვარდობისთვის მწვანე კრაველი  
გეფინებოდა ხალიჩად ხელეგს.

## ლელა გაბურს

განა კი ბევრი რამეა,  
ლურჯი ზეცა და მთებია,  
ცისარტყელების ღამეა,  
ნელი ნიაგის ხმებია.  
განა უმთვარო ღამეში,  
მართლა ანათებს მიდამოს,  
მაგრამ ამ არემარეში,  
ვით ყველა ისიც წმინდანობს.  
განა მნათობი მგონია,  
განა მზეს ღიმილს უწუნებს,  
პატარა გოგონიაა,  
ყველა წვრილმანზე წუწუნებს...

## ქალუნდაურს

გუროელ მამუკა გოგოჭურს

ჯაბანმა მახვილი ვერ შეიბა,  
ლაშქრადაც არვინ არ წავიდა,  
საღამო როცა დადაისდა,  
დაისი როცა მიიმწუხრა,  
მამუკამ შქუნვას მოუმატა,  
„ქალუნდაური“ დასულწუხდა,  
ქარმა მთა როცა გადანისლა,  
მზემ ზეცა როცა გადაისრა,  
კოპალას ნავალს ვამსგავსებდი,  
ქალუნდაურის გადავლილსა...

\*\*\*

ტებულო მიუწვდომელი სილამაზის მწვერვალია  
ქისტებისა და ხევსურების საზღვარზე

ცასა და მიწას შორის  
სანთლად ნთებულო,  
შუქ-ჩრდილების მასპინძელო,  
ტებულო...

## დათვისჯვარზე

აქვე იწყება ქარის ბილიკი,  
ადამიანის ფეხით უვალი,  
მთვარემ ჩახედა უკვე პირიქით,  
მიდი, არც შენ ხარ გასამტყუნარი.  
დუციანს დედა აკითხავს დათვი,  
მიდის და ტორით ბელებს იცილებს,  
ლამე კი, ჩიტის ბუდეებს ათოვს  
და ყარაულობს მთვარის სიცივეს.  
ხეზე ასული ფიქრი იცინის,  
ცას შეჰყურებენ - თვალნი ღიანი,  
(თვითონ იტყვენ ზეცას ისინი),  
მიწავ! რადა ხარ ღალატიანი?!

\*\*\*

„აღარ თენდება, ალბათ ავად გახდა მნათობი“  
გ.ჯაბუშანიური

გაბრიელ! აღარც ჩემთვის თენდება,  
ლამეა ახლა ჩემი გამრთობი,  
ცის კაბადონზე აღარსად ჩნდება,  
თმებჩამოშლილი ქვეყნის მნათობი...  
აღარც ცისკარი არსად ამოდის,  
მიუწვდომელი შუქით მბრწყინავი,  
სულში ბობოქრობს ავი ავდარი  
და ქარიშხალი  
ქრის გამყინავი...

## მხატვარი

(ხვთისო გოგოჭურს)

იწვოდა ჩუმად, როგორც სანთელი,  
ხელშეუდგამი სიშორე სურდა,  
არ იზიდავდა გზები ნათელი  
და მღვრიე ფერებს არჩევდა მუდამ.  
ზღვაში ჩაკარგულ კარჭაპის მსგავსად,  
აკრთობდა მღვრიე ტალღების მიღვრა,  
არ იზიდავდა სიცოცხლე მსგეფსი,  
გამოუცნობი სიცრუის მიღმა  
და სულში ჯანყის მძაფრი კანდელი,  
ასულდგმულებდა არეულ ფიქრებს,  
სახეზე აჩნდა წამების კვალი,  
მოვარდნილ გრიგალს ლაგმავდა თითქოს...  
მთებმა ათასგზის ჩაიცვეს ფარჩა,  
ვთქვათ, ამდენჯერვე იგრძნეს სიტიტვლე,  
მზორგავ სულად და სიცოცხლედ დარჩა,  
მკვდარი ფერებით ნახატი ტილო.  
უსიერ ტევრის შრიალი ამო  
და მარტოდ მდგომი ჩინარი მრწემი  
და საქართველოს წყნარი საღამო,  
კვდებოდა, როგორც თეთრი ირემი...

## გაბრიელ ჯაბუმანურის საფლავთან

ძილი ნებისა, თუ ეთქმის ძილი,  
ანდა, ნებისა თუ ითქმის ასე,  
მაინც რამხელა არის მანძილი  
სისპეტაკით და წამებით სავსე...  
იგრძენ და მორჩა,  
რომ მორჩა მაშინ,  
დიდი ხნის წინათ,  
გრიგალის წინათ,  
იგრძენ თუ ქარი ნისლის ზღვას აშლის,  
გრიგალებს მაინც მთებს იქით სძინავთ.  
იგრძენ და მორჩა, რომ არ არსებობს,  
სამოთხის ზადის მსგავსება არსად,  
არსებობს მუზა, უსასრულობა,  
ცამეტი რიცხვი, სახელით თარსი.  
როგორც ბუერა, როგორც რძიანა,  
იგრძენი რაღაც და მერე მორჩა  
და ახლა უკვე ამ ლოდქვეშ გძინავს,  
ირხევა ნაძვის ტოტები ნორჩი.  
ძილი ნებისა, თუ ეთქმის ძილი,  
ანდა, ნებისა თუ ითქმის ასე...



## გიორგი მინდიკაურს - პოეტს

ივნისის მზეში მიცურავს მიწა  
და გრძნობა ასგზის ნასათუთები,  
ხეებში ზეცა, კამკამებს რიწა  
და ირხევიან ქარში თუთები.  
ატმის ყვავილზე ხელი დავიწვი  
და მენანება უქმად წუთები.  
ზაფხულის ღამე სევდას აქეზებს,  
ათასი თასი დგას ასავსები...  
ახლა ბევრი წერს მამულზე ლექსებს,  
ცრუ მელექსეთა დგას ათასები,  
ზოგის სასახლეს ჯობს ჩვენი ქოხი,  
ქართულ ქვა-მიწით შენაყორავი...  
გასათოხნია ახლა ვენახი  
და საფიქრალი არის ყელამდი,  
მზეზე უარეს ლექსზე დაიწვი  
და უვლი მიწას - როგორც ხარება.  
ქართული ვაზი სულში ჩააწან,  
უღელში აბამ ლექსებს ხარებად,  
ამოიყრება ხნულში კვირტები  
და ვიცი,  
როგორ გაგიხარდება...

## ჩირდილელ ჯოყოლათ შოთას

ჩვენ კარგად ვიცით კლდეზე პირიმზე,  
რა მარტოობის სევდით იზრდება,  
ჩვენ ვთქვით უარი კვენესა-ტირილზე,  
ბრძოლით გვჩვენია მისვლა მიზნებთან...

ჩვენთვის ზღაპრებმა ფრთები დახარეს  
და თქვეს მუზებმა ჩვენი სათქმელი,  
შერჩა სახება ხევსური კაცის  
შთამომავლობას, როგორც სანთელი...

ჩვენთვის წვიმიან დღის მყუდროება,  
მოდის უნაზეს ქალის ცრემლებით,  
ჩვენს სულში მზე და მთა იყურება,  
სისხლში ფოლადი ცელი ელვარებს.

ვიცით, რად ტირის ქარი ჭიუხში,  
ან რატომ დააქვთ დანა პირატებს,  
გვჭირს მოჭარბებულ ვნების სიუხვე  
და გრძნობითა ვართ სავსე პირამდე.

ჩვენ კარგად ვიცით კლდეზე პირიმზე,  
რა მარტოობის სევდით იზრდება...

## საყვედური

დედაჩემი ადიდებულმა არღუნმა იმსხვერპლა

რად ამოშალე მემინავ ხსოვნიდან,  
ეგ სილუეტი ფრესკის სიზმარი,  
ნაწვიმარ ზევას ჭრილობა სტკივა,  
ქართი ნატკენი და ნასისხლარი...

ყვავილს - შენს ჩემთვის გათეულ ღამეს,  
გულს - მოტაცებულს მშფოთვარ მდინარის,  
ქარს, რომელიც ცად ლოცვას აღავლენს,  
ღამეს - უშენოდ დროს მიმდინარეს.

გედს - ნაწამებს და ყელგამოღადრულს,  
მოცახცახე და გამხდარ თითებით,  
მაგ ნერვიული ხელით გასრესილს  
და გახელებულს წითელ რითმებით.

ორად გახლეჩილ გულს სისხლი მოსდის,  
მთრთოლავ სამყაროს მაჯის რიტმებით...

## ზურაბ ჭაფარიძე

### არაგვს

თუმცა კლდეები  
    ბეჭებს გიკაწრავს,  
მაინც სიმღერით  
    კვდები, არაგვო,  
დღეს დაცემული  
    თუ ხარ კლდეებში,  
ხვალ ღმერთებს უნდა  
    ელაპარაკო.  
ვიცი, დარჩება  
    შენი კურთხევა,  
ჩუქურთმა სულში  
    დამათოველი,  
მოჭრილი მკლავი  
    თუ არ ხორცდება,  
ამაყად ხომ დგას  
    სვეტიცხოველი.  
ვიცი, მეც მელის  
    არაგვის ზედი  
და თაობები  
    ლექსს გახედნიან,  
რა არის ერთი  
    პოეტის სისხლი,  
საუკუნენი  
    როცა კვდებიან.

\*\*\*

ბაჟახის ძირში ვარ, ვიცანი სიცოცხლე,  
სუფრაზე იჭრება წყაროს წყლის ხმაური,  
არჭილოს მირეკავს მოპარულ ულაყებს  
ალი მახაური...

ოტოსთან ვძმობილობ, წესს გვიგებს ბაბუა,  
ვაჟასთან ვძმობილობ, ცით მთვარე ჩამოდის,  
ბაჟახის ძირია, გატეხილ ახოა,  
სიკვდილი მამკვდარა, სიცოცხლე შამოდის!

\*\*\*

შეუნახიათ ძველ კომკებს  
მტრისად მოჭრილი ხელები,  
დასისხლებიან ბახუსსა,  
არდოტში მიღმახველები.

ჩაუცვეთია ჩონგურსა,  
მოკაფიავეთ ხელები,  
მითიდან მოსულს მოჰგვანან  
მოხუცი ხევისბერები.

ბოლოს გვიწია ბახუსმა,  
ჟიპიტაურის ფერებით,  
მიგვფანტ–მოგვფანტა, დაგვყარა  
ხმლისა და ყანწის მწველები.

დანისლულია არიშკა,  
საჯიხვე მომნატრებია,  
და მურღვათ კომკის კუთხეში  
„AKM“-ს ჩასძინებია.

\*\*\*

ჩემს ქეთის გურამ რჩელიშვილის პრემია  
მიანიჭეს. 1995 წლის 25 ივნისს არიშკის  
სანადიროში გურამ რჩელიშვილის  
სახელზე ჯიხვი მოვკალი.

ქაჯეთის ციხედ მუცო მეზმანა,  
ეთერი დიდხანს პურებს აცხოვდა,  
გზას დავადექით მე და ბეჟანა  
და ვარსკვლავებით ღამე გვათოვდა.

ლითონიდან ჩავხედეთ ჯიხვებს,  
მივყევით კვალს და კლდესთან შევჩერდით,  
ორი გამოჩნდა, დალი გვწყალობდა,  
ცას დაეფერა ზეცა ჩეჩნეთის.

ვუმიზნე, კლდეში აწივლდა ტყვია,  
მითხოს, ჯარეგას ექო დაჰქროდა,  
სიკვდილის შემდეგ ქისტეთის მთებში,  
რჩელიშვილმა ჯიხვი დაკოდა.

დავმგლოვიარდით და ვწუხდით ორნი  
და მერე მთებმა აღარ მაცალეს,  
წამოიმართნენ და ჯიხვის რქაში,  
როგორც ფიცვერცხლი მთვარე ჩათალეს.

და გვამობილეს მე და არიშკა,  
ნადირთპატრონმა გამნათლა სისხლით,  
ტაბლას ვუსხედით მე და ბეჟანა,  
საჯიხვეებმა დასწურეს ნისლი.

მთვარე დაიწვა, როგორც სანთელი,  
ხეობის ქარით ყინვა გვეფინა,  
ქისტეთის მთებში ვიწექით თოვლში  
და ვარსკვლავებთან ერთად გვეძინა.

## ქეთევან დოლიძე

### ხევსურეთისკენ

ხევსურეთისკენ წავედით ორნი,  
თან გავიყოლეთ ფიქრების თქორი.

და დიდხანს სულში ფერებს ვხატავდით,  
მოსურვილა ქარმა ხახმატი

და დათვისჯვარზე ავარდა ქშენით,  
დაგვდეგდა მუზა - დამფრთხალი შველი;

ლექსებს, ვით ბალახს, ფრთხილად ვუწვდიდით  
და მთვარის ნათელს მთებში ვუცდიდით.

ლამის სითალხით გადანაფერი,  
გამოჩნდა ცაზე ირმის ნაფრენი.

წინ მიგვიძღვოდნენ თოვლში ამქრები,  
ნაკვალევები დათვის და მგლების.

და გზა აგვებნა უფსკრულის პირზე,  
მზეს მოვუხმობდით, როგორც პირიმზე.

გუდანის ჯვარი, როცა ვახსენეთ,  
ჩვენ გზა ვიპოვეთ მხოლოდ მას მერე.

მივუყვებოდით ძაფის ბილიკებს,  
დევებმა ნისლი გადაირეკეს.

განთიადამდე ვიარეთ მთებში  
და საზღაპრეთში შორს გადავეშვიით...

სიყვარულს ფიფქად თავზე მათოვდი,  
სიზმრის კოშკით სჩანდა არდოტი.

გამოგვაფხიზლა წყაროს ხმაურმა,  
გული დასწურა ზვიადაურმა.

მუცოში ჯიხვით დაგვხვდა ბეჟანა,  
ლექსი შეგვაბა ყელზე ეჟვანად...

და აბოლებდა პაპა ყალიონს,  
ამბობდა, დავკლათ ერთი ხარო.

და გაიმართა დიდი დღეობა,  
მმად გაგვეფიცა მთელი ხეობა...

კაფიაობდნენ ქერჩო და ოტო,  
ხვალ სიყვარული იებად მოსთოვს.

მწუხრში აჟღერდა სიმები ქართა,  
მუცოს მთა ნისლში ოლიმპოს ჰგავდა.

და ისვენებდნენ მთაზე ღმერთები,  
ლამის ფერებით ნახავრდები...

და როგორც სული მოხუცი მისნის,  
დედიშობილა აფრინდა ნისლი.



## განთიადს ჩავეყვით ხახაბოში

განთიადს ჩავეყვით ხახაბოში,  
კარები გაგვილო ჩიმაქომ...  
- აბა, წინდები და აბა, ქოში,  
სტუმრებს სტუმრულად მივაგოთ.

- წუხელ მდინარეში უტოპიათ,  
სველები ექნებათ ფეხები,  
სადღაცას გამქრალა უტოპია,  
კლდეებზე უვლიათ ვეფხვივით.

- ღამით უფსკრულებზე ბოდიალი,  
რა დათვისჯვარი და ჭანჭახი,  
ძვლებში გვივლიდაო შფოთიანი,  
ყინვის იდუმალი ჭახჭახი.

- აბა, ხბოს მწვადები, ხაჭაპური,  
ერბო და ბუხარის ტკარცალი,  
ლექსები ხალხური და მაჯამური,  
გულიც ხევსურისა აქ არის.

- ხევსური უნდა იყო, ან პოეტი,  
ან გადარეული, ანდა გიჟი,  
ღამით მწვერვალებზე გადმოხვედით,  
უნდა ჩაგაწვინოთ თბილ ლოგინში.

- აბა, წინდები და აბა, ქოში,  
სტუმრებს სტუმრულად მივაგოთ,  
განთიადს ჩავეყვით ხახაბოში,  
კარები გაგვილო ჩიმაქომ.

## რა მოგიტანო

არხოტისაკენ გაუყვევი  
გზასა და ბილიკს  
და მომენატრე... როდის გავა  
სამი თეთრი დღე...

მესამე ღამეც თავს მეშლება  
თივის ბულულად  
ჩამომიტანე არხოტის მზის  
ოქროს კულულა.

## მოვიხვესურე გუდანი

მოვიხვესურე გუდანი  
და ხატის კართან მიველო,  
ჩემო სანთლების დამნთებო,  
ზღვა-სადარდელის მთიბველო.

დეღგმა-ბორიო წვიმაშიც,  
სულ ფეხშიშველი ვირბენო,  
მთვარეც რო გაიხვესურებს  
ნარინჯისფერად, იმ ფერო...

## ტანიე\*

გამოვიარეთ ატაბე\*,  
უკან ჩამოგვრჩა წინხადუ\*,  
გავჩნდი?! – ვალი მაქ სოფლისა,  
მინდა რო გადავიხადო.

დავკოცნო კუთხე–კუნჭული,  
მიმოვიარო ჩოქვითა,  
მთებს შენთან ერთად შევადნე,  
ალერსითა და ლოკვითა.

ცაზე ვუცქირო ვარსკვლავებს,  
გვერდით შენ მყავდე იმედად,  
ამდენი ციციანათელა,  
ნეტა, რა ხელმა მიჰენტა?!

მთების უბეში ჩაკრულა,  
გატრუნულია ტანიე...  
რა შესვა? – აღარც იკითხო,  
სიყვარულისა დალიე!

\*ტანიე – გულისფორმის ტბა არხოტის ხეობაში

\*ატაბე, \*წინხადუ – სოფლები ხევსურეთში

## ტანიეს ნისლები წოლილან

ტანიეს ნისლები წოლილან,  
მე კიდევ უმისოდ ვბინდდები,  
არ ვიცი, სატრფო ვარ, ცოლი ვარ  
თუ საჩუქარივით ვირთვები?!

არ ვიცი, საიდან როდემდე,  
გასტანს ეს ცხოვრება მზაკვარი,  
ლექსები დარდებით მოვთენთე,  
მათაც ავურიე გზა-კვალი.

ცოდვებს ამოვჩხაპნი ზოლითა,  
ქვებზე და ცრემლად დავინთები,  
აჰა, წუთისოფლის ზონიდან  
ჩემი საქაღალდის კირთები.

დარდები ყოველთვის მწონიდა,  
უფალო, შენ მყავხარ იღბლიანს,  
ტანიეს ნისლები წოლილან  
და სატევარივით ილტვიან.

## ახუდელაურის ტბები

ჯვარიმც გწერია, მყინვარო,  
ნაჟურო ტბათა პირსაო,  
ანგელოზების ნაბანო,  
წყალო, დაჰგუბდი ვისსაო?!

- უფლის უბეში ვიდინე,  
რძისფრად დეკები მთისაო,  
მიყვავის გარემომოსა,  
სურნელება აქვს დისაო.

კოპალას ჩამაულალავს,  
დევები მარილ-გზისაო,  
საჯილდაო ქვებს ატყვიათ,  
დანაკოცნარი მზისაო.

მწვანე, ლურჯი და რძისფერი  
ცრემლები ღვარად მდისაო,  
მპატრონობს დედა-უფალი,  
თეთრი ყვავილი ცისაო.

## ძილა ჭინჭარაულს

გუდანის დედა არწივო,  
ჩვენო დობილო ძილაო,  
უმზეოდ არის ამინდი,  
ნახე, რარიგად სცივაო.  
ჩაიხედავდა შენს გულში,  
გადაიღებდა წვიმაო...  
შიბუიანი ხინკლები  
დიდრონ ქვაბებში ცვივაო,  
კუსერბო, ხაჭოერბოთი  
გაგვისუქდება წვივაო,  
ფხლოვანა, კეცეულების  
ჭამით გაგვიკრთა ძილაო,  
დევის ქალივით დავდექი,  
ვიყავ მელია-წვრილაო.  
არაყს ვუსინჯეთ კოჭები,  
ღვინოა საბარძიმო,  
ძილა ხარ, ძილიც მოგგვარე,  
ჩამოგვირიგე წინაო.  
გულ-მეგობრობის ნაწილო,  
მიიღე ლექსი მცირაო...  
- გწყალობდეთ გუდანის ხატო! –  
ამინდმაც შამაგვცინაო.

## ჯუბა ღებელი

### შატილში

წყაროზე მიდის თათია,  
იქ ელოდება თოთია,  
ლამე რომ თეთრად ანთია,  
მთვარე კი არა, თოვლია...

\* \* \*

სალი კლდეების წვეროზე,  
გადაიარეს ნისლებმა,  
ნეტავი მოვესწრებოდე,  
ლუხუმის გამოღვიძებას!..

\* \* \*

როშკაზე საკინძ შეხსნილი,  
ლამევ, ხარივით რად ღმუი?..  
ახლა ისეა ეს სისხლი,  
შატილთან როა არღუნი!..

### მინაწერი თენგო ავსაჯანიშვილისა და გელა დაიაურის ფოტოსურათზე

კარგ ყმებს იტყვიან ამათზე,  
ლექსებს ამბობენ მადლიანს,  
ამ დედამიწის შარაზე,  
დეკაცებივით დადიან!

## დათვისი

დათვისში ვარ, დათვივით ვარ,  
ნისლი მეზურმეგლება ტანზე,  
არც მიცელავს, არც მითიბავს,  
დაჩოქილი ვედექ ხატებს,  
რაც მითებში წამიკითხავს,  
ამათ ადათ-წესში ვნახე...

დათვისში ვარ, მარტვილი ვარ,  
ღრუბლებთან და ღმერთთან ახლოს,  
ცოტა იქეთ შატილია,  
ცოტა აქეთ ბარისახო...  
ამ მთებს საქართველო სტკივათ,  
საქართველო ამ ცით ხარობს...

დათვისში ვარ, ზემოთ ჯუთა,  
სამწყსო არაბულთა გვარის,  
ბარში ხალხი გადარჯულდა,  
მთაში რჯული წესად არის...  
აქ სულ სხვა ჰაერით ვსუნთქავ,  
გული აქეთ მომიხარის...

დათვისში ვარ, დათვივით ვარ,  
ნისლი მეზურმეგლება ტანზე,  
ფიქრს ვატანდი ნისლებს მთისას,  
დაჩოქილი ვედექ ხატებს...  
რაც მიცელავს, რაც მითიბავს,  
ამ მთებს ლექსად მოვახატე...

დათვისში ვარ!..



\* \* \*

არაგვს აუსხლტა კალმახი,  
როგორც დიღები საკინძეს,  
ამაღამ გიჟი არაყი,  
შენს მკერდზე ჩამომადინებს...

ამაღამ როკვა იქნება,  
ეშში შესული ამურის,  
რაც სიყვარულად იღვრება,  
ვინა თქვა ამორალური?!

### **ხევსურის ქალს**

მაგ ჭრელა-ჭრულა წინდებით,  
ნაქსოვ პერანგით მოვისა,  
არც როდის მომეწყინები,  
მზესავით გვერდით მოვისვამ...

მერე ვაჟღეროთ ფანდური,  
არაყს ვამგეროთ კაფია,  
მთებში და თოვლში ჩაფლული,  
გზა შენკენ გამიკვალა!..

## ეთერ დაიაურის ხსოვნას

ცა შენი სულის საფრენად,  
ანგელოზებმა მორკალეს,  
ხოგაის მინდი დაგხვდება,  
უფალის კარზე მოკარვე...

ქაჯავეთიდან გადმოვა,  
ხახმატის ჯვარის ლაშქარი,  
იქ, თორემ, ყოფნა ამ ქვეყნად  
დაო, არც რამე არ არის!..

ჩაბალხეთების ჟამიდან,  
დარდებს ვკრეფთ, ცრემლად მონადენს,  
მადეთ სჯობს, დაო, მად იყავ,  
უფლის მეორედ მოსვლამდე!..

ნეტავი იმ შენს სულის ცხენს,  
ვინც სამზეოდან გაგყვება,  
მიეშურები უფლისკენ,  
სევდით მოსილი ამ ქვეყნად!..

მიღმისმიერში დარია,  
„სულთა კრეფაა იქათვე“,  
შენ აქაველნის დარდი ხარ,  
თორემ რა გიშავს იქაველს?!.

## ნათელ-დედას

ნათელა ჭინჭარაულ-გოგოჭურის ხსოვნას

ნათელ-დედა,  
ვალი დამრჩა შენი გასასტუმრებელი,  
ერთი კათხა ლუდის ვალი - ყელში მოწოლილი ლექსის,  
შენთან ლაპარაკის ვალი - ლამაზ ხევსურული ენის,  
კილო-კავთა სავსე ხონჩა, შატილის და როშკის მთების...

ნათელ-დედა,  
ვალი დამრჩა შენი გასასტუმრებელი!...

ხევსური ქალიც მაღია,  
ჯიხვივით კლდეზე მავალი,  
წუთისოფელმა დაღია,  
გუროთა შთამომავალი...

სული გადავა მთებს იქით,  
უფლისკენ სავალს გაიკვლევს,  
იელნაჭამი თხებისთვის,  
ვერ გამოდგება სალი კლდე...

მე ამ კლდეებით ვამაყოზ,  
აქ უნდა სძოვონ ჯიხვებმა,  
ვერ მოესწრება სამყარო,  
ქართველთა გადაჯიშებას...

## თოთია

თოთია ჭინჭარაულის ხსოვნას

თეთრი კაცია თოთია,  
თმებზე იმდენი თოვლი აქვს,  
თავისი მიწა-აყალო,  
სულ ურჩევნია სამყაროს...

სულ ურჩევნია, ვინცა სცნობს,  
თავისი კლდე და ციცაბო,  
ცალ ყავარჯენზე დადგება,  
ბორბალოს ნისლებს გაჰხედავს...

წაიჩურჩულებს კაფიას,  
ვით თავის ეპიტაფიას,  
მოიხსნის ქარქაშ-სატევარს  
და ღრუბლებს ღმერთთან გაჰყვება...

\* \* \*

პატარა სალოცავებო,  
ფშავ-თუშეთ-ხვესურეთისა,  
სანთელს არ დაანთებინებთ დაუჩოქელად არავის,  
ეგ ადენილი ნისლები ცრემლია ჭიუხებისა,  
უფლის ნაკურთხი წყალია თქვენი ოთხივე არაგვი!..

ვინა თქვა სიპატარავე  
თქვენი კედლის და ქვა-კუთხის,  
მუხლს ვიყრი, სანთელს გინთებთ და მაგ ლიბო-ძირში  
გეხვევით,  
თქვენა ხართ ჩემი სამშობლოს გადარჩენილი წარსული,  
თქვენა ხართ ჩემი მამულის მარადიული ფესვები!..

## ღებს - გოგოჭურებს

ხსოვნა ცოცხლდება წინაპრის,  
ამ ღვინით სავსე ჭურებით,  
ჩემი აივნის პირდაპირ,  
მღერიან გოგოჭურები...

იმათ ჰანგებში ღმერთია,  
საგალობელი ხმები აქვთ,  
სადაც ისინი მღერიან,  
სუყველგან ხევსურეთია...

სუყველგან საქართველოა,  
სადაც იმათი ხმა ისმის,  
ძნელია არაგველობა,  
შუბზე გაწვენა ხარ-ირმის...

შორია ხევსურეთამდე,  
უფრო ახლოა იალნო,  
ბარისახოდან თქვენამდე,  
ფიქრები მიმო-დიანო!..

## კობა-აბა-იაკობ არაბულს

გველისმჭამელს

შენი ლექსების კითხვისას,  
მიწას ვჟღვერ ფეხით მამულის,  
კირქვა კი არა, კირი ხარ,  
ციხეს დრო-ჩამოჟამული!..

თავი ვერ გამოგიხსნია,  
გულს იგლეჯ, ისევ იხორცებ,  
ცრემლი კი არა, სისხლი ხარ,  
შემხმარი მუცოს ლიბოზე!..

ხანა ხარ მინდი ხოგაის,  
ხან მაგანისძე თორღვა ხარ,  
წარსული ისე მოგბღავის,  
ვით მიწა ხნულში ლომა ხარს!..

მამულით სულის მკვებავი,  
ჰგი მტრისაც გამომტირებელს,  
კაცი კი არა, მგელკაცი,  
ხარ ქრისტიანი ქრისტემდე!..

შენა ხარ, საყდარ-იახსარს,  
ჯვრად შეეზრდება რომელიც,  
შენი მამულის მიწა ხარ,  
მიწაზე ლექსად მთოველი!..

შენი მითების კითხვისას,  
ვიტირე, ბევრიც ვილოცე,  
ცრემლი კი არა, სისხლი ხარ,  
შემხმარი მუცოს ლიბოზე!..

## ოტო დანიაური

### ბარიდან დაბრუნებულ არხოტელებს

ყოჩად, თქვენ, არხოტელებო,  
მთებს სევდა შემოახიეთ,  
რომ დაუბრუნდით ძველ კერებს -  
ამლას, ჭიმლას და ახიელს.  
ძველ დროში ნაქებ ხეობას,  
რომ დაუბრუნეთ ხალისი,  
რომ ასას ხმასთან შერწყმული,  
თქვენი ფანდურის ხმა ისმის.  
სოფლების სიცარიელეს,  
რომ ჩაუკეტეთ კარები,  
რომ კვლავ აქციეთ სახლებად  
მოშლილი ნასახლარები.  
ვინც კიდევ შეგემატებათ,  
ჩემი სალამი იმასა,  
ვინც კიდევ დაუბრუნდება  
„ჯიხვ-არწივების ბინასა“...

### ჩემს ხევსურეთს

ავმლერდები და ამ შენს მთა-ხევებს  
გაზაფხულივით გადავედები,  
მზის სხივნი ზამთრის სამოსს გახვევენ,  
მზით ბანაობენ მთათა ქედები,  
დავმწვარვარ შენი მთების დალითა -  
შენი სიტურფის ფასით ურიცხვით,  
როცა ქარს მოაქვს იალალიდან  
შურთხის სტვენა და სალამურის ხმა.

## გულის წუხილი

(ვუძღვნი ჩუა გოგოჭურს)

გადაგისახლდნენ სოფელნი ბარში  
და უმეზობლოდ ხორუს დაგტოვეს,  
შენ არ წახვედი და მთებთან დარჩი,  
არ ღალატობ და არც გღალატობენ.

დახავსებული ბევრი ყორეა,  
შეხედავ, გული გაგეკაწრება,  
აქ ორმოცდაათ კომლს უცხოვრია -  
მეტყვი და სევდა შემოგაწვება.

რომ დავიჯერო, ეს მე არც მინდა,  
დასაჯერებლად მართლა ძნელია,  
ოთხი კომლი ჰყავს დღეს გიორწმინდას,  
ნასოფლარია თუ სოფელია?!

უფრო გულს გვატკენს ლეზაისკარი,  
რომ მიატოვა ხალხმა მთლიანად;  
სიცარიელეს დასტირის ქარი,  
გადაიქროლებს დაცლილ იალაღს...

ჩვენ გავიხარებთ, ოი, რა დიდად...  
აქ თუ კვლავ კვამლი აედიდება,  
თავის კუთხეში ხალხმა ბარიდან,  
დაბრუნება თუ ისევ ინება.

თუ - არა, კერას არ გააციებ,  
ეგ სამი ვაჟი სხვა სამს დაანთებს,  
ისე რა გაწვრთნის აქ მთის არწივებს,  
რომ გააყარონ მხარი მაღალ მთებს?!

დე, შრიალებდეს კვლავ ყანა ქერის,  
ნახირი მთების კალთებს ეფინოს,  
და დღეს ბარს ეს მთა რომ გვიჯობს ბევრით  
გვსურს, ბარად წასულთ გავაგებინოთ.



## გაზაფხული

ხევსურეთის მთებს თოვლი გასცლიათ,  
ხევზე არაგვი ბუბუნებს, ბორგავს...  
ველებს სითეთრე მწვანით შესცვლიათ,  
გულ-მკერდი მათი ჭრელ ქათიბს მოჰგავს.  
ტყემლებს გაშლიათ მწვანე კვირტები  
და ყვავილების თოვას ელიან,  
მთების სიტურფეს რომ ვაკვირდები,  
აუმღერებლად ყოფნა ძნელია.  
გავცქერი მთებს და კრიალა ზეცას,  
რომ დახურვია ქედებს ბანივით,  
ვნატრობ, მთებს მუდამ სიმწვანე ეცვათ,  
მზეც უნათებდეთ ჩირაღდანვით.  
გახედეთ სივრცეს, რა ამინდია!  
უნდა ამოსკდეს მკერდიდან ლექსი,  
გადავიქეცი თითქოს მინდიად  
და ბალახების ჩურჩული მესმის.

## ბელა დანიაური

\*\*\*

მთას მივალ, მუცოში, ჩემია სტიქია,  
ო, სულო! რა დიდი სიწმინდით მევსები,  
ქალაქში ნაღვლიანს, სევდიანს, ფიქრიანს  
მეძახდა, მიხმოზდა ის დიდი ფესვები.

და უკვე მთას მივალ,ოცნება დავიწყე:  
ქარაფი, ჩანჩქერი, ნისლი და კოშკები,  
დავლევ მზის სიყვარულს, გონებას გავიძღებ  
მერე კი როკვას და ღიღინსაც მოვყვები.

კაცს ვნახავ იქაურს,უცებზე დავთვრები,  
არღუნში დავლანდავ ეულ მზეს შემთხვევით,  
მდუმარე მთების წინ მუხლებზე დავდგები,  
თეთრ ჩანჩქერს ანკარა სხეულზე ვემთხვევი.

სევდისას, თოვლისას ზვავს ზვავი გადაყრის  
და ჯიხვიც იელვებს, მთა-ჭიუხთ მსტომელი,  
მთას მივალ, გავხდები მთასავით ამაყი,  
მთასავით მაღალი და მიუწვდომელი.

## ხმა - 2004

გადავძახი ყოველ კუთხეს, ყოველ მხარეს:  
დღეს ვმათხოვრობ, ადრე თუკი ვამაყოზდი...  
დეიდებო, ბიძიებო, დამეხმარეთ!  
გეზვეწებით!...  
მე მუცო მყავს ავადმყოფი!

## მუცოს გოდება

სადაც ოქროსფერი მზის ქაფია,  
თორღვაის ცხენიც იქ აზია,  
ჯაჭვი მაგანისა მიაზნია  
ჟამმა გზა-ბილიკებს, უცნობს...  
„ მეც ხომ ვიძახოდი ღვთის კაფიას,  
მტერი მამულისა მიკაფია,  
სისხლი წყაროსავით მიხაპია,  
იმედი ხომ მერქვა მუცოს!  
ღმერთო, მე - ღვთისაო და მარიამ!  
მტერი, მოყვარე მთავარია,  
ჩემთან არცერთნი არ არიან,  
ყველასთვის გავმხდარვარ უცხო!“ -  
ნეტავ რა ხმაა და რა ზარია,  
რა გოდება და თავზარია?!  
მუცოს ბეჭები გაბზარვია,  
ჟამისგან ძლეულა მუცო!  
სურდათ აკვნები ურწეველი,  
მტერი არ დარჩა უწვეველი,  
წასული თავბედუწყევლელი:  
„ქართლს მტერი ეყოლება ნურცო!“  
ასე ურღვევი და ურყეველი,  
მტრისათვის ხარკის უძლეველი,  
გაუტეხელი და უძლეველი -  
ჟამისგან ძლეულა მუცო!  
სადაც ლამპიონთა ღაღანია,  
სადაც ცეკვაა და არღანია,  
სადაც ვაჭრობაა გაგანია,  
ვიღაც მდიდრდება და წუწკობს.  
აქ კი აღარც თორღვა მაგანია,  
აღარც ფარ-შუბების ჭახანია,  
მშველელს ელოდება, რახანია,  
ბეჭებგაბზარული მუცო!

## მუცო

მუცოვ, მერამდენედ უკვე,  
გალობს შემოდგომის წვიმა  
და ეს სევდიანი უქმე  
დრო-ჟამს გამახსენებს წინას.

როცა თავს გეხურა ჭერი,  
ხალხი ხმაურობდა მაშინ,  
სოფლის სიმარტოვის მტერი -  
კვამლი ადიოდა ცაში.

დარდის არ გფარავდა დამლა,  
აღარც - მარტოობის სევდა,  
მოსაწყენადა და დაღლად  
მაშინ სად გეცალა ნეტავ?!

მაინც არ გაგწირა ზენამ,  
არც ხმა უდაბნოში დაშთა,  
შენი გადარჩენის რწმენა,  
ცაზე ვარსკვლავივით გაჩნდა.

შენს შეტოკებას და დაცლას,  
ყვირის ნაცნობი და უცხო,  
მგონი გვეშველება რაღაც,  
ცოტაც გაუძელი, მუცო!

\*\*\*

ვიგონებ: მთებია, ნისლები,  
ჯიხვი ხტის, ჩანჩქერი რაკრაკებს,  
სხივები, სხივები - მზის დები -  
ქალაქში? - ქალაქში დავკარგე.

სულში კვლავ მთის ნატვრა მოძვრება,  
ქალაქმა მიმონა ყრმა, ურჩი,  
დავკარგე ფიქრი და ოცნება,  
სიჩუმეც დავკარგე ხმაურში.

მთა ვიყავ, ახლა რა - ნაკუწი,  
ფრესკა ვერ დავქარგე ქალაქში,  
დავკარგე სინდისი, ნამუსი,  
სიწმინდე დავკარგე ქალაქში.

მპარავს ვერ დაიჭერს გონება,  
ჟამია სიბრმავის მწიფობის,  
გამქურდეს და იმ ჩემს ქონებას,  
ზაფხულში კვლავ მთებში ვიპოვი.

## მიხეილ დანიშაშვილი

ციკლიდან: მიღმახეური ნათქვამები

### წუბროვანთან ნათქვამი

საქმევ, რა დიდად ძნელი ხარ,  
სიტყვავ, რა იოლ ითქმები:  
ძნელია ჩასვლა მიღამხევს,  
თუ ჩახვალ ვაჟიც იქნები!

წვრილად აცრიდა წუბროვანს  
წვიმა, სეტყვა და ფიფქები,  
სახახაზოე ბილიკთა  
ჩავანამოდე სიპ-ქვები.

ჩამავალს ჩაისეესა  
მეჭირხლებოდნენ ფიქრები:  
ხევსურეთს კი არ გავწირო  
ამ ჩემი ძვლების ფიქლები!..

კიდევაც დამილამდება,  
სანამ არდოტში ვიქნები,  
კი მიუვალა მასპინძელს,  
თუ აქვე სადმე მივქრები!..

## ხახაბოსთან ნათქვამი

მიღმახველების სანგალი  
ბუდეა ლალთა არწივთა,  
გაივლი, შემოგეყრება  
თითოთოროლა კაცი-მთა.

სისხლს ისე სად უწვიმია,  
რაც მაგათ ქავებს აწვიმდა,  
მაგრამ ბრგენია ისევაც,  
გული ვერ გატყდა-გაცივდა.

იდიდოს ჯვარმა და ხატმა,  
ვინც მათი სული დაწინდა,  
არ დაავიწყა რომელმაც  
ფასი ხმალთა და ყაწიმთა.

ნუმც მოსდებიყოს ბალახი,  
გაკიდებულთა გზა-წვრილთა,  
სამშობლოს მენაპირეთა  
ვლოცავ ბერთა და ყმაწვილთა.

## არდოტთან ნათქვამი

ადრეც მაქვს შენთვის ნათქვამი,  
მურღვავ - პოეტო მთებისა,  
მრუმეა დედაქალაქი,  
გული მალი-მალ კრთებისა.

რა კარგად მიგისთვალავის,  
დრო-ჟამი ქვათა კრებისა,  
მამ-პაპის ფუძეს დამდგარხარ,  
სულ დაგიწინდავ მკვდრებისა.

ლამაზად ცოლ-შვილ შაგიყრავ,  
გაშლა გიხდება მხრებისა,  
მამულ-წყლის საზღვარ დაგიცავ,  
გზა ჩაგიკეტავ მტრებისა.

გწყალობდეს ჯვარი არდოტის,  
მსმენელი - ნავედრებისა,  
ლექს კვლავაც გიძღვნის დანიშა,  
ცოტა რო შეითვრებისა!..



## ანატორთან ნათქვამი

ჩამოვიარე ანატორს,  
მღვრიედ ღელავდა არღუნი,  
ნისლები საზღვრებს ტორავდნენ,  
სცვიოდათ ცრემლი ბალღური.

გამოგვყურებდა გაღმიდან,  
ფიჭვნი - რუსების მსახური,  
სისხლად სდიოდა ნასოფლარს  
ქედზე უღელის ხახუნი.

ბოღმად და სევდად გამომყვა  
იქ განცდილი და ნახული...

## მუცოსთან ნათქვამი

მიღმა დავუყევ მიღმახევს,  
მეგზურად მიძღვის არღუნი,  
აი, მუცოსაც მივადექ,  
როგორც ხატისკარს მსახური.

ცისკენ გაწვდილან კოშკები,  
სიპებით გადანახური,  
მაოცებს საკვირველება,  
ამ მთებში გადანახული.

ღმერთო, რა სილამაზეა  
ეხ-ქარაფებზე დამხული,  
გულს დარდი გადაუქარდა,  
სულს შემოენთო ზაფხული.

მაგრამ სიზმარში თუ ვიყავ,  
ექვმა დაიწყო ფაფხური:  
ძანაც ნუ გაგალაღებს,  
მოყმევ, სურათი ნახული.

მთის იქით რუსი ბოჟირობს,  
უჟმური უდგას საფრთხული,  
სიფხიზლე გმართებს, ფიჭვნივით,  
მუცოც არ დაგრჩეს წართხმული!..

## ისევ ანატორთან ნათქვამი

რუსო, შე გადამთიელო,  
ფიჭვნში რას გიდგას სანგალი?  
აქ რას დაეძებ, წყეულო,  
შენ მამულ განა აქ არი?

წადი, ქვეყანა დიდი გაქვს,  
ბარი შენს მიწას დაჰკარი,  
გეყოს, რაც მძარცვე, წამართვი:  
ცხენი, ძროხა და ბატკანი.

იკმარე მი-მოსხვრეული  
ბაგრატიონთა აკვანი!..  
ნუ გინდა, ისევ ტყვედ გყავდე,  
აქაც მომიწყო საკანი.

თავ დამანებე, ოხერო,  
ნუთუ არ გეყო, რაც მკალი?  
მე ჩემთვის მინდა ცხოვრება,  
ჩემ სათიბი მაქვს, სამკალი.

არც შენი ხიშტი მჭირდება,  
არც შენი ჩაქუჩ-ნამგალი,  
არც ძმობა - ნაძალადევი,  
უფრო მონობის მაგვარი.

შენ ხომ ყინულის გული გაქვს,  
მზე გეჯავრება ცხრაგანი,  
ვერ იხეირებს ამ მთებში,  
შენი სისხლი და ბაკანი!

## ანატორის ორწყალთან ნათქვამი

ჩათუთქულია ჩეჩენტა  
ცრემლით არღუნის ხეობა,  
ამ ვიწროებში მომდგარა  
დევნელი მოსახლეობა:

ბავშვი, ქალი თუ მოხუცი,  
გამწარებული ძეობა.  
აყრილი, აბუდებული,  
გამოკლებული მწეობას.

გამოქცეული შერცხვენას,  
მონობასა და ტყვეობას,  
სიკვდილს და პატივის ახდას,  
ძალადობას და მძლეობას.

მაგრამ სწორედ აქ შეჰყრია  
გოლგოთას და უსვეობას,  
ზედ რუსი შემოჰყოლია,  
მდევარი მესისხლეობას,

ცეცხლი ბრძოლვია ტყვისა  
ლტოლვილთ ხაფსა და მხნეობას,  
აქ უბომბიათ უძღურნი,  
უცხრილავთ ტარიგთ მეობა.

დედაწულიან უჟღეტავთ  
მათი გენ-გასაგეობა,  
ზედ აწერიათ ამ კლდეებს  
დღესაც რუსების ზნეობა.

სისხლად წასულა არღუნი,  
ყვავ-ყორნის მდგარა ღრეობა...

## შატილთან ნათქვამი

ო, როგორ მიყვარს, სამშობლოვ,  
შენი ყოველი მტკაველი,  
აი, კვლავ პირიქეთში ვარ,  
ფეხქვეშ გავიგდე მთა-ველი!

აჰა, გუროსაც გამოვცდი,  
უკვე შატილში შაველი,  
გადმომცქერიან კოშკები,  
ვით საკვირველი რამენი!

შეშენებულნი კლდის ქიმებს,  
ცას მიბჯენილნი მტკაველით,  
ქონგურებ მი-მოხატულნი  
თეთრი ღრუბლების კრაველით.

ღმერთო, რა სიდიადეა,  
რა სილამაზე მბრმაველი!  
დუმილის აკორდს აკვნესებს,  
მყუდროებაში რაველი...

ეთაყვანება ხევსურეთს  
ილტოსპირელი ფშაველი...

## ისევ გუროსთან ნათქვამი

სადღაა, გუროც გამქრალა,  
ალბათ გაქრება შატილიც,  
მუშაობს დროის მანქანა,  
მე კი ნანგრავთლა შავტირი.

ალბათ ხახაბოც გაქრება,  
ანდაქ-არჭილოც, არდოტიც,  
გაქრება მუცოც, რომელზეც  
ამდენ ხანს ამდენს ვდარდობდი.

მტერი წაიღებს ანატორს,  
მთებსაც და უღელტეხილსაც,  
ცასაც, რომელიც ყოველთვის  
მსურდა რომ ახლად მეხილა.

ჩექმა და ხიშტი რუსისა,  
ამ მართლაც გადამთიელის,  
მოიწევს ისე უსისხრად,  
ისე ზაფრით და იერით.

იქნება კვალიც კი გაქრეს,  
აქ ჩვენი ძველი გენისა,  
ისეთი მძვინვარე არის  
სურვილი კართაგენისა!

“არ აშენდების შლამისგან  
ბირთვის-სამშვილდის ციხენი!» -  
აღაც-ვინ ერის პატრონი,  
აღაც-ვინ ქვეყნის მიმხენი.

სულს მწუხარება მონისლავს,  
გულს და გონებას ნაღველი,  
ეჰ, ხმალო ბატონიშვილის,  
რა დროს და საით წახველი.

ეჰ, ხმალო ჩოლოყაშვილის,  
რწმენავ ასთა და ათასთა,  
ბავშვივით ვდგავარ, უმწეოდ,  
უიმედობის დაფასთან...

### **გუროსთან ნათქვამი**

ეს ნაცრადქმნილი გუროა,  
დღემდე რო თუთქავს გონებას,  
აქ მდგარა ბატონიშვილი,  
უფალმა მისცეს ცხოვნება!

აქ მაშინ რუსიც მოსულა,  
სამტრო ჰქონია ღონება -  
ცეცხლში ჩაუწვავს სოფელი,  
ხევსურთ ავლა და ქონება.

უკაცურია მას შემდეგ,  
ტკივილს არა აქვს ფონება,  
მდუმარედ დგანან კოშკები,  
კვნესაც არ გაიგონება...

\* \* \*

## როშკასთან

როშკასთან ცივი ნიავი,  
ქალივით კოცნას შემპირდა,  
მზეც აღარა სჩანს აღარსად,  
გამრღვევი ღრუბლის ჯგებირთა.  
აღარცერთს აღარ დავუცდი,  
ლამაზო, შენის ჯიბრითა,  
ქარაფში ჩავიჩეხები,  
ქვიშას ჩავიტან ჯიბითა.  
თმას ჩანჩქერ გადამივარცხნის,  
მამირთავს ვერცხლის შიბითა,  
რაისად მოვკვდი?-გპასუხოვ:  
არ გიყვარდი და იმითა.

## შე მშვენიერო, შავთვალავ

შე მშვენიერო, შავთვალავ,  
შორს მოშრიალე შროშანო,  
წამო, გემახის ჭართალა,  
შარას შიბები მოვშალო.

ნუ დამშორდები, სიშორე  
შენი მე შემრევს ქვიშასო,  
შენზე ფიქრს ველარ ვიშორებ,  
ვით ბედისწერის ნიშანსო.

ბედო, არშალო-მარშალო,  
შემომხსენ შავი შანები,  
მიაც შავათვრა ქორწილში,  
ხევსურნი შარიანები...



## ნამატილარი

მადლობა უფალს,  
კიდევ ერთხელ მომაშატილა,  
ვნახე ბერდია, ტარიელი,  
ვნახე ბაბუა,  
სიტყვა მწვერვალებს  
კიდევ ერთხელ მიემარტვილა,  
კიდევ შევთვრები,  
სანამ ცაზე მთვარე ამოვა...

შეხსნეს კარები კოშკისანი  
ცეცხლის ენებმა,  
ლექს-სიმღერებით  
გარდაქარდა ჩუმი ნაღველი,  
რა ლამაზია ცა ღამისა,  
რომ იწერება,  
ზედ, ვარსკვლავებით,  
შენი სახელი...

ეხლა დავყვები  
ბილიკს ისევ თბილისისაკენ,  
სუფთა ჰაერით  
სავსე მომაქვს ბარად ფილტვები,  
გამჭვირვალე ვარ,  
სული ზეცით მი-მოვისარკე,  
საგზალი ესე  
სულ ლექსებად აიკვირტება!..

## როშკიდან ჩამომდინარი...

გამოიტანა მინდიაშ  
სოფლის გამოღმა, საფიხვნოს,  
დიდ ლოდზე ტაბლა სატანით  
და გულიც ზედვე დაფინა  
და ბრძენმა ჯურხათ ივანემ,  
ჯიხვის რქა ხელში აიღო  
და სადღეგრძელო მსმენელთა  
ყურებისაკენ აფრინა:

თქვა: - გაუმარჯოს ხევსურეთს,  
ამ როშკასა და როშკიონთ,  
ამ მამულ-წყალს და მწვერვალებს,  
ცასა და ნისლის ქათიბთა,  
თითოეული ლოდიც კი  
სილამაზე და ეშხია,  
მომგვრელი სულში კაცისთვის  
უდასასრულო ნადიმთა.

ბრძანა და კიდეც დაცალა,  
ახლა მე გადმომაწოდა,  
მეც გამოვწურე ჯიხვის რქა,  
კახურმა გამანებივრა,  
ირგებდნენ თეთრი ნისლები  
საჯიხვეების საწოლთა,  
ამოუკოცნა თვალები  
ყვავილებს ქარმა ბებერმა.

მთები მთებად და ხევსურთა,  
როშკაც ადგილად საუფლოდ,  
ღვინოც ბადაგად და გულიც  
მასპინძლის ზედ რომ გვყვებოდა,  
მაგრამ გვერდით რომ მყოლოდი

სხვა იქნებოდა ცა უფრო,  
მიწასაც მეტი სურნელი  
და სითბო დაეყრებოდა.

მწვერვალზე დარჩა მწველი მზე,  
ჩამთავრდა წვიმის თარეშიც,  
თავქვე ჩამოვყევ რომკისწყლის  
ბურბუშელების აღლუმებს,  
კვლავ თბილისში ვარ და აქაც  
ისევ მაგ თვალთა გარეშე  
და ვეფერები ოცნებებს  
ფიქრებში გადანახულებს...

## სამძიმრად გელა დაიაურს

რითი დავიწყო, რა გითხრა,  
არ ვიცი, ვფიქრობ ვედარა...  
დამწვარა გული წუხილით,  
გონება ჩამომეღალა...  
გამაგრდი, ძმაო, გამაგრდი,  
ესე ყოფილა ქვეყანა,  
გაძლება უნდა საგლოვარს,  
კაცს თუ მხრებს ჩამოეყარა!  
ტკივილი გმანთავს, პოეტო,  
მაგრამ ვით უთქვამთ ყველგანა:  
სული არ კვდება, ის ცოცხლობს,  
ცის კიდეს გადაექანა!  
დიდი მადლობა უწმინდესს,  
ეს აზრ რომ დაამჭექარა!  
ისმინე, მისი ისმინე,  
არაფერს გავნებს ეგ, არა!  
ღმერთმა ნათელში გიმყოფოს,  
ვისთ სიკვდილმ გიდვა ბეგარა,  
იმათ სულთ ცხონებისათვის,  
ერთად ვილოცოთ ბევრგანა.  
უტ იყო ხევსური კაცი,  
შენც უტი იყავ, მდეგარა.  
მიიღე ჩემ სამძიმარიც,  
გულზე ხანჯლად რომ მეგალა.  
შენთან ვარ ამ მძიმე ჟამსა  
და არც სად წავალ შენგანა.  
შენთან დგას შენი სამშობლოც,  
ქართველთა ე კიდე-განა.  
ცხოვრება უნდა გაგრძელდეს,  
შენც უნდა მიჰყვე შენგვარა.  
დრო მოვა, ღმერთ იქაც შეგვყრის,  
თუკი აქ ერთხელ შეგვყარა!..

## გოგოთური

(პორტრეტი)

თეთრ ცხენზე იჯდა ყოველთვის  
ნაიარევი სახითა,  
შეუძახებდა საფერხეს,  
მარდად მოსწევდა აღვირთა.

ცხრა ათეული აევლო,  
სულ თეთრი ჰქონდა თმა-წვერი,  
მაგრამ კვლავ ხელში ეკავა  
ამაოების საცერი.

ძველებურ შარვალ-ტალავრით,  
ძველებურ ქუდით, წაღებით,  
ჩამოივლიდა ხევსური,  
შორით ვუცქერდით ბაღლები.

წელს ერტყა ვერცხლის ქამარი,  
ზედ ხმალ-ხანჯარი ეკიდა,  
შეჩერდებოდა ღელესთან  
დაიძახებდა ბეჟიდან.

გვიკვირდა მისი იერი,  
ისიც, რასაც ის იცვამდა,  
სულ სხვა დროებით ცხოვრობდა,  
სულ სხვა ადათ-წესს იცავდა.

ეფიხვნებოდა ბებოჩემს,  
ამბებს ყვებოდნენ საოცარს,  
სულ სამ რქა არაყს დაღევდა,  
ახსენებდა სალოცავს.

მერე ჭარმაგად, ყოჩაღად  
წამოდგებოდა ბებერი,  
ამხედრდებოდა საღარზე,  
როგორც მთიელ კაცს შეჰფერის.

დაუყვებოდა ბილიკით  
ილტოს ხეობის ნაპირებს,  
წაიმღერებდა: «ხევსური  
მტრის დედას კვლავაც ატირებს!»

გარდაიცვალა დაკრძალეს,  
როგორც წესია ხევსურთა.  
ცხადია, ყველა ადათი,  
წესებისამებრ, შესრულდა.

მაგრამ ყოველთვის თან მდევდა  
მისი სახე და აჩრდილი,  
იმისი სულის სიმაღლე,  
იმისი სახე აჩრჩნილი.

თურმე უბრალო არ იყო,  
ერთი შეხედვით, მარტივი,  
ჩოლოყაშვილთან იბრძოდა,  
მტკიცე, გუდანის ხატივით.

ეტყობა სალი კდე იყო,  
ცხოვრებამ რომ ვერ გატეხა.  
მოკვდა, ჩავიდა საფლავში  
და იქაც - სალის ნატეხად.

## მურღვა არდობელი

\* \* \*

ერთი მლოცველი მეცა ვარ  
შენი წყლისა და ქვიშისა.  
ვინა ვარ? - სამასმეერთე  
არაგველთა ვარ ჯიშისა!  
შენი გაზრდილი ბოკვერი,  
მტრისთვის შემკველელი თავისა,  
სულს სხვა რა უნდა სტკიოდეს,  
თუ არ სამშობლო თავისა.

## ფხოვის ცას

ფხოვის ცას თენების მთვარე,  
თვალს, როგორც ცრემლი, ჰკიდია,  
ხოშარისაკენ ნისლეები  
მოტირლებივით მიდიან,  
აქეთ ნისლში წევს სანათა,  
იქით ჩაშლილა მინდია,  
გოგოლაურთას მზე რა,  
ბინდაურთაში ბინდია.  
ხან პატარაა საწუთრო,  
ხან უსაშველოდ დიდია...

## მურღვამ თქვა

მურღვამ თქვა, არდოტ გაზრდილმა,  
სიყრმის დღეები მოვწვევრე.  
მთვარე, ცას დაკიდებული,  
თხის ჯიქანივით მოვწველე.  
დანდობა დაკარგულია,  
უჟამო ჟამი წკრიალებს,  
ქარქაშში ჩასძინებიათ  
თეთრტარა ნაპერწკლიანებს.  
ხანდიხან მოვა ოცნება,  
ცეცხლივით ამბრიალებს,  
ესეა წუთისოფელი -  
წაღმა-უკუღმა ტრიალებს,  
გულში რომ შავი ღამეა,  
ნეტა ვინ გაამზიანებს,  
სიკვდილი რას მოგვერევა  
არაგველ-ალაზნიანებს.  
ბევრ მწარე გამოვიარე,  
სულში ვინ ხედავს იარებს...  
“დარდი არც უნდა ახსენო,  
თუ არვინ გაგიზიარებს”.  
ესეა წუთისოფელი,  
წაღმა-უკუღმა ტრიალებს.  
როგორც ჰგონია საწუთროს,  
ისე ვერ გამატიალებს.



\*\*\*

თვალში მძინარე ცრემლი ვარ,  
მამულზე ჩამოსატირი.  
ანატორ ჟამთა დენა ვარ,  
პირღრუბლიანი შატილი.  
მიცუს თორღვას ციხე ვარ,  
შავს ქარავს გამოშატილი.  
არდოტში - მურღვათ სიმაგრე,  
უკლო ქარებს რომ შავტირი.  
ხახაბოს ხახით ხირიმი,  
აწუნთის ქედზე მქუხარი.  
ზენ, გორზე - თალაის ციხე,  
მტრისაგან ნასულწუხარი.  
ხმალი ვარ დავითფერული,  
ყორნების სისხლში მდუღარი,  
აიეხ სახლ-კრის ჩამოშლა,  
აჭინჭრებული ბუხარი.  
სიჩუმე სასაფლაოთა  
და დანიუხე მძინარი.  
ერთ დღეს სულთ ამოდენა ვარ,  
ცა - მზეთ გამყოლი ვინ არი?!  
შენ თეთრი მთების თრთოლვა ხარ,  
ცა-ვარსკვლავების მანდილი,  
გული ხარ, საჯიხვეებში  
მკერდიდან ამოვარდნილი.  
მზისპირნაბანი წვიმა ხარ,  
ქარის - ბალახთად ქადილი,  
ჩავლა ხარ, ჩამოღამება,  
ვერ გამხელილი წადილი.  
ნარ-ეკლიანი საწუთროს  
ხან სათავე ხარ, ხან - ძირი.  
შენ ის ხარ, ვინაც ამოკლა  
ჩემი საწუთროს მანძილი.

## არაოც დაილევთან

არაოც დაილევთან  
ადგილნი ნაპირისანი,  
არაოც დაიშლებიან  
ციხენი ქვითკირისანი.  
არაოც დადუმდებიან  
ზარნი გუდანის ჯვრისანი,  
არაოც დათავდებიან  
საფიხვნოს - ქადაგ-მისანნი.  
არაოც დაიცლებიან  
ხევსურ ვინა ვართ, ვისანი...  
თუ ისევ მობრუნდებიან  
ტალღანი დიდის ზღვისანი.  
კვლავ აებმიან დროშანი  
ცის კლიტე-კარავისანი,  
ფარებით ჩაბნელდებიან  
ჭალანი არაგვისანი.

## თაია არდოტელს

მამამ მოგწერე ნამცეცავ,  
პატარა ბარათაია.  
მე ქვენისაკენ მივდივარ,  
აღმართი ამათაია.  
თვალებს რომ შემომანათებ,  
ვიფიქრებ: წაღმართაია.  
საყდართ გორ ამომირბოლე  
შენოდენ აღმართაია.  
ჩემო პატარა გოგონა,  
ჩემო პატარა თაია!

## ჩამოიყეფეს მთებზე ქარებმა

ჩამოიყეფეს მთებზე ქარებმა  
და ქარაფიდან გაქანდა მთვარე.  
რიჟრაჟზე ზეცა იყო მწუხარე,  
უფლის კარებთან ცა მგლოვიარე.  
ჩამოიარეს მღვრიე ტალღებმა,  
მამის თვალებში დაიმსხვრა მთვარე.  
მარტო ხარ, აბა რა გებალღება,  
გზები აღმართზე ამოამთავრე...

\*\*\*

დამელარა, დამერამლა  
შენზე ფიქრით ღაწვნი, მარი.  
შენ არ ჩანხარ და მე ახლა  
ვარ ვით მუცო ნაწვიმარი.

\*\*\*

სიზმარში მუცოს ლოდებზე  
შავი არღუნი მრიყავდა.  
შენ დანოს გზა-ბილიკებზე  
თავის თეთრონი მიგყავდა.  
ეხლა ის ქალა შინა მყავს,  
მუცოს რომ გოგო მიყვარდა.

## მოსისხლეს

მდინარე არღუნმა მომიკლა მამა.  
ვიპოვეთ 69-ე დღეს.  
უფროსი 8 წლის ძმაც არღუნმა გაგვტაცა სამზეოდან...

უფლის კურთხევით ამ კლდეთა რამლმა,  
თქვენთვის წყურვილის შვებად იაროს.  
თუ კი არსებობს ფერისცვლება,  
ეგ თქვენი სულიც ცას ეზიაროს.  
ვერ მოასწარით, მოხფერებოდით  
ამ წუთისოფელს - უიალალოს...  
დედას ნუ ვნახავ უმზეოდ მყოფელს,  
მამას არღუნთან უიარალოს.

\* \* \*

გაგახსენდები, როცა ქარები  
სარკმლებს და კარებს გლოვით  
დაღლიან.  
როს შესტირებენ ცას ტირიფები  
და ცივ ქვაფენილს შუბლებს ახლიან.  
დაგესიზმრები: ღამე იანვრის,  
როცა დაბარდნის ფანტელთა ბორანს,  
როცა კენტობით გულგაყინული  
მთვარე - ვეშაპის ცრემლი დაგორავს...  
დაგავიწყდები: როცა სიბერე  
მოვა... ყავარჯნით ჩაჰყვები ქუჩებს.  
დაუწყებ ძახილს გაფრენილ დღეებს,  
მაგრამ იმ დღეებს ვინ მოგიქუჩებს.

\* \* \*

სევდიანი მოლოდინი  
და თვალეზში ნალველი.  
დავიჯერო? - აღარა ვარ  
მაგ ღიმილის მნახველი.  
იმ დღეს შენი დამორცხვება  
როგორ ჰგავდა ლემადეს.  
განა ლექსებს დაგიწერდი,  
გული რომ არ ღელავდეს.  
ნეტავ მურღვას დარდის ციხეს  
მალე მომიწვერავედე,  
თორემ ვხედავ, მილამდება  
ბოლო ბედისწერამდე.  
ხონისგორის ცირცელივით  
რად იმორცხვებ დილამდე?  
ჯერ ხომ შორს ვარ, - არ მოვსულვარ  
მკერდის ოქროს დილამდე.  
რად გასურს ამ თეთრ ღამეებში  
მთვარის შუქით მტორავდე.  
ჩემო სევდის გზა-ბილიკო,  
ცრემლო ანატორამდე.  
განა მარტო ღიმილი ხარ,  
ან ტკივილი სულამდე,  
ცის სიმშვიდე რად წამართვი  
მთების გაზაფხულამდე.  
გირჩევ, ცოტა გამიწყერი,  
ცოტა შემაგულადე,  
მიღმახევში მთების დელგმავ,  
ცოტა გამოიდარე,  
თორემ წავალ, მართლა წავალ,  
წავალ, როგორც მდინარე.

## მზის ბარათები

ჩემო არდოტის წყალ-ჭალავ,  
წავალ და გაგემორები,  
მერე სხვამ ზიდოს წისქვილში,  
სადატიობო ფორები.  
ბორბალოს გადაივლიან,  
გადასერავენ ქორები;  
ტანზე აღარვის ეცმევა,  
მამ-პაპათ ჯაჭვის თორები.  
აღარც მანდილი იქნება,  
აღარც ჯარა და თხორები.  
ციხენი დაიშლებიან,  
აჭინჭრდებიან ხოლები.  
ქორწილებ აღარ იქნება,  
აღარ იდენენ მთხოვლები...  
უფალო, გადაარჩინე  
ყუნწზე მისულეხ ფხოვლები.

\*\*\*

მურღვაის ციხის კარზედა,  
შევხედნებ მდუმარე სოფელს,  
ცრემლებ იწვიმებს თვალზედა,  
აღარვინ მიდის თულუხით  
ხევში - ბაიტის წყალზედა,  
სიკვდილ ნუ წერებულიყოს,  
მურღვათ ჯამრულის ფარზედა.  
ამახდას შვიდი ვარსკვლავი,  
ამოიაროს ცაზედა,  
რას დახვალ დაღონებული,  
ნისლო, ტიალო, მთაზედა?!  
აის დროც მოვა, რო ვისხდათ  
ბევრან საფიხვნოს, ქავზედა,  
მოკეთეს ვემაკეთენათ,  
მტერს არ დავთანხმდათ ზავზედა.

\* \* \*

რა იქნებოდა პირისპირ  
შევყროდით ერთუროს არღუნთან.  
ან ერთად დავლამდებოდით,  
ან ვითენებდით ახუნთან.  
ერთმანეთს ავცდით... ეს ბედი  
რატომ და რისთვის გვაწვალებს.  
გული ლექსებით ნაფეთი,  
როგორ ჩავტიო სამკალეს?

## მე და შატილი

როს რუსთაველზე შენ და აპრილი,  
დადიხართ ერთად და უხმობთ მთიებს,  
ლოცვად გიგზავნით მე და შატილი,  
ფხოვის მთებიდან ლურჯთვალა იებს.

როცა აპრილის წვიმები მოვლენ  
და მომიტანენ ძვირფას ბარათებს,  
მე შენი თბილი თვალები მომკვლენ,  
დაეღვენთება მთვარე ქარაფებს.

როცა ჩაიცვამ ტანზე გაზაფხულს,  
ცად არ ივლიან რუხი ღრუბლები,  
მე გავლადღები... დღეს კი არაგვზე,  
ადარ ლაღობენ მოლალურები.

როს რუსთაველზე შენ და აპრილი,  
დადიხართ ერთად და ცა არ ტირის,  
შენს თბილ თვალებზე და ნაზ ღიმილზე,  
ვყვებით, ვსაუბრობთ მე და შატილი.



## მაგნოლიას

ალბათ შევხვდებით მთებში,  
და ვერ გაგიმხელ სათქმელს,  
რომ კვლავ ვაგროვებ შენთვის,  
მზისა და მთვარის ნათელს.  
რად არ მჯეროდა ქვეყნად,  
რომ დამტოვებდი მარტოს,  
წახველ... ობოლი მართვე,  
მარტოდმარტო ვარ არდოტს.  
ნუთუ არ მოხვალ, ქალავ,  
ნუთუ არ მეტყვი რამეს?!  
ვისზე ვუამბო ახლა,  
მტკვარს და თბილისის ღამეს?!  
ისევ დავეძებ თვალებს,  
მე რომ მიყვარდა ძლიერ,  
არაგვს ენგურის ტალღამ,  
ჰაუ, რარიგად მძლიე!  
დიდი სევდაა ჩემი,  
ბოროლაზედ რომ ბარდნის...  
გულს მწუხარება ჩაშლის,  
დარდის მდინარე, დარდის!

\* \* \*

კაცი რომ უნდა კაცობდეს,  
ამას რად უნდა მისანი.  
ჩვენ უფრო ჭრელნი ვყოფილვართ,  
ვიდრე ყვავილნი მთისანი.

საწუთრო ბინდი ყოფილა,  
ჩვენ კი-ფოთოლნი ხისანი.  
ავენტებით და ჩავქრებით,  
როგორც ვარსკვლავნი ცისანი.

## ბიორგი (ბიო) არაბული

\*\*\*

გვახსოვს, მამები მკვდრებს მარხავდნენ,  
საფლავებს თხრიდნენ,  
ჩვენ კი პატარებს ყველაფერი ძლიერ გვიკვირდა,  
თავშლიანები დასტიროდნენ, დედები იდგნენ,  
მხედრები ცხენებს ამზადებდნენ და ჩვენ მინდვრიდან  
ვუთვალთვალეზდით, ვივიწყებდით გარდაცვლილს, ხალხი  
მიუჯდებოდა გრძელ მაგიდას, მერე კი სვამდნენ,  
ჩვენც იმათ გვერდით გავიზარდეთ, დიდები გავხდით  
და წამოვდექით, როცა ჩვენი მამები ადგნენ.  
ბებიის კალთის ჯიბეებში სულ იყო ვაშლი,  
ვერ დავივიწყეთ მისი გემო, გვსურდა ყელამდე  
ამოგვეტენა მუცლები და მეზობლის ბავშვი  
ჩვენთან რჩებოდა, მისი დები მუდამ ღელავდნენ.  
ვერ დავივიწყეთ ცრურწმენა, რომ ურნატის მოკვლა  
გამოიწვევდა დედის სიკვდილს ანდა პირიქით,  
დასჭირდებოდა ვიდრე პაპას საწოლში მოვლა,  
ჩვენც მასთან ერთად დავდიოდით, მასთან ვიდექით,  
როცა სტუმარი ეწვეოდა, როცა გამვლელი  
შემოვიდოდა, ჩვენც ვისხედით ხშირად მთვრალეზთან,  
ნაჭრევი ჰქონდა პაპას ყელთან ერთი მტკაველი,  
სიკვდილის პირას ჩვენი შუბლი ძალას ჰმატებდა.  
ვერ დავივიწყეთ, ბებია რომ ითვლიდა დღეებს,  
როდესაც მამა წავიდოდა ჩვენი სოფლიდან,  
ძმები ცულებით მივდიოდით, მოვჭრიდით ხეებს,  
მთელი ზამთარი სამი ხე და ფიჩხი გვყოფნიდა.  
ვერ დავივიწყეთ, ბებიები როცა ბოსლიდან  
გამოდდიოდნენ, სულ რაღაცას ელოდებოდნენ,  
ერთ გაზაფხულზე ის „რაღაცა“ მათთან მოვიდა,  
ჩვენც გვემინოდა, ვარსკვლავები როცა წყდებოდნენ  
ჩვენს სოფლის ზეცას...და მამები ბოლოჯერ თხრიდნენ

სასაფლაოზე შავ საფლავებს, კრთებოდნენ წლები,  
დედები ისევ ცრემლიანი თვალებით იდგნენ,  
ბალახდებოდა ბილიკები და სოფლის გზები...  
არაგვის გვერდით გავიზარდეთ, დიდები გავხდით,  
ვერ გავამაგრეთ, ჩავანგრეთ ბავშვობის ხიდი,  
ემარხავდით მკვდრებს და აკლდებოდა  
ჩვენს სოფელს ხალხი,  
მერე კი ერთად ჩვენ მამების საფლავებს ვთხრიდით.

## ნინო სადღობელაშვილი

### საარაგო

აფრინდენ ფხოვის ქედნები,  
ნისლები გადიშრიალეს,  
ჩემო წყაროსწყლის აღმასო,  
გულო ცამიწათიალო!  
მოგძახი! დევის ნავალზე  
მზის თვალი ლურჯად ბიბინებს,  
მომაქვს ნატკენი ძვლებიდან  
თავგამოჩრილი პირიმზე!  
მოგძახი! გზები გავფლითე,  
როგორც მგლის ლეკვმა ჩრდილები,  
იმ შუალამეს შევესწარ  
მთებს რომ გაუჩნდათ შვილები.  
განა სათქმელი რამე მაქ,  
ან განა ვიცი რა მინდა,  
შენ მყევხარ, ჰოდა გეძახი  
წუთისოფელის გალმიდან!  
ნეტა მას, ვისაც თავისი  
მეორე ცალი დაუდის,  
გასძახებს, მთებს გააჟრჟოლებს,  
ცას თავს უბეში ჩაუდებს,  
უფალს მადლობას შესწირავს,  
დარდის კუბოდან ადგება,  
მარტო თავის თავს კი არა,  
ქვეყანას გამოადგება!

\* \* \*

მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,  
მოჰყვება ირმების ჯოგი,  
მკლავზე გადაიფენს მთვარის ნართაულებს,  
ღრუბელს არ დაუჩოქებს.  
ნეტავ რას ვამსგავსო ჩემი ნანდაური,  
ეს ჩემი დარდების აღე,  
გავუშლი ლოგინად ბალახის სასთაულებს  
და ჭერად ნეკერჩხლის თალებს...  
საიდან მოვალის შორით სადაური,  
შეშურდეს სიკვდილსაც გზაი,  
მთებზე გადმოდგება ჩემი ნანდაური,  
დახვდება თავისი დაი,  
იმათი შეყრისგან ელვით გაავდრდება  
და მერე მზით გაიდარებს...

## ცხვარი

კვრივამდე კი არ უნდა მიგეყვანე,  
სადმე გზისპირას დაგესვი და  
მიგეტოვებინე,  
ხავსიან კუნძულებში მაინც  
არავის ავერეოდი,  
იქნებ ფესვიც გამედგა და  
შევხორცებოდი დედამიწას  
და სადმე მაინც დადგებოდა  
ჩემი ალაგი.

კვრივამდე რატომ მიმიყვანე,  
კისერზე თბილად მოგდებული,  
მოლოდინისგან დახორკლილ გულზე  
მრავალძარღვებად რომ გეფინა  
ჩემი წითელი ბატონები,  
ჩემი შიშის და სინათლის ბატონები -  
ჩემი ალისფერი ფოთოლი...  
რა გზამ შეგაგდო იმ აღმართზე,  
რა თვალმა ჩაგინახა სამყაროს ფურცელში:  
კვრივისკენ ელდით მიმავალი,  
კისერზე ბავშვით,  
რომელიც მერე სამუდამოდ  
დაუფლებული სიცოცხლის წილ -  
სულ სხვა მინდორზე იკიკინებს  
და სხვა ღრუბლებს შეეწირება.

## დავით ჭალიძე

### მზებუდობა ხევსურეთში

ბალათერაის გორიდან  
ჩავხედავ ბარისახოსა,  
ჩამოგვესტუმრა მზის თვალი,  
მაწენე აღარ ჩანს ახლოსა.

მარგალიტების კრებაა  
ბარის და მთების ახლოსა,  
ღმერთიმც გაუწყრეს, საცუდოდ  
ვინაც მათ ხელი ახლოსა.

ფიქრს იკრიბავენ, დოღს მართვენ,  
შორს ჭვრეტენ, განა ახლოსა,  
მით იმკვიდრებენ მიწიურ  
ზეციურ სამოსახლოსა.

ვინ, თუ არ ახალგაზრდამა  
ცხოვრება განაახლოსა,  
წარსული მძლავრად მოზიდოს,  
მომავალს მიაახლოსა.

ტანი ჭურჭელად იძერწოს,  
სასუმელს შეაახლოსა,  
თავგანწირულად შეეხას  
უხნავ ყამირს და ახოსა.

ბალათერაის გორიდან  
ჩავხედავ ბარისახოსა,  
ჩამოგვესტუმრა მზის თვალი,  
მაწენე აღარ ჩანს ახლოსა.

## როშკის ქვა-კლდეთა ჩივილი

როშკის ჭიუხმა იჩივლა -  
შვილებ ჩავგზავნე როშკასო,  
მით დავასახლე სოფელი,  
ვინც უნდ სთიბოს და მოხნასო.

ახლა გამოჩნდნენ, ვინაცა  
ფიქრობენ სოფლის მოთხრასო,  
რომ სიხალისით აღარც ვინ  
არც სთიბოს, აღარც მოხნასო.

გან მაგისათვის მიშრომავ,  
მკერდს მიგლეჯია ლოდები,  
რომ სიმდიდრეში ჩაინთქან  
ქვეყნის'დ ურგები ყროლები.

გან მაგისათვის ჩავსდით  
იახსარმ გველეშაპოსა,  
რომ ჩავარდნოდა სინათლე  
ხელში ამ სოფლის მყლაპოსა.

არ შესცდეთ, რომკიონებო,  
შუქ არ დაჰკარგოთ ხვთისაო,  
ზეცის ნაშუქი მიწიდან  
მხოლოდ კლდის გავლით სცრისაო.

კანონის კლდეებს უფრთხილდით,  
ეგ არის თქვენი განძია,  
მხოლოდ მათ ძალით თქვენშიაც  
სიკეთის შუქი ანთია.



ახალ დროებას რაც კი აქვს  
კარგი, მხოლოდ ის წარვსტაცოთ,  
ფული არ გვინდა, გველს ოღონდ  
ის ნატურისთვალის მოვსტაცოთ.

რითაც უკვდავნი გავხდებით,  
გავალამაზებთ მიწასა,  
კაცსაც თავისას მივუზღავთ,  
არც ვალს დავიდებთ ცისასა.

## ლია ლიქოკალი

### აშექალის ქორწილი

ორი ბუ კივის ორი გორიდან,  
ორი სახლი გაჰკივის ერთმანეთს:

- წავიდა აშექალი?

- წავიდა, წავიდა...

მისი სახელი მთვარესავით კიღია ცაში.

წავიდა აშექალი, შიშინებს ჭინჭარი  
და ჩემს სიყრუეზე კბილები აცვდება.

ვზივარ, ჩამწვარი ნაღვერდალივით  
ნაწილ-ნაწილ მემლება თავი.

წევს აშექალი. მშვიდი და შავი.

ღამეს გაგითენებ , აშექალო.

ისე დაგიჯდება, როგორც კრუხი  
და ქოთქოთით დავაფრთხოვ ლანდებს,

შენს გასათრევად გამოშვერილ

შავ ფრჩხილებს რომ ჩამომისვამენ.

ღამეს გაგითენებ, აშექალო.

გიაძობ, როგორ შემეკრა ყელში მწკლარტე სუნთქვად  
უშენო, ცარიელი ქვეყანა.

...

როგორ მივაყუდეთ თავები ერთმანეთს, აშექალო...

ბალახში ფუტკარივით იჯექი თმაყვითელი,

შენს თვალებს ვამღვრევდი, როგორც ლურჯ გუბეებს.

შიშველ ტერფებს ძირს დაყრილ მაყვალში ვისრესდი.

პირს მომწმენდდი ჭრელი კაბის კალთით,

მაყვლიან პირს.

ქალი ხარო, სირცხვილიაო, ამბობდი,

წვრილ ხელებს მომხვევდი -

ჩემო დობილო, უნდა იცეკვო ჩემს ქორწილში,

ჩემო ასკილო, - მეუბნებოდი.

მინდვრის ყვავილებივით ობოლი დობილები,

მე და შენ -მზეთვალეები.

ახლა ნახე შენი სიცილი, შენი სიცოცხლე,

ხმელ პიტნასავით ჩაფშენტილი წყლიან ჯამში,

ჩემი კაბის ნახევს რომ ვაწებ და სახეს გიწმენდ.  
თავს ვერ მოვუყური შენს გახსნილ ტუჩებს -  
ნამაყვლარივით შეგხმობია მათზე სიკვდილი.  
ვზივარ. ჩემს ფეხებს შენი ჭუჭყის ჭიანჭველები შეესივნენ  
და მლაშე პურის კვერებივით გიცხობ ნელ-ნელა  
საგზლად წასაღებ ჩემს მშრალ ცრემლში გაბანილ სიტყვებს.

წავიდა აშექალი, მითხრეს, შენი ობოლი დობილი.  
გამოიკეტა კარი და უცხო გზას დაადგა.  
ლურჯი ნარი ღელავდა მინდორზე  
და ჩემი წითელი წვივები  
ზღვაში დაკარგულ ნიჩბებივით ტივტივებდნენ.  
წვიმდა.

წავიდა აშექალი.

სისხლი მდიოდა კაბის ქვეშ.

გავრბოდი.

იქნებ მომესწრო მაინც და მეთქვა...

სველი თმის კონით მცემდა ბალახი.

გავრბოდი.

გზაზე ღღვებოდა აშექალის ზურგი,  
ქვამარილივით მიდნებოდა თვალებში.

ვიწმენდდი ტუჩებს, აშექალო.

ქრისტესისხლას წვენივით ვიწმენდდი ტუჩებს:

გადამეწმინდა უნდა ნაკოცნი.

უნდა მომესწრო შენთვის და მეთქვა:

ამომთხარე, ამომიბრუნე ფესვები,

მიწასავით ჩამომფერთხე მისი ხელების კვალი და წაილე...

ნეტა მოგიკვდეს შენი თვალჭრელი დობილი, აშექალო...

შენი გულჭრელი დობილი.

შენი კაცის თვალების ქურდი,

შენი კაცის ტუჩების მძარცველი.

შენს კვალს ამოვუკოცნიდი, აშექალო,

ცეცხლის ზღვა მივლიდა მუცელში.

ეკალი გამოვისხი, აყვავდი, აშექალო,

გვიან დაინახე შენი დამწიფებული ასკილი, აშექალო...

...

ისე წევხარ, თითქოს სული მოითქვი  
სულეთის მინდვრების დედამ  
გიგროვებია ველური მარწყვი, თავსვილას ღეროზე აგისხამს.  
ველარ გიჭამია, ჩაგჭყლეტია ხელებში.  
მე თუ მხედავდი, მას თუ ხედავდი ისევ, აშექალო,  
ისეთი ფერი ადევს შენს სიკვდილს,  
ღია პირიდან დასიებულ ენასავით რომ გამოგჩრია.  
თუ ხედავდი,  
ხევის პირზე რომ დამეწია  
და ყურთან ჩურჩულით მომიგერია წვიმის თითები.  
მითხრა: წავიდეს აშექალი.  
ახლა აღარ მოვეფარებით ბუჩქებს,  
აღარ დაგიკენკავს შიშველ ტანს ეკალი.  
ველარ დაგინახავს -  
მშვიდად ვაჭამოთ მარწყვი ერთმანეთს.  
დამალევინე ვარდის წყალი შენი კანიდან -  
თვალეების ტყვიას ველარ დაგვაყრის აშექალი.

...

სანამ ჭოტივით ტყეებს გაჰკვივის  
თმაყვითელი შენი დობილი,  
ობოლი, გულსისხლიანი ძუკნა მგლის ლეკვი,  
სანამ ხევსგაღმა შავი თვალივით ბრმავდება  
მისი ცარიელი სახლი,  
წადი, იცეკვე, გვერდზე დაისვი მისი დანიშნული,  
გადაიხადე ქორწილი, - მითხრეს.

...

ჩამობერებულა შენი სამოსიც.  
შენი სიმარტოვის სიმწარეს დაუფხავებია.  
წევხარ, ცეცხლის შუქი გადაგდის შუბლზე.  
ზიზღის ნაოჭებს ჩამოგწმენდ სახიდან -  
მიყურე.  
მიყურე - რამდენი წელია, არ გინახავს შენი დობილი,  
ჩემს ჩრდილს ხედავდი და წყევლიდი.  
ჩემს კვალს ნაცარს აყრიდი და ისე გაივლიდი.  
მინდა, დამლოცო,

ერთი სიტყვა გადმოაფურთხო საჩემოდ და  
ასე დამლოცო, აშექალო;  
მოკვდი, მოკვდი, ათასი წლის ყვავო.  
იქნებ მართლა ტყეში იჯექი,  
იქნებ მართლა ტყეში იცხოვრე ის სამი წელი.  
მგელმა გააჩინა, ამბობდნენ შენზე.  
იქნებ აშექალი მგლის ლეკვებს აჩენს, ვფიქრობდი მე  
და ისინი ყმუიან ღამლამობით,  
როცა კაცტიალის ხელები ტანს მიწვავენ.  
ტყის სულად იქეცი და ნისლის თვალეზად.  
ყველაზე მაღალ ხეზე ჯდებოდი  
ჩხიკვად ქცეული და გვწყევლიდი  
და როცა ერთმანეთი სიძულვილამდე შევიყვარეთ,  
გაიხსენე ზურგიდან კუზივით მოწყვეტილი შენი სახლი.  
ხევს გაღმა მკვდარი მაჯლაჯუნა.  
როცა დაბრუნდი,  
წისქვილის ქვასავით დაბრუნდი ჩემს თავზე, აშექალო.  
და აჰა, ვისხდეთ ახლა,  
დღედამდგარი და ჟამდამდგარი,  
ზოგი ცოცხალი და ზოგი მკვდარი.

...  
ხევის ერთ მხარეს, გორის წვერზე,  
ობობასავით ზის შენი სახლი,  
მწვანე ქსელივით გადმოშლის ეზოს.  
მეორე მხარეს ჭიანჭველების ბუდეგავით ფუთფუთებს  
ჩემი ათასი შეშლილი თავით გამოტენილი მშიშარა ქოხი,  
პერანგივით რომ შემოვიცვითე.  
სხედან სახლები ისე, როგორც უმძრახი ბუები.  
როგორც მკვდარი კუნძულები წებოვან ნისლში.  
სხედან, უკვე ასი წელია.

...  
რა ქალია აშექალი, მითხრეს.  
ლამაზი.  
კაცის თვალს ღილივით აიწყვეტს მკერდიდან,  
გაივლის - ჩაწვავს, ჩანაცრავს მიწას,  
მზეს ვაშლივით ჩამოამწიფებს.

თვალეზი უნდა დავთხარო,  
სისხლი უნდა გამოვწოვო ჩემ კაცტიალს,  
ტანში უზის თმაცვითელი.  
ძაღლო.  
ძაღლივით ითრიე ჩემი ძვლები, ჩემი ძარღვები  
მზეზე ფარდაგივით გადმოფინა ენა აშექალმა.  
შეჯდა თავის დაყრუებულ სახლში,  
როგორც მარტოხელა ბაცაყი.  
ქვებს თუ გააჩენს, გველებს თუ გააჩენს მაგის მუცელი,  
ეგ ბერწი ძაღლი - ამბობს ჩემზე.  
თავებს აწყვეტს და უმად ჭამს ქათმებს აშექალი, მითხრეს.  
შესალოცად დაჰყავთ ბაღლები მასთან.  
გამოულოცავს ავი თვალისას...  
მიშველე, აშექალო...  
ნეტა ხევში დამაგორებინა ეს კაცტიალი.  
ზის და შენი სიტყვის სუნით მყრალდება.  
მის ნაჭამს ვჭამ, მის კოვზს ვლოკავ,  
მის ნაპირალ ჯამს ვიყუდებ -  
შენი გემო მოჰყვება, აშექალო.  
იქნებ შემილოცო, სიზმარი ამესია:  
სამი ბაღლი თამაშობს მინდორში.  
შენ ჩემი კაცი ხარ, ამბობს აშექალი.  
მე და შენ ქორწილი გვექნება, ეს იცეკვებს.  
ვცეკვავ, ისინი გვირგვინებს იდგამენ.  
თითის წვერებზე აიწევა და ყელში კოცნის აშექალი.  
ვცეკვავ, ძილის მზეში ღვივდება ქორწილი.  
ვიღვიძებ, ყელზე ნაკოცნს ვუძებნი -  
ხელის კვრით მიშორებს კაცტიალი.  
შემილოცე, აშექალო, ჩემივე ავი თვალისა,  
ჩემივე შავი გულისა.  
ისე გავიყარე გულში შენთვის მოპარული წლები,  
როგორც ჟანგიანი საქსოვი ჩხირები -  
ნახევრად ამოქსოვილ წინდასავით ცალ ფეხზე ძლივს  
ამომეტია ცხოვრება.

...

გაგხადე. უცებ შეწყვეტილი ჩურჩულივით გაშეშებულან

შენს ტანზე მარღვები.

ყინულის თხელი, გრძელი ლოდევით წევხარ და იქნებ  
გათენებამდე არ დამიდნე.

შეგმოსავ ახლა სადედოფლოდ, ჩემო დობილო,  
ქორწილი უნდა გადაგიხადო.

...

ხმელი კაკლის ხეები ნისლში ტოტებს ფარჩხავენ.

ცას ჩამოიცვამენ, წვიმის სისხლს ადენენ.

ჩემი კაცის ფეხის კვალი გიშრის მძივივით შემოუვლის  
შენს ეზოს.

უნდა დაგწეოდი მაშინ და მეთქვა -

აჰა, შენი იყოს.

სისხლი მდიოდა კაბის ქვეშ.

ლურჯი ნარის კივილს სველი აპკი უსკდებოდა მინდორზე.

წავიდა აშექალი. წავიდა სისინით,

ეხლა გაჭამოს მარწყვი ხელისგულიდან,

მესამის ბნელი ვნების ბოსელში გაცხოვროს...

ჩემი კაბის სახელოები ტყუპ-ტყუპად აჩენდნენ

შენს ხელებს, აშექალო.

იზრდებოდნენ ისინი, ყვაოდნენ,

შენი წვრილი, გრძელი ხელის მტევნები.

ყელს უღელდნენ კაცტიალს,

გულის თავზე ემარხებოდნენ.

ვერ ვაჩერებდი.

ავილებდი ხელებს, კუნძზე დავაწყობდი,

ქვით ვცემდი, ვჭყლეტდი და ვჟეჟავდი.

ჩიტებივით ვხოცავდი ხელებს,

ყაყაჩოს ფურცლებივით მცვიოდა ფრჩხილები.

სახეზე შენი ტუჩები მენტო, აშექალო,

დაგვალულ თიხა-მიწასავით სკდებოდნენ ისინი

და ვერაფრით იკლავდნენ წყურვილს

ჩემი, ჩემი, ჩემი კაცისას.

თმა ქერის ყანასავით მიშრიალებდა და ფერს იცვლიდა.

დილას ვიკრეჭდი და ღამე ისევ ამოდიოდა შენი თმა.

ჩემი ფეხები ბატკნებივით დასდევდნენ კაცს უკან,  
და ერთხელაც ბასრი ცელის პირი  
ისე ამოვისვი მარცხენა კოჭზე,  
როგორც შენი გალესილი ენა, აშექალო.  
ამოვიჭერი.

დავჯდები, მოვიხდენ სიკოჭლეს,  
სიგიჟის ნელ ცეცხლზე ჯოხზე წამოცმულ სოკოსავით  
წავტუსავ დღეებს.

წლებს ისე დავიმატებ, როგორც მატყლს საზამთრო საბანში,  
ჩემი კანის ჭკნობაში ჩავთბები შემრეშილი ხილივით.

დავჯდები. ლადარში თამბაქოს ტოტებს ჩავყრი,  
თვალეებს მივუშვერ დასაბრმავებლად  
და გულდაგლეჯილს ბნელი ტყიდან მომისვენებენ.

შავი თავშალი დაიხვიე, აშექალო.

მოგიკვდა.

ლოდივით მიდევს შენი კაცი,

მგლის ეშვი ამოაფურთხა გადაფლეთილი გულიდან.

...

ყოფილა აშექალი, მითხრეს.

ყოფილა კაცტიალის ტირილში.

ბოსლის უკან ჯოხზე დაყუდებულა,

თვალეები ყორის ქვებს შუა გაუჩრია,

ქუსლით უზელია ნეხვის გუნდა,

ხმა დიყის თესლივით გამოუფშვნეტია კბილებს შორის,

ნიშა მოზვრისთვის ხელი შუბლზე დაუყოლებია,

სანამ დაკლავდნენ

და მიბრუნებულა. თავადერილი წასულა.

მზედ ჩასულა გორისპირზე ხევში აშექალი.

ფარდაგში გაახვიეს, წაიღეს, დაფლეს.

მივალ, ჯოხს დავეყუდები, შორიდან გავხედავ საფლავს.

მიხვალ, თავთან ჩაყუდებულ ქვას ხელს დაადებ.

გაშლილი ლოგინივით გველოდება

მე და შენ კაცტიალის საფლავი.

ავდგეთ, ჩავიცვათ, ავისხათ საქორწილო სამკაული,

წევს მატლის მძივ- ღილით მორთული ჩვენი ნეფე,

ტანზე ჩემი ნაქარგი ტალავარივით აცვდება მიწა.

...



წავიდა სოფელი. გალოკილ თითებივით დაგვტოვა,  
ჩვენი ვნების დარაჯები.  
წავიდა ერთმანეთს მიბჯენილი,  
სასროლად მომართული თოფის ლულეებივით დატოვა  
ჩვენი სახლები.  
წავიდა კაცის ფეხი ძაფივით ამოსახვევ ბილიკებიდან.  
შემოუსვლელი კაკლის ლებნებივით  
შავად დაჭლექილი დღეები დამიდგა.  
ნისლში გადავყარეთ თვალები - მაშხალები,  
ვესროლეთ ერთმანეთს მე და აშექალმა.  
ბოლი ამოდის ჩემი სახლიდან,  
ბოლი ამოდის მისი სახლიდან.  
ბოლი ამოგვდის მე და აშექალს.  
ხელს გამოყოფს შეხსნილი კარიდან,  
ნაცარს გადმოყრის, ფურთხს მოაყოლებს.  
ფესვივით თეთრია აშექალის ხელი.  
ნისლი კაცივით დადის სოფელში.  
გამოვალ, გამხმარ ფეხს ავითრევ, გავხედავ.  
ისე შემორჩნენ ქოხები სოფელს,  
როგორც საფიხვნოს ყრუ-მუნჯები.  
შავ-შავ მეჭეჭებს გამომაყრის  
ხევის წყალში თავჩამხრჩვალ მათი სიჩუმე.  
აჰა, აჩქამდა ჩემი ბერწი მუცელი, აშექალო.  
ქვირითივით დაყარა სიკვდილი.  
გორდაგორ მოვიდა, წყალდაწყალ მოვიდა სიბერე.  
აგვეკრო, როგორც სველი ფოთოლი კაბაზე.  
ისე გვაბია ერთმანეთი, როგორც დამხმარი კიდურები,  
წლებს ჯოხებივით დავიარგნებთ.  
თოვლში გავკვალავთ უთქმელ სიტყვებს,  
სიზმრებს გადავცვლით.  
დავსხებით, როგორც ერთმანეთის წყევლაში  
კბილებდაცვეთილი  
სიმარტოვის და სიკვდილის დედები.  
ორი ბებერი ნეხვის ხოჭო,  
ძილ- ღვიძილის გასაყარზე მიჩუტულ  
დღეებს რომ ასორსოლავებს.

ჩვენი სახლები აკვანივით გვირწევენ სხეულებს,  
ზღურბლის წაკვრით გვაქანავებენ.  
ისე მოგვიჯდა ცხოვრება,  
როგორც ცივა უპატრონო ცხედრების სუფრას,  
ამოგვიჭამა თვალები.  
ეკალს იწეწავს მინდორში ნარი.  
ჩემი შიშის სისხლი ჩამოსდის.  
შენმა სახლმა ბოლის ბოლო ყლუპი ჩაყლაპა.  
ვზივარ, დაბლანტებულ თვალებს ფანჯარას ვაჭყლეტ,  
ლამე ტალახივით ჩამომდის სახეზე.  
ჩემი კაკლის ხე დილის ნისლში ყვავებს ისხამს  
და შავად ამწიფებს.  
წავიდა აშექალი, ჩხავიან ისინი.  
თვალის ბროლივით ჩაიტეხა ფანჯარა სახლმა  
და დამპალი ფილტვებიდან ამოუშვა ქალი კვამლივით.  
წავიდა აშექალი, კივის იელი გორიდან.  
ჩემი დობილი აშექალი.  
ნაცრის ცომივით გავზილე ის დღე.  
ჭვარტლით გამივსო პირი შენმა ცხელმა სახელმა.  
ვერ დავიძახე.  
სხედან ყვავები და ყროლდებიან:  
შენ დობილ აშექალს თავი სამიწედ ჩაულაგებია და წასულა,  
ბებერო.  
როცა დაღამდა, ჩიფჩიფით გავიარე  
ეშმათ ბუდედ ქცეული ხევი  
და გამხმარი ფეხი სიკვდილის ჯოხივით შემოვდგი ეზოში.  
კარი შემოვხსენი. გნახე.  
ლამეს გითენებ, აშექალო.  
კრუხივით ვზივარ შენი ბოლო სიზმრის ბუდეში  
და ჩვენი დობის დალაცებული კვერცხებიდან  
უსუსურ ხილვებს ტყუპ-ტყუპად ვჩეკავ.  
გიაშობ, როგორ გამიფაფდა ცა მღვრიე ნისლში,  
სიძულვილის ჩირქში დამბალი ვერგამოცვლილი  
სახვევივით ჩამილპა სული  
და ჩემი თავი ნაწილ-ნაწილ, კიდურ- კიდურ  
ვკაფე და ვკალი.

\*\*\*

ცისკრის სხივებს გამოშლი შუბლიდან მშვენიერი,  
აიშლებიან შენს კაბაზე აყვავებული ჩრჩილის პეპლები.  
მსუბუქი ხარ.

კარგად გამოგახმო სამიწე ჩირად ცხოვრებამ.  
მარხილს მოგიტრევ, როგორც ტახტრევანს,  
დაგაბრძანებ -

ქორწილი უნდა გადაგიხადო.

გათენდა და გავამოქცეულ ვირივით შევები მარხილში.  
წავიბჯინე წერაქვი, ტარში სისხლად რომ ჩასდგომია  
კაცის ოფლი.

წინ გავირეკე ფეხები ჩემი მუხლების დედინაცვალმა.

მე და მარხილი ხმაშეწყობით ვჭრიალებთ, ვმღერით.

მოგვყავს დედოფალი - აშექალი.

მიწავ ,დაგვახვედრე ფერადი სეფა,

საქორწილო სუფრად გაშლილი საფლავები.

კიდევ ყოფილა მზე საჩვენოდ, ნახე...

რამდენი ხანი ვლპებოდით ნისლში.

ნახე, რა დღეა. საზეიმოდ მოირთო სამზეო.

მოდის აშექალი - კაბებს ისწორებენ, ღელავენ გვირილები,

მაგრამ შენ უფრო მშვენიერი ხარ.

ფრთებივით გადმოშლი ხელებს მარხილიდან,

ჭიამაიებს ბეჭდებივით აისხამ თითებზე.

თავზე შემოუდგამთ თეთრი გვირგვინები,

აშექალის ქორწილში მიდიან კენკეშები.

მაგრამ შენ უფრო მშვენიერი ხარ,

ტყემლების ყვავილობა შეგინახავს შავი თავშლის ქვეშ.

მოჰყავთ მინდვრებს კესანე -თვალეები აშექალის მაყრებად,

მაგრამ მისი თვალეები უფრო ლურჯია -

უპეები გამოუვსია ცის ნატეხებით.

ხევში ბუერის დაფდაფებს დაჰკრავენ ნემსიყლაპიები,

სვინტრი მსუბუქ ზანზალაკებს ააწვრიალებს,

მოდის, მობრძანდება აშექალი.

ახლა უნდა მეყოს ძალა და შუა გზაში არ გამითავდეს

ჩემი თავი,

ბალახს უნდა წავებლაუქო,

რამდენჯერმე პირით დავღერლო  
ფეხქვეშ ჩაშლილი თეთრი ქვიშა,  
ავებლატო მზის კვალს ხვლიკივით  
და გორის წვერზე აგაბრძანო.

აქ წევს.

მირხვენად ამოზრდია გულიდან  
შენთქვის უთქმელი სიყვარული, აშექალო.

ბოლომდე რომ ვერ მოინელა.

ჯერ ეკლებს გავგლეჯ, მერე გავთხრი.

მოდი, აშექალო. აქ არის, ნახე.

გადავაფხრეწ სახის ძვლებზე ჩაფრენილ ფარდაგს.

პეშვებს ჯამებივით შევუშვერ მისი ხორხიდან

შავ სიცილად ამოშლილ მიწას.

წევს კაცი.

ისე ლამაზი, როგორც დილის ცისპირი.

წევს კაცი.

ნახე, რა ახოვანი ყოფილა.

ნახე, რა ახალგაზრდა ყოფილა.

მისთვის უკვე ბებრები ვართ, იქნებ კიდევ დაგვიწუნოს.

გულზე მიწას გადავწმენდ და დაგაწვენ,

ჩემ კაცთან დაგაწვენ, აშექალო.

პირქვე ჩაგაწვენ -

ჩაუკოცნო გველის დახრული ყვრიმალები.

ჩაეშალო და ჩაეზნო გულ-მკერდით,

მწარე თაფლივით ჩადნე მიწაში.

თვალეხს იფშვნეტენ ღიღილოები,

ღოღოს ფოთლები ცისკენ აშვერილ ენებივით სავსავებენ.

ხავსიანი ლოდები გადაიყარეს გულიდან საფლავებმა

და წამოსხდნენ, წამოიშალნენ, ჩემს სანახავად

მოჯარდნენ მკვდრები -

უნდა ვიცეკვო აშექალის ქორწილში.

მოვიძრე შავი თავშალი და ფეხით გავსრისე, როგორც ჯოჯო,

სისინით ჩასრიალდა ღია საფლავეში.

თმა ჩამოვშალე, ყვითლად ამდის სიბერის ბოლი.

ოქროს კვერთხივით შევმართავ ჯოხს, დავიკვივლებ

და ჩემი გამხმარი, კუნთწათლილი ფეხი  
იელის ყვავილს გამოისხმს.  
დავტრიალდები, ფუტკრებს დავიხვევ,  
ცას ფრჩხილებით ჩამოვხვევ,  
გავთელავ ბალახს, მარწყვს ამოვსრეს  
თქვენს სუფრაზე დამწიფებულს.  
ნახე, აშექალო, ლამაზები ვართ, როგორც ბალები,  
ფიჭვის ტოტებქვეშ მომღერლები გაზაფხულის ჭალაში.  
ჩამოვიცვათ თავზე გვირგვინები  
ავადმყოფი ნარის ყვავილების.  
ისე ვიმღეროთ მე დღე და ღამე,  
მზე და უკუნი.  
ისე ვიცეკვოთ მე და შენ,  
ვერავინ გაიგოს, რომელია ჩვენს შორის ცოცხალი,  
რომელია ჩვენს შორის მკვდარი.  
წავიდა აშექალი, ვიმღერებ,  
ჩემი დობილი აშექალი გულზე ასკილს აიყვავებს.  
ჩემი დობილი აშექალი ასკილივით ამომდის გულიდან,  
ჩემი დობილი აშექალი ყვავის...  
დავთვერი აშექალო, შენი სიკვდილის ღვინო ვსვი.  
სამისთვის ვშლიდი ლოგინს, სამისთვის ვთხარე საფლავი.  
ფესვებივით მეზრდებიან თითები, მიწას ეჭიდებიან,  
ისევ თქვენთან მოძვრებიან ეს დაწყევლილები.  
მოდი, გავცვალოთ ხელები, აშექალო,  
მკვდარი ცოცხალზე გავცვალოთ -  
ხელებს ჩამოგიწვენთ. მოვეფერები.  
მოდი, თავები გავცვალოთ, აშექალო,  
შენი მკლავები დამიტოვე,  
შენი ჭორფლიანი მკლავები - ფრთებივით დავიქნიო,  
კაკლის ხეზე შემოვჯდე და სამასი წელი,  
სამჯერ სამასი წელი  
შავ მზესავით ვიჩხავლო ნისლში:  
წავიდა აშექალი, წავიდა...  
ძვლებში გამოიკრა ჩემი ცხოვრება და წაიღო...

## ნეტა საფართოებებს არ ვაცხოვრებდე

ნეტა საფეთქლებზე თმა არ მეხვეოდეს  
და თმის ბოლოები თეთრად არ მიხუნდებოდეს.  
ნეტა შუბლზე ოფლიანი ღარები არ მქონდეს.  
ნეტა ზედა ტუჩზე ბურნუთის მწვანე კვალი არ მეტყობოდეს.  
ნეტა ღაწვები სიცხის ტკაცუნზე არ მიწითლდებოდეს.  
ნეტა ნათიბ ბალახში ჩამჯდარს ნალების სუნს არ ამდიოდეს.  
ნეტა წინსაფარზე ფქვილიან ხელებს არ ვიწმენდდე,  
ნეტა კაბის ბოლოს მუხლებზე არ ვიფარებდე,  
როცა წითელ ქუთთაზე გვერდულად ფეხს მოვიკეცავ.  
ნეტა საქსოვიან ნაჭრის პარკს არ ვატარებდე  
მკლავზე წამოცმულს  
და ფერად ძაფებში არ მეხლართებოდეს ქსოვისას  
დაგრეხილი თითები.  
ნეტა აღარ ჭრელდებოდეს ჩემი მოქსოვილი წინდები,  
ნეტა გატეხილი სათვალე  
ცხვირის კეხიდან არ მიცურდებოდეს.  
ნეტა შინდის ჯოხს არ ვიარგნებდე, როცა ბანზე გადმოვდგები  
და ნისლიან ხეობას გადმოვხედავ.  
ნეტა თვალეები არ მილიავდებოდეს,  
როცა დილის ბურუსი აიყრება და მზე მოადგება  
ხავსმიხატულ კედელს.  
ნეტა ცრემლი არ მიგროვდებოდეს და მერე არ მითავდებოდეს.  
ნეტა თავშალი არ მისველდებოდეს და მერე არ მიშავდებოდეს,  
ნეტა მკლავები არ მეჭორფლებოდეს  
და ხელში არ მეკარგებოდეს ჩამომჰკნარი მკერდი.  
ნეტა ჩემი კაცის წამოხრილ მხრებს ვხედავდე  
და ზედ ხელების დაწყობა არ მინდებოდეს.  
ნეტა ნიკაპი არ მიკანკალებდეს, როცა მოდის და იცინის,  
ნეტა ყველა სარკე უფრო მეტად ბუნდოვანდებოდეს.  
ნეტა არ ვუთვალთვალებდე ქარში ფოთოლდაწეწილ ხეებს,  
შემოდგომებზე ნანები და ნატირლები არ მემღერებოდეს.  
ნეტა ახალი კალოშები პირველ ჭირხლზე არ მიცურდებოდეს.  
ნეტა თეთრშუბლა ხბოები  
მარილს არ მილოკავდნენ ხელისგულებიდან,

ნეტა აღარავის ვკოცნიდე შუბლზე.  
ნეტა საფართხელებს არ ვაცხოვდე  
და ბორჯღალს არ ვაჭრეთდე.  
ნეტა არ გამოდიოდეს ჩემი სახლიდან  
შემწვარი მსხლისა და ვაშლის სუნი.  
ნეტა არ ვარჩევდე ჯოყრიან თივაში  
ხმელ და დახუნებულ ყვავილებს,  
გამჭვარტლულ კედლებზე კრაზანისა და  
თავშავის კონებს არ ვკიდებდე.  
ნეტა არ ვიცვამდე შალის სამუხლეებს,  
არ მებერებოდეს მუცელი ბალამწარას ჭამისგან.  
ნეტა არ ვიწამლებოდე,  
როცა დიყის ფოთოლი მეხება ღაწვისთავზე.  
ნეტა ტურები არ მისივდებოდეს,  
როცა მიჩვეულ სახელებს ჩურჩულით ვიმარცვლავ.  
ნეტა თავშლის ბოლოს არ ვიფარებდე სახეზე, როცა ვიცინი.  
ნეტა ძროხის ცურზე თითები არ მიცეკვავდნენ,  
როცა გარმონის ხმა მეჩვენება მეზობელი სოფლიდან.  
ნეტა აფუებული ბაბუაწვერებისთვის  
სულის შებერვა არ მინდებოდეს,  
ნეტა ჭიამაიებს არ ვაფრენდე ჩუმად უბიდან.  
ნეტა წყალი არ მომქონდეს გამჭვირვალე წყაროდან.  
ნეტა დევი არ მხვდებოდეს იელის ბუჩქებში,  
ნეტა ჩემი ქოხის კედლებს ნეხვით არ ვლესავდე  
და ქრისტესისხლებს არ ვუვლიდე კედლის ძირზე.  
ნეტა მზის ამოსვლამდე რძეს არ ვადულებდე,  
საკვამურებიდან ამოზლაზნილ  
კვამლის სვეტებს არ ვითვლიდე  
და არ მეტირებოდეს, როცა ცოტავდებიან.  
ნეტა დედა არ მესიზმრებოდეს,  
ან მავიწყდებოდეს, სიზმარში რომ ვერ მიცნო.  
ნეტა არ მედარდებოდეს, ჩემი შვილები რომ მრავლდებიან,  
ნეტა არ მახსენდებოდეს, ბალებს  
ფეხისგულზე რომ ვკოცნიდი  
და საბანს რომ ვუკეცავდი,  
ნეტა არ მეჩვენებოდეს, რომ ვპატარავდები და ვთავდები.

ნეტა ჩემი შვილიშვილები  
კალთით ნაგროვები ვაშლის ნაფცქვენების  
სუნს არ იმახსოვრებდნენ  
და მერე ძონძებს არ ყნოსავდნენ  
ჩემ გასახსენებლად.



## ბებიაჩემის ნახშირის უთო

ბებიაჩემის ნახშირის უთო სამოგზაუროდ წავიდა.  
ჩუმად ჩამოდგრა ჩემი ნაცრისფერი სიმშვიდის სხვენიდან,  
სამკუთხედი ცხვირის სრუტუნით გამირღვია  
ცარიელი სიზმრების ნისლი,  
ეზოს კარი გაიჭრიალა  
და შემოდგომის ფერდობებს აუყვა.  
ბილიკზე ღამის შავი მარცვლები სველ ქვიშაში ჩაქყლიტა,  
პანტით გაუვსო თრთვილის პერანგის ჯიბეები  
კუნელის ბუჩქებაჩეჩილ დილას,  
ჩაკანაწუნა დაბრაწული ნეკერჩხლის ფოთლები,  
ჩაიტკბარუნა წითელი ცირცელის მარცვლები  
და ნაზაფხულარ ცაზე აბობღდა.  
მშვიდად გაიარა რამდენიმე ღრუბლისქვეშა გადასასვლელი,  
მზე ჩაკვიჩა ასწლიანი შიმშილის სიხარბით,  
ცხელ-ცხელი, მწიფე ვარსკვლავებით გაივსო მუცელი  
და დამძიმებულს გამჭვირვალე ყინულივით ჩაუტყდა ცა.  
ვერც გაიგო, ისე ჩავარდა ჩრდილების ქვეყანაში,  
აუფრთხილდნენ ჟანგის წითელი ყვავილები,  
აუყვავილდნენ ბებიაჩემის ჩრდილის ხელები  
და მხურვალე და მზენაჭამი  
ყველაზე ჭრელი ჩრდილის ჩრდილში დასახლდა.

ზის, სიცოცხლის სიცილად სცვივა  
ჩემი ძილიდან აცინცლული  
ცისფერი სინათლის ნაპერწკლები,  
მოჰყავთ მასთან ავადმყოფი, დაჭმუჭნული ჩრდილები,  
ასწორებს და ატკიცინებს,  
ჩარღვეულ კალთებს ჩემი ხელების ლანდებით უბლანდავს.  
ერთი ჩრდილიც არ დაბერებულა,  
ერთი ჩრდილიც კი არ მომკვდარა  
და ვერც გაიგო, ისე იცხოვრა სამუდამო ზაფხულის  
ასი თვალის დახამხამება,

ვერც გაიგო, ისე გამეცსო თმა თეთრი ჩრდილებით.  
ასი ჩრდილის წელია,  
მთებს შემოდგომა ჭრელი ხურჯინივით ეჩაჩებათ  
მხრებიდან.  
ჩემი ეზოს კარებთან ჩაწყვეტილი ბილიკები იზმორებიან.  
ასი ჩრდილის წელია,  
მემალება ჩემი მშიშარა ჩრდილი,  
სიბერის ლურჯმა მღიერებმა ნაპირები შემოუჭამეს.  
კიბეზე ვზივარ, როგორც ტოტსშერჩენილი,  
ყუნწსმომჰკნარი კომშების ბებია,  
მშიერი თვალების ცახცახით ვხსნი  
ქარის მოტანილ ფოთლის ბარათებს,  
ბებიაჩემის სათვალეს ვიმარჯვებ და ვკითხულობ:

ჩემო ხელებჭორფლიანო,  
აჰა, ცისფერი წეროების მძივებს გიგზავნი.  
მზის გუბეებში შეათბე შენი თვალების თაფლის ყვავილები,  
ჩამოიწმინდე წლების ოზის ყვითელი ჩუქურთმა,  
მოუარე მაგ ბებერ ჩრდილს და დამელოდე,  
ეცადე, არ მოკვდე,  
აუცილებლად დავბრუნდები  
და როგორც ყველაზე ჭრელსიზმრიან ნეკერჩხალს,  
ისე წაგიყვან სამუდამო ჩრდილების ქვეყანაში.

მიყვარხარ. გკოცნი.  
შენი თვალების ნახშირის უთო.

\*\*\*

შენ მიყურებ  
გავყვითლდი, დე.  
როგორ გავყვითლდი.  
ყვითელ ლოყებზე ვიფარებ ხელებს.  
სარკე შორს დგას და შემიძლია ვიფიქრო,  
რომ სინამდვილეში ასეთი არ ვარ.

ცხელი კეფით ვგრძნობ, როგორ მიყურებ.  
ვზივარ,  
კედელს მიყრდნობილი,  
შეშუპებული ვიღაცის სახით.  
შენ მიყურებ და ელოდები,  
რომ მივაყუდებ ამ სახეს კედელზე,  
როგორც ნიღაბს  
და სიცილით ავდგები  
ლურსმნებამოჩრილი, მკვდარი კაცის ნახელავი სკამიდან.  
მე კი ვზივარ და ვნახევრდები,  
ვმესამედდები.  
შენ მიყურებ და ელოდები,  
როდის გავხდები ისე პატარა,  
იმ პირსახოცში გამახვიო, ახლა რომ ჩამოხსენი თოკიდან,  
ისე შემფუთო,  
როგორც ჩვენი პირველი შეხვედრისას  
ოცდახუთი გამოტოვებული წლის წინ.  
შენ მიყურებ და მე გელოდები, დე.  
მე ვზივარ და გელოდები  
და ჩემი გამრუდებული ხერხემლის ხაზით,  
ჩემი მოკეცილი მუხლებით  
და გათეთრებული წამწამებით  
გთხოვ:  
მომეპარე ზურგიდან ჩუმად,  
თითისწვერებზე, ფეხაკრეფით,  
როგორც მაშინ, ჩვილობისას,  
მომეპარე და გამახვიე მაგ გაცრეცილ პირსახოცში,  
შემმალე შენი დამძიმებული მკერდის ქვეშ,  
შემიხორცე  
და სამუდამოდ გადამმალე ჩემივე თავისგან.

თორემ უკვე აღარ ვიცი,  
მე გაყვითლდი თუ შენ გაყვითლდი,  
თორემ უკვე აღარ ვიცი,  
შენ გამაჩინე თუ მე გაგაჩინე.

## ირაკლი ჭინჭარაული

\*\*\*

შენ არ გინახავს ცა არწივების!  
ერთი გოჯისთვის უხდებათ ომი,  
შენ ხევსურეთის მთა აგატირებს,  
იქ შერჩენილი ბებერი თოვლი.  
შენ არ გინახავს როგორ თენდება,  
როცა ლოდივით ზრებიან ძვლები,  
როცა გახვალ და მოგაგონდება,  
შენი წარსულის ალალი წლები.

\*\*\*

არ დაუშვან დღეს არცერთი ფარდა,  
არ გაკიცხონ დღეს არცერთი ფიქრი,  
აქ ხევსურებს დაუდგიათ ტაბლა  
და ბრძოლისთვის ემზადება ნისლი.

აქ უკრავენ უსაშველო სევდას,  
დროს უდროოდ გადაუსხეს სისხლი,  
აქ სიკვდილი სანამ კუბოს ძერწავს,  
ხითხითებენ, დასცინიან სიკვდილს.

\*\*\*

ჰე, მოდი გავიარწივოთ!  
ცას დავესვენოთ კალთაზე,  
ეს ვარსკვლავების ციალი,  
დავანაჭრელოთ ფარდაგზე.  
აგერა, მთების ტრფიალიც,  
ნისლებს იყრიან ფაფარზე,  
ქარქაშში ჩაჟამებულნი,  
ხელს იტანებენ ნაგანზე.  
იქ ცრემლიანი ქვითკირი,  
ბერად რომ დნება ბრმა ქვაზე,  
გავუნაირხმოთ მზისპირი,  
მერე გავიხმოთ ცხრამთაზე.  
გავყვეთ, აგვანთებს ჟრიალი,  
ზვავი ჩაიფრენს ნაქარზე;  
აზეცავდება ტრფიალი,  
გულს ვერ დაიჭერ საბამზე.  
ჰე, მოდი გავიარწივოთ!  
სვე დარს ვეწვიოთ ნაქადზე,  
წუთი, გავრიყოთ სოფელი,  
სიკვდილს გავუდგეთ და განზე.

\*\*\*

მოჰკვდე?!

აის სჯობს მთას მოჰკვდე,  
ნისლი გტიროდეს დილისა.  
ხევდახევ ჩამოდიოდეს,  
ღვარღვარით ცრემლი იმისა.  
ელვანახელებ ხმლად მოსქდეს,  
მათრახ გადაჰკრას ცისპირსა,  
ლოდ ლოდზე გადადიოდეს,  
წყალ შავდებოდეს მთის ცვრისა.  
სიცოცხლე გინდა?!

მთასა სჯობს!

მხნედ შეჰყურებდე მზის სხივსა,  
თეთრ მთა-წვერთ უზიარებდე,  
გულში ნაბუდებ ჭირ-ლხინსა.  
წინ-წინ მომმეზე ჰფიქრობდე,  
იცავდე სახელ-სირცხვილსა.  
ჭიუხში ჯიხვებს დასდევდე,  
კართ უჯარავდე სიკვდილსა.  
მდინარის ტალღებს ართომდე,  
კალმახს, ტანჭრელა წყლისშვილსა.  
ცხოვრებით ისე ჰხარობდე,  
ბედი შეგნანდეს მდიდრისა,  
სხვას არას ეშურებოდე,  
მარტო წლებს, ჟამად მიჯრილსა.

## გუროს ქვითკირს

დღე დამდებოდა უცრემლო,  
ცაზე მზიანი მთვარიითა,  
სახენაკაწრი კლდეები,  
ლოცვას ამბობდნენ ხათრიითა.  
ჭადარაშემორეულნი,  
ზაფხულს ითხოვდნენ მაღლიითა.  
თან ღულუნებდა არღუნი  
ყინულიანი ჭალიითა.  
ყველა წყნარობდა ღვთისშვილი,  
ბორგვა ისმოდა გაღმითა.  
პატრონსჩვეული ქვითკირი,  
იმუქრებოდა დაშლიითა.  
„მე აღარავის ვჭირდები,  
როგორ ვიცხოვრო აზრითა?!  
ყვავთა საბუდრად გავმხდარვარ,  
ერთ დროს იმედი ხალხისა;  
გველთა სამრომლად გავმხდარვარ,  
მტრისთვის თავსმცემი ზარისა.  
გუროს მშვენება ვიყავი,  
ეხლა ვიქნები ჟამისა“.

-----  
ჭალას შეყოვნდა მთის ცრემლი,  
ზვავი დაეცა ქვა-კლდესა;  
შატილ მოვიდა ამზავი,  
გუროს ქვითკირის დაშლისა.

## მერაბ არაბული

### სოფელს შერჩენილი ზებერი ხეცსურები

-ნეტა,  
ე წყალნ თავქვ რად მიდიანავ,  
- ჩვენაც ჩავუყვებით წყალსავითა,  
მოდო,  
აეს ყანწიც გადამისვი,  
არაყათ კიდევაც ამავიტან.  
- დადეგ!  
უკვე ცისპირ შამაგვემტვრა,  
კლოვ გავუგონთდებით,  
არახელა.  
ეს თქვა, წეკვა ჩუმად გაახვია,  
ბოლ სულში ეცა და ჩაახველა.  
- მახსონს,  
ერთხან როსამ გადავლოთდი,  
დიაცმ,  
აღარ შასვავ დამაფიცა,  
ეხლა აღარვინ მყავ დამფიცები,  
აი ზენ აყრავა კუთვნილ მიწა.  
მერე ხელ ჭიქისკე გააცოცა,  
- ესივ შაუნდნასავ შამამბრუნავს,  
იმდენ მინახვო ცხოვრებაში,  
ამ გულს  
ვეღარავინ გამიკურნავს.  
-მგონი,  
ამ წელს დიდ თოვლ გვემუქრების,  
უკვე ჩამოთეთრდა მთების წვერებ.  
სოფელს ორ კინკილა შავსჩენიორთ,  
აბა შვილ-ზლებს აქ რა გააჩერებს.  
უკვე, ჩვენ-ჩვენ დრო-ჟამ გადავმოვეთ,  
თმასაც გაერია თოვლისფერა,



აღარც სიკვდილ-ოხერ აღარ მადის,  
ნეტა ღმერთმ როდისად დაგვიწერა.

ისხდნენ,  
ღამეს მხრებზე ილექავდნენ,  
ცეცხლზე შეჰყინვოდათ ორთავ მზერა  
და არც გაუგიათ ფიქრში წასულთ,  
მზე როდისღა ამოემთისწვერათ.

## ლადო ჭინჭარაული

### ხევსურეთს

კიდევაც ვნახავ ხევსურეთს,  
კიდევ ვილოცებ გუდანს.  
მთაში დარჩენილ ხევსურებს,  
არდავიწყება უნდა!  
ასა, არლუნი, ანდაქი,  
პირიქითაი ხევები,  
უნდა მივხედოთ, ანდა კი  
მას წაგვართმევენ დევები.  
ღმერთო, მაჰხედე ხევსურეთს,  
საკლავებ იკლას ხატობას;  
არ მახკლებოდეთ ხევსურებს,  
ჯიხვის რქა, ლუდი, დათრობა;  
სანეს იღრეონ ვაჟებმა,  
ათენგენას სცენ თაყვანი;  
ხმალ ატრიალოს მაჯებმა,  
მტერს არ ვეგონოთ ჯაბანნი;  
ქალებს ექსოვოთ ფარდაგი,  
ჭრელა-ჭრულაი ნოხები;  
სალოცავს ხყავდეს ქადაგი,  
სამოვარს ცხვარი, ძროხები;  
ცხოვრება მიჰქერის ტიალი,  
გაჭენებული ცხენივით;  
ადათთა ორომტრიალი,  
წარსულს ეცემა ბერივით;  
კიდევაც ვნახავ ხევსურეთს,  
კიდევ ვილოცებ გუდანს;  
მთაში დარჩენილ ხევსურებს  
არდავიწყება უნდა!!!

## მაკო თეთრასული

\*\*\*

ჭიმლით მომკვივიან კლდენი,  
ხმა თითქოს ხეობებს ფარავს -  
შავ ყორეთ თვალებით მჭერი,  
როგორღა გვტოვებო, ქალავ?!  
ეს ქარიც გადიქცა მჭევრად,  
ხევებში მაცილი ხარობს,  
გული ხომ დავტოვე მძევლად,  
რად არ მამშორდები, ქარო?

\*\*\*

ზეცამ დაიბერტყა კალთა თოვლიანი,  
გულს უკაცურობის ჯანლი არ სცილდება,  
ბრაზით აგრგვინდება ზვავი - ცოდვიანი  
და თქვენთან ჭიდილში ბედი დაიცდება.

აღარსად მტერი ჩანს, აღარსად მოკეთე,  
ნამქერს ჩაუჩუმქრავს ბილიკი უწყალოდ,  
მთის უბეს შერჩენილ ხევსურებს მოხედე,  
ლხინით ატეხინე ზამთარი, უფალო!

\*\*\*

მთათა წიაღში გამოვუხმობ წინაპართ ლანდებს,  
ჟამის ნაკვალევს მიჰყვებიან თრთოლვით მუხლები,  
დათვის ტორები აჟღერიალებს ფანდურის ლარებს,  
ჭიმლას ღრეობენ ჟინშემჯდარი ახალუხლები.

ჭერხოს კარებთან ჩამომჯდარი გმინავს გაბრიელ,  
თითქოს მას სჭირდეს ნატყვიარი ახმედის კვალად,  
იქნება ფიქრობს ფერგაცრეცილ ქისტის ასულზე,  
სულთანს თუ დარდობს, აბრეკ მიჯნურს, ქცეულს ქვაკაცად.

ქარი ათრთოლებს მანდილოსნის ყელზე სამკაულს,  
ჯვრებად მიჰკვრია ნაფთულებზე მძივი ქათიბებს,  
გზაწვრილს მთარღვევს მზის ნაფერი, ლაღი მზექალი,  
ცისფერ სხივებად ეფინება მზერა სათიბებს.

ტანზე აცვდებათ სისხლიანი ჯაჭვი ამღელებს,  
ხან მზე დაღნათის, ხანაც თალხავს მუქფერი ბინდი,  
მიმწუხრს ფეხონი გაიჩქამებს ხმას საბეკურზე,  
ქაჯთნატყვევარი შემოჯდება ხოგაის მინდი.

## მთას

უშენოდ, მთაო, ცას გადეკრა ფერი ყორანის,  
შენი ამბავი გადამავალ მზეს ჩამოვჰყარე,  
ვეღარას ვხედავ, სულს თვალები აევსო ჳრილით  
და მათრახდაკრულ დრო-ჟამს ხელი ვეღარ მოვჰყარე.

გულში ჩასახლდა ხმა უთქვამი,შენთან სათქმელი,  
ბარი ვერა გრძნობს მთის შვილების დარდს თუ ფერხისას,  
შენს ექოს ელის, მთაო, ჩემი სისხლის ყივილი,  
შენი მართვე ვარ, მე ბარისა არა მესმის-რა...

ვიცი, რომ გვიცდი, უსაზღვროა წყალობა შენი,  
შენს კარზე გვიხმობ სხვათ მიწაზე გაბნეულ სამწყსოს,  
გულს უჯავრდები, მარტობას ებრძვი, უდრევი,  
მხარს არ გააყრი ჳიუხებში ხარ-ჯიხვთა სამმოს.

მე დავბრუნდები დაქანცული და დამაშვრალი,  
კლდეთა ნაჟურით ჩამოვიბან ღია ჳრილობებს;  
მე მოვალ შენთან, ჩემს სიცოცხლეს დავდებ შენს ფერხთით  
და გარიჟრაჟის სადიდებელს შურთხი ილოცებს.

## მამუკა ოჩიაური

### ახიელელი ბეწინა

სტუმარს აცილებს სოფელი,  
სასმლით ივსება ყანწები,  
მიდიან სტუმრად მყოფელნი,  
ცხენთ ამზადებენ კაცები.  
მდედროვანს ლუდი მიართვეს,  
კაცებს დაუსხეს არაყი,  
ქარი ცად ღრუბლებს მიათრევს,  
გაუქრა ძალის მარაგი.  
აქეთ გარმონი ამღერდა,  
სილალის გადამრჩენელი,  
აცეკვებს გოგოს ამღელთა,  
ჭაბუკი ახიელელი.  
ჭაბუკის გულის ფრიალი,  
გოგოს რომ გააგებინა,  
თეთრად გატეხავს ღამეებს,  
თვალს არ მოხუჭავს ბეწინა.  
ფიქრებთან დაამძობილა,  
გულს ოხვრა წაეპარება,  
ტკბილი შხამივით ყოფილა,  
უთქმელი ტრფობის ტარება.  
გახურდა ცეკვა - თამაში,  
მთებს ასკდებოდა ნამღერი,  
როგორც პირიმზე ჭალაში  
ყვაოდა გოგო ამღელი.  
ბოლოს დალოცეს გზა - მგზავრის  
და ჯვარ - ანგელოზთ დიდება,  
სოფელი ბარად აგზავნის,  
ვისაც მთები არ სცილდება.

მერე გაუყვნენ გზაწვრილებს,  
ხალხი მოსული ბარიდან  
ქალ - ვაჟთ გული ვერ აწყვილეს,  
გოგო ამღაში წავიდა.  
ვაჟს უთქმელობა აკავებს,  
სათქმელი დუმილს შესწირა  
და უმზერს გოგოს ნაკვალევს,  
ახილელი ბეწინა!

## და იტყვის პაპა

ბისნას ჩამომდგარა ჯარი ლემადისა,  
გუშინ ალბათ ქისტეთ წვიმდა,  
ბერი პაპა იტყვის: წარღვნა ქვე მადისა?!  
დარს რომ გაუჭირდა.  
ხალხი შეიცვალა ერცხვის გადამკიდე,  
დრო - ხან აირია.  
ემმას დაუჭერავ ქვეყნად კიდით - კიდე,  
კაცთ ღვარძლ გაერია.  
ხატში აღარ მოდის მეზღვნე, მომლოცველი,  
დარბაზ ჩამაიქცა,  
მთიდან ყველა მიდის, აღარ დარჩა მცველი,  
სახლი ჯოლად იქცა.  
ხვნით გადაღლილ ყანებს, დასვენების ჟამმა  
დიდ ხნით მოუწია,  
ნელა ეკარგება ის ჭკვა ყველა მოკვდავს  
რაც ღმერთს მოუცია.  
ბისნას ჩამომდგარა ჯარი ლემადისა,  
(კაცთ ღვარძლ გაერია),  
ბერი პაპა იტყვის:  
წარღვნა ქვე მადისა?! ხალხ რო აირია!



## მთვრალი ხთისია

კითხულობს მთვრალი ხთისია,  
(ქეიფობს მთელი სოფელი),  
ნეტავ ეს გოგო ვისია,  
ჰყავს თუ არა ჰყავს სწორფერი?!  
ასეთი არ მინახია,  
ტრფობამ დამიწვა გულია,  
იქნებ ბარელი კახია,  
არაა ჩვენებურია.  
ვისია ქალი ვისია,  
სადაურია რა თემის?  
კითხულობს მთვრალი ხთისია,  
არაყით ღამე ნათევი.  
დასალოცია მშობელი,  
ასეთი ლამაზ ქალისა,  
მსურს მისი ვიყო სწორფერი,  
თუნდ, ცდა დამჭირდეს ძალისა.  
არაფერს შევუშინდები,  
არც ხანჯალს, არცა დანასა,  
წავალ და გოგოს ხელსა ვთხოვ,  
ამის ძმასა და მამასა.  
სხეულს მითრთოლებს ხშირადა,  
როცა მის ქათიბს ვეხები,  
მთებში გვექნება ბინადა,  
ბნელი და მყუდრო ეხები.  
ნეტავი წუთით მანახა,  
ამ გოგოს გული ვისია,  
ხალისი დარდმა გალახა,  
ბობოქრობს მთვრალი ხთისია.  
გოგომ თქვა, გული სხვისია  
და არც გრძნობაა ორფერი,  
ბოდიში, მაგრამ ხთისია,  
სხვაგან ეძებე სწორფერი!

## მე და მამა სანადიროში

შეხედე, ქარაფთან ხარჯიხვი ორია,  
ვინ იცის მაგათთვის დღე დადგა ეს ბოლო,  
თოფისთვის მანძილი აქედან შორია,  
უნდა მიეპარო და მერე ესროლო.  
ყურეზე ვიაროთ ჯიხვთაკე მალვითა,  
მერწმუნე, ბილიკზე საძნელო არაი,  
მკაცრი ხმით, ო, მაგრამ სითბო შეფარვითა  
მასწავლის, მარიგებს მუდამყამს მამაი.  
იყავი ფრთხილი და ხან აუჩქარები,  
ცხელ გულზე მოქცევას  
უთხარი უარი,  
აქ იდგა წლების წინ ჯიხვების ფარები,  
დღეს თითო - ოროლა ხარჯიხვი თუ არი.  
ქვა გორავს, ხომ გესმის ლოდების გრიალი,  
ფიჭვებში ექნება შუნ - თიკნებს ნადიმი,  
შუადღეს ჭალიდან აღმა ქრის ნიავი,  
იარე, ისე რომ არ დაფრთხეს ნადირი.  
ერთზე მეტს ნუ მოკლავ ეს მთების წესია,  
თან მხოლოდ ამაყი, ხარლადი, რქიანი  
შენთვისაც, მთისთვისაც ეს უკეთესია,  
თორემ უძღებია დღეს ადამიანი.  
ამ გორს რომ გადავალთ, დარჩება მცირედი,  
ჯიხვთაკე სავალი ბილიკი ქვიანი,  
არასდროს დაკარგო რწმენა და იმედი,  
რომ შენი წერაა ხარლადი რქიანი.  
ეს წინათ, დღეს მუხლში არაა ძალაი,  
დრომ თვალებს აუგო ლიბრისგან კედელი,  
უკურნელ სენისგან მომიკვდა მამაი,  
მეც არ ვარ ჭაბუკი, დამერქვა ბებერი.  
დღეს კედელს ამშვენებს იმ ჯიხვის რქები და  
გულია ნატრული იმ დღის და ღამისა,  
ყოველთვის ჩამესმის მაღალი მთებიდან,  
წყნარი დარიგება გარდაცვლილ მამისა!

## ხევსურეთს!

ღრუბელნი შენი ცისანი,  
ხედავ? ჩემამდე მოდიან,  
საოცნებო ხარ ყველაფრით,  
მინდვრიან-წყარო-ლოდიან.

სიზმარში მთაში დავდივარ,  
თვალს რომ გავახეღ - შორია,  
ჩემი ოცნების მხარე ხარ,  
სულ შენთანა ვარ, მგონია.

ერთხელ იქნება, ამოვალ,  
მეც მეღირსება გიხილო,  
შენს ველზე ვკრიფო ყვავილი:  
დეკა, ია და ღიღილო.

არღუნის ნაპირს ჩამოვჯდე,  
ვისმინო მისი დინება,  
ვიცი, ახდება ოცნება,  
თუკი უფალმაც ინება.

მსურს ფეხით შემოვიარო,  
შატილო, შენი მიწა მე,  
ჩემი სიტყვები ისმინე,  
მისი სიმართლე იწამე.

როცა იქნება, ამოვალ,  
ძალიან მინდა გიხილო,  
მკერდს მოგაწყვიტო ყვავილნი:  
დეკა, ია და ღიღილო...

## დავით შაბოჩაძე

### ხევსურეთი

აქ კლდიდან კლდეზე ფრენენ ჯიხვები,  
დაბალახობენ ნისლები მთვრალი,  
აქ დეკას გვერდით ლაღად ვირთხმები  
და სხივზეცისკენ მიჰყრია თვალი.

აქ ცვარი ნაზად ყვავილობს ხნულში,  
მთა მთას შორიშორ სულ რო უმზერდა,  
აქ ჯაბუშანურს მზე ედგა სულში  
და მამაღმერთის დუმილს უსმენდა.

აქ ფიქრი ფიქრებს მისდევს ოცნებით,  
ფერთა რკალების ირევა ჯარი,  
დგას ხევსურეთი ციხე-კოშკებით,  
დედა სამშობლოს ხმალი და ფარი.

## სეპარიონ ნადირაძე

\*\*\*

ისე თბილა, ისე ლურჯი ცაა,  
მზე უთუოდ ხევსურეთზე ფიქრობს,  
პარნასი და პანთეონიცაა,  
მაგრამ აქ სულ სხვა მთებია თითქოს...  
მთაზე ხევსურს გაუშლია ფარა,  
ეს ხევსური კიდევ ერთი მთაა,  
ეს არაგვიც ერთ სიცოცხლედ კმარა,  
სიცოცხლეზე უკეთესიცაა...

\*\*\*

ხევსური არ ვარ დედით და მამით,  
მაგრამ მთებით ვარ წმინდა ხევსური,  
მაბკურე ცვარი შენი მთა-ბარის,  
გაიერთგულე სული მწყემსური.  
ჩამომავლიჯე მკერდზე საკინძე,  
უსმინე გული როგორ ხმაურობს,  
ვეფხვებთან შებმა ერთხელ მაღირსე,  
ერთხელ გამხადე ზვიადაური,  
რომ დაფლეთილი მნახონ ყორნებმა  
და მიხვდნენ ვაჟი ვარ სადაური....

## არხოტელ ქალწულს

ამ გზით ქისტები ამოდიოდნენ  
და რომ ვერ გრძნობდნენ შენს მზერას, ქალო,  
მარჯვენას საქმროს გამოატანდნენ,  
ერთხელ რომ მაინც შეგეველო თვალი  
და საიდუმლოდ რჩებოდა კოშკებს,  
უცნობი ქისტის მოჭრილი მკლავი.  
დღეს მეც დამჭერი იმავ თვალებით,  
თუმცა, არა ვარ ვფიცავ ურჯულო,  
ბილიკს აჰყევი და ნაკვალევი,  
გულზე დამადე, როგორც ურდული.  
ალბათ მარჯვენას მე არ მომკვეთენ,  
არც ცხენის ძუას გამომაბამენ,  
მაგრამ იცოდე არ ვარ მოკეთე,  
ან მკლავი მომჭერ, ან დამაბრმავე...

## ბელა მიდელაშვილი

### აკლდამებში ჩარჩენილ ძვლებს

ანატორის აკლდამები ძვლებით,  
ერთობ ჰგვანან სამვალეთა მუცოს,  
ძვლებო, თქვენ რომ ვაჟკაცობას ჰყვებით,  
გასაკვირი განა რა აქვს უცხოს.

ქედზე სიო დანავარდობს ლაღად,  
ნასახლარი ძველ პატრონებს უხმობს,  
ვაი, ერთხელ მოგეხილათ თავად,  
თქვენ ჭერხო-ქავს დრო-ჟამმა რა უყო.

ზეცა მკერდზე გადიგორებს მთვარეს,  
ანთებია ჭემშარიტი ცეცხლი,  
კვნესით ვინღა გაათენებს ღამეს,  
აკლდამებში ძვლების დარჩა ფერფლი.

ნაღდი რწმენა გაახვიეთ სულში,  
მზე სხივებით თქვენს დიდებას ჰყვება,  
სხვა არ ვიცი, მე სიკვდილის ურჩი,  
თქვენ გხვდათ წილად ეს განგების ნება.

## თამაზ ნიკლაური

\*\*\*

ჩამოსხდებიან, დაიდგამენ პატარა ტაბლას,  
ჩამორიგდება ყანწები და თეთრი სურები,  
ისაუბრებენ უფრო წყნარად, უფრო ხმადაბლა,  
უიარაღო, უაბჯარო, ბრგე ხევსურები...  
ადღეგრძელებენ, ვისაც თავი არ მოსწყენია,  
ვინც ვაჟკაცურად დგას თავისი მიწის კუთხეზე,  
მოიგონებენ ვინმე ჯურხას, ვინმე ბეწინას  
და მუხთალ სიკვდილს შიგ თვალებში შეაფურთხებენ.  
შემოვილიან საქართველოს მთა-ბარს ერთიან,  
სძულთ გულდრძო კაცი სხვათა ნიღაბს შეფარებული,  
ყველა ხევსური მიწიერი მამაღმერთია,  
დაბადებიდან სამშობლოზე შეყვარებული...

\*\*\*

შენ გინახავს თოვლიანი თხემი მთისა?!  
მთის ფერდობი ყვავილებით დახატული,  
სახილველი გველოდება სამოთხისა,  
აპრილები გველოდება არხვატული...  
კიდევანა, ბისნა, თოვლის ქუდიანი,  
ტახის წყალზე გმირთა ეპიტაფიები,  
საბ ეკურთან გრაალები ლუდიანი,  
შარაგზაზე არხვატული კაფიები.  
სადაც შვლებს და ფიქრებს ერთად ვაბალახებ,  
წამოდი და მე გაჩვენებ იმ ხეობის,  
იმ ადგილებს,  
წამოდი და შენი თვალით დაგანახებ,  
მითების და ლეგენდების სინამდვილეს...



## თორნიკე ნაროგაული

### მინდი. აღდგომა.

აგუგუნდება ბანზე ნაგანი,  
გაიკლაკნება კვამლის ინფანტა,  
ნახევარმთვარის იატაკანით  
წყვდიადი მუცელს გამოიფატრავს

და ლანდთა შორის უელვარესი  
შესძახებს ჭიუხს, როგორც გოლიათს:  
“ხოგაის მინდო, ხმალი ალესე!  
სად გმირი და სად მელანქოლია?!”

შეხედე! ქისტი ვაინახები  
რა ამრეზილი მზერით გზვერავენ!  
ნუთუ მათაც არ დაენახვები?!  
ვეღარ გიხილავს ნუთუ ვერავინ?!”

ნაგანს გატენის მგოსნის მარჯვენა,  
გაისვრის ტყვიას და ლექსს გაფანტავს,  
ხოგაის მინდი მოკვდეს?! - არ მჯერა! -  
ჯიხვს რანდავს სადმე თავშესაფართან...

და დაბრუნდება შეცვლილ იერით,  
დათვთა და დევთა დანატორი და  
ხევსურეთს, სნეულს სიცარიელით,  
აღადგენს ყოფის ანატორიდან!

## სახლი

ქალაქში ეძებ თავშესაფარს - გზვდება დილემა.  
ძალღის ლეკვივით კუდს დასდევ და  
წრეზე ტრიალებ.  
გამცნობს ასაკზე ბევრად დიდი გამოცდილება,  
რომ ყოფნა ასე სხვათა-შორის - გაგატიალებს.

ფიქრი გაგირბის დიდუბისკენ. თვალი - მთებისკენ.  
და დაღლილ ფეხებს ბადრაგით გიკრავს რუტინა,  
უყურებ გზებზე მოფუსფუსე ცივ ობელისკებს,  
გსენავს სურვილი - ამ მასკარადს დედა უტირო.

მიაგდო მონის ჯამაგირი. გზაზე ამხედრდე.  
და შიგ სახეში შეაფურთხო ეშმაკს. დაასწრო!  
სანამ მტრის ურდოს იერიში უკან დაგხევდეს,  
(ვიდრე შენ არჩევ სწორს და არასწორს.)

სანამ სრულიად შემოგაცვდა მოყმის იერი,  
მწირის მიწური ამჯობინე უცხო სასახლეს.  
დაბრუნდი, სადაც არხოტია და ახიელი  
და საიდანაც დიდი ხნის წინ  
გადაგასახლეს.

## ჩემი საჩივრის არჩივი

მხარე დევების ხეების.  
ყველგან ნისლია'ნ მთებია.  
მთებიც, ხეებიც, დევებიც,  
ქრებიან.

ფიქრნი მირქენენ, რომელთა გამა,  
არ იმიფრება ბავშვურ შიშებით -  
რომელ ხევსურეთს ვიხსენებთ, მამა,  
ტაბლასთან მსხდარი ბიძა-შინშები.

ვუღრენ წინაპართ დიად აკლდამებს -  
რისთვის გაგვიწყრა ჩვენი ჯვარ-ხატი?!  
აუღოს ვინ ჩივის, ხალხი აკლდება...  
ღვთის ანაბარა რჩება არხვატი.

მხარე დევების ხეების.  
ყველგან ნისლია'ნ მთებია.  
მთებიც, ხეებიც, დევებიც,  
ქრებიან.

რას გამოვრჩები უხმო გოდებას,  
ხამს, შევუძახო, ხალხს გახელებით,  
მალე მითებად მოგვაგონდება  
ბლოელები და არხვატელები.

ხალხს შესძახე და თავსაც უძახე,  
ბარსშეფარებულ მთების პოეტო!  
სანამ ჭიუხნი გაგიუმძრახდნენ,  
სანამ ახიელს ხავსი მოედო!

მხარე დევების ხეების.  
ყველგან ნისლია'ნ მთებია.  
მთებიც, ხეებიც, დევებიც,  
ქრებიან.

## ჩემი სოფელი

(სიკვდილსაშიში ზონა)

### I

აღარ ღამდება ჩემს სოფელში,  
მთვარეს აღარვინ იჩირადდნებს შუაღამისას.

### II

მამლის ყივილი არ აყმუვლებს მეზობლის ძაღლებს.  
სახლებს არა აქვთ ეზო-კარი ან მთელი მიწა ეზო-კარია -  
ჭერხო; სამჭედლო; ქავისკარი;  
ხალხი არ ცხოვრობს ჩემს სოფელში -  
მგლების ხროვა თუ გადაუვლის პაპის ნასახლარს,  
ისიც ხანდახან.  
თანდათან მიწამ შეიხორცა:  
საფიხვნო, ბანი, ბოსლები და ყველა სამხილი,  
რითაც სოფელს ნასოფლარი დაერქმეოდა.

### III

ჰაი,  
უშიშა!  
თორღვა!  
მზექალ!..

აღარვინ იძახს ამ სახელებს,  
გაუცივდა კვირიას კერა.

### IV

დათვებსღა სძინავთ ჩაბაკაანთ ნამოსახლარზე,  
უდარდელი ბელური ძილით.

## V

დგას ახიელი ასწლოვანი ბებერივით  
წელში მოხრილი და უკბილო,  
თვალეზამქრალი ეძებს ალაგს,  
სადაც დაჯდება, ძვლებს მოასვენებს,  
დაიტირებს - წარსულ დიდებას;  
ხატის კარს; ჯვრის ყმებს; ხუცესს;  
არ დაბადებულ ახალუხლებს;  
არ თქმულ კაფიებს;  
არ მოყვანილ ახალძალსა და  
არ შესმულ საყმოს.

## VI

რამდენჯერ მჯდარა ამ ქალებში, ვინც იცის, ღმერთი  
და ხუცესთათვის უამბია -  
აშურებზე;  
ბაბილონზე;  
სოდომ-გომორზე  
და მოსისხლეთა შერიგება მოუთხოვია.

## VII

წუხელ დამესიზმრა -  
ქრისტე ცრემლოოდა და ანგელოზებს ავალეზდა:  
“წადით, დასახლდით კაცისძისგან მიტოვებულ  
სამოთხეებში!”

მერე მრისხანედ შეიყარა შუბლზე ღრუბლები  
და ელვასავით გაეკლაკნა თვალეზში ცრემლი.

ქერუბიმებმა დააქუხეს არხოტის თავზე  
და ჩაბაკანთ ნასახლარი გადარეცხა წვიმის მდინარემ.

## VIII

აღარ ღამდება ჩემს სოფელში,  
მთვარეს აღარვინ იჩირაღდნებს შუალამისას.  
არ იცინიან საფიხვნოში მოშაირენი.  
არ წვიმს და არ თოვს.  
აქ დროს წლებით და თვეები არავინ ზომავს.  
არ კითხულობენ ჯაბუმანურს, ვაჟას და შოთას.  
წერა კითხვაც კი არ იცინიან პანტის ხეებმა.  
გაღმივინებს არვინ ემტერება.  
დგანან დევები და წარსულზე ჰყვებიან მითებს.  
მაჯღაჯუნები დაქლაშუნობენ ეშმათგორაზე.  
ჯინჭველთ ველზე კი კუდიანებს დაუდგამთ ტაბლა.

## IX

“ჰაი, მინდია!  
ჯურხა! თორელ!  
აშექალ! მზექალ!..»

აღარვინ იძახს ამ სახელებს,  
მამახურაც აღარვის აკრთობს.

## X

აღარ ღამდება ჩემს სოფელში,  
მთვარეს აღარვინ იჩირაღდნებს შუალამისას.

...

ჩემი სოფელი აღარ არის ჩემი სოფელი...  
ჩემი სოფელი აღარ არის სოფელი...  
ჩემი სოფელი აღარ არის...  
ჩემი სოფელი...

## წამოდი ცაში

“წამოდი ცაში.  
მაგ სხნეულ სხეულს  
მე ვუდასტაქრებ შუქის ლექსებით.”

გ. ჯაბუმანური

შენს ნაკეჭნ-ნაიარევს შეშლილი კივილით  
მილოკავს ქარი და ბეჭებზე მეხვევა.  
მკერდზე დამიარეს ხარებმა  
ტკივილის  
გუთნებით.  
ცრემლების მეხრე ვარ.

ხმით ჩამომტირიან შავი ცის ყორნები.  
ბეჭებით მივათრევ სვე-ბედს.  
ქალაქის დილეგში  
ვლპები და ვყროლდები -  
ნაზარდი არხვატის მეფედ.

უსმინე ქალბნელო ვაჟკაცის მუდარას,  
საავდრო ცასავით მჭექავს:  
წამოდი!  
მოვხადოთ სიკვდილის სუდარა,  
გაბრიელს და ამღელ მზექალს.

წამოდი. არაგვი თავაღმა ავხიოთ.  
იქ მუდამ იქნები ბავშვი.  
სასთუმლად დავიგოთ  
მეცხრე ცა, ახიელს,  
წამოდი.  
წამოდი ცაში.

## შინშებს

ჩვენ არ გაჩენილი თაობა ვართ ხევსურეთის.  
ჩვენ არ დარჩენილი თაობა ვართ ახიელას.  
ჩვენ არ გვიმღეროდნენ ჭიუხებში  
მგლებზე მონადირე ხევსურები.

ერთხელ არ ჩაგვიცვამს პაპის შავჯვრიანი ტალავარი,  
მთები არ გვინახავს, თვალი პირველად რომ გავახილეთ,  
ჩვენს სახლს არ ჰქონია ქავისკარიანი გალავანი,  
ჩვენი ხევსურობაც სადღაც ქიზიყისკენ გავამხილეთ.  
ჩვენ არ გვაშინებდა ღამე მამახურას დამახილი,  
ლურჯა არ გვყოლია შინშებს უბელო და ულაგამო,  
შუბლი არ გვქონია ხმლისგან ნაკეჭნი და ჩაჩეხილი,  
და არც სიყვარული გვისწავლია უანგარო.  
გვეცვა ჯინსები და აღმართს მივეყვებოდით ასფალტიანს,  
არსად გადაგვყრია ნათოვლ გზაწვრილებზე მაცილები,  
არას ვიწუნებდით ჟამის სიმუხთოლეს და წაღმა ტრიალს,  
ღამეს არც ლექსებით ვაცილებდით  
და არც ცას წვდებოდა ჩვენი ცეცხლისპირას ნამღერალი,  
გვიან გავუსინჯეთ გემო კეცეულებს ჯინჭარიანს,  
შემთვრალ ახალუხლებს ხელში არ გვჭერია ნაღვერდალი  
და არც გამტყდარ ცელზე გვიჯავრია.  
გვიან მიგვაბარა ჯვრისკარს გადამთვრალმა ნახუცარმა,  
რწმენა ჩაგვაბოლა სულში გატენილი ყალიონით,  
ცხვრები დასტურების მუხლოზე დახოცა და  
მღერით შაათენა ალიონი.

გვმურდა ერთმანეთის სატკივარი  
გვმულდა ერთმანეთის მონატრება  
გვქონდა ერთნაირი ხასიათი  
გვეცვა ერთმანეთის ტანსაცმელი  
მამებს ხევსურეთზე ვაყოლებდით



და ეს მონატრება მოგვათრევდა  
დღემდე არსად გვექონდა გასაქცევი  
ჩვენი არ ნაქონი სოფლებიდან  
დღეებს ვითვლიდით  
და ვალურჯებდით  
დევებს ვდარაჯობდით შუალამით  
თუმცა არასოდეს მოფრენილან  
თავის მითიური ფასკუნჯებით  
გვეწამდა კოპალა და იახსარი  
პაპის სადამურა ზღაპრებიდან  
სულში გვიძვრებოდა ცრურწმენებად  
გველის ციცისა და ძაღლის წელი  
ფიფქებს არ ვითვლიდით გარიჟრაჟზე  
ჩვენი არ ნაქონი ფანჯრებიდან  
წყლულებს არ გვიხვევდა მაისტელი

ჩვენ არ გაჩენილი თაობა ვართ ხევსურეთის.  
ჩვენ არ დარჩენილი თაობა ვართ ახიელას.  
ლუდი არ გვისვია ხელ-სურებით.  
ჩვენ არ გვიმდეროდნენ ჭიუხებში  
მგლებზე მონადირე ხევსურები.

## მდორე საგუბრის ბადე

ამ საშობაო ოცნებებს და საახალწლო ნატვრებს  
სიბერის შიში ჩინური ფაიფურივით ამტვრევს.

ბედობის დღეა და წვიმა მომავალ ჯვარცმებს ბადებს,  
ფიფქების კვართის სანაცვლოდ, გვმოსავს სიმშრალის ბადე.

გზა უძლურია და გზათა უძლურებაში სუფევს,  
შიშის ქარიშხლით დამშრალი, უმოდრაობის გუბე.

ბოლო იმედად შემომრჩა ცის საგუშაგო კოშკი,  
ღიღღოსკენ რომ იღრინება და იკლავს როშკით,

ხამს, მივეახლო ახიელს, ვეფხვივით დავიხელთო,  
მისმინეთ, სალოცავებო და სალოცავთა ღმერთო,

სანამ დაბერავს სიბერე - სიბერით დავობდები,  
იმ სისუფთავით დამთოვეთ, იმ ანგელოსთა ფრთებით,

იმ სამანების სიზმრებით და მდელოების ნთებით,  
მთებივით თოვლით დამთოვეთ,  
თოვლივით სუფთა მთებით,

თორემ ბედობა კვლავ იმ ძველ უბედურებას ბადებს,  
ძალა მომეცით, დავუსხლტე მდორე საგუბრის ბადეს!

ხელი ვეახლო არხვატს და ვიხილო ახიელი, -  
ხევსურთა სალოცავები და სალოცავთა ელი!

ამ საშობაო ოცნებებს და საახალწლო ნატვრებს  
სიბერის შიში ჩინური ფაიფურივით ამტვრევს.

## მინდია არაბული

### მთებზე ნათქვამი

ჩემი პირველი ლექსის სტრიქონი  
მოსწყდა ამ ჭალებს და ამ წყაროებს,  
დედის ლოცვები აქ გავიგონე,  
ამ მთა-გორებმა დამამწყალობნეს.  
ვით გავძლო უმთოდ, უსაქართველოდ,  
ჩემ ძვალ-ხორცნ აქამც დამიწდებიან...  
სულს რომ მითბობენ, დედის ნათელი,  
ეს ჩემი მამის პაპის ძვლებია!  
ვერ გავძლებ, თუ არ ვუსმინე ნიავს,  
თუ არ ჩამესმის არაგვის ჩქამი,  
თუ არ შევცქერი მაღლობებს კლდიანს,  
თუ არ მაწვდიან სვიან ლუდს ჯამით!  
ზვავთა ხმა თუ ვერ მოდის ჩემამდე,  
თუ ვერც მთათ ზვიად სიჩუმეს ვისმენ,  
როცა მწვერვალებს ახევს ლემადე  
საარწივოდან ამოშლილ ნისლებს!  
მთებო, მამპაპის წმინდა ადგილო,  
ო, ნუმც დაგრჩებათ რამე საწყენად,  
ვიღაცამ თუნდა თითიც გატკინოთ,  
ვერ მოვითმენ და გული დამწყდება!  
მე თქვენმა მიწამ უნდა დამფაროს,  
როგორც ვისურვო, სადაც ვისურვო,  
ვერ მივატოვებ თქვენს სამთაბაროს,  
საგველეთოს და სადათვისუროს!  
და ნურასოდეს ნუ დამიზავებთ,  
მე თქვენზე გული თუ ავიყარე,  
თუ თქვენთან გულით ვეღარ ვისალმე,  
აღარ გილოცეთ, აღარ მიყვარდეთ!  
თუ არ შეგრჩებათ სიმშვიდე სრული,  
სისხლი წვეთ-წვეთად ჩემიც ინამეთ...  
მე თუ ამ მთებმა ჩამიდგეს სული,  
ისევ ეს მთები შემეწირავენ!

## სიმაგრეების ტირილი

ქარო, ფეხდაფეხ რად მომდევ,  
გულო, საგონს რად შეეები,  
ტირილით რად მოგყვებიან  
არხოტის სიმაგრეები?  
ციხემა, გულხავსიანმა,  
ნისლი რად დაიახლოვა,  
საით წავიდა ფეხის ხმა,  
მთების გულში რომ სახლობდა?  
ლემადეთ კიდევანაი  
ქარბუქში რატომ გახვიეს,  
სიჩუმე, გულის მომკვლელი  
რად დასწოლია ახიელს?  
რად ვინ არ უსალამურებს,  
ცხვრის ფარას მთებზე მიფენილს,  
ათენგენობის სწორია,  
რატომ არ მდერის მთიბელი?  
სოფლის თავს რად გაცრეცილა  
მამ-პაპათ ძვლების სანახი,  
თავკვირვებულთა ბან-კარზე  
რატომ ბიბინებს ბალახი,  
რად გამოვიდა საძოვზე  
ასე თამამად ხარლალი?  
ერთურთთან რად არ მიდ-მოდის  
არხოტის ახალუხალი,  
რად გაჩნდა ნასახლარები,  
ჭიმლას რად ჩაქრა ბუხარი?  
რად ტირის ქავციხის კარი,  
ტყვიების ცეცხლში ნაშენი,  
საით წავიდნენ არწივნი  
მომყივან-მოყაშყაშენი?  
რად დაავიწყდა ჭალათა  
ფეხმარდ ლურჯაის ჭიხვინი,  
რამდენი ხანი გავიდა,  
რატომ არვის აქვს ჭირ-ლხინი?  
ანდა მეზობელ ქისტეთის

მხარეს რად შემობინდვია,  
გადასასვლელზე ცისკარი  
ეულად რატომ ჰკიდია?  
გმინვით საით ვის აცილებს  
ბრძენი ხოგაის მინდია,  
საავდროდ გამზადებულნი  
ღრუბელნი საით მიდიან?  
ძნელია კვალის გატანა  
გზებს ათოვს სამთაბაროსა;  
არხოტიონო, შენი გზა  
ასე რაად ვინ დალოცა?!  
ბევრა დრომ ჩამაგიარა  
ეესეთამ კი - აროსა,  
ჯავრით ადგილზე გაბღრუჭებს,  
გახვრევს საკუთარ გალოსა!..  
ქარო, ფეხდაფეხ რად მომდეგ,  
გულო, საგონს რად შეები,  
რად არ მოგყვება ძახილი,  
არხოტელ მელექსეების!

### არაგვო

თუ მიხმო ჩემმა გვარძვალმა,  
არაგვო, შენს ხმას შევყვები  
აღმისკე, სხვაგან არ წავალ,  
არც უბრად დავისეტყვები.

წამოვალ ტალღის ხმაურზე,  
რომ ქაფი გულზე მაწინწლო,  
უბეს თუ ვინმეს აუვსებ,  
მე შემახვედრე საწინწვრო!

და ნუ დამინდობ, მომკალი,  
ყმას ხელი თუ მომეცარა...  
შენს კარ-მიდამოს მომდგარი  
ერთი მლოცველი მეცა ვარ!

## მამულეთო, დედულეთო!

ყინულებით დაფარულო,  
არწივთა საბუდარაო,  
გველეთო და ბუჩუკურთავ,  
ხახმატო და გუდანო!

არაგვო და დათვისურავ,  
წყალო, კლდეით ნაწურო,  
ჩემო საველგუჯაუროვ,  
ჩემო სამოგანძუროვ!

ბოროლავ და საქუხარავ,  
არწივებო, ორბებო,  
უჩემოდ და უიმედოდ  
დარჩენილო სწორფერო!

ზენაჯვარო, ქვენაჯვარო,  
დახავსულო ნიშებო,  
სალოცავად მოსული ვარ,  
სნეულს უნდა მიშველოთ!

გამიხსენით ყველა კარი,  
თქვენი მყუდრო ტაძარის,  
ისევ თქვენი ჯიშისა ვარ,  
მომდგამს თქვენივ გვარ-ძვალი!

სულ სხვანაირ გზას მივჰკვალავ,  
ვარ საწუთროს სხვა მგზავრი,  
მყავს თავისი სალოცავი,  
მაქვს თავისი საგზალი!

მამულეთო, დედულეთო,  
კერავ, აკვნის ნარწევო,  
უნდა თქვენად დარად დარჩეს,  
ჩემი წილი სამზეო!

## ქეთევან შენგელია

### ხევსურეთში

ხახმატობა... ლუდის ხარშვა,  
ეს ლამაზი დროშები...  
შენი მზერა გამათბობს და  
აღარ გავითოშები...  
ქარი კლდეებს ენარცხება,  
შეუკაზმავთ ცხენები  
და მოქრიან ეს მხედრებიც,  
გზებზე ჭენებ-ჭენებით.  
დრო გასულა, ცოტა შეთვრნენ,  
იხარშება ხინკალი...  
ხევსურები, ჯვრიან ჩოხებს,  
რით ქარგავენ მითხარი?!  
ცეკვავენ და კაფიობენ,  
რალა საკვირველია?  
ღამით დევებს ამარცხებენ,  
საღამოხანს მღერიან.  
წითელ სამოსს შეაწყდება  
ჭრელა-ჭრულა ღილები,  
ელავს ორი ხანჯლის წვერი,  
„კეჭნაობენ“ გმირები.  
ღრეობაში დრო გასულა,  
ცეცხლი ისევ ტკარცალებს,  
არ გათენდე, სიზმრის ღამევ,  
სიყვარული მაცალე!

\* \* \*

რა ამინდია?! –  
თბილი სხივები,  
გულზე დაიკრა ფშავის ხეობამ.  
მოდის მინდია,  
ხელში იებით,  
გუდანის ჯვარის არის დღეობა.  
წითლად ანათებს,  
ცეცხლის ალივით,  
ზოგან ჟოლო და ზოგან ძახველი,  
მოდის მინდია გულახელილი,  
ქაჯთა სიბრძნის და ბევრის მნახველი.  
რა ამინდია?!  
ეს ცისარტყელა,  
გადმოიზნიქა ნელა ფხოვიდან,  
იყო ხანჯლების პრიალ-ბზრიალი,  
შატის მუცოდან მაცნე მოვიდა.



## მანია მიქანია

### გზად შატილისკენ

დღე გათენდება და შეიცვლება  
ცხოვრება, გავლილი უშენოდ...  
რადგან შემაფეთე შეუძლებელს,  
მარტო არ დამტოვო –  
მიშველე!  
გაგაოცებს ჩემი გაორება,  
შენ თვალწინ ვიცვლები  
და უცებ  
ჩამითრევ თვალების ჭაობებით,  
მეც ვიპირები და...  
გაოცებ.  
ბევრჯერ ვახსენე და დავიფიცე  
ხილვის უხილავი შემქმნელი...  
ეს შენ მაპოვნინე დედამიწა,  
მაინც მაპოვნინე –  
შეძელი!  
მეყო, რაც უშენოდ ვიწანწალე  
ღვთისგან სულშებერილ ხევებში.  
იქ დავიკარგები, ჩემთან წამო...  
ჩემთან წამოდი ან...  
შემეშვი!  
ბევრი ვერ გითხარი ერთი ლექსით...  
თუმცა, საკმარისი სავსებით:  
მე ნისლებს მივყვები „ხევ-სულეთში“,  
მარტო თუ გამიშვებ –  
დავრჩები!..

## მისა ჭინჭარაული

### ნუ დაიცილებთ!

ოკერო წუთისოფელო, რა მწარეს მასმევ შხამსაო,  
თვალით სანახვად მანატრებ მამ - პაპის ნააკვანსაო.  
შენავ რაადამ მგონდები დარდიანობის ჟამსაო,  
შენ გეხვეწები, შატილო, შამაგაბარებ თავსაო;  
ცოცხალი ვერ დაგიცილებ, ნუ დამიცილებ მკვდარსაო,  
გაგწირე უწადინოდა, მალე მივღბარდი ბარსაო,  
გულს ანაბრ იმით მატკიებ, ანაბრი იყრი ჯავრსაო.  
დავღნატრი ნისლის კოტრებსა, მანდისკე მამავალსაო,  
მთვარესა ხუთმეტისასა ანატორ ამამჯდარსაო.  
უჩემოდ ღნახვენ ტივლები შატილ ქავ-ქავის კარსაო,  
წვიმებით დაიტირებენ ჩემს დარდის ნაგუბარსაო.  
ფეხონში გაიგონებენ მამ-პაპათ ნაუბარსაო,  
ჩაქცეულს ღნახვენ ფეხონსა, გოგოთურათა ქავსაო,  
ამამბებულებს ჯოლებსა ფეხვნისძირს, კალოსკარსაო.  
ქავ-ციხენ მიუხვდებიან აქით ჩემს დანაბარსაო,  
ვერ ვხედავ ჯმაურთანსა შატილ ჯვარ-ჯვარის კარსაო.  
ვერც ბეწიკიათ ბესოსა, - გორგალათ საყურასაო,  
გიგიათ ხთისოს მაგიერ ვინად დაუკრავს ზარსაო.  
მზის პირით ვერ გავიგონებ ბებრების ნამღერალსაო:  
„ტერელოს ჭალას ყვარანო, უღრანს რას ავლებ თვალსაო,  
სამზირს სხენ შატილივნები, მასდევენ თავის ვალსაო“.  
კოტორთან რა ამბავია, ცეცხლი რად იქნევს ალსაო,  
ყმაწვილებ, ახალუხლები რაად შახედვენ გზასაო;  
გუროთა, გიორწმინდითა ვინ ელოდება ზალსაო,  
ღამით ცეცხლიანს ტყვიასა ვინ ღნახავს თხორუს თავსაო,  
წინწინ ვინ გაეგებება შორით მოსულსა მგზავრსაო,  
ამბავ-მშვიდობას ვინ ჰკითხავს ფეხვნის გვერდ  
შამამჯდარსაო,  
გულფიცხებს ახალუხლებსა ვინად ასწავლებს ჭკვასაო,  
მტრისკენ სისხლადუღებულთა ვინად რა ურჩევს კასაო.

ვინ გადაივლის ფეკითა დათვისჯვარს, წუბროვანსაო,  
 ვინალ გახენებს იქითა მაღალს ბატეხის თავსაო.  
 ვინ დაესწრობა აცეხა მაღლიანს თიბა-მკასაო,  
 გარუგას ვინალ შააჯდენს თოფ-საბელ ორხალათაო,  
 ზულაით ვინალ იყურებს შურთხების ნაკვენესასაო,  
 ჯომათეს ვინ გაიგონებს ჯარათით თოფის ჯმასაო,  
 ვინ შასომს ვემაწყაროსა სიმღერით მიმდინარსაო,  
 ვინ ავლებს სანადიროთა წყნარად დურბინის თვალსაო,  
 დეკიან-შალშავიანსა მითხულ ვინ შაჰფენს ცხვარსაო,  
 ჭაუხა, შატილის-ჯევა ვინ უდგა ჯარავანსაო,  
 ნაბაკურაჩი ვინ ღლესავს ფოლადის ცელის ფხასაო,  
 სახვევთას გადავლახია ვინ ხატავს საზმანათაო,  
 შამხანის პატრონაითა კლდეებს ვინ აწერს გვარსაო.  
 რად სწირვენ დაიაურნი ჩალხაის ნახანჯლარსაო.  
 ცოდო სძეს ეკალდამათა, მაღალ ჯიდს, ნაშულლარსაო,  
 ბევრს დაუმწუხრა თვალეზი სწორების მჯობსა ყმასაო;  
 ერთურთს რად ჯოცდით, გმირებო, რად არ ეცადეთ ზავსაო,  
 დალაღებულეზს ქისტებსა ვინალ შაუქცევს ძალსაო,  
 ჯარეგას აღარ ელიან ბათაკის ბათაკასაო,  
 ალაქოს თავის სოფლელთას ვინალ რა იცნობს ჯარსაო,  
 „სევეტე“ რად ემტერება იმედათ უშიშასაო,  
 რაზე ჰკვლენ მაქევეები ლიქოკელ გიგიასაო,  
 ბებრიშვილს ვინ ეშუმპრება გუროელთ ერთკიმჯარსაო,  
 რაზე ჰკლავს გაჯეითია ძმაი საკუთარ ძმასაო,  
 ფექს ვინ იკურნავს დუჟითა ქისტების ნატყვიარსაო,  
 ცხვარს ვინ მაღლაღავს მიზუთა ქისტების წანაყვანსაო,  
 ქვისჯორჯით წამოყვანილსა ტყვეს ვინ ჩააცვამს ჯღანსაო,  
 ლეკო რად მაღნატრებია ლადოსა ნათოფარსაო.  
 თვალცრემლიანი ვინ ღნახავს ცოდვიანს კელიწყალსაო,  
 ხახონას ჯელებდაჭრილსა, ჩუაის ნაფრენალსაო,  
 ბაჭყიას ბრძოლით მაგლილსა ვინალ მაიძვეს კვალსაო,  
 გასაოჯრებსა სიკვდილსა ბევრსაც ვერა ვსდებ ბრალსაო,  
 ნიადე არ დაინდობდა ჯელი-ჯელ მაბრძოლარსაო,  
 ჩუმად, უსიტყვოდ მავალი ღვავის ლემადის ქარსაო,

მთაზეიდ ჩამამდინარსა მუდმივად მაქროლარსაო,  
კარგებს რომ ირჩევს ვემდური სიკვდილის სამართალსაო.  
სისუსტით ნუ დამიწუნებ, მსმენელო, ნალექსარსაო  
ორ-სამ წელს დასვენებულსა ფანდურს ძლივ ვუბამ ლარსაო,  
უთქმელად ვეღარ ვიტევდი ცხრა-ათ წელს ნაფიქრალსაო...  
ყველას ერთფერად მივლნატრი თავისასა და სხვასაო,  
მტერთანა, მაკეტესთანა ვინაც არ იყვა ყამსაო.  
მივსტირი ქავ-ციხეებსა უდროოდ ნაოჯარსაო,  
ამით ვიქარვებ ტკივილსა, დარდებსა საკუთარსაო...  
სანამდე ხევსურობა გწამთ, სანამდიაც სხამთ ჯარსაო:  
ნუ დაიცვილებთ სწორების მჯობნების ატეხასაო,  
წინაპრებთ სასახელოთა ხატივით სალოცავთაო...  
სიგირგლის ჩამომავალი სალექსოდ არ გთხოვსთ ქრთამსაო,  
ერთ არაყიან ეყოფა ფხიზელსა, გადამთვრალსაო,  
აიმიტ მამიგონებდეთ ცოცხალსა, გადამხრჩვალსაო!...

## ბაბა ჭინჭარაული

\*\*\*

მტკივიხარ, გრძელო სოფელო,  
ნაოჯარივით გამძდარო,  
ერთ დროს ერთმანეთს გაბმულო,  
ძმა-სახლიკაცის ბან-კარო.  
სუმუდამ ძახილ-ძუხილო,  
ბან-წინგარდაზე ხახანო,  
წუხრ-წუხრ ერთუცის პატიჟო,  
საერთო სადილ-ვახშამო.  
შაყრილო უფროს-უმცროსო,  
თავთავის სკამზე დამსხდარო,  
ერცხვის მანდაურ ქალ-ზლითა  
აყვავებულო ქაზდარო.  
შაკრულო ისრის კონაო,  
გადასატეხად მაგარო.  
მგონდები, მამის სიზმარო,  
გასახსენებლად საზარო,  
ნანახვო ქრისტეს ღამესა,  
დილას ცრემლებით ნათქვამო.  
იმ დროში წარმოუდგენო,  
რაც მითო და ზღაპარო,  
დღეს კი მზის მასვლასავითა  
ასრულებულო, ამჯდარო.  
საიდან მახვე, შავ წყალო,  
სახლის ყორეებს მამდგარო,  
კეზო, მუხისგან გათლილო,  
დედაბოძეხით გამხტარო,  
კერაში გადაზელილო  
მიწავ, ნაკვერჩხალ-ნაცარო,  
ცრემლს მადენ, იფნის უღელო,  
ერთ დროს მანძილათ ნადგამო.  
შუაზე გადამტვრეულო,  
ტაბიკ-აპეურ დამწვარო.  
დროთა ქარების ნალოკო,

სანთლის ფეხივით გამდნარო.  
მამულო, დამეწყრებულო,  
მაშლილო სამან-სამზღვარო,  
ხრამ-ნაპრალებად ნაქცევო,  
საბელთ გამლაზე გამხტარო.

\*\*\*

მთებო, ჩემ გედვასთ ცოდოი,  
ჩემ ბარში გამამტევებსა:  
რად არ ჩამისვით უბეში,  
გამაქვავ-გამახვეთა?!  
რად არ ქარაფად მიმსართეთ  
ჩემის სამშობლოს კლდეებსა?!  
ზედ არწივ დაისვენებდა,  
დაიგრუმევედა თბეებსა;  
რად არ მიმეცით მდინარედ,  
თქვენებს უწყლოებს ხევეებსა?!  
გულნატყვიარ ჯიხვ დამლევდა,  
ცოტას გულს გაიმხნევებდა.  
უგულოს, ქვას, ხეს, მდინარეს  
ვერრა დამსჯიდა ეესრა!..

## მამუკა ნიკლაური

### თუ მომკლავ, არაგვზე მომკალ

თუ მომკლავ, არაგვზე მომკალ,  
იქ დამეწიე, სიკვდილო, -  
მარტო არ დავრჩე, ჩემს გვერდით  
შავმა არაგვმა იდინოს,  
ჟამი-ჟამ ჩვენი ქედების  
ქედანმა გადამიფრინოს.  
ჟამი-ჟამ ყურში ჩამიდნეს  
თოვლი თოვლისფერ მთვარისა,  
მეც გავიგონო ჩურჩული  
მთების ლამაზი ქალისა -  
ათასჯერ აყვავებულის,  
ათასჯერ ჩამომდნარისა!  
შუალამისას არაგვზე  
ჩამოიარონ დევებმა -  
ლამის ძმებმა და შვილებმა,  
არაგვის ძუძუმტეებმა,  
დადგნენ და დამკრან ბეჭებზე  
თავის ტოტები ვეება.  
შემოიტყუოს კლდემ ჩრდილი  
და გვერდით დაიწვინოსა.  
დათხოვდნენ ლაღნი ვარსკვლავნი,  
გაცდნენ ცის სანაპიროსა,  
მე კი ყველაზე ლამაზმა  
ვარსკვლავმა დამიტროსა.  
იმ ვარსკვლავს ხელი მოვხვით,  
ჩემი ქორწილი მეგონოს,  
ჩემი პატარძლის ცრემლები  
მთვარემ გვირგვინად შეკონოს  
და მექორწინე მაყარმა

დაცლილი ყანწი მესროლოს.  
იღრეონ გადასულებმა  
ამ ჩვენი ხეობისამა:  
შემოაბუქოს ჭალები  
თეთრონმა ბუთლაისამა,  
ჩაბუქნოს სამხარაულმა,  
რყევა დაიწყოს მიწამა.  
ამლედნენ ბუბუნაურნი,  
ძილი წაჰგვარონ ხეობებს  
და ჩემი დეკის ყვავილი  
ჩემ გვერდით მოირხეოდეს,  
დამიმობილდეს სიკვდილი  
და ჩემ სუფრაზე ღრეობდეს.  
თუ მომკლავ, არაგვზე მომკალ,  
იქ დამეწიე, სიკვდილო, -  
მარტო არ დავრჩე, ჩემ გვერდით  
შავმა არაგვმა იდინოს,  
ჟამი-ჟამ ჩვენი ქედების  
ქედანმა გადამიფრინოს.



## წელიწადის წრე

1.

მე რომ მოვკვდები,  
მწარედ უნდა იტიროთ მთებო,  
უნდა აიძვრე არაგვო და დასძრა ქალები,  
ისე მიყვარხართ,  
ისე ღრმად ხართ ჩასული გულში...

2.

ვერ გაამწვანებ ამ ყვითელ ფოთოლს,  
ვეღარ გაჰკერავ არაგვისგან გაჭრილ ხეობას...  
მაგრამ ფიქრი ხომ შეგიძლია და ვიდრე ფიქრი  
არ მიგვატოვებს, ჩვენ რაღაც ფორმით  
ისევ ერთად ვართ,  
იმ გადავლილ მზესა და მთვარეს  
ისევ ვუღიმით,  
ისევ ერთად გვიდგას ფესვები,  
იმ ფიქრებთან ვართ,  
ქარივით რომ დაჰქროლებს ხოლმე  
და ძველ ყვავილებს გვაცრის თვალებში.

3.

არავინ დარჩა, გაღმა მხარე სულ დაიცალა -  
სადღა არიან ის ქალები,  
იქ რომ ბრწყინავდნენ,  
სადღა არიან ის ვაჟები,  
იქ რომ ბრდღვინავდნენ...  
ის გაღმა მხარე ჩემი სულის გაღმა მხარეა.

4.

წვიმამ ქალაქში შემოიტანა  
მინდვრების, მთების, ტყეების სუნი,  
მგლების ყმუილი, შურთხების სტვენა,

ადიდებული არაგვის ბორგვა...  
თითქოს ეს წვიმა ციდან კი არა,  
ჩემი სიყრმიდან, ჩემი სოფლიდან  
და წუხანდელი სიზმრებიდან გამოისტუმრეს.

5.

თითქოს მაღალი ხე ამოთხარეს,  
რომელსაც ფესვი მთელ სოფელში ჰქონდა გადგმული,  
უცებ ბნელ ორმოს დაემსგავსა ჩვენი სოფელი -  
ყველა ნერვი და ყველა გოჯი მიწა სტკიოდა.  
მე ასე მახსოვს,  
ასე ჩამრჩა შენი სიკვდილი.

6.

სულ მესიზმრება: ხატის იფნს ჭრიან  
და ხატის ტყეში დედაჩემი ხმამაღლა ტირის -  
არა ჩანს, მაგრამ ხმა მოდის მისი,  
რას მანიშნებენ ეს სიზმრები?..  
რა იჟონება ამ სიზმრებში ჩემი სულიდან?..

7.

ერთხელ, სოფელში - შარაგზაზე წერო დაეცა,  
შემოეხვივნენ, გაუკვირდათ წეროს სიკვდილი.  
ის იწვა, როგორც მკვდარი ელვა,  
მკვდარი ღრუბელი,  
მკვდარი ვარსკვლავი,  
მკვდარი მთვარე და მკვდარი დროშა.  
...და რამდენჯერაც გავიხსენებ, მუდამ მგონია,  
გზაზე კი არა,  
ჩემს სიყრმეში ჩავარდა იგი  
და დაღეწილ ცის ნამსხვრევები ჩამოიტანა.

8.

ელავს და ელავს -  
ბურსაჭირის შავ ღამეებზე  
გრძელი ხანჯლები ჰკიდია ისევ,  
უმველესი და დაუჟანგავი.

9.

ფიქრი სოფელს გავს...  
დგანან სახლები  
ზოგი ვისი და ზოგი ვისი -  
ცოცხლისაც, მკვდრისაც...  
დედა, დღეს შენი სტუმარი ვარ...  
და ისევ ვისმენ:  
ძილისწინ შენგან იეზივით დაფენილ სიტყვებს:  
- ღმერთო, გვიშველე, დაგვიზარდე ჩვენი შვილები,  
დიდო პირიმზევ,  
არ მოგვაკლო შენი წყალობა...  
ფიქრი სოფელს გავს...  
დგანან სახლები  
ზოგი ვისი და ზოგი ვისი -  
ცოცხლისაც, მკვდრისაც...

## აი, რისთვის ღირს...

მე, როცა სევდის კი არა  
სიხარულის საბუთებს ვეძებ,  
ვფიქრობ,  
რამდენი წყალი ჩაიქცა მტკვარში  
და არ არსებობს მკვდარი არაგვი -  
ყოველ წამს იზადება სათავეში,  
ყოველ წამს კვდება შესართავში  
და ცოცხლობს სიკვდილ- სიცოცხლეს შორის,  
რაც უძლეველი და უკვდავია,  
რაც უძლეველი და უკვდავია,  
რაც უძლეველი და უკვდავია.  
ამ წარუვალს და დაუქცეველს,  
გაუტეხავს და დაუჟანგავს -  
ცრემლზე კი არა, სისხლზე მოსული,  
სისხლით მორწყული ყვავილი უნდა,  
ოფლით მორწყული ყვავილი უნდა.  
წინაპართა ათასფენოვანი აკლდამა  
სიცოცხლის ახალ ნაკადებზე გადაჯაჭვული,  
განუწყვეტელი განახლება უძლეველ ხისა -  
აი, რისთვის ღირს რომ ფესვებით გსრუტონ ლექსებმა,  
აი, რისთვის ღირს, ჩაუგებლად იქნის ხმალი...

## ნომადი ბართანია

### ხევსურული მოტივებიდან

\* \* \*

შატილში დოღი გაუმართავთ,  
სამუკაო,  
თეთრ ალამთან პირველი რომელი მივა,  
სამუკაო,  
შენი მოხუცი დედა და მამა,  
სამუკაო,  
შენს ტალავარს დასტირიან,  
სამუკაო,  
ძია ბაძიასა და გაბრიელსა,  
სამუკაო,  
კათხაზე სანთლები აუნთიათ,  
სამუკაო.  
შვიდი ცხენი მუცოს ჭალისკენ გაფრენილა,  
სამუკაო,  
შვიდი ცხენი მუცოს ჭალიდან მოფრინდება,  
სამუკაო,  
ერთი ცხენი მათ გაჰყოლია,  
სამუკაო,  
ერთი ცხენი მათ მოჰყვება,  
სამუკაო,  
ძმებმა ხარჯი გაგიწიეს,  
სამუკაო,  
შატილი ძაძით შემოსილა,  
სამუკაო,  
აპარეკასა და ხამურზასა,  
სამუკაო,  
მიდიოღია, გაუჯავრღია,  
სამუკაო.

\* \* \*

სამი სახელი მიყვარს,  
დასამახსოვრებელი ხელად,  
სამი - ერთმანეთზე ლამაზი:  
ამლა, ჭიმლა და ახიელა.

არც ერთი არ მინახავს,  
არ ვიცი როგორ გამიძლო გულმა,  
ნეტავი იმათ, ვინც  
ამ სოფლებში დაბადებულან.

სამი სახელი მიყვარს,  
დასამახსოვრებელი ხელად,  
სამი - ერთმანეთზე ლამაზი:  
ამლა, ჭიმლა და ახიელა.

\* \* \*

ეს სად მომიყვანეთ, ბიჭებო,  
ეს რა დამატეხეთ მეხი,  
თურმე განწირული ავადმყოფი  
აქ შედიოდა თავისი ფეხით.

ამდენი ხალხი მომკვდარა,  
ერთი ხარჯი არ გაწეულა,  
ამხელა სოფელი - ანატორი  
ერთ აკლდამაში ჩატეულა.

ზოგან შემორჩენიათ ძვლებს  
აქა-იქ ტყავი და ძონძი,  
აკვანზე გადამხოზილი  
აქ უნახავთ ქალის ჩოჩხი.

ჟამიანობის წლები მდგარა,  
მთელი ხევსურეთი შეძრულა,  
ზოგი ამ აკლდამებში  
ფანდურით ხელში შესულა.

ეს სად მომიყვანეთ, ბიჭებო,  
ეს რა დამატებეთ მეხი,  
თურმე განწირული ავადმყოფი  
აქ შედიოდა თავისი ფეხით.

\* \* \*

ამაზე დიდხანს მიფიქრია,  
მაგრამ ველარაფრით ვხვდები,  
მაინც ასე, ზომაზე მეტად,  
რატომ მიყვარს ხევსურეთი?

არც ვყოფილვარ ამ მხარეში,  
მასზე ლექსებს ისე ვწერდი,  
მერე ვნახე მუცოს ჭალა,  
არდოტის წყლის ნაპირები.

ამაზედაც მიფიქრია -  
რა იქნება ხევსურეთი  
არდოტის წყლის ნაპირების  
ყვავილების გამოკლებით.

\* \* \*

გიორგი ჭინჭარაულის კოშკში მეძინა,  
გვიან მიმიყვანა გიორგიმ სახლში,  
თავისი კოშკი დამათვალიერებინა,  
მთელი ცხოვრება დამტოვა ვალში.

რძე და ფქვილი დამათვალიერებინა,  
მკაციქნს ყველი და დედასპური,  
თავისი კოშკი შემომმატარა,  
ქერის არყით გამითბო გული.

შატელში გატარებულუ ღამე  
მეხსომება დიდხანს, დიდხანს,  
იმ დღეს სათიბში დაწერილი  
გიორგიმ ეს სტრიქონები წამიკითხა:

„ზეცას ავხედავ, თენდება ხომ არ,  
მთვარე საფლავებს შორის მიცურავს,  
აქ სძინავს მამუკათ ომარს,  
იქ - ბაბურაულთ ბიძურას“.



## კობა არაბულს

ერთმანეთს დათვისამდე დავემგზავრეთ,  
დათვისი თავს ხშირად მახსენებს,  
შენ რომ ჯუთაში დამპატიჟე,  
ჯუთა შემიყვარდა მას მერე.  
ჯუთაში ჯერ არ ვყოფილვარ,  
ჯუთაზე ფიქრი არ მასვენებს,  
შენ რომ ჯუთაში დამპატიჟე,  
ჯუთა შემიყვარდა მას მერე.  
განა მარტო ჯუთაში დამპატიჟე,  
გზადაგზა ნასოფლარები მაჩვენე,  
სხვანაირად მახსოვს ის ზაფხული,  
ჯუთაში რომ დამპატიჟე მას მერე.

## მინდია არაბული

### სადამო. სოფელი. ღმერთი.

მე და შენ ერთხელაც გავყვებით ამ შარას,  
ამ ხეებს და მერე ამ ბოლო შესახვევს  
გავცდებით. ნიავმა მიწიდან აშალა  
ფიქრები საერთოდ არაფრის შესახებ.

მერე კი ხავსმა და სიყვითლემ წალეკოს  
ქოხები - მიწაზე ჩრდილგადაწელილნი,  
გზები და ნახევრად მოშლილი სამრეკლო  
ზეცას რომ შეუდგეს ფუტურო ძელივით.

მერე კი ყოველი სადამოს მიწურულს  
სუნი რომ დადგება წვიმის და ქუხილის,  
ჭინჭრით და ჩრდილებით დაფარულ მიწურებს  
ფრთების ქვეშ შერეკავს სიბნელე კრუხივით.

და ასე, დღეების ჩამონაღვენთიდან  
ამოჰკრეფ წუთებს და ამოჰკრეფ საათებს.  
კიბეზე გამოვა მოხუცი ღმერთი და  
უძილო ღმერთი და სველ დილას აანთებს.

მერე კი სიჩუმე, სიჩუმე და ციდან  
არ მოვა წვიმა და არ მოვა პასუხი,  
რომ ღამით ჩვეულზე ზედმეტად დასცილდა  
ზედმეტად დასცილდა მომავალს წარსული.

დილით კი ერთ მხარეს ცა ჩამოიშალა  
და რალა აზრი აქვს, წლები თუ წამები...  
გამოვა ღმერთი და გაჰყვება იმ შარას,  
რომლითაც ოდესღაც მე და შენ წავედით.

## მოხუცები

სახლის კედელთან სხედან მოხუცები,  
სხედან და ერთმანეთის სიკვდილს  
წყნარად ხვდებიან.  
წყნარად ელოდებიან თავისას.

სახლის კედელთან სხედან მოხუცები.  
კედელი თბილია და ზურგს უთბობს.  
არაფერს იხსენებენ,  
რადგან უკვე გაიხსენეს ყველაფერი.  
არაფერს ელოდებიან.  
მხოლოდ თვალწინ, სამარადისოდ გამშემებული სურათი  
დედის. ბავშვობის. კრუხის. წიწილეების.

სახლის კედელთან სხედან მოხუცები  
ჯოხს ჩამოყრდნობილნი ნიკაპით  
ან ისე, უბრალოდ.  
სახლიც მოხუცი-  
ჩამავებული თვალებით,  
დადებული პირით.  
სახლიც ელვას ელოდება და წვიმას ნატრობს.

\*\*\*

სიკვდილი ელვას ჰგავს.  
ელვა ძალიან შორს ნათდება  
და მხოლოდ მოახლოებული ქუხილით ხვდები,  
რომ ის არსებობს.

ქუხილი ჰაერში მოჰქრის,  
ყოველ ატომს ეჯახება,  
ნაპერწკლებს ყრის,  
ძლივს აღწევს მიწამდე  
და ღრიალით ნიადაგში შთაინთქმება.

სიკვდილი ჟანგბადის ჩასუნთქვას ჰგავს,  
წყლის ქვემოდან  
ჰაერის ბუმბუკივით ამოგდებული ადამიანი  
რომ შეისუნთქავს ხარბად.

სიკვდილი გამოღვიძებას ჰგავს.  
დიდ გამოღვიძებას  
დამღლელი სიზმრის შემდეგ.

\*\*\*

სახლის კედელთან სხედან მოხუცები,  
თითქოს ვიღაცამ სახლის წინ  
დამჭკნარი ყვავილები დადო.

## მარიამ კოზმანიშვილი

### დამსიზმრებია

მხოლოდ სიზმარში  
თუ მინახავს  
ლხინი - ხევსურთა...  
მომლანდებია  
კლდის ნაპრალთან  
ნახტომი - ჯიხვის...  
გულში გამყრია  
ტკივილები,  
ბასრ ორლესულად,  
სულში მიკვნესის  
მამაცების  
დაღვრილი სისხლი.  
დამსიზმრებია  
მონაპერწკლე  
მზერა, სწორფერთა,  
მზისფერ ნაწნავებს  
შერჩენილი  
ცხელი ამბორი...  
უტყვი ლოდები,  
ქვაკაცები,  
დაღლილ სოფელთან,  
ამბავმრავალნი,  
მდუმარენი  
და უამბონი...  
მეც მიქსოვია  
ფარდაგები  
უცხო ხაზებით,  
მეც ამტკრეცია  
ხორბლისფერი  
ღაწვები კეცზე...

და როცა ომში  
მიდიოდნენ  
ჩემი ვაჟები,  
მიმარხულია  
ცივ წყალსა და  
მჭადის ნამცეცხე..  
კვირა-უქმეზე  
მეც ვაცხოვდი  
ჯვრებიან ქალებს  
და ჩემი მთების  
გადარჩენას  
შევთხოვდი უფალს...  
მერე, ნებით თუ  
ძალით, მთები  
მთიელებს ვანდე  
და ახლა ბარის  
ღმერთებს ვუშლი  
სამსხვერპლო სუფრას.

## მინდია ზვიადაური

### დიალოგი პაპასთან...

პასუხი ხვთისო ზვიადაურს

პაპავ, შენ მეუბნებოდი:  
ლექსებში სევდა ჭარბობსო;  
ზვავს მოჰგავს ვაჟკაცის გული  
ჩივილი არად ვარგობსო;  
კარგ სიტყვას თუ კი არ იტყვი,  
ვერ ნახავ კარგსა გამგონსო;  
ცუდზე თუ ცუდი არ ითქმის,  
მაშ, კარგიც არა კარგობსო;  
საწუთროს ღრუბლიან ციდან  
იმედი გვაწვიმს, გვათოვსო;  
ჯეჯილიც პურად გვექცევა,  
თუ კი მზის სხივი ათბობსო;  
სულ ყველა კაცი როდია,  
ვინც წარამარად კაცობსო!  
— მინდოდა თავი მემართლა,  
სიტყვებს ვეძებდი ფიქრშია.  
მდგმური ვარ წუთისოფლისა,  
ხანჯლად ნაჭედი ჭირშია.  
არასდროს დამიკვნესია  
ჩალა გამოცლილს პირშია.  
სამშობლოს გლეჯენ, იყოფენ,  
გადაგვირჯულეს ჯიშია.  
ლექსებს რომ დარდი დაეტყოთ,  
ეს ღვთის სასჯელის შიშია.  
რომ სიზმრად გვექცა ერთობა,  
შვებას დავემებთ ძილშია.  
სხვა გზისკენ ვარდი გვიფინეს,  
გულმა აქ ყოფნა ირჩია.

ურჯულოთ წესზე გავცვალეთ  
ქრისტეს ხატი და ნიშია.  
აღარც მეომრად ვარგივართ,  
აღარც გამართულ ლხინშია.  
ხე რომ ტკბილ ნაყოფს გვამლევდა  
თავად მოვჭერით ძირშია.  
რა ვქნა, ღრმად არის გამჯდარი,  
პაპავ, ძვალში და რბილშია...  
სევდას კრეფს მუდამ პოეტი,  
ხან ბრძენი, ხანაც გიჟია...



## ამომღერება...

მაღალღებს არყით დათრობა,  
თვალთა ამღვრევა მიტაცებს,  
აღლო ნადირის მედება  
მტაცებლად დავალ მიწაზე.  
გვარიშვილობაც კარგი მაქვს:  
რით არის ცუდი სხვისაზე?!  
სისხლი ხევესურის ჯოგისა,  
მკერდი ამაყი, მზით სავსე.  
და - ძმობას არვის შევურცხვენ,  
სანამ დამდებენ ფიცარზე.  
ორ ქალს შვილები ვუყოლე,  
ბაღლებიც ჩემად ვიმსგავსე.  
ვერას დამაკლებს ვერც მტერი,  
თუ მომერია სიბრაზე.  
არც არაყ მაღაპარაკებს,  
არცროს არ ვძვირობ სიტყვაზე.  
ჯაჭვით მიგაბამთ გულზედ გულს,  
სულს კი შორს ზეცის მიჯნაზე.

## ხევსურული ბალადა

მომგვარეთ ნაქები ცხენი,  
თვალეში ცეცხლის პრიალით.  
გორით გორს ამავენთები,  
ნალებს გაჰქონდეთ ძგრიალი.

ქლავ, შენთანამც მოვსულვარ,  
არ გარგებს თვალთა ბრიალი.  
არც როდის არ მოჰბეზრდება  
მიმინოს მწყერთან ტრიალი.

შენს გვერდით გვირგვინოსანსა  
გულს მიგრილებდეს ნიავი.  
მთის ნამით ხელ - პირს მოგბანდე,  
მოგხურო ქათიბ ჯვრიანი.

ამ გულს სხვას ვერვის გავუყოფ,  
მხოლოდ შენ იყვას მთლიანი.  
— მომგვარეთ ნაქები ცხენი,  
სანამ არ არის გვიანი!

## მთის სატრფიალო...

შეხედე რა მზეა,  
ალისფერ სხივებით,  
გულში რომ იკრავენ  
მოღამულ დარაბებს...  
შენც გულზე შეგხსნოდა  
პერანგის ღილები,  
მთის ყვავილს  
მოჰგავდი,  
ნათრთოლებს ქარაფზე.  
ასწლოვან ხეებს და  
დანისლულ ხეობებს  
ეკვროდათ სული და  
ზვერავდნენ ქარები.  
ერთურთის წადილი  
ფიქრებში ღრეობდნენ,  
ჯეროვნად მღეროდნენ  
გრძნობებით  
მთვრალეები.  
წადი და უამბე შენს  
ჯალაფს ამბავი:  
სასიძოდ მოვდივარ,  
შეავსონ თასები.  
ქალებმა იხარონ  
მაგ მთების ავდართ  
და გულზე სკდებოდნენ  
ჩვენს ახლოს ვაჟები.

## აბუდელაურს...

გზად მივალ აბუდელაურს,  
საისგზით მაველ შენამდე?  
ჭიუხებს თოვლი ეფინა,  
მაღლა გორს დეკან ჰფერავდეს.  
მხარს მკიდავ მაღლის ხურჯინი,  
სალექსოდ ფიქრებ ღელავდეს,  
მივსებდეს მთანიც ამაყნი  
სულის გამოცლილ ხელადებს.  
ამბავს ვიხსენებ პაპის თქმულს  
წინაპართ ნათქვამს დღენამდე.  
აქ ხევსურს დევთან უშუღლავ  
სიკვდილად სისხლის დენამდე.  
გამაჰქცევიყო დევგმირიც  
შარცხვენილ გულით ენამდე,  
ვერსაგზით ვერსად გაექცა  
ხევსურ ფრთამალა შევარდენს.  
წინ დევი, უკან ხევსური,  
ორნივ წყალსშიგან შევარდეს.  
წყალი შაფერა დევის სისხლმ,  
მის ღრიალ სიპებს სერავდეს.  
მაღლა ცას ჯანღი ეკვროდა,  
წვიმას რომ შუბად სწვერავდეს.  
ხევსურთ ამაყი ყიჟინა  
არწივთ აჰქონდათ ზენამდე.

\*\*\*

ჭალისპირს ჩუმად გზვერავდი,  
წყალი მუხლებზე გდიოდა.  
მე შენი ტრფობა მწყუროდა,  
შენი ალერსი მშოიდა.  
ვერცრა შაგბედე ქალაო,  
წყალთა დენაზე ვჯავრობდი.  
ვერც წინ დაგიხვდი, ვერც უკან,  
გულს მჯილის ცემით ვწამლობდი.  
შენამც მიტირებ, დიაცო,  
ნუღარ ჩამახვალ წყალზედა,  
თორო ნაბადში შაგკონავ,  
პასუხს არ ვაგებ თავზედა.

## მთიბველნი...

ამბავი უცხო მგზავრისა

მთისაკენ მიმავალ შარა - გზას,  
ტყიანი, კლდიანი ბორცვებით;  
რა ძალა დამიჭერს არა ვსთქვა,  
რა მძრავს და რისგანაც ვოცდები...  
ციცაბო მალლობი ავლიეთ,  
როგორაც ჩანჩქერი კალმახმა,  
შეფერდით, წიფლის - ძირს დავლიეთ  
თვალს ბინდი გადმიკრა ნანახმა...  
სამად ყოფს მთის ფერდი ნაპირებს,  
როგორაც ნაწოლი გველები.  
სამ გზაზე სამ მგზავრთა საწილედ,  
სამივეს ნაწკები ცელები...  
მთიბველთა მოგვართვეს სალამი,  
სიცხისგან ჩახრინწულ ხმებითა.  
გალმა სხვათ გაეწყოთ კარავი,  
ნაწყვეტი ვარსკვლავთა კრებიდან.  
ტაბლასთან მიწვევა წესია,  
არც ჩვენ ვართ ამ წესის გამყრელნი.  
გაგვეცნენ - თომა და ბესია,  
მესამემ არა სთქვა სახელი.  
შევუვსეთ ჭიქები არაყით,  
ჩამოსხდნენ ბალახზე ქშენითა.  
არ გვექონდა საგზალი ბარაქით,  
არც იმათ მიუღავთ წყენითა...  
ადიდეს სამყაროს გამჩენი,  
გადასვეს ნახადი კახისა.  
წასული, მოსული, დამრჩენი,  
ქურები შაფერა სახისა...

## II

სთქვა:- სათიბს ვრჩები თავ ბესიამ,  
ათ - ძროხას მარტოა ვუვლიო;  
შრომის და წვალეების დღეშია,  
ადარ მაქვს მუხლი და გულიო;  
ხუთ - ვაჟის მამას და მშობელსა,  
არ მერგო იღბალი კარგიო;  
სახლიც მაქვს, კარიც და ღობეცა,  
სასტუმროდ, საკარგემო ხარჯიო;  
ერთ წელში ოთხ - ვაჟი დავმარხე,  
სხვასწელს კი უმცროსი ბერდია!..  
როგორ ვთქვა, მის ხმაში რა ვნახე,  
თვალეებში უფსკრულის ხედია.  
მიამბო ამბავი ომისა,  
ჯარიდან წაასხეს ომშიო;  
მებრძოლად დაზრდილთა ბრძოლითა,  
ოთხივემ ვალ დაზდვა გორშიო;  
დიაციც ლოგინად დამირჩა,  
ვერ გასძლო ამ ჭირის სიმძიმით,  
რაც გვექონდა ერთ წუთში დამიწდა,  
ვარსებობთ თმენით და სიმცირით!..  
— შემნანდა გაჩენა კაცისა,  
კაცთ ბედის უკუღმა ტრიალი.  
სხვას ყველას ცხოვრება გასცრისა,  
ირჩევა უფხო და ფხიანი!..  
გადასვეს თითოც და წავიდნენ,  
თაქვისკენ მოსჩანდა სოფელი.  
სამ გზიდან გავიდნენ ყამირზე,  
ცელ მიჰქონდ, თავადაც მოცელილს.

## წასვლა მწადია...

წასვლა მწადია მე ჩემს მამულში,  
მინდა, ნასოფლარს შევავლო თვალი.  
ო, რა ძნელია, სიზმრად გინატრო,  
გულს ჩამელვრება მე ცოდვა-ბრალი.  
იქ ირწეოდა მამის აკვანი  
და ოფლით რწყავდნენ ირგვლივ მიდამოს,  
იქ წინაპართა საფლავნიც არ ჩანს,  
იმათმა სულმა ზეცად იხაროს!  
კვნესის და ბორგავს არჭილოს მიწა,  
— სიკვდილის პირზე შევიკრიბენით.  
წინათ ხევსურეთს მცველად ვედექით,  
დღეს აღარც მწყემსნი, აღარც მთიბველნი.  
თუვინ გაივლის, მგზავრი დამზრალი,  
კვამლი არსად ჩანს თვალის ნუგეშად.  
მშვიდობით მოსულს ვინდა შეასმევს  
ნაჭრელა ყანწით არაყს უხეშად?  
შენს ყველა მტკაველს დარდად მივითვლი,  
რომ მარტოდმარტოს გიწევს გაძლება.  
მე კვლავ წავალ და გადვივლი  
და მთებს გიტოვებ და-ძმებად.



\*\*\*

ნიავეს მიზღვევენ ღრუბლები,  
ფერდობზე მგელთა ხეტიალს.  
წავიდეთ!.. შენ მეუბნები,  
იქ სადაც სივრცე მეტია!..

მე ვამბობ: - ჩემი საუნჯე,  
ეს ცა და ცის ქვეშ მთებია,  
ლექსებს რომ ღამეს გაუთევ,  
სანთლად რომ იღვენთებიან!

გულად მიფეთქავს ალგეთი,  
მუხლები ხევსურეთია,  
ვარძია კლდეში ნაკვეთი,  
სხვათ სამოთხეზე მეტია!

აქ უნდა ვზარდოთ მართვანი,  
შევკაზმოთ ლურჯა მერანი,  
რომ ქართველს ერქვას ქართველი  
და არა ნაქართველარი.

გულს გიხრავს უცხო მითები,  
საშველად ღმერთის ხმას უხმობ.  
მაშ დავრჩეთ? შენ მეკითხები.  
თუნდ მოვკვდეთ! მე კი გპასუხო.

## ნინო ჭინჭარაული

### არხოტი-ღმერთის საუფლო

ისევ ატყვია ვიწრო ბილიკებს,  
გიჟმაჟი ცხენის ნატერფალები,  
ამო, გავშალათ მუხლი პირ-იქით,  
სანამ გზას ნისლი დაეფარება.  
ნისლი და ქარი, სეტყვა და წვიმა,  
ლეგა ღრუბლების შმაგი მარულა,  
აქ ვერ გაიგებ რა გათბობს მცივანს  
საკარგემო ყანწი, თუ-სიყვარული.  
ჩამოიტოვებ გავლილ აღმართებს  
და ხელუხლებელ საქართველომდე  
ისე მიიწევ, თითქოს მწვერვალზე  
ქარი კი არა, ღმერთი გელოდეს.  
თითქოს წელთგზაზე ეშმა კი არა  
(ჭიმლის კლდეთაგან გამოქცეული)  
უფლის დიდება განაგებს მარად  
ყოფნა-არყოფნას შენი სხეულის.  
ერთხელ სიცოცხლე ისე მოკლეა,  
მტვრით როგორ უნდა აივსო თვალი?  
მთა სიცოცხლეა! სხვა სიცოცხლეა!  
წმინდა, გიჟური, თავისუფალი!  
როგორც -არწივის ცაზე ბოინი,  
როგორც- ულაყის კლდეზე ჭენება,  
აი, ლემადეც ქედს გადმოივლის,  
წარსულში გამხვევს...და მეჩვენება:  
დეკიანებში ლეკვებს ყრის მგელი,  
აცოცდებიან დედას მშივრები,  
ახიელიდან, ამლიდან ცხენებს  
მიაქროლებენ არხოტივნები.  
დაღონებულა ხოგაის მინდი,

ეჭურჩულემა ხე, ქვა, ბალახი,  
და ქრისტიანთან სამოყვროდ მიდის,  
ბრგე ელიმარმა, მონა ალაჰის.  
გადამხოზია კურელას საფლავს  
ბედი უდროო და უჟამური  
და პოეზიას კოცონში მარხავს  
გულჯავრიანი ჯაბუშანური.  
ასას ნაპირზე გარსიას ჯღანებს  
ცეცხლი გაუდის ნაპერწკლიანი,  
ბარუქას მძინართ აღვიძებს ღამე  
გათენებამდე სახეტილოდ.  
ნისლისფერ ცხენზე შემჯდარა ანა,  
ლექსის მუზებთან ცად მოსაუბრე...  
აი-არხოტი! «მზეთა ქვეყანა»,  
აი-არხოტი! ღმერთის საუფლო!  
თვალს ვახელ...მუხლი დამრჩა პირ-იქით  
და მაინც ვამბობ-«ღირდა წვალემა»,  
ოღონდ მეპოვა რომის ბილიკზე  
გურამის ცხენის ნატერფალები...

## ხევსური ქალი

რას შევადარო ხევსური ქალი?  
მას შენი უდგას სული არაგვო!  
მამაცი,  
ფიცხი  
და ბობოქარი..  
მაგრამ საწუთროს საომარ ველზე  
უჩაჩქანო  
და უიარაღო..

## არ მინდა სახლი

არ მინდა სახლი,  
ეს მთებიც კმარა..  
რა სჯობს ნისლიან გზებზე ხეტიალს,  
თუმცა სამყარო სამოთხე-არა,  
უფრო..პატარა ჯოჯოხეთია  
მინც, ჯიუტად ვცხოვრობ ამ გზებზე,  
არ ვიცი, ალბათ სულით ბოშა ვარ,  
ან იქნებ მე ჩემს სამოთხეს ვეძებ  
ღმერთმა ამ მთებზე რომ გადმოშალა.  
ცხოვრება მკაცრად  
მკარნახობს წესებს  
და ვპულვარ ურჩი,  
ცუდი მსმენელი.  
რა ვქნა, ბედს ვანდობ  
მარტოდენ ლექსებს,  
დაწერილიც და დაუწერელიც  
სულ ყველა მე ვარ..  
..რად მინდა სახლი?  
მყოფნის სამყაროს ლაბირინთებიც,  
ამ ჯოჯოხეთს კი მე თვითონ დავღლი  
ნისლებით,  
გზებით,  
მთებით,  
რითმებით.

## შატილში ღამით

წვიმა ასველებს შატილის კოშკებს,  
ფეხი ცურდება გალიპულ ქვებზე  
და სადაცაა სველი მწვერვალი  
ნისლს წამოიცვამს გაჩორკნილ რქებზე.  
ბანიდან ბანზე დავმვრებით ბნელში,  
ხის ძველ კიბეებს, სიპებს ვედებით  
ვით უძღებ შვილებს მამის თვალები,  
შემოგვყურებენ სველი კედლები.  
ჭვარტილიან ნიშში სანთელი იწვის,  
ქაჩუს ნანგრევი ჩაჰყურებს დაღმართს  
და ტყდება ღამე ფანდურის რიტმით,  
არღუნს გამოღმა და არღუნს გაღმა.

## არაგველების ლექსი

რად ეფერებით მოღრუბლულ ქალაქს  
მთებო, ნისლების თეთრი ხელებით?  
ნულარ დაეძებთ, ამ ველზე წვანან  
ლექსად ქცეული არაგველები.

მორჩა, დასრულდა წარსულის საგა,  
ხმლების, ჯაჭვების- სამანქანურის,  
ნაფლეთებს ვისხამთ წარსულისაგან  
და წლებს მთარღვევს სისხლი მხარულით.

ჟამი კრულია, წყეულიმც იყოს,  
მაინც მავხელავთ სულში იმედებს,  
თუ ბედი ისევ კრწანისზე გვიხმობს  
არაგველივით თავს გავიმეტებთ.

მთები-ჩვენ, ჩვენ კი მთებს ვეფერებით,  
აგერ სპეტაკი ნისლის ზეწარიც  
ქალაქს მოასხეს თეთრი ხელებით,  
ნულარ დაეძებთ, კრწანისზე წვანან,  
არაგველები,  
არაგველები...

## შინში

შენ შინში გქვია, მეც... ერთი ხელის  
ორი თითი ვართ ასხმული მკლავზე,  
ვინ იცის, იქნებ რამდენჯერ შენში  
სული ილხენდეს,  
მე ჯავრი მკლავდეს.  
ვიცი, მიფარებ..

რკინა-რვალივით აისხლეთ ჩემსკენ მოქცეულ ხანჯალს.  
მეტყვი-»რას გოდებ სუსტი ქალივით.  
ან ძვირფას ცრემლებს რა ფუჭად ხარჯავ?!»  
ან მიაფურთხებ ცხოვრების კანონს,  
რომ გაჩენილა ტანჯვისთვის კაცი,  
«დამდულრულ» ლექსებს ავაკრავთ პანოს  
და ორ ტკბილ სიტყვას კბილებში გავცვრივით.  
მერე ვიციანებთ (ჰო) გიჟებით,  
ლუდს კაფიებად ამოვამღერებთ,  
თავს მოვიტყუებთ (გულეებს კი ვეღარ) ,  
რომ სატკივარი აღარ გვაღელვებს.  
რომ აღარ გვტკივა წარსული, აწმყო  
და მომავალი, მტვრად რომ გვიქციეს.  
რომ ვეღარ ვამჩნევთ გარშემო ამდენ  
სიცრუეს, სპექტაკლს, შირმას, ფიქციას  
და გულისტკენას!  
უზომოს, რამდენს..

(თმას არ ასხია ამდენი ღერი!)  
რომ არ გვიტოვებს ცხოვრება სამღერს  
და გიჟებით ჩვენ მაინც ვმღერით.  
რომ იღბლიანიც, უიღბლოც, კაცი  
სულით ყოველთვის მარტოა, მარტო(!)  
და წლების შემდეგ, როდესაც დაცლილ  
ცხოვრების გზაზე გადაშლილს, ფართოს  
და უსახელოს აცყვებით აღმართს,  
(თუ სახელიანს - ვიწროს და ქვიანს)  
არ მოვიხედავთ ზურგსუკან და ღმერთს

უსიტყვოდ ვეტყვით მაღლობას, რომ კვლავ  
ორი თითი ვართ,  
შინშეები გვექვია..  
არც ყველა მეხვესურება,

არც ყველა მეხვესურება,  
ვისაც ხევსურულ გვარი აქვს,  
სამზეომ კაცის ბუნება  
ისე მოშალა, არია.  
დღეს ნასახლარებს ქვებიანს  
მოსრავს ჭინჭარი, ეკალი  
და მაინც, ქვეყნად ჩნდებიან  
თორღვა,  
აღუდა,  
მზექალი...

სუყველა მწარედ მოტყუვდა,  
შიშ-სირცხვილ ჭამა ნამდვილი  
ხევსურის დაბეჩავება  
ვისაც ეგონა ადვილი.  
გარდახდა მთების გადაღმა  
მტრის გესლიანი მარულაც,  
ცხადად წავიდა და ახლა  
უკვე მოძვრება ფარულად.  
ვინც ხევსურებად დავრჩებით,  
ნუ მოგვკლავს ბოდმა, შურია!  
ისე შავხენათ ერცხვასა,  
როგორც წინაპრებს სწყურიათ.  
არც ყველა მეხვესურება,  
მაგრამ გავაწყობ ველარას,  
ასე ღმერთს გაურჯულებავ,  
ასე სჭირდება ქვეყანას..



## გ ა ბ რ ი ე ლ

ქუფრ ქარაფებში გადავარცხნილი  
გულს გითრთოლებდა ქუჩის დაღალი,  
«უცნაური ვარ, მხოლოდ ის მინდა,  
რაც საჩემო და ჩემთვის არ არი...»

-,ამბობდი:

შენი ლურჯაის ტორი

არ მარტო - არხვატს,

დარჩა ხევსურეთს

და საუფლოში სამყაროს სწორი

ვერ დაეტიე,

მაგრამ ქლესური,

ფლიდი, გველური ენების რკალში

ლამის რომ გატყდა სული მჭექარე,

კვლავ მიაშურე სასიტყვეთს მთაში,

სად აღარ იყო აღარც მზექალი

და ქარს მიანდე

ლექსების ფერფლი,

ლემადემ მოვლო მზეთა ქვეყანა

და შენს სამშობლოს,

ბრძოლაში შეჭრილს

ზედ ასოებად ჩამოეყარა:

«გ ა ბ რ ი ე ლ !»

## უკენახოში

გზის მოსახვევში წაგვექცა ცხენი,  
(გზა შორი ჰქონდა გადანალახი),  
სურვილი მკლავდა ისეთი ცხელი,  
რომ არც რა ვიგრძენ, მხოლოდ ტალახი  
ჩამოვიფერთხე.. შევჯექით ისევ,  
ციცაბო კლდეზე ბილიკს ავდიეთ  
და ჩემო!.. ისე სულამდის გიგრძენ,  
ცრემლისაც შემრცხვა და მაპატიე;  
გულგრილი რომ ვარ...  
ფერ-ცვლილი რომ ვარ...  
უძლური რომ ვარ...  
უმინო რომ ვარ  
და ახლა უცხოც!  
შორით დავლანდე საგვარო ხატი,  
ვერ გამოვთხოვე მადლი-წყალობა,  
დღესღა ვჩურჩულებ: კვლავ ამატარე ეს აღმართები,  
თუნდაც წვალებით.  
ისევ მაჩვენე შინშების ფუძე  
და თუ ოდესმე ღირსად მიგულებ,  
მიმიღე, თორემ ძარღვებში უკვე  
სისხლი კი არა, მიჩქეფს სინგური.  
და ამ სინგურით ვიცოცხლებ რამდენს?  
უსისხლოდ გული რამდენხანს გასტანს?  
შხამ-სიძულვილი არ მიშვებს ცამდე  
და შენ კი როგორ ახლო ხარ ცასთან!  
მე შენთან მინდა, მე შენთან მინდა!  
მინდა ამ კლდეებს სული ვახალო.  
შენი თოვლივით თეთრი და წმინდა  
ფესვები მქონდეს და აქ ვახარო,  
წარსულის ხათრით გთხოვ, მაპატიე..  
ახლაც მგონია - იყო სიზმარი,  
წვიმის სილაღე, ქვების სიმტკიცე,

ნასახლარები და ნახიზნარი.  
გზის მოსახვევში წაიქცა ცხენი,  
რომ აღედგინა ხიდი რღვეული,  
რომ ამოედგათ ტკივილებს ენა,  
რომ შენი მიწა,  
რომ ჩემი მიწა მეგრძნო სხეულით.

## შალშავი

წუხრ იდგა, რომკის ჩეროზე  
შავად ბრწყინავდა შალშავი,  
ხავსიან ქვაზე შემოდექ,  
მოგონდა ერთი ქალშავი.  
ახლა სად არის, ქებული,  
საით გალია გზა-შარა?  
ნაცართვლით დაყვითებული  
თმა ნეტავ ვისთვის გაშალა?  
მის თვალზე ცრემლი საქუფრად  
იქნებ არასდროს დამშრალა?  
ან იქნებ კრულმა საწუთრომ  
მანც ვერ მოსდო ავშარა.  
იქნებ სულ არ აგონდება  
გზები იხინჭის, ლაშარის,  
იქნებ წარსულზე ღონდება,  
გარს ერტყმის ჯავრის ლაშქარი?  
შენ წლებმა ვერ წაგაქციეს,  
როგორც ქავ-ციხის ნაშალი,  
თუმც შენს ხსოვნაში სიბერემ  
სიყრმის სიზმრები წაშალა.  
მაგრამ, რა ხდება?  
ყოველ ჟამს,  
როცა მწიფდება შალშავი,  
ისევ სწვავს შენს მოგონებას  
შალშავთვალემა ქალშავი.

## თემო არაბული

### სანადიროდ

ლულას ვუწმინდავ იარაღს,  
ტყვიათ ვუმზადებ დათვებსა,  
ხვალ კაი ნადიმს გავმართავ  
ბედი თუ გამიმართლებსა.

დილას, ბინდის ხან ავდგები,  
ბილიკს შავყვები მთებისა,  
საგზლად კეცეულს წავიღებ,  
არც არაყ დამცილდებისა.

საჯიხვეთ გზაზედ ვადგები,  
იებს მოგიტან კლდისასა,  
არაგვის ჩანჩქერს ვაფერებ,  
ბოლოებს შენი თმისასა.

ნისლებს მაღლიდან გავხედავ,  
უფსკრულთ ჩავჰკვივლებ ხევისა,  
იქიდან ექო მამესმას,  
როგორც ღრიალი დევისა.

მზის მოოქროვილ სხივები,  
მთებს ღონით დაადგებისა,  
მე მაინც თბილად ჩავიცომ,  
ზემოთ თოვლ არა დნებისა.

გამიხარდება დანახვა,  
მაღალი ჭიუხებისა,  
ხელ განა ამის ნახვაზე  
სულ ყველას მიუწვდებისა.

ჯიხვ თუ შამამხვდა კლდეებზე  
კაი დღე დაატყდებისა,  
შაშხანას დავცემ რქათ-შუა,  
რქა ყანწად გამადგებისა.

შინ ბნელების ხან წამაოლ,  
ცუდ თუ არ წამაწყდებისა,  
თეთრად მოფენილ სივრცეზე  
კვლავ ღამე გადმადგებისა.

საღამოს მწვადებს მივმართავ,  
ვუძახებ ვაჟკაც ძმებსაო,  
დედა სახინკლეს ჩაგვიყრის,  
გულ ისრ ვერ გაიძლებსაო.  
-ჟიპიტაურიც გადმადგი,  
თითები გაიწევსაო.

რა სჯობავ ძმებთან ღრეობას,  
დროის ტარებას ტკბილისა,  
შამთვრალ აზრებით ავიღებ,  
ლომი, დაწყევლილ თბილისსა,  
ქალაქმაც ბევრჯერ ნაჩვევმა  
არც არა გაიკვირვისა.

## ნა-სახლარი, ნა- სოფლარი, ნა-...

ეზოში ხედავ ლოდებსღა მარტო,  
კარ- მიდამოში ჭინჭარი ყვავის,  
ფეხის დადგმას და ნაკვალევს ნატრობს,  
ცრემლებით უმზერს ავლილს და ჩავლილს.

ნასახლარებზე სევდები წვანან  
და მისტირიან ჩამოშლილ გვერდებს,  
სტკივათ...ყიდიან და ასე წვავენ,  
მამა-პაპების ნაშენებ კედლებს.

უყმოდ დამრჩალა ჯვარის კარი და  
(ურწმუნო სივრცეს ვაშენებთ...მივხვდეთ)  
სულ გადაჯიშდა კაციც, ქალიც და  
აღარც კი გვახსოვს რას უნდა მივყვეთ.

სულ გადავრიეთ წინაპართ გზები,  
ახლა ვინ იცის...როგორ იბრძვიან,  
როგორ ამბობენ საფლავში ძვლები  
-შვილო...რიღასთვის ვერ მოგივლიათ?.

ნახნავ-ნათესი გიტოვებთ მიწა,  
სახლიც ნაგები გიბოძებთ უცხოდ,  
ახლა შენ რაღა სალოცავს ჰფიცავ,  
შენი ჯვარ-ხატი დატოვებ უყმოდ.

ციხე კოშკები დაყარეთ ასე,  
ჩამონგრეული რჩება თავები,  
ნეტავ ვიცოდეთ, რითი ხართ სავსე,  
გულად რა გიდევთ, სად გაქვთ თვალები.

მოუთიბავი დააგდეთ მდელო  
და არც კი იცით ხმარება ცელის,  
ერთი რამ გვრჩება, როგორმე წეროთ  
და გაგვახაროთ ეგების წერით.

წერეთ და წერეთ, იმღერეთ ბევრი,  
ხანდახან ცაზეც ჯღაბნეთ ლექსი და,  
მერე ჩვენც აღარ გაგვეგოს მეტი,  
ნა-სახლარი და ნა-სოფლარი და ნა-...

ღვერა-ღვერა დაგილაგო ლექსები,  
კალმის წვეროც „მოსაწკეპი“ გამიხდეს,  
ვიოცნებებ, – მოდი, ვითომ ვერც ვხვდები,  
ისევ მასზე, რაც არასდროს ამიხდეს.

ხან ვიფიქრებ, დავთმო ყველა ოცნება,  
შევერიო ამ ცხოვრების სიბილწეს,  
მაგრამ სული მერე თავთან მიჩივის –  
ეს ხევსური, ჰეი, საით მიიწევს?!

ხელის მტევნებს შევაჩვიე ჭიქები,  
ქუჩა-ქუჩა, ხეტიალი დამჩემდა,  
დღეში თითქმის მთელ სამყაროს ვხვდებოდი,  
ღმერთის გარდა კი ვერავინ მამჩნევდა.

ფულად მხოლოდ შემრჩენია ხურდები,  
სამათხოვროდ ხელი არა მნებდება,  
ხან ვიფიქრებ, ერთი ტყვია და მორჩა,  
მერე ისევ ლექსი დამფიქრჩემდება.

არა მტოვებს ჩემი მთა და არაგვი,  
სულში ისევ რაღაც რითმებს ალურჯებს.  
მოვიკითხავ, ფურცლის ნაგლეჯს კალამით,  
ანუ – ერთი არაბულის საუნჯეს.

მერე ისევ სულ ყველაფერს გადავდებ,  
ერთი წუთით, ერთი კვირით, ან კიდევ...  
ფეხს წამოვდგამ ამ ცხოვრების დაყრდნობით  
და მარჯვენავ – ჩემი გუდა ამკიდევ.

არავისი ქვეყნად არ შემშურდება,  
მე ასეთი შევიქმენი ეპოქა,  
არ ვიდარდებ, თუკი ვერსად შემამჩნევთ,  
შესამჩნევად, მთა და ღმერთიც მეყოფა.

მივაკვლიე, კვლავ ცხოვრების ალაგს და,  
მოდლი აბა, გადამივსე ეს სური,  
ვისაც მოგწონთ, რავი თუკი მიიღებთ,  
ლექსებს გჩუქნით, ჭიუხების ხევსური.



## მარტო მთების

ღამეც უღიმღამო დადგა,  
ალბათ ცუდის მოსვლას უწყის,  
შენი არ ვარ, აბა რა ვქნა!  
ცრემლი მოიწმინდე, ნუ გწყინს.

არას მახეირებს ხევსურს,  
მერქვას საკუთრება სხვისი,  
ქვეყნად აღარც ერთი ქალის  
მქვია მარტო მთების ნისლი.

თავს ვთვლი, სულ პატარა კენჭად,  
ჭიუხს მომტვრეული ლოდის,  
მთა ვარ წამომდგარი კენტად,  
ვიტან აუტანელ ლოდინს.

მაღლა მწვერვალების თავში,  
თოვლთა ის სითეთრეც მე ვარ,  
რითმებს ჩავუდექი კვალში,  
ცოტა მელექსესაც ვგევარ.

მწვანედ შეფერილი ქვა ვარ ,  
შხეფით ვუხავსივარ არაგვს,  
ანდაც არაგვი ვარ თვითონ,  
რავი... მნიშვნელობაც არ აქვს.

მგლების ყმული ვარ ტყეში,  
აქაც... უფრო მგელი თვითონ,  
კალამს მოვიტოვებ ხელში,  
ღამე წერით უნდა ვირთო.

მთვარის მოფენილი სხივი,  
მთების დარაჯი ვარ ღამის,  
მაინც არ მასვენებს ფიქრი,  
ერთი ღამაზთვალა ქალის.

ხოდა.... ყველაფრის ვარ მთაში,  
ემაგ შენ თვალ-წარბის გარდა,  
არა, მას ვერ გავცვლი სხვაში,  
მუზად ერთი მყავს და... მყავდა.

რითმა ხვალ ახალ ლექსს უწყის,  
მახსოვს, მთებს ფურცლადაც ვყავდი,  
ცრემლი მოიწმინდე, ნუ გწყინს  
ტანზე ჩაიცვი და.... წადი.